


ჰალენ თანეჲი



ანუამდა სკამპილის





წიგნი დაიბეჭდა თურქეთის თანამშრომლობისა და
აღორძინების სააგენტოს (TİKA) ფინანსური
ხელშეწყობით

T.C. Başbakanlık Türk İşbirliği ve Kalkınma İdaresi Başkanlığı'nın
(TİKA) maddi katkılarıyla basılmıştır.



მალევნის იახვინი

70637008

ანკიძეს სკამბლები

რჩეული ნოველები და პიესები



თურქელიან თარმანი ლია ჩლატებები

იყნებ. ჩემი რა მიზანი არა არ გვიცის, ამინადა არა მართლაც ჩვენი მასწავლებელი არ გვიცის.

“კავკასიური სახლი”

თბილისი

2004

ერთ, არამეტეთ კონკრეტულ შემთხვევაში ეს ერთ-ერთი უკანონო გადამცველი იყო.

0 2008019
660 000 2008

0002-6661
660 000 2008

ISBN 5-94283000-8

რედაქტორი მიხეილ ბეროშვილი

შხატვრულად გააფორმა ქეთევან ჩლაიძემ
საბიტულო გვერდზე დატანილია ჯემალ ლოლუას
ნახატი, შესრულებული პ. თანერის ნოველების პირველი
ქართული გამოცემისათვის.

სპეც-2000
გამოყენებულია

ISBN 99928-71-69-5



მართლური ფინანსების მიზანის უცდის მნიშვნელობა
მოწოდებულების მიზანის უცდის მნიშვნელობა

მე რომ მკითხოთ, მთარგმნელის ღვაწლი მწერლის ღვაწლის ოდენაა, ხშირად უფრო მნიშვნელოვანი და სასარგებლოც კი — დიდი საქმეა, მიაკვლიო მსოფლიოს რომელიმე კუთხეში თავის ხალხთან, თავის ენაზე მოსაუბრე მწერალს, აღმოაჩინო მასში კაცობრიობისათვის სასარგებლო რამ და მიიტანო იგი საკუთარ ხალხამდე, ჩასწვდე მწერლის ენის სილრმეს, ნიუანსებსა და დიდის რუდუნებით გადაიტანო იგი შენს ენაზე.

დიდად შემცდარა, ვინც მთარგმნელის თავგანწირულ შრომას ღირსეულად არ აფასებს.

მთარგმნელი ხომ ორი ხალხის შემაერთებელი ხიდია! მწერლები ვერასოდეს გადავუხდით ჯეროვან მადლობას ჩვენს ამ კეთილისმყოფელებს, აუდიტორიას რომ გვიფართოებენ და სხვადასხვა ხალხში მეგობრებს გვძენენ. ხოლო მკითხველები მათგან ისევე ვართ დავალებულნი, როგორც ჩვენი მასწავლებლებისაგან. კულტურის ეს კთილი მოციქულნი ხომ ახალ-ახალ სარკმელებს გვიხსნიან გონების თვალსაწიერზე.

ჩემი მოთხრობების ქართულ ენაზე თარგმნას ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს – ჩემი წინაპრები ქართველები იყვნენ. ჩვენს ოჯახში უფროსები ქართულად ლაპარაკობდნენ, ხშირად აწვდენდნენ ხმას საქართველოს, იცავდნენ ქართულ ადათ-წესებს.

შარშან, როცა პირველად ჩამოვედი საქართველოში, უცნაური გრძნობა დამეუფლა: თითქოს ადრეც ვყოფილიყავი აქ. ქართველი ერი, ქართული ყოფა, ქართული მუსიკა ახლობლად ვცანი.

საქართველოს ბუნება, მისი ჰავა, ძალიან მშობლიურად მეჩვენა.

არ ვიცი, ქართველები გულთან ახლოს მიიტანენ თუ არა ჩემს ნაწარმოებებს.

ჩემს პირველ მექვლეს ლია ჩლაიძეს გულითად მადლობას მოვახსენებ.

ქართულ ენაზე გამოსული ჩემი პირველი წიგნი ყოფილიყოს ქართველი მკითხველებისადმი პირველი მეცნიერული წერილი, რომლითაც თითოეულ მათგანს კეთილ სურვილებს ვუთვლი.

କ୍ଷାଲଙ୍ଘନ ତାରିଖାଳୀ (1916-1986)

ჰალდუნ თანერი XX საუკუნის თურქელი ლიტერატურის გამორჩეული სახელია. იგი 1916 წ. დაიბადა ქ. სტამბოლში. მამამისი – აქმედ სელაპათინ ბეი სტამბოლის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის პროფესორი იყო. მან დიდი ღვაწლი დახდო თურქეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ოკუპანტების წინააღმდეგ. ანტანტის მიერ ოკუპირებულ სტამბოლში აქმედ სელაპათინი თურქეთის დამოუკიდებლობის სამართლებრივი დასაბუთებით გამოდიოდა. ბლივს გადაურჩა 1920 წლის ოქტომბებს. იგი 1921 წელს გარდაიცვალა. მაშინ ჰალდუნ თანერი ხუთი წლისა იყო და, როგორც თავად წერს, "ობლობამ დაღი დაამჩნა მგრძნობიარე ბავშვის სულს". დაობლებულ ბავშვზე მზრუნველობა დედის ოჯახმა ითავა. კარგი აღზრდა მისცეს. საშუალო განათლება გალათასარაის ფრანგულ ლიცეუმში მიაღებინეს. ეს იყო ყველაზე პრივილეგირებული ეკროპული სასწავლებელი თურქეთში. შემდეგ გერმანიაში ჰალდერგის უნივერსიტეტში სწავლობდა ეკონომიკასა და პოლიტიკურ მეცნიერებებს, მაგრამ იქ ტუბერკულოზით დავადდა და იძულებული გახდა, სამშობლოში დაბრუნებულიყო. დაამთავრა სტამბოლის უნივერსიტეტის ფილოლოგის ფაკულტეტი გერმანული ენისა და ლიტერატურის განხრით. 1954-57 წლებში ჰალდუნ თანერი ავსტრიაშია, რეჟისორის ხელოვნებას ეფულება. დაბრუნებული სტამბოლის უნივერსიტეტსა და უურნალისტიკის ინსტიტუტში კითხულობს გერმანული ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიის კურსებს, საკუთარი რეპრიკა ("წერილები სირაქლებას") აქვს გაზ. "თურქუმანში" – აქცენტებს სტატიებს კულტურის საკითხებზე.

ჰალდეუნ თანერის ნოველების პირველი კრებული ("გაუმარჯვოს დემოკრატიას!") 1949 წ. გამოვიდა და დიდი მოწონება დაიმსახურა. მალე საერთაშორისო აღიარებაც მოვიდა — 1952 წ. გაზ. "ჰერალდ

ტრიბუნის" მიერ გამართულ საერთაშორისო კონკურსში მისმა ნოველამ "აწვიმდა შიშკანეს" პირველი ადგილი დაიკავა.

ჰალდუნ თანერი არაერთხელ მიუწნევიათ წლის საუკეთესო ნოველისტად თურქეთში. როცა 1954 წ. დაარსდა საით ფაიგის სახ. უმაღლესი ლიტერატურული პრემია თურქეთში, თანერი მისი პირველი ლაურეატი გახდა.

1973 წელს კი იტალიაში იუმორისტთა საერთაშორისო კონკურსში ნოველისათვის "სანჩოს გასეირნება" უმაღლესი ჯილდო – "ოქროს რტო" დაიმსახურა.

ჰალდუნ თანერის პიესები დიდი წარმატებით იღმებოდა არა მხოლოდ თურქეთის სცენებზე.

ჰ. თანერის სიცოცხლეში სტამბოლის ერთეულთ ფეშენებელურ უბანში, რომელსაც ბეიოლლუ ჰქვია, იყო ერთი პატარა თეატრი – „სირაკულეშის თეატრი“. ამ თეატრის ხელმძღვანელი, რეჟისორი და დრამატურგი ჰალდუნ თანერი იყო.

ბევრი შემთხვევით გავიცანი იგი, როცა მოსკოვში მოწვევით
მყოფი ორი დღით თბილისშიც ჩამოვიდა — ჩემი წინაპრების მამულების
დასაპრუნებლად ჩამოვედო, — ხუმრობდა.

დიახ, თანერის წინაპრები თავდგირიძეები ყოფილან – ქობულეთელი ბეგები. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს გადასულან თურქეთში. იქაც მაღალი მდგომარეობისათვის მოუღწევიათ და როგორც მისი ნოველების პირველი ქართული გამოცემისათვის დაწერილ "წინაოქმაში" აღნიშნავს, დიდხანს არ გაუწყვეტიათ კავშირი საქართველოსთან.

არისტოკრატიზმი, ვეროპული აღზრდა-განათლება ის საფუძვლით,
რომელზედაც დგას ჰალდუნ თანერი – ნოველისტი, დრამატურგი,
პუბლიკისტი, რეჟისორი, პედაგოგი.

ითვლება, რომ 3. თანერი იუმორისტი მწერალია, მაგრამ მკვლევართა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ "მის ნოველებში სევდა სჭარბობს სიცილს". თუმცა, დავამატებდით – სიცილს კი არა – ღიმილს, ადამიანისადმი დოდი სიყვარულით ნასაზღვოებ თანაგრძნობის ღიმილს. დიახ, თანერი არასოდეს იცინის. იგი სევდიანი ღიმილით გვესაუბრება ღრმად ფილოსოფიურ საკითხებზეც კი. იგი ღიად, პირდაპირ არ ამბობს სათქმელს. მის ნოველებში მთავარია ის ბევრისდამტევი ქვეტექსტი, რომელსაც მწერალი მუნწი, მაგრამ 8

ზუსტი ფსიქოლოგიური დეტალებით ქმნის. ის არ გვეუბნება, რომ ამ ქვეყნად ყველაფერი ურთიერთკავშირშია. მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნატივი იურორით გვიყვება, როგორ ჩაიხედა სტამბოლში ერთმა ბებერმა ჯაგლავმა სარკეში და ამის გამო როგორ შეიცვალა რამდენიმე ადამიანის ცხოვრება სტამბოლში, სან-პაულუში, ჰამბურგში...

ნოველაში "სიამოვნებით" სამეცნიერო საბჭოს სხდომა მიმდინარეობს. მწერალი საბჭოს წევრებს თითო-ოროლა ფრაზით წარმოგვიდგენს, მაგრამ ვწვდებით, რომ საბჭოს ორმოცდახუთი წევრი გათითოკაცებულია, ყველა სათავისოდ ფიქრობს, თუმცა ძალ-ლონეს არ იშურებს, ეს ფიქრი საქვეყნო ინტერესებზე ზრუნვად წარმოაჩინოს. საბჭო სამი კანდიდატის გაპროფესორების საკითხს იხილავს. ბევრმა არც კი იცის, ვინ არიან ეს კანდიდატები. სედათ გერმანიანოლუს მხოლოდ ის უნდა, პრინციპულ ადამიანად გამოჩნდეს. ვერა და ვერ გადაუწყვეტია, მისცეს თუ არა ხმა კანდიდატს, რომელიც ხან ეთნოგრაფიის კათედრის წევრი ჰგონია, ხან – წინა აზიის ენების კათედრისა. თუმცა რამდენჯერმე მოისმინა, პალეონტოლოგიაო. მოისმინა, მაგრამ არ დაიმახსოვრა, რადგან ამას პირადად მისთვის არა მოჰქონდა რა.

კითხულობთ ნოველას და ზვდებით, ეს მხოლოდ სამეცნიერო საბჭოს სხდომა არ უნდა იყოს. და ამ დროს მწერალი ერთ ფრაზას წამოგაშველებთ: "პარლამენტურ ტრიუკებში ისე გაიწაფნენ, პოლიტიკოსებიც კი უკან მოიტოვეს, დეპუტატები მანც ყოფილიყვნენ! თუმცა, აქაც არ არიან ნაკლებ ხეირში".

პალეონტოლოგი თანერი თურქეთის პარლამენტის – მეჯლისის წევრიც იყო და სტამბოლის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოსიც!

პალეონტოლოგი თანერის ნოველების კრებული ქართულად პირველად 1972 წ. გამოვიდა. მას "თორმეტს აკლია ერთი წუთი" ერქა. იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია, რომ 40 000-იანი ტირაჟით გამოცემული წიგნი რამდენიმე დღეში გაიყიდა.

კრებული, რომელსაც ახლა ვთავაზობთ მკითხველს, შევსებულია ახალი თარგმანებით – რამდენიმე ნოველითა და ძალზე პოპულარული პიესით "ქემანელი ალის ამბავი". ეს პიესა ათეული წლების მანძილზე არ ჩამოსულა თურქეთის სცენიდან, ევროპის ქალაქებშიც დაიდგა. მე ივი 1988 წელს ვნახე სტამბოლის "მუნიციპალურ თეატრში".

უკვე აღარც "სირაქლემის თეატრი" იყო და აღარც – ჰალდუნ თანერი, მაგრამ მისი პიესების მიხედვით მის მიერვე დადგმული სკექტაკლები სხვა თეატრებში აგრძელებდა ცხოვრებას და მათზე მოხვდრა ძველებურად ჭირდა.

არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ჰალდუნ თანერის ნოველების ენა ისეთივე დახვეწილია, როგორც მათი ავტორი. მაგრამ ერთი მისი გმირების მეტყველებაც ნახეთ! როგორი ღვარჭნილი ოსმალურით ლაპარაკობს მირალია ბერ ("მფლობელი კალმისა და მახვილისა"), ფარგონით მეტყველებენ სინექლის მთის ბოგანოები ("ქეშანელი ალის ამბავი"), მაგრამ როგორ "ამაღალვარდოვანებენ" თავიანთ სიტყვებს, როცა სურთ, თავი მოაჩვენონ ვისმე.

ძალიან ძნელი იყო 50-იანი წლების სტამბოლურ ფარგონში გარკვევა. მხსნელად აწ გარდაცვლილი ლაზი ქალბატონი გულიზარ ჭელიძე მოგვევლინა. იგი სწორედ ამ წლებში ცხოვრობდა სტამბოლში და კარგად იცოდა ეს ფარგონი. დიდი მადლიერებით თუნდა აღვნიშნოთ: ფასდაუდებელი იყო მისი სამსახური მთარგმნელისათვის, რომელიც ძალიან ეცადა, შემოენახა ორიგინალის სტილი.

პიესა სიმღერების ხარჯზე ოდნავ შევაძლეთ.

კრებულს "აწვიმდა სტამბოლს" დავარქვით და ამას ორი მიზნით ვამართლებთ. პირველი: მას ნოველა "აწვიმდა შიშკანეს" იწყებს. უპრიანი იქნებოდა, მისი სათაურის გამოტანა კრებულის სახელწოდებად, მაგრამ ქართველ მკითხველს "შიშკანე" არავერს ეტყოდა. ამიტომ ვავაფართოვეთ ერთი პატარა ქუჩის საზღვრები. თუ შიშკანეს აწვიმდა, აწვიმდა სტამბოლსაც. მეორე: ჰალდუნ თანერი სტამბოლელია, სტამბოლელები არიან მისი გმირებიც, თუ არ ჩავთვლით პატარა სანჩის, ან კარის ქუჩებში რომ დაცუნცულებს და ფრთამოტეხილ იზნექელ ყარყატს. სტამბოლს დასტრიალებს მთელი მისი შემოქმედებას.

"ქართველი ხალხი... ახლობლად ვცანი", – წერდა თანერი 1971 წ. იმედია, ქართველი მკითხველიც კვლავ გულთბილად მიღებს მის შემოქმედებას.

ლია ჩლაიძე

თბილისი. 2004 წ. 20.11.

ექთ ამერიკულ ფოტოგრაფის თავისი აპარატის თბილქანი
ცხვნის ფოთის შედევრია და ისე გადაუდია ნაირ-ნაირ
სურათები. ამ სურათების მიზანი არ იყო მოგრძელება არა ცხვნის მფლოდ
სივრცებისა და არ იყო ერთნახვარევული არა აღმასი, კოდრებ
სინამდვივებისა და არ იყო მოგრძელება არა უცრცი სწორია
კა იქნებოდა მფლოდ სივრცების მოგრძელება, რადგან
საკონცენტრაციო მოვალეობა არ იყო არა მოგრძელება არა მოგრძელება

ანაგრძოლებ აღწერისის, / რომ პალეოტი თანამდებობის
ქა ისეთი დახვეწილია, როგორც მათი აუტორი. მკრავ კრისი
მისი გვირების ძირისადამაც ჩაიტარები თავზე მისამართ
დამატების მომავალი ბერძოლობის და მას დასრულების
გარეობრივი მომავალი ბერძოლობის და მას დასრულების"),
გრძელი მოტივის და მიმდინარეობის დაზიანები ("კუმანები
ავის აქცია"). სამართლის მიერ მიმდინარეობის და
სიცოცხლის, ხოლო მიმდინარეობის და მას დასრულების



ესამართო ქადაგი არ ამტკიცებული თავმისიც ეჭირის მიზნების
ფარავნის მიზნები არის მისრომოთის იძენი და არა
ტექნიკური მიზნები არის მისრომოთის უზრუნველყოფის მიზნები.
თუ აუცილებელი იქნება მისრომოთის უზრუნველყოფის მიზნების
მიღება, მის მიზნების მიზნების მიზნების მიზნების მიზნების მიზნების

აჯგიძლა შიშკანის

ერთ ამერიკელ ფოტოგრაფს თავისი აპარატის ობიექტივი
ცხენის თვალით შეუცვლია და ისე გადაუდია ნაირ-ნაირი
სურათები. ამ სურათებიდან ჩანს, რომ თურმე ცხენის თვალი
საგნებსა და ადამიანებს ერთნახევარჯერ დიდად აღიქვამს, ვიდრე
სინამდვილეშია. ვიდრე სინამდვილეშია-მეთქი, ვამბობ, უფრო სწორი
კი იქნებოდა, მეთქვა: ვიდრე ისინი ადამიანს ეჩვენება, რადგან
საკითხავია, ჩვენ კი ვხედავთ საგნებს თავიანთი ჭეშმარიტი
ზომით?

გამოჩნდა ვიღაც გერმანელი სწავლული, რომელმაც გამოიყენა
ამერიკელი ფოტოგრაფის აღმოჩენა და განაცხადა: "ამრიგად,
სამყაროს აღქმა გადიდებული მასშტაბით არის მიზეზი, რამაც
დაუკარგა ცხოველებს საკუთარი ღირსების გრძნობა და ჯერ
კიდევ პრეცესტორიულ ხანაში აქცია ისინი კაცთა მოდგმის თვინიერ
მსახურებად".

არ ვიცით, ფოტოგრაფია ამ ცდისათვის რომელი ცხენის
თვალი გამოიყენა, მაგრამ, ვფიქრობ, გერმანელი მეცნიერის
ჰიპოთეზა დიდი – დიდი, იმ ჯაგდაგებზე გავრცელდეს, რძეს,
წყალსა და ნაგავს რომ ეზიდებიან და ცხენთა პროლეტარიატს
ქმნიან, თორემ, აბა, ერთი, აღა ხანის ტაიჭებიცა ნახეთ, ბრწყინვალე
საჯინიბოებში რომ ცხოვრობენ და მოვლა-პატივი არ აკლიათ!
ამ არისტოკრატთა შთამომავლობას ხომ ლორდთა გენეალოგიის
სიზუსტით ადგენენ? რა საფიქრებელია, თითქოს კაცი მათაც
გადიდებულად ეჩვენებოდეთ?! გადიდებული იქით იყოს, ალბათ,
ბუნებრივი ზომითაც ვერ აღგვიქვამენ. მაღალ საზოგადოებაში
მიღებულთ ჩვენ პატარინა და უსუსურნი ვეჩვენებით, თითქოს

1. ქუჩა სტამბოლის ერთ-ერთ ცენტრალური უბანში.

შებრუნვებული დურბინდით გვიყურებენ.

ასეა თუ ისე, ჩვენი მოთხრობის გმირი ერთი ნაგვის მზიდავი ჯავლაგია, სწორედ იმათი ჯიშისა, ყველაფერს რომ ერთნახევარჯერ დიდად ხედავენ. ახლახან შეუსრულდა ოცი წელი და ოცდამეერთეში გადადგა. ცხენისათვის ოცი წელი დაახლოებით იმდენივეა, რაც ადამიანისათვის სამოცი-სამოცდახუთი. ამ ჯავლაგს სახელად კალენდერს¹ ეძახიან. მუნიციპალიტეტის სანიტარულ განყოფილებაში მუშაობს ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა სტამბოლის მერი მუჭიდინ ბეი იყო. საწყალს უკვე მიუღწევია საპენსიო ასაკისათვის და რა გასაკვირია, რომ საგნები ერთნახევარჯერ კი არა და, ორჯერ დიდადაც ეჩვენებოდეს. მოქმედება მიმდინარეობს დაახლოებით დღის სამ საათზე, კალენდერის ყოველდღიური მოღვაწეობის ტერიტორიაზე – შიშკანეზე. ვიღაც მუშას დიდი სარკე გაუდვია მხარზე და მიაქვს. აი, კალენდერმა ამ სარკეში თავისი გამოსახულება დაინახა. რა თქმა უნდა, დაინახა უფრო დიდად, ვიდრე სინამდვილეში იყო (ანუ, ვიდრე ჩვენ ვხედავთ), დაინახა და დაიჭიბვინა.

ეს ჭიხვინი შეიძლება ორი მიზეზით აიხსნას:

ა) კალენდერმა სარკეში თავი იცნო და ამ არსებამ, ირგვლივ ყველაფერს გადიდებულად რომ აღიქვამდა და ამიტომ ეგონა, პატარა და უმწეო ვარო, ბოლოს და ბოლოს საკუთარი ღირსება იღრმნო.

მაგრამ ეს რომ დავასკვნათ, ისიც უნდა დავუშვათ, რომ კალენდერს მანამდე არასოდეს დაუბახავს თავისი თავი, რაც შეუძლებელია. ასეთი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე და თანაც ასეთ დიდი ქალაქში, როგორიც სტამბოლია, უეჭველად დაინახავდა სარკეში თუ არა, კოდის წყაროში, მდინარეში, ქუჩაში დამდგარ გუბეში მაინც. ის კი არა, ვინ იცის, რამდენჯერ ვეღარ მოუწყვეტია ნაღვლიანი მზერა გუბის ზედაპირზე არეკლილი საკუთარი გამოსახულებისათვის, რომელსაც ოდნავ არხევდა მსუბუქი ნიავი, რამდენჯერ მოხიბლულა, როცა დაუნახავს, რარიგ

1. მოხეტიალე დერვიში; მწირი.

ეხამებოდა ქულა ღრუბლებით მოფენილ ლურჯ ცას წყლისკენ დახრილი მისი თავი.

მაგრამ სულ სხვაა სარკეში დანახული. გუბეში არეკლილი გამოსახულება იმას ჰგავს, ტრიბუნაზე მდგარი ორატორების პორტრეტები რომ იბეჭდება გაზეთებში – ქვემოდან ზევით გაფართოებული. ასეთი რაკურსით გადაღებულ სურათებში კაცი, და, რასაკვირველია, ცხენიც, უფრო წარმოსადევგი ჩანს. სარკე კი, მოგეხსენებათ, არას დაგიდვეთ ოპტიკურ თინებს, არ მღიქვნელობს, ავსა და კარგს შეუფერადებლად უჩვენებს.

ამრიგად, ცხენი შეჩვეული იყო საკუთარი თავის მაღალმხატვრულსა და რომანტიკულ პოზაში ხილვას და სარკის ყინულივით ცივმა რეალიზმმა ამიტომაც დასცა თავზარი.

ვერც ცხენი და ვერც კაცი სიბერეს იოლად ვერ ეგუება. ერთსაც და მეორესაც მუდამ ჰგონია, იგივე ვარ, სულაც არ შევცვლილვარო. კალენდერიც ფიქრობდა, ისევ ის კვიცი ვარ, პირველად რომ მოვედი მუნიციპალიტეტშიო, მაგრამ დღეები გადიოდა, წელი წელს მისდევდა, შიშკანებში ნაგავი არ ილეოდა. ამასობაში კი ახალგაზრდობის წლები თვალსა და ხელს შეა გაუქრა და ერთ მშვენიერ დღეს ბედისწერამ სარკეში ჩაახედა. ჩაახედა და ლამის ჭკუაზე შეშალა: ნუთუ ეს მე ვარო, – გაიოცა – ნუთუ ეს დაჩაჩანაკებული და უძლური ჯაგლაგი კალენდერია? – იკითხა.

თუ კალენდერმა სარკეში თავი იცნო და ასეთმა ფიქრმა გაუელვა, შესაძლოა, ამიტომაც დაიჭიბვინა.

ბ) პოლიციელები, მედუქნები და სხვანი ამ ვერსიას უფრო იზიარებენ: – ცხენმა სარკეში თავი ვერ იცნო, ეგონა, ეს სხვა ცხენია, ჩემსავით ნაგვის ფორანში შებმული, უცხო და მტრულად განწყობილი, ჩემკენ მოდის და საცაა, გადამთელავსო. ამ შემთხვევაში მისი ჭიხვინი თავდაცვის ინსტინქტად უნდა მივიჩნიოთ. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზემოთ დასახელებული მიზეზის გამო, მოწინააღმდეგე ერთნახევარჯერ დიდად მოეჩვენებოდა, თუმცა, გაჩენის დღიდან ხომ ყველა ცხენი დიდად ეჩვენებოდა? მაშასადამე, შეჩვეულიც უნდა ყოფილიყო

და რისლა შეეშინდებოდა?

ბოლოს და ბოლოს, გნებავთ პირველი კერსია მიიღეთ, გნებავთ — მეორე. სულერთია. წელან რომ ოპტიკურ წვრილმანებზე გაგვიგრძელდა სიტყვა, არც ისაა მთავარი. მთავარი მერე მოხდა. კალენდერმა დაიჭიბვინა.

რა იყო ეს ჭიხვინი? შიშის, გაოცების, გულგატეხილობისა თუ სხვა რომელიმე რეფლექსის გამოხატვა, არ ვიცით, მაგრამ ეს კია, კალენდერმა დაიჭიბვინა და, როგორც დამფრთხალ ცხენებს სჩვევიათ, უკან-უკან დაიხია. ადგილი თავქვე იყო. ნაწვიმარ ქუჩაზე ფორანი დაცურდა, ტროტუარზე ახტა, ელექტრომაღაზიის ვიტრინას დაეჯახა და ზრიალით ჩამოიღო ძირს.

ვინმე სხვა ამერიკელმა ვერ გაუსწრო თავის თანამემამულეს და ცხენის ფურის ნიჟარიდან მიკროფონის გაკეთება ვერ მოიფიქრა. ამიტომ არ ვიცით, როგორ აღიქვამს ცხენი ბგერებს, ალბათ, ძალზე ძლიერად, რადგან მინის მსხვრევისა და ვიტრინიდან გადმოვარდნილი ასსანთლიანი ნათურის გასკდომის ხმამ ცხენი სულ მთლად დააფრთხო. კალენდერმა ფორანი გაიტაცა და გავარდა.

სწორად მაშინ მოხდა, რაც მოხდა.

* * *

სან-პაულოდან ფირმის ელვა დეპეშა რომ მიიღო, ართინ მარგუსიანს თავზა დაებნა. ფირმა დადგენილ ფასს მოელ ოც პროცენტს აკლებდა და ისიც როდის? როცა საჯარო ვაჭრობის დაწყებას წუთებილა აკლდა. ართინ მარგუსიანი უქუდოდ და უპალტორდ ქუჩაში გამოვარდა. რა დროს შოთრის ძებნა იყო! თავად მიუჯდა საჭეს და გააქროლა. «ასტევაც, ბარკევედე ანდრანიკე აჭებარელოვ მეზვენასი ჩიმისთინე»¹, — ფიქრობდა გზაში. ანდრანიკი, მისი ქვისლი და კომპანიონი, გრიგორიანი იყო, თვითონ — კათოლიკე, მაგრამ კარგად მოდიოდნენ ერთმანეთში. ახლაც საჯარო

1. ღმერთმა ქნას, ანდრანიკმა არ იჩქაროს და სისულელე არაფერი ჩაიდინოს (სომხ.).

ვაჭრობაზე თავის ნაცვლად ის გაეგზავნა.

მარგუსიანმა მოქროვილ საათზე დაიხედა. ჯერ კიდევ შეიძლებოდა, იმედი ჰქონდა კაცს: ბაზრობის დაწყებამდე მთელი თხუთმეტი წუთი რჩებოდა. «ანდრანიკ, მმაო, ცოტაც მოითმინე». პოლიციელსაც ახლა მოუნდა გზის გადაკეტგა! ართინ მარგუსიანს წამები წლებად ეჩვენებოდა. ოოგორც კი პოლიციელი შებრუნდა, გაზი ჩართო და ისე მკვეთრად მოაბრუნა მანქანა, თვითონვე გაუკვირდა. „მაინც რა კაცია ეს ლორენცო”, — თავისთვის ლაპარაკობდა მარგუსიანი — „გავონილა, უკანასკნელ წუთებში ფასის დაკლება და ისიც რამდენით! Vingt pour cent¹, ფანდი რამე არ იყოს”.

მანქანის მინაზე წვიმის წვეთები გაჩნდა. „ესლა მაკლდა”, — აბუზლუნდა ართინი და ომელი ღილაკიც ხელში მოხვდა, იმას დააჭირა თითო. მინაზე არაფერი შეცვლილა. თურმე გაბარიტული განათება ჩაურთავს. ახალბედა შოფერი, ომელსაც ჯერ მართვის ნებართვაც არ ჰქონდა, ვერ დაიკვეხნიდა მანქანის ყველა საიდუმლოს ცოდნას. ახლა სხვა ღილაკი მოექნა. თითქო ჯიბრზე, ამჯერად მოსახვევის მაჩვენებელი ნათურა აინთო. მარგუსიანი ჯიუტი კაცი გახლდათ (ბირჟაზე მიღწეულ წარმატებებსაც სწორედ ამ თვისებას უმაღლოდა); მესამე ღილაკიც ჩართო. მაღლობა ღმერთს! ძლივს მიაღწია საწადელს! მინის საწმენდი პატარა ჯაგრისები, აქამდე გულგრილად რომ უცქერდნენ პატრონის გასაჭირს, მეტრონომის ტემპით ამოძრავდა და გულმოღვინედ დაიწყო მინის წმენდა. წარმატებით გახარებულმა მარგუსიანმა დღისით, მზისით, ნათურებგაჩახახებული მანქანით თევებაშიზე² შეუხვია. „ყველა ყველა და, ერთიც ვნახოთ, ამ პურსანტაჟით ვიზარდლო? ... ძველი ფასით საკომისიოს რამდენს ავიღებდი?” Trois fois quatre, douze milles იქნება, sept fois douze huit cent quarante. Si le prix d'achat est abaisé de vingt pour cent, le bénéfice en diminuera d'autant.²

1. ოცი პროცენტი (ფრ.).

2. სამჯერ ოთხი — თორმეტი ათასია, შვიდჯერ თორმეტი — ოვას ორმოცი. თუ შესასყიდმა ფასმა ოცი პროცენტით დაიკლო, სესაბამისად საკომისიოც დაიკლებს (ფრ.).

ართინ მარგუსიანი, როცა ნერვიულობდა, სამ ენაზე ფიქრობდა ხოლმე: თურქულზე, სომხურსა და ფრანგულზე. ცოტაოდენი ინგლისურიც იცოდა, მაგრამ, ცოდვა გამხელილი სჯობს, ინგლისურის საღერღელი მხოლოდ სიგარის მოწევისას აეშლებოდა ხოლმე. გაიღიმა: „ჯერ დაიძინე და სიზმარი მერე ნახე, შვილოსა. ძველი ფასი ვაჭრობის შანსს გიტოვებდა, ახლა კი მოგება განაღდებული გაქვს. როგორ გაუკვირდებათ ანდრანიკს, ალი თომარს, ქამილის კაცებს, ანესთის, გევორქ ქავაფიანს, ნაილის?!“

— ბატონებო, შემიძლია ერთი *plaisanterie* ჩავიდინო, — ვეტყვი და დეპეშას ბაირალივით ავაფრიალებ — ბატონებო, ტყუილად ნუ გაირჯებით, ასეთი ფასი დღემდე არც კი გაგეგონებათ!“

ამ ფიქრებში იყო მარგუსიანი, როცა მანქანის მინაში მწვანე ფონზე თეთრად დაწერილი უზარმაშარი ციფრი 515 დალანდა. ციფრი უფრო და უფრო იზრდებოდა... იზრდებოდა... ბოლოს რაღაცამ შემზარავად დაიჭახუნა და თვალის დახამხამებაში ყველაფერი წყვდიადმა შთანთქა.

* * *

— ვხედავ, ეს უპატრონო ისარივით გამოვარდა, — ყვებოდა ვატმანი — რაც ძალი და ღონე მქონდა, დავამუხრუჭე, ძლივს გადავურჩი უბედურებას. რა ვიცოდი, უკან რა ხდებოდა! არა, დასწევლოს ღმერთმა, მაინც სად მოძრებოდა!

მგზავრებიც ამასვე ამბობდნენ. მართალია, დამუხრუჭების დროს კარტებივით მიეწყვნენ ერთმანეთს, მაგრამ მაინც ერთხმად ამტკიცებდნენ, ვატმანი არაფერ შუაშიაო: — მენაგვის ჯაგლაგი გიჟივით შემოვარდა ლიანდაგზე. ტრამვაის კი უკან შომავალი მანქანა დაეჯახა და დამნაშავე შოფერია. მორჩა და გათავდა! გამოცდილი შოფერი რომ ყოფილიყო, ასე კუდზე არ გამოებმეოდა, ანდა მოასწრებდა მანქანის შეჩერებას, როცა ტრამვაიმ დაამუხრუჭა. პოლიციამ ტრამვაი უნდა გაუშვას და ამ რეგვენ შოფერს მოუაროს.

* * *

ტრამპაების გრძელი მწკრივი გაჩნდა. იდგნენ და იცდიდნენ. მეჩვიდმეტე ტრამპაი ბეიოლლუს კამაკამის¹ რეზიდენციის წინ იდგა. წვიმამ იმატა. ქასიმფაშადან ყვავების გუნდი აფრინდა, ჩხავილით გადაუარა საფინანსო სამმართველოს შენობას და გაუჩინარდა.

სუჰეილ ერბილს ყველაფერი აღიზიანებდა და ცუდ ხასიათზე აყენებდა: ყვავები, წვიმა, ჰყლეტა ტრამვაიმი, ფანჯრებზე დაცემული წვიმის წვეთები, განსაკუთრებით ვაგონში გამდგარი ტენიანი ქსოვილის სუნი. ამიტომ ბაქანზე გამოვიდა, ყალიონს მოუკიდა, ასანთი ქუჩაში გადააგდო და ოქაურობა მოათვალიერა.

კაიმაგამის რეზიდენციის წინ ექვსი ტაქსი იცდიდა. კიბებზე მექორწინები გამოჩნდნენ. ნეფე შუახნის კაცი იქნებოდა, ხავერდის საყელოიანი პალტო ეცვა. დედოფალს — პატარა, კოშტა გოგონას — გამჭვირვალე პირბადე ებურა.

„ნეტა, რატომ იუარებენ პატარძლები პირბადეს?“ – გაიფიქრა სუჟეკტილმა. გოგონას ლამაზი თაიღული ეჭირა, მალიმალ ზეცისკენ იყურებოდა. ეტყობა, გაგონილი ჰქონდა: ქორწილის დღეს წვიმიანი ამინდი ბედნიერების მომასწავებელიაო, მაგრამ ვერ გაეტედა და ვერ ეთქვა ხავერდისსაყელოიან პალტოში გამოწყობილი მულლისათვის.

„ეს ხანუმი, სიხარულის ცრემლებს რომ ვერ მაღავს, პატარძლის დედა იქნება“.

ნეფე-დედოფალი წინა მანქანაში ჩასხეს, იქვე ჩააწყვეს ყვავილების კალათები. ნათესავ-მეგობრები სხვა მანქანებში ჩამორიგდნენ. სულ ბოლო მანქანა სუჟეილ ერბილის ჭრამგაის გასწროვ იდგა. მასში სამი ქალი და ერთი მამაკაცი ჩაჯდა. ჩანდა, მამაკაცმა ის-ის იყო მოსწრებულად იხუმრა — ერთი ქალი გულითად კისკისებდა:

Ո՞ւստի՝ ո՛ր, Ծմերտմա զի՛շվելութ, Նոմեծագոնք, ար զամաւրութեալութ?!

„ყოველ ქორწილში ხომ უეჭველად არის ასეთი

1. ადმინისტრაციული ერთეულის მმართველი.

ენამოსწრებული სიძებატონი“, – გაიფიქრა სუჰეილ ბეიმ. მანქანები თვალს მიეფარა, სუჰეილ ერბილმა ამოიხრა: წვიმიან ამინდში უფრო მწვავედ განიცდიდა სიმარტოვეს. „რა იქნება, მეც მქონდეს პატარა, მყუდრო ბინა, მყავდეს ამისთანა პატარა ხანუმი – ზრდილი და სათხო, მორცხვი, იოლად რომ წითლდება. სხვას არას ვინაღვლი. ფარდებიც კი ჩამოვაშვებინე, რომ წვიმა არ დამენახა. სამი ოთახი, მეტი არ მინდა. ერთიც სამზარეულო. ცოლი სამზარეულოში ყავას ხარშავს და თან დიღინებს... მოელი ჩემი არსება, ირგვლივ ყველაფერი სიცოცხლით სუნთქვავს...“

სუჰეილ ბეიმ კვლავ ამოიხრა. ტრამვაის წასვლას პირი არ უჩანდა. „ხუთი წუთიც რომ შევყოვნდე, გემი გამასწრებს“. ტრამვაიდან ჩამოვიდა, პალტოს საყელო აიწია, ხელები ჯიბეებში ჩაუწყო და ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

მართალია, სუჰეილ ერბილი ოთხმოცდასამ კილოგრამს იწონდა, მაგრამ ძალზე გულჩვილი და მგრძნობიარე ყმაწვილი გახლდათ. თუმცა, აქაოდა, მამაკაცს გულჩვილობა არ უხდებაო, ცდილობდა უხეშობითა და სიმჭაცრით შეენიღბა იგი. ოცდა-ორომეტი წლისა ჯერაც უცოლოდ დადიოდა. ბევრ ქალთან ჰქონდა რომანი, მაგრამ ვერა და ვერ გადაწყვიტა რომელიმე მათგანთან ბუდის დადება. ახლა ხედავდა, როგორ უთხელდებოდა თხემზე თმა და მწარედ განიცდიდა. „მივდივართ, უკვე მივდივართო“, – ნაღვლიანად იტყოდა ხოლმე. ანკარის ადვოკატთა კოლეგიის წევრი იყო. თვეში სამას-ოთხას ლირას იღებდა.

ეს სუჰეილ ერბილი ახლა შიშკანეს დაღმართზე ჩამოდიოდა.

* * *

„რაკი ამ სუნსა ვერძნობ, ალბათ, ცოცხალი ვარ“, – გაიფიქრა ართინ მარგუსიანმა, როგორც კი ცხვირში ეთერის მკვეთრი სუნი მოხვდა. „შეიძლება, დავშავდი, მაგრამ ცოცხალი ვარ და მთავარი ესაა. დანარჩენს მოევლება. მძიმე ჭრილობაც რომ იყოს, ეშველება. ნეტავ, მართლა მძიმე ხომ არ არის?“ განძრევას ვერ ბედავდა. ფრთხილად გაახილა თვალი. გარშემო ყველაფერი სქელ ბურუსს

დაეფარა. ყურებში საშინელი ხმაური ედგა. ვიღაც ხელს უხვევდა.
 – გონს მოვიდა! გონს მოვიდა! – იყვირა ვიღაც ქალმა.
 მარგუსიანს ეცნაურა ეს სიტყვები. „ნეტავი, რას უნდა ნიშნავდეს
 „გონს მოვიდა“? უეჭველად მიხვდება, უნდა მიხვდეს. „გონს
 მოვიდა“. რა არის ამაში გაუგებარი! რასაკირველია, არაფერი.
 იცის კიდეც, რას ნიშნავს, მაგრამ ახლა აზრისთვის თავი ვერ
 მოუყრია. „ისევ უგრძნობლად ვარ, ნეტავი?“ ბურუსში ძლივს
 გაარჩია: ვიღაც მისკენ დახრილიყო და ელაპარაკებოდა.
 მარგუსიანმა ვერაფერი გაიგო. ნათქვამი სხვამ გაუმეორა. აი,
 იმან, ხელს რომ უხვევდა. მაინც ვერაფერს მიხვდა, გარდა იმისა,
 რომ ხშირად მეორდებოდა ერთი სიტყვა – „ნებართვა“. ჰოო,
 ნებართვა... არც ეს სიტყვა ეუცხოვება, მაგრამ, დასწყევლის
 ღმერთმა, რა მოსდის?!“

ხელს რომ უხვევდა, ის კაცი ორგვლივ მყოფი მიუბრუნდა:
 – კიდევ გავუკეთებ ადრენალინს.

მკლავში ნემსის ჩხვლეტა იგრძნო თუ არა, მარგუსიანმა
 მაშინვე გაიფიქრა: „სულაც არა ვარ უგრძნობლად, ეგ არის,
 მთლად ვერ გამოვრკვეულვარ!“

* * *

მანქანის გარშემო თავშეყრილი ხალხი ერთხმად ყაყანებდა:
 – შეხედეთ, შეხედეთ, როგორ დალეწილა! საწყალს ცოდვები
 მოსწევია!

– უკანა ნათურებიც რომ აუნთია!

შემთხვევის ადგილზე ორმა პოლიციელმა და კომისარმა
 მოირბინეს. მოწმეთა დაკითხვა დაიწყეს. ელექტრომალაზიის
 პატრონმა ზარალის ცხელ-ცხელი აქტი გამოაფრიალა და
 კომისარს წარუდგინა. მაღაზიის კართან თეთრსაწვიმრიანი
 ქალიშვილი იდგა. წელან, ვიტრინა რომ დაიმსხვრა, ისიც მაღაზიაში
 იყო და აბაურს არჩევდა. ახლა გამყიდველის დაბრუნებას
 ელოდა. ამ დროს თვალი მოჰკრა სუჰეილ ერბილს.

სუჰეილ ერბილს ქუჩაში დატრიალებული ბანალური სცენები
 და ავარიები ისევე ჰგვრიდა ზიზდს, როგორც წვიმა და ტენიანი

პალტოს სუნი. არც ბრბო, არც პოლიციელები, არც დალეწილი მანქანა და გონდაკარგული შოთერი არ იპყრობდა მის ფურადღებას. გადაჭრა ხალხით გაჭედილი ქუჩა და ბანკისაკენ წავიდა.

თეორისაწვიმრიან ქალიშვილს ბარემ ერჩია, სუპეილ ერბილს პირველს შეემჩნია იგი, მაგრამ, როცა მან ისე ჩაუარა, რომ არც კი შეუხედავს, ვეღარ მოითმინა და შეეხმიანა:

— სუპეილ ბეი! — და თავისი საქციელისა შერცხვა. ტუჩჩე იქბინა, თვალები დახარა.

— სერაფ, შენა?

— მე გახლავართ, — გოგონამ თავი ასწია და თვალებში შეხედა. სუპეილ ერბილს ყელში რაღაცამ თბილად მოუღიტინა. „დმერთო, კიდევ უფრო დამშვენებულა. მაგრამ ეს გული რატომ მიუვართხალებს, თითქოს ამოვარდნას ლამბსო?“

— თქვენ ან კარაში ბრძანდებით, არა? — ჰკითხა სერაფმა.

— დიახ, სამსახურის საქმეებზე ჩამოვედი და ოთხშაბათისათვის გავძრუნდები.

— კარგია...

გოგონას თეთრი საწვიმრის საყელოდან ლამაზად მოუჩანდა ყელი, სიცივისაგან ლოყები დასწითლებოდა. დიახ, ეს ის სერაფი იყო, ხუთი წლის წინათ რომ იცნობდა სუპეილი. „სულაც არ შეცვლილა“, — გაითვიქრა.

— მოგწონთ ან კარა? კმაყოფილი ხართ იქაურობით? — ჰკითხა სერაფმა და ქუდი გაისწორა, სუპეილს თითები დაანახვა.

„ბეჭედი არ უკეთია, ესე იგი, არ გაოხოვილა, არც დანიშნულა“. სუპეილმა ამერიკულ ყაიდაზე გაიღიმა — მარცხნივ მიბრიცა ტუჩჩები.

— მარტოხელა კაცისათვის სულ ერთია, სად იცხოვრებს: ან კარაში, სტამბოლში, იზმირში, ნიუ-იორკში, პარიზსა თუ ბარსელონაში, თანაც როცა წვიმს.

— წინათ ასე არ ლაპარაკობდით, — გაუღიმა გოგონამ.

როცა იღიმოდა, ორივე ლოყაზე ფოსოები უჩნდებოდა. ძალიან უხდებოდა. სერაფმა ეს იცოდა და, როცა მამაკაცებს, ან საცოლე ვაჟების დედებს ელაპარაკებოდა, წამდაუწუმ იღიმოდა ზოლმე.

„მართლაც, ასე არ ვლაპარაკობდი. რა თავქარიანი და ტუტუცი ვიყავი! წავიდა ჭაბუკობის წლები, როცა, ოღონდ როგორმე თავი გამოგვეჩინა და, ხან მემარჯვენეობას ვიბრალებდით, ხან – მემარცხენეობას, ხან რასისტები ვიყავით, ხან – თურანისტები, ხან ანარქისტობაზე ვდებდით თავს, ხან – იდეალისტობაზე. რა ამპარტავნები ვიყავით! გვკვლავდა რომელიმე გოგოს სიყვარული, მაგრამ, არავინ შეგვამჩნიოსო და, ათასნაირად ვინიღებოდით. მე მაინც რა ზევით-ზევით მეჭირა თვალი! მეგონა, მინისტრიც ისე იოლად გავხდებოდი, როგორც – სტუდენტთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი. ახლა კი, ნახეთ, რა გამოვედი – ანკარის კოლეგის ერთი უბადრუკი ადვოკატი“.

– აქეთ დადექით, მანდ სველდებით, – თქვა ქალიშვილმა და ხმაში ისეთი სინაზე ჩააქსოვა, რომ სუჰქეილს კინოში ნანახი მოსიყვარულე მეუღლე თუ გულთბილი მოწყალების და გაახსენდა.

სერაფეს ეამაყებოდა თავისი კეთილი გული და ქალური სინაზე. ამასწინაათ „მელექში“ ერთი საზღვარგარეთული ფილმი ნახა: ქალმა სიყვარულითა და მზრუნველობით უხეში, გზასაცდენილი განგსტერი გამოასწორა და საზოგადოებისათვის სასარგებლო კაცად აქცია. თავადაც ასეთ ქალობაზე ოცნებობდა. მართალია, სუჰქეილი განგსტერი არ იყო, მაგრამ უხასიათობა არ აკლდა, მუდამ გაუგებარ რაღაცეებზე ლაპარაკობდა; უნივერსიტეტის გოგოებს თავს არ უყადრებდა, ბიჭებს გაუთავებლად ეკამათებოდა სახელმწიფო სისტემასა თუ სოციალურ პრობლემებზე.

– რა ვქნა, ასეთი ვარ, – თქვა ერთხელ სუჰქეილმა – არ მიყვარან ეს ეგოისტები, თავის გამოჩენის მეტი რომ არაფერი ახსოვთ. მეჯავრებიან და, ძალაა?

მაშინ სერაფემა ცალი წარბი ასწია და მრავალმნიშვნელოვნად ჰკითხა:

– ყველა გეჯავრებათ? უკლებლივ ყველა? სუჰქეილმა არ უპასუხა, ვერ უპასუხა, სიწითლეზ გადაუარა. სერაფი ყველაფერს მიხვდა. სუჰქეილს რომ ფუჭი სიამაყე არ გამოეჩინა და ეთქვა ის ერთადერთი სიტყვა, რომელსაც სერაფი

სასოებით ელოდა, ის ერთადეროი ორმარცვლიანი სიტყვა, ამ უხეშ ყმაწვილს ანატოლიაში კი არა და, დედამიწის მივარდნილ კუთხეშიც კი გაჰყვებოდა ქალი. მაგრამ ყმაწვილმა ის ერთი სიტყვა ვერ თქვა.

— რამ დაგაფიქრათ?

— არაფერმა.

— მაინც რაზე ფიქრობდით?

— რა ვიცი, ვერ გეტყვით.

— გახსოვთ, მაშინ ჩვენი საუბარი ჩხუბით დამთავრდა.

— როდის?

— აი, მაშინ.

ართინ მარგუსიანი უპვე კარგად გამოერკვა. გამოერკვა რომელია? ადრენალინმა ძალზე აღავზნო კიდეც.

— თავი დამანებეთ! გამიშვით! ჩემს ქვისლს დავურეკავ და მერე, სადაც გინდათ, წამიყვანეთ! — ყვიროდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა.

— ჯერ განყოფილებაში წამოდით და მერე დარეკეთ.

ართინმა პოლიციელს თავისი მინაჩალეჭილი და გასისხლიანებული საათი აჩვენა:

— აი, ნახე, ხუთ წუთში ბაზრობა დაიწყება. ხმა თუ ვერ მივაწვდინე, დავიღუპები. ფეხებს დაგიკოცნი, ეფენდი, გამიშვი!

პოლიციელი დაფიქრდა. მარტონი რომ ყოფილიყვნენ, ალბათ, დათანხმდებოდა, მაგრამ იქვე კომისარი და მეორე პოლიციელი ეგულებოდა, გარშემოც ამდენი ხალხი იყო. „რა დროს გულჩვილობაა, ესლა მაკლია, ამ ჩორბაჯის¹ ინტერესებზე ვიზრუნო“, — ფიქრობდა.

— გაუშვი, თუ ძმა ხარ, ვინ იცის, რა ემართება. იქნებ, უულს კარგავს ან სულაც კოტრდება, — გამოესარჩლა ვიღაცა. პოლიციელმა დაინახა, რომ კომისარი მათკენ წამოვიდა.

1. შეჭამანდის გამკეთველი და გამყიდველი. დაცინვით ასე მოიხსენიებენ თურქები მდიდარ ქრისტიანებს.

წარბი შეკრა, მკაცრი გამომეტყველება მიიღო და მის მუნდირს რომ ეკადრებოდა, ისეთი რიხით დაიღრიალა:

— ჩემს საქმეში ნუ ერევით!

შემდეგ მარგუსიანს მიუბრუნდა და უბრძანა:

— აბა, მეგობარო, განყოფილებაში!

მაგრამ მარგუსიანი უკვე კომისარს ჩავარდნოდა უეხებში.

* * *

სუჰქეილი და სერაფი თითქოს შიშკანეზე არ იყვნენ, თითქოს მათ გარშემო არაფერი ხდებოდა. არ ესმოდათ, როგორ ეველრებოდა მარგუსიანი პოლიციელს, როგორ განუწყვეტლივ რეკავდა ტრამვაის ზარები, როგორ იკარგებოდა მათი ხმა ქუჩის გუგუნში.

— ეგებ, მართალი ხართ, — ამბობდა სერაფი — ეგებ, მართალი ხართ, მაგრამ ზოგჯერ თქვენს ახლობლებზეც ხომ უნდა იფიქროთ, ხომ უნდა გაიგოთ მათი სატკივარი?

მარგუსიანი მოელი ხმით გაჰყვირდა:

— ჰო, კარგი! გავიგე! დავეჯახე, ჩემი ბრალია, არც ნებართვა მაქვს! დამსაჯეთ, ციხეში ჩამსვით, რაც გინდათ, ის მიყავით, ოღონდ დამარეკვინეთ! თქვენი ჭირიმე, დამარეკვინეთ!

— მართალი ხართ, დამნაშავე ვარ, მაგრამ თავად განსაჯეთ, როგორ უნდა მომეწერა? მითუმეტეს, როცა იმ ექიმის ამბავიც გავიგე.

გოგონამ გადიკისკისა.

— ნედიმი? როგორ გამაცინეთ! ვინ გითხრათ? მოუტყუებიხართ. ჯერ ერთი ჩემი ბიძაშვილია. მეორეც...

— მმაო, ცოტა უკან დასწი ეგ მანქანა! ეგრე, ეგრე, ცოტაც! ეყოფა! აბა, ახლა ამ მანქანას მივაწვეთ და მეორე ქუჩაზე გადავაგოროთ!

— არ მომწონს ეს საქციელი.

— მაშ, ჩემი არ გვერათ?

— არა, არ მჯერა. ეს რა მიზეზია?

— მე მოვალე ვარ კანონი დავიცვა, სხვა ჩემი საქმე არ

არის.

- რა გაუთავებლად აყვირებ, ძმაო, მაგ მანქანას! გზა თუ არ არის, თავზე ხომ არ გადამახტები?!
- სიკვდილმისჯილსაც კი უსრულებენ უკანასკნელ სურვილს. ადამიანები არა ხართ? სინდისი სულ გაყიდეთ?
- უსინდისოცა ხარ და უსინდისოს შვილიც! როგორ ბედავ პოლიციის შეურაცხყოფას!
- 182, დაგეძინა? მწვანე შუქია!
- არც მიფიქრია, ისე.
- რა ისე, ბარემ დაამთავრეთ. სულ არ გეხერხებათ ტყუილი, სუპეილ ბეი.
- ჯემალ აღაბეი! ჯემალ აღაბეიიი!
- რომელი იაკუთი? ინგლისური ფილოლოგის ფაკულტეტზე რომ სწავლობდა?
- გზა მომეცი, ძია! ფრთხილად! აბა, გამატარე!
- კაფუ? რას ამბობთ? არ მესმის.
- აქ... აქ ხმაურია, სადმე კაფუში...
- სამი წუთი დარჩა, ბატონო კომისარო, ოჯახი მექცევა!
- კაფუში შევიდეთ და იქ გავაგრძელოთ საუბარი. კინოში ხომ არ შევსულიყავით?
- კინოში? - სერაფეს ერთმა აზრმა გაუელვა: „სუპეილს იმ ფილმზე წაიყვანს, განგსტერი რომ გამოსწორდა“.
- დედამ რომ არ იცის?
- აქედან დაურეკეთ და უთხარით. კინო რომ დამთავრდება, მე თვითონ ჩავაბარებ თქვენ თავს დედათქვენს.

ამ ბოლო ფრაზამ სერაფეს გულში იმედის შუქი ჩაუყენა.

ხალხი ნელ-ნელა დაიშალა. ტრანსპორტი უწყვეტ ნაკადად წამოვიდა. კალენდერი, რომელიც თავისი ფორნით მეზობელ ჭუჩაზე გადაეყვანათ, კედლის ძირას მიმდგარიყო და შარდავდა.

ართინ მარგუსიანის მუდარამ ბოლოსდაბოლოს კომისარს გული მოულო.

— შენც რა აურზაური ატეხე?! წამო, დარეკე და გაათავე. იცოდე, მოკლედ მოჭერი!

წინ ართინი, უკან — პოლიციელები და კომისარი ეცნენ ტელეფონის ჯიხურს, მაგრამ იქ სერაფს უკვე ჩაებლუჯა ყურმილი და დედამისს ელაპარაკებოდა. ართინი ბარემ კი გამოჰვევლებდა ქალიშვილს ყურმილს და აკრეფდა თავის ნომერს, მაგრამ რა ექნა ამ ყმაწვილისათვის, კედელივით ოომ აღმართულიყო მის წინ და უდროო დროს გამოჩენილ დაუპატიჟებელ სტუმარს ბუღასავით უბრიალებდა თვალებს?

ართინმა სხვა ტელეფონის მოძებნა დააპირა, მაგრამ კომისარმა მასთან ერთად ჯიხურიდან ჯიხურში სირბილი საკუთარი ღირსების შელახვად მიიჩნია:

— აბა, წამოდი ახლავე! მეტი საქმე აღარა მაქვს?

ერთხელ კიდევ შეევედრა ართინი, ერთხელ კიდევ მოლბა კომისარი, მაგრამ სერაფი ისევ ელაპარაკებოდა დედამისს. სხვა გზა არ იყო, მიაშურეს მეორე, ორასიოდე მეტრით დაშორებულ ჯიხურს. მაგრამ მარცუსიანმა მხოლოდ ზუმერის სუსტი ხმა გაიგონა. საათზე დაიხედა, ზუსტად ოთხის თხუთმეტი წუთი იყო. პირი გააღო, უნდოდა ეთქვა: „გათავდაო“, მაგრამ მხოლოდ სტვენა აღმოხდა, ისეთი, თითქოს დიდი წნევის ქვეშ მოქცეული ორთქლი გამოუშვესო და მეორედ შეუღონდა გული.

* * *

შიშკანეზე, სადაც ეს ამბავი მოხდა, ნოემბერი იდგა. სან-პაულუში კი იმავე თვის იმავე დღეს, განედების სხვადასხვაობის გამო, გაზაფხული მძლავრობდა. ამას გარდა, შიშკანეზე, ცენტრალური ბანკის წინ, საათი 16 საათსა და 30 წუთს უჩვენებდა, მაშინ, როცა "ლორენცო და ვაჟიშვილის" ფირმის კედლის ელექტროსაათზე 13 საათი და 30 წუთი იყო. მაგრამ იმ დღეს საოცრად ემთხვეოდა ერთმანეთს სტამბოლისა და სან-პაულოს ამინდი: იქაც დილიდან თქორავდა, რაც მოხუც ლორენცოზე ძალიან ცუდად მოქმედებდა. ლოგინიდან მხრის საშინელი ტკივილი აჰყვა. ტკივილი მარჯვენა ბეჭის ქვეშ იწყებოდა, ორად იყოფოდა,

ერთი ნაწილი კისრისკენ მიღიოდა, მეორე მარცხენა ბეჭებს უვლიდა და იდაგვამდე აღწევდა. ლორენცომ მინერალური წყალი დაისხა. ექიმია ურჩია, ტკივილების დროს ასპირინის აბები და ბეკომპლექსი მიღილო. მართალია, ამ წამლების შემდეგ ტკივილი ცოტათი უამდებოდა, მაგრამ ოფლად იღვრებოდა ხოლმე.

მეორე ოთახში ტკივიამფრქვევივით კაკანებდა საბეჭდი მანქანა. სეკირა მარონო ლორენცომ ცხვირსახოცი ამოიღო, დაცვარულ შუბლზე გადაისვა და მინის ტიხარს იქით გასძახა:

— ეი, პედრო, რა ისმის სტამბოლიდან?

მის ვაჟს, პედროს თავი ხელებში ჩაერგო და არგენტინელ მოცეკვავე კონჩიტა მონტენეგროზე ფიქრობდა. ეს ქალი წუხელ ბარში ენახა და დღესაც თვალწინ ედგა მისი ხორბლისფერი ფეხები. საბეჭდი მანქანის კაკუნშიც ესმოდა იმ ტრომბონის ხმა, სოლოდ რომ ასრულებდა რუმბას: „კუმპან, კუმპან, კუმპან-ჩერო, ჩერო“.

— შენ გეუბნები, პედრო, გძინავს? ცირციან უყი რა ამგ

— რა ბრძანეთ?

— კიდევ არ მოსულა მარგუსიანის დეპეშა?

— არა, მამა.

— ეტყობა, ცუდად აქვს საქმე. მეტი რა ვქნათ, ისედაც ბოლო წუთებში ოცი პროცენტით გავაიაფეთ. ნამდვილად სძინავთ იმ ოხრებს! სად ჯანდაბაში გავგზავნო ახლა ამოდენა საქონელი? დამრჩა და ეგ არის.

ტკივილად არ წუხდა მოხუცი ლორენცო. გემებს უზომო ყავა მოეტანათ და გემმისადგომის ქვეშ, საწყობებში ცლიდნენ.

საბეჭდი მანქანა გაჩერდა. წუთით სიჩუქე ჩამოვარდა, ისმოდა, როგორ სკდებოდა ჭიქაში ჩარჩენილი მინერალური წყლიდან ამოსული გაზის ბუშტები.

ლორენცომ წყალი გადაკრა და ახლა, ფიქრებში წასული, ცარიელ ჭიქას ხელში ატრიალებდა.

პედრო წამოდგა, მამას მიუახლოვდა:

— გახსოვთ, პამბურგიდან ვინმე აღოის მორგენროტმა სამსახური რომ შემოგთავაზათ? მაშინ არ მიიღეთ, რადგან ნისიად

იწყებდა საქმეს, თუმცა მყარი გარანტია კი ჰქონდა. იქნებ მისტერ მარგუსიანის პარტია მისთვის გაგვეგზავნა?

მოხუცმა ლორენცომ შვილს შეხედა:

— ბრავო, ეს კარგად მოიფიქრე!

* * *

— ერთი კიდევ, მამა, შენი ჭირიმე, ერთი კიდევ! — ეხვეწებოდა მამას პატარა ჰელგა.

აღოის მორგენროტს გაზეთ „ფრანგურტენ ცაიტუნგის“ ძველი ნომრებისაგან ბავშვისათვის ოთხი იალქნიანი ნავი გაეკეთებინა. შვილის თხოვნით კიდევ დახია ძველი გაზეთის კომერციული განცხადებების გვერდი. მეტს რაღას გამორჩებოდა კაცი ამ გაცრუცილ ფურცელს!

ჰელგას გვირილისფერი თმა შებლზე ჩამოშლოდა, იატაკზე იჯდა და ნავებს უშვებდა ზღვაში, რომლის მაგივრობასაც მის ფანტაზიაში ძირს დაფენილი დახურული ნოხი ეწეოდა.

„კიდევ კარგი, ჰელგა სხვა ბავშვებივით არ გიუდება ფაიფურის თოვლინებზე“, — ფიქრობდა მორგენროტი.

დანჯლრეულ რადიომიმღებში სმეტანას „გაყიდული საცოლის“ უვერტურას უკრავდნენ.

აღოის მორგენროტმა ერთი ნავი კიდევ გააკეთა, ნოხზე დადო და ფანჯარასთან მივიდა.

წინა ღამით გადაუდებლად თოვდა. თოვლს დაეფარა ჰამბურგის ნანგრევები. მორგენროტმა დიდხანს უყურა მათ შორის აღმართულ ბლოკით ნაგებ ახალ შენობებს. ახალი ნაგებობების ყურებისას გულში იმედის ნაპერწყალი აუკიაფდებოდა ხოლმე. დარწმუნებული იყო, ადრე თუ გვიან, მისი ცხოვრების ნანგრევებზეც აღიმართებოდა ახალი შენობა, მისი ცხოვრების ხე ახალ ყლორტებს ამოიყრიდა, მის წამებასაც მოეღებოდა ბოლო, უეჭველად მოეღებოდა. აკი ბიბლიაში წერია: „ყოველივე უამი დანერგვად და უამი აღმოფხვრად დანერგულისა, უამი წყლულებად და უამი კურნებად, უამი დარღვევად და უამი შენებად, უამი ტირილად და უამი სიცილად, უამი გოდებად და უამი განცხრომად“.

— დედა როდის მოვა? — აწუწუნდა ჰელგა.

— საცაა მოვა.

ფრაუ მორგენროტი ბაზარში იყო წასული. ალოის მორგენროტის მეუღლე პამბურგის ძკვიდრი იყო, თვითონ კი — ორმოცდათი წლის წინათ ჩეხოსლოვაკიიდან გადმოსახლებული ებრაელის შვილს — ჯერაც ვერ მოენანიებინა ეს „ცოდვა“. ჯერ იყო და, დამთხვეული ჰიტლერი, მერე — მეორე მსოფლიო ომის საშინელები, ქვეყნიდან ქვეყანაში სირბილი, უფულობა, რამაც საკუთარი ოქროს კბილებიც კი გააყიდვინა. ავადმყოფობა, შიმშილი, გაჭირვება. დამთავრდა ომი, დაბრუნდა პამბურგში და რა დახვდა? მართალია, გადაურჩა თავისი მეგობრების ხვედრს და საკონცენტრაციო ბანაკში არ ჩაუყრია ძვლები, მაგრამ უმუშევრობამ წელში გაწყვიტა. აბა, ერთი, კაპიტალი ჰქონდეს! ბევრი არა, სულ რაღაც ოცი ათასი მარკა. ნახავდით, როგორ შემოაბრუნებდა წალმა თავის ცხოვრებას. მაგრამ კაპიტალი არ ჰქონდა და კომისიონერობაც იმიტომ გადაწყვიტა. ახლა დღე ისე არ გავა, თავიდან ბოლომდე არ ჩაიკითხოს კომერციული განცხადებების გვერდი. ყველა გაზეთს კითხულობს, რაც მისთვის ნაცნობ ენაზე გამოდის. მერე მიუჯდება ნაქირავებ საბეჭდ მანქანას და უგზავნის და უგზავნის წერილებს სავაჭრო ფირმებს — თავის სამსახურს სთავაზობს.

კარზე დააკაკუნეს.

— დედა მოვიდა, დედა მოვიდა! — ტაში შეშოკრა ჰელგამ.

მაგრამ ფრაუ მორგენროტს გასაღები ჰქონდა და რატომ უნდა დაეკაკუნებინა? ალოის მორგენროტმა კარი გააღო და ფოსტალიონს შეეჩება.

— გამარჯობათ, ბატონო მორგენროტ!

— გაგიმარჯოთ!

— დეპეშაა ბრაზილიიდან.

— რას ბრძანებოდენ?

მორგენროტი ჯერ მთლად გაფითრდა, მერე გაწითლდა. საჩქაროდ ჩაიკითხა დეპეშა. თვალებს არ დაუჯერა, მეორედ წაიკითხა, მესამედ.

— ძლივს! — წამოიძახა გახარებულმა და ფოსტალიონს.
 სამახარობლოდ ნახევარმარკიანი მიაჩერა.

ფოსტალიონს მისგან ერთი ფენინგიც არ ახსოვდა და
 ახლა იფიქრა, საწყალი, ჭკუაზე გადასულაო.

ამასობაში კი მორგენროტს გულში ჩაეკრა თავისი გოგონა
 და ცრემლმორეული ეუბნებოდა:

— ახლა კი გიყიდი თოჯინებს, ყველაზე ლამაზ თვალზუჭუნა
 თოჯინებს.

* * *

შიშკანეზე ნოემბრის წვრილი წვიმა ცრიდა. ჰაერში გამდგარ
 ნესტის სუნს საკვამურებიდან ამოსული ბოლის სუნი ერეოდა.
 დღესაც, როგორც ორი დღის წინ, ქუჩა სველი იყო და ფეხი
 ცურავდა. ოღონდ ახლა ზენა ქარი ქროდა.

კალენდერი დილიდანვე უგუნებოდ გამოიყურებოდა.
 დარბაისლური ნაბიჯით ჩამოდიოდა შიშკანეზე და მძიმედ
 მოაგორებდა ნაგვით სავსე ფორანს. უეცრად კვლავ დაინახა
 საკუთარი თავი. ამჯერად უკვე იმ სარკეში, ახლახან რომ
 დაეყენებინა მერიას შიშკანეს მოსახვევში. დაინახა, რა თქმა
 უნდა, ერთნახევარჯერ დიდად, ვიდრე სინამდვილეში იყო (ანუ —
 ვიდრე ჩვენ ვხედავთ), მაგრამ არ დაუჭიხვინია...

დიახ, არ დაუჭიხვინია.

აქ კვლავ შეიძლება გაჩნდეს ორი მოსაზრება:

ა) კალენდერმა იფიქრა, ჩემს სიცოცხლეში ერთხელ ჩავიხედე
 სარკეში და მაშინაც მეორედ მოსვლა დატრიალდა. გავივლი
 ჩემთვის, რაც არის, არის, ღირს კია ჩემი სიფათის დანახვაო?

თუ ეს ვერსია სწორია, უნდა ვირწმუნოთ, რომ ცხენებს,
 ადამიანებისა და მაღალი განვითარების მაიმუნების მსგავსად,
 მწარე გამოცდილება გაკვეთილად გამოადგებათ ხოლმე, მათაც
 შესწევთ უნარი, გადონ ლოგიკური ხიდი წარსულსა და აწმყოს
 შორის.

ბ) ან არა და — რაც ჭკუასთან უფრო ახლოსაა — ეგებ,
 სულაც ჩხუბი დაგახდა მუნიციპალიტეტის საჯინიბოში

ადგილისათვის, კარგად ვეღარ გამოიძინა, ცუდ ხასიათზე იყო, ამიტომ ჭიხვინი და აურზაურის ატეხვა დაეზარა.

მოკლედ, არ დაიჭიბვინა და ეს ფაქტი ფიზიოლოგიური
მიზეზითაც ისევე სარწმუნოდ შეიძლება აიხსნას, როგორც
ფსიქოლოგიურით.

რომელი ვერსიაც არ უნდა მივიღოთ, მთავარი ის არის, რომ კალენდერს არ დაუჭირვინა. ალმაცერად შეხედა თავის გამოსახულებას, იძრუნა პირი და, მის ასაკს რომ შეეფერებოდა, ისეთი სიდარბაისლითა და მედიდურობით გააგრძელა გზა.

თორმეთს აკლია მრთი წუთი

როგორ დამეწყო, როდის დამეწყო, არ ვიცი. ეს კი მახსოვს, ცხრა წლისა ვიყავი, ავადმყოფობის პირველი ნიშნები რომ ვიგრძენი.

სტუმრები გვყავდნენ. ბაღში ვისხვდით. ერთმა ხანში შესულმა კაცმა საათი იკითხა. საათი არავის აღმოაჩნდა. ჩემმა სიძემ შინ შეირბინა გასაგებად.

— ოთხის ოცდასამი წუთია, — წამოვიძახე მოულოდნელად. ეს სიზუსტე თავდაპირველად არავის გაჰკვირვებია: თუ თვალს აღვენებ გემების მიმოსკლას ბოსფორის სრუტეში, შეგიძლია, დრო წუთის სიზუსტით დაადგინო. მაგრამ როცა ნახეს, რომ სრუტეში არავითარი გემი არ ჩანდა, გაოცებისაგან თვალები ჭყიტეს.

— როგორ მიხვდი?

— რა ვიცი, ერთბაშად მომადგა ენაზე.

— შემთხვევით მოუვიდა, გეთაყვა, — თქვა ცხონებულმა მამიდაჩემმა, — ხდება ხოლმე, იტყვი და დაემთხვევა.

— რასაკვირველია, დამთხვევაა. ასეთები ხდება? — კვერი დაუკრეს სხვებმაც.

რა იოლად იცილებენ ხოლმე ადამიანები თავიდან ამბებს, რომლებიც მათი აზრების ჩვეულებრივ მსვლელობას არ ეგუება! ერთხმად დაასკვნეს, რომ ეს გამოცნობა უბრალო შემთხვევითობა იყო. ყველამ დაიჯერა, ლამის მეც დავიჯერე... კიდევაც დავიჯერებდი, რომ...

მას შემდეგ ორ კვირასაც არ გაუკლია. ერთ დამეს ოფლში გახვითქულს გამომეღვიძა.

— პირველს აკლია ხუთი წუთი, პირველს აკლია ხუთი წუთი, — კლუდლუდებდი მიღმღვიძარი.

ავდექი, სინათლე ავანთე, პაპისეულ ძველ კედლის საათში მართლაც პირველს ხუთი წუთი აკლდა.

რატომ გამეღვიძა? საიდან მომელანდა, რომ პირველს ხუთი წუთი აკლდა? ეგებ, სიზმარში ვნახე? ან, იქნებ ბურანში მყოფს მომერვენა? ცოტაც და, საათმა ერთხელ დარეკა. თითქო თავში

დამკრესო, ერთბაშად გამოვთხიზლდი. არა, ეს უკვე შემთხვევითი ვერ იქნებოდა. თავბრუ მეხვეოდა, ყურები მიწიოდა, გაურკვეველმა შიშმა შემიპყრო. იმ წუთში პირველად ვიგრძენი ტიკტიკი საათისა, რომელიც თურმე ჩემში მუშაობდა და მე კი არ ვიცოდი. ეს ტიკტიკი არ ჰგავდა ჩემი გულისცემის რიტმს, თორებ ასე აღარ გავოცდებოდი. იგი არც ჩემი ჯიბის საათის ხმას ჰგავდა: უფრო მძიმე და სავსე იყო. სწორედ ისეთი, დიდი ქანქარა რომ გამოსცემს. ნაძღვილი კოშმარი იყო. ავდექი, ხელ-პირი დაკიბანე. ის რიტმი ისევ ყურებში მედვა. ცარიელ ოთახში გავედი და ჩავიკეტე. ამაოდ საცვლების ამარა გარეთ გამოვგარდი. ზღვის ტალღები სანაპიროს ჯებირს ეხეთქებოდა და მისი ხმა საოცრად ემთხვეოდა იმ რიტმს, ჩემში რომ დაბუდებულიყო. „ნაძღვილად ვაფრენ“, – გავითქმირე. ცივმა ოფლება დამასხა. გონება დავკარგე. მომცვივდნენ, მომასულიერეს, მეკითხებოდნენ, ცარიელ ოთახებში რას ეძებდი, ან ეზოში რა ვინდოდა? ხმას არ ვიღებდი. საერთოდ, ძალიან მეშინია ავადმყოფობისა და ექიმებისა. ახლა კი დავრწმუნდი, ვგიუდები-მეთქი და გაჩუმება ვარჩიე. არ გავამხელ, რა მჭირს, იქნებ, თავისით გამიაროს. თურმე ნუ იტყვით, ცუდად მოვცეულვარ. რომ მეთქვა, ეგებ, მაშინვე ეღონათ რამე და მშველებოდა.

მერე, როცა პირველი შიში გამინელდა, ამ აღმოჩენამ ცოტაოდენი სიამოვნებაც კი მომანიჭა. სკოლაში ხმა გავარდა: შეუძლია, დრო ისე გაიგოს, რომ საათს არ დახედოსო. ვისაც საათი ჰქონდა, ჩემზე ასწორებდა, ვისაც არა და – მე მეკითხებოდა, რამდენი წუთი დარჩა გაკვეთილის დამთავრებამდეო. უფრო მოხერხებულები კი უცხო ბიჭებთან სანაძლეოს დებდნენ და ფულს იგებდნენ.

უნივერსიტეტში რომ შევედი, დროის შეგრძნება უფრო გამიმდაფრდა. წუთებს კი არა და, უკვე წამებსაც ზუსტად აღვნუსხავდი. ერთხელ, მძლეოსნობაში შეჯიბრების დროს, რვაას მეტრზე რბენის შედეგი ქრონომეტრისტებზე უმაღლ მე განვსაზღვრე. ეს ამბავი გაზეთებშიც დაიბეჭდა და ერთი იმ დროის სახელგანთქმული ფსიქიატრის ყურადე მივიდა. ფსიქიატრმა მომძენა, რამდენიმე შეკითხვა მომცა და საათი გამომაცნობინა.

შემდეგ კი სამედიცინო საზოგადოებაში ჩემ შესახებ მოხსენება წაიკითხა.

არასოდეს დამავიწყდება ეს მოხსენება. იგი ასე იწყებოდა: „აღმოჩნდა ზედმიწევნით განვითარებული სმენა და დროის გამოცნობის ისეთი უნარი, რომელიც მეექვსე გრძნობას უახლოვდება“.

მე კი მერჩა, ეს მოვლენა მემკვიდრეობის გავლენით აეხსნათ. სულ გადავჩხრიკე ჩემი გენეალოგია, ვერაფერი ვიპოვე. არა და, დარწმუნებული ვარ, ჩემს წინაპრებში უეჭველად იქნებოდა ვინმე დროსთან, საათთან დაკავშირებული – მესაათე, თუნდაც საათების მომართველი, თორემ, მთელი დანაშაულის გადაბრალება ჩემს ოთახში დაკიდებულ კედლის საათზე, როგორც ამას ექიმი სჩადიოდა, დაუსაბუთებლად მიმაჩნდა.

ჩემს ოთახში, სწორედ საწოლის პირდაპირ, ჩემი პაპების პორტრეტებს შორის წინაპართაგან დარჩენილი კედლის საათი კიდია. ქვეყანაზე რომ გავჩნდი, ყურში პირველად მისი ხმა მომხვდა. ჩემი ბავშვობისა და ჭაბუქობის დღეებსა და ღამეებს ამ საათის ტიკტიკი აღნუსხავდა. ჩემი ცხოვრება რომ კინოფილმი ყოფილიყო, მისი მუსიკალური ფონი ეს ტიკტიკი იქნებოდა. ჩემი ცხოვრების რიტმიც ხომ ისეთივეა, როგორიც ამ საათის ქანქარისა: მძიმე და სავსე. ჰოდა, ექიმიც ასკვნის: ვინაიდნა მე დაჯილდოებული ვარ ზებუნებრივი სმენით, ჩემმა ქვეცნობიერებამ გრამფილური სავით ჩაიწერა და შეინახა ამ ქანქარის რხევის რიტმი. ახლა კი ამ ტემპს ვგრძნობ და რეზონატორივით ვიმუორებ. ერთი სიტყვით, ცოცხალ საათად ვიქეცი და კედლის საათთან შეწყობილად ვმუშაობ.

ამ დღეში ჩავარდნილს ისლა მიკვირდა, ჩემი კედლის საათივით ყოველ თხუთმეტ წუთში რომ არ ვრეკავდი.

ცუდად, ძალიან ცუდად არის საქმე. ცოტაც და, ყოველგვარ საზღვრებს გადავცდები და მარტო მაშინ კი არა, როცა მკითხავენ, უკითხავადაც, სატელეფონო ცენტრის „მოლაპარაკე საათივით“ დავიწყებ ყოველი გავლილი წუთის შეუჩერებლად ჩამოთვლას. ექიმს ეს ამბავი აინუნშიაც არ მოსდის. ფსიქიატრისათვის საათად

ქცეული ადამიანი ისეთივე ჩვეულებრივი ამბავია, როგორც კაცი, რომელსაც თავი ცხენი, მატარებელი ან მწიფე მსხალი ჰგონია. შემლილობაც ასე იწყება. აბა, რომელი ექიმი ეტყვის თავის პაციენტს პირში: „შენ ურევ, მმარ“.

— გონს მოდი, საქიფ ეფენდი, — ვაფრთხილებ ჩემს თავს. ეს სენი თუ საკუთარი ნებისყოფით არ დათრგუნე, ექიმი, წამალი, შთაგონება არას გიშველის. მტკიცედ გადავწყვიტე: მორჩა, დღეიდან თავს ვანებებ დღოის გამოცნობას. აქამდე საათი არა მქონია, რაში მჭირდება-მეთქი, ვფიქრობდი. ახლა კი ვიყიდე, ახალი მოდისა — თვეებსა და დღეებსაც რომ უჩვენებს. თუ არ დავხედე, არ ვპასუხობ. სამი-ოთხი კვირის განმავლობაში ერთხელაც არ შემშლია. მერე კი... მართალი უთქვამთ, „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“, როგორც კი საათს იკითხავდა ვინმე, მაშინვე ზეპირად ვპასუხობდი. ცოტა არ იყოს, გულში შიშიც შემეპარა: ერთიც ვნახოთ და, უვარჯიშობით დამიჩლუნგდეს ეს იშვიათი უნარი? ხანდახან, დღეში ერთხელ ან ორჯერ, როცა ნებისყოფა მღალატობდა, კვლავ ვიწყებდი დღოის გამოცნობას. რა მექნა, საათზე დახედვაც მეზარებოდა. რამდენჯერმე თავის მოტყუებაც ვცადე. აი, ახლა არ დავფიქრდები და ისე, ალალბედზე ვიტყვი, რომ რვა საათი და თხუთმეტი წუთია. დავხედავ საათს — სწორად მითქვამს. მართლაც, ცხრის თხუთმეტი წუთია. რა გინდა, რომ ქნა? მაინც ვიგებ ზუსტ დროს.

ერთხელ — ის დღე სამუდამოდ დამამახსოვრდა — ქადიქოში მუნიციპალიტეტის საათის ქვეშ გავიარე. ვიფიქრე: მოდი, ერთხელაც მოვიტყუებ თავს და ვიტყვი, რა დროა-მეთქი. "შვიდი საათი და თხუთმეტი წუთია", — ვთქვი ჩემთვის. შევხედე საათს — შვიდი საათი და ოცდაერთი წუთი იყო. თვალებს არ დავუჯერე. "საქიფ ოზდამარ, - ვუთხარი ჩემს თავს, — ჩაიწერე, მმაო, დავთარში დღევანდელი თარიღი. დღეს ის ბედნიერი და ღირსსახსოვარი დღეა, როცა შენ ნორმალურ ადამიანთა რიგებში ჩადექი". მაგრამ ხანმოკლე იყო ჩემი სიხარული: ვიღაც მუშამ საათს კიბე მიადგა და მექანიზმში ჩხირკედელაობას მოჰყვა. თან ბუზლუნებდა: ისევ ათი წუთით წასულა წინ ეს ოხერიო.

რამდენ ექიმს არ მივმართე, ყველა მამშვიდებდა, საშიში არაფერიაო. ღმერთმა ქნას!

— გამივლის? — ვეკითხებოდი.

— ვინ იცის? თუნდაც დარჩეს, რას გიშავებთ, პირიქით, სასარგებლოც კია.

ჰოო... სარგებლობას ვერ უარვყოფ. ჯერ არც ერთხელ არ დამგვიანებია მატარებელზე, ან გემზე. საღამოთი, რა დროსაც არ უნდა დავწვე, დილით, როცა მინდა, მაშინ ვიღვიძებ, თითქოს ჩემში მაღვიძიარა საათი დაუყენებიათო. ჯერ არ მახსოვს, რადიოს მიერ გამოცხადებულ საათს ჩამოვრჩენილიყავ, ან წინ გამესწროს. ეს, მართლაც, კარგია, მაგრამ როდემდე შეძლებს ჩემი მეხსიერება, ჩემი ქვეცნობიერება, მგრძნობიარე ანტენასავით სუფთად და ცოცხლად დაიჭიროს დრო? ნუთუ ერთ მშვენიერ დღეს არ გადაიტვირთება ჩემი აკუმულატორი?

— დაივიწყე დრო, ყურადღებას ნუ მიაქცევ, რაში გაინტერესებს, რომელი საათია? — მეუბნება ჩემი ექიმი.

კარგი, დავივიწყებ, მაგრამ საქმე მარტო დრო როდია. რა ვუყო იმ რიტმს, ჩემში რომ დაბუდებულა? ვთქვათ, აღარ ვიფიქრე საათზე, მაგრამ ყველგან რომ ჩემს რიტმთან შესაბამისობას ვეძებ, ამას რაღა ეშველება? უდიდეს სიამოვნებას მგვრის ყველაფერი, რაც კი ქანქარის რიტმს მომაგონებს: ცხენის ფეხის ხმა, ავეჯში ჩაბუდებული ჭიის ჭრიჭინი, ონკანიდან ჩამოსული წყლის წვეთების ხმა, მატარებლის ბორბლების ხმაური, ქვაფენილზე მიმავალი კოჭლი მოხუცის ნაბიჯები... ეს ხმები, როგორი დაღლილიც არ უნდა ვიყო, მასვენებს, მოწყენილს მამხიარულებს, მაგრამ ამ რიტმის დარღვევა საშინლად მაფორიაქებს. როცა გემი გაივლის, ზღვა აბორგდება და ტალღები უფრო სწრაფად ეხეთქება ნაპირს, ნერვიულობა მიპყრობს, ადგილს ვეღარ ვპოულობ, მუშაობას ვწყვეტ, გონება მერევა. თუ ვზივარ, უეჭველად წამოვხტები, თუ მძინავს, გამეღვიძება და ეს იმიტომ, რომ ტალღებს შორის ჩვეულებრივი ინტერვალი ირღვევა. ჩქარი მდინარეც უკარგავს კაცს საათის რიტმს. სამი წლის წინათ ერთ ქალაქში ვცხოვრობდი. ქალაქს მდინარე ჩამოუდიოდა. როგორც კი

გაზაფხულდებოდა და მდინარე ადიდდებოდა, წონასწორობას ვკარგავდი, ისეთი მოუსვენრობა მეუფლებოდა, რომელსაც მხოლოდ ჩამორჩენილი საათი თუ განიცდის. ისე გამიჯდა მთელ არსებაში ქანქარის რიტმი, რომ ნაბიჯებსაც მას ვუწყობ. ამიტომ არის, რომ ვინმესთან ერთად ქუჩაში სიარული არ შემიძლია. საცოლესაც ამან გამყარა. მე რომ ერთ ნაბიჯს გადავდგამდი, ის ორნახევარ ნაბიჯს ადგამდა. ორი ან სამი რომ გადაედგა, კიდევ ავიტანდი, მაგრამ ორნახევარი, ორნახევარი! აბა, ასეთი ადამიანის სულის რიტმი როგორ შეეწყობოდა ჩემსას?!

რად მიყვარს დასავლური მუსიკა? იმიტომ, რომ ყოველ მელოდიაში მეტრონომის თვლასა ვგრძნობ. იმ დღეს ბალკანეთის რომელილაც რადიოსადგური ბეთჰოვენის მერვე სიმფონიას გადმოსცემდა. სიმფონიის მეორე ნაწილი, რომელიც მეტრონომის რიტმული ტემპით არის დაწერილი, თითქო მეტრონომის გამომგონებლის – მალცელის პატივსაცემად დაუწერიათო, ჩემი საყვარელი Allegreto scherzendo იმ ოხრებმა rubato-დ არ დაუკრეს?! მინდოდა, ვწვდომოდი რადიოს და ძირს დამეხეთქებინა.

ყველაზე მეტად გაჩერებული საათები მიხუთავს სულს. როცა თოფქაფის! მუზეუმში ვარ ხოლმე, არ შემიძლია, არ შევიდე საათების განყოფილებაში. მაგრამ შევალ თუ არა, სუნთქვა მექანის, ვიხრჩობი; მაშინვე გარეთ უნდა გამოვვარდე. რაოდენ ძვირფასი და ხელოვნების როგორი შედევრიც არ უნდა იყოს, გაჩერებული საათი მაინც ჩამქრალ შუქურასა ჰგავს. თუმცა გაჩერებულ საათსაც აქვს თავისი ღირსება: დღე-ღამეში ორჯერ უჩვენებს ზუსტ დროს.

ზამბარა მარტო საათის ძირითადი ნაწილი კი არის, არამედ – ცხოვრებისაც. განა ყოველი ჩვენგანი სხვადასხვანაირად მომართული საათი არა ვართ? რა არის ჩვენი ცხოვრება, თუ არ აქსება და დაცლა? ხანში შესული კაცის სიკვდილი ზამბარის გაშლაა, ახალგაზრდის სიკვდილი – ზამბარის გაწყვეტა. განა აღზრდა, გულტურა, ასე თუ ისე, არა ჰგავს მოსამართ მექანიზმს?

1. ისტორიული მუზეუმი სტამბოლში.

როგორც მოგვმართავენ, ისე ვსაუბრობთ, ისე ვიქცევით. ზოგი ჯერ ისევ თურქეთის დროით მუშაობს, ზოგი კი გრინვიჩის ან სან-ფრანცისკოს დროზე გადასულა. ზოგი წინ მიდის, ზოგი ჩამორჩება. თუ რომელიმე ჩვენგანი წინ გაუსწრებს სახელმწიფო დროს, ანუ სტანდარტულ სიზუსტეს, საათების მთავარი რეგულატორი, რომელსაც კანონი ეწოდება, აგვიყვანს და უკანვე გადავსვამს. არ გაგულისდეს, თორემ სულაც გაგვაჩერებს! თუ ვინმე ჩამორჩა, მინდოდა მეთქვა, წინ გადასწევს-მეთქი, მაგრამ როგორ გეკადრებათ! ჩამორჩენილები ვის ახსოვს?! ჩვენი ქვეყანა ხომ სავსეა საათებით, რომლებიც ეზანის¹ დროით მუშაობენ.

ამას სიტყვის მასალად როდი ვამბობ. ადამიანები ყველაფერში ჰგვანან საათებს. ალბათ, კიდეც გაგეცინებათ, მაგრამ მოცალეობის უამს ჩემი ყველაზე საყვარელი გასართობი ადამიანების საათებისათვის მიმსგავსებაა. ვუყურებ ჩემს ნაცნობებს, ნათესავებს და ვფიქრობ, როგორი საათი იქნებოდა-მეთქი. ანდა, შევჩერებივარ საათს და ვცდილობ, წარმოვიდგინო, კაცი რომ იყოს, როგორ ხასიათს გამოიჩენდა. ავიღოთ, მაგალითად, ჩემს ოთახში დაკიდებული კედლის საათი. მე მისი თანდასწრებით „მამბოს“ ვერ დავუკრავ, ვერც ქალს გადავეხვევი. ასე მგონია, მისი მინის მიღმიღან პაპაჩემი მითვალთვალებს. როცა რადიოში „ითრიდან“ ან „დედე ეფენდიდან“ უკრავენ რამეს, საათი თავის სტიქიაშია და ისე მედიდურად გადმოგვყურებს, თითქოს თვალში ვეპატარავებითო.

"ვინ იცის, — ვფიქრობ, — ერთ დროს რა დარბაისლური საათების ბატონკაცური რეკვა მოუსმენია და ახლა ჩვენი ქარაფშუტა საათების ბავშვური ტიკიტკით თავი აქვს მობეზრებული-მეთქი". ამ საათს რომ საუბარი შეეძლოს, ალბათ, დივანის² მაღალფარდოვანი ენით ილაპარაკებდა. აკი ისე რეკავს, თითქოს არუზზს³ კითხულობსო.

1. მუსლიმთა ლოცვად მოწოდება, რომელსაც საგანგებო პირი (ჭურინი) ასრულებს დღეში ხუთვერ.

2. დივანის ლიტერატურა, კლასიკური ლიტერატურა.

3. გრძელ და მოკლე ხმოვნების მონაცვლეობაზე დამყარებული აღმოსავლური ლექსის ფორმა.

სასტუმრო ოთახში კამოდზე რომ საათი გვიდგას, დიდედაჩემის ნამზითვი ყოფილა. დიდედაც რომ საათად წარმოვიდგინო, უკველად ასეთივე ფაქტი, კოპტია და თვალისმომჭრელი იქნებოდა.

იცით, პოლიტიკოსები რას მაგონებენ? ძველ მომღერალ საათებს თოფქაფის მუზეუმში რომ მინახავს – გინდა საზეიმო მუსიკით შეგხვდებიან, გინდა სამგლოვიარო მარშით გაგაცილებენ.

ამას წინათ სამსახურში ჩვენი შეფის თავთან დაკიდებულ საათს ვაკვირდებოდი. საათი უხმოდ მუშაობდა და ვფიქრობდი, ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი შეფი რომ საათად იქცეს, ალბათ, ასევე იმუშავებდა – ჩუმად, უხმაუროდ. ვერც კი გაიგებ, თუ მუშაობს. შეხედავ – დიდი ისარი გაუნდრევლად დგას. მეორედ შეხედავ და, უკვე ერთს წუთს გაურბენია.

აი, მუსიკოსები კი მართლა მეტრონომებივით მუშაობენ. განსაკუთრებით – დირიჟორები. ისინი ხომ ხან ტოსკანინიში, ხან კარაიანში, ხან კი ფურტვენგლერში განსახიერებული მეტრონომები არიან.

მეტრონომს საათთან შედარებით ერთი უპირატესობა აქვს: შეგიძლია შეანელო ან ააჩქარო ტემპი. ასწევ სიმბიმეს, ტემპი შენელდება: ტიკ... ტაკ... ტიკ... ტაკ... დასწევ – აჩქარდება: ტიკტაკ... ტიკტაკ... ნეტავ, საათებზეც შეიძლებოდეს ასეთი ტვირთის დაკიდება. იმ დღეს ჩემს ექიმს გავანდე ეს სურვილი. გაეცინა,

– რაო, ახლა უამთასვლის შენელებაც მოინდომე?

მერედა როგორ! უწინ არა მქონია ამის სურვილი. ამ ბოლო ხანს გამიჩნდა. ახლა დამეუფლა შეშფოთება საათისა, რომელიც გრძნობს, საცაა ზამბარა გაეშლება. ეგებ, ამაოდ ვშიშობ. ეგებ, ჯერ არ გაიშალოს ჩემი ზამბარა, მაგრამ, ერთიც ვნახოთ და, გაწყდეს?! აქედან მოდის უამთასვლის შენელების, აღსასრულის უკან გადაწევის დაუოკებელი სურვილიც.

ყოველთვის მაშინებდა ნაადრევი სიკვდილი; ამისი ხომ ყველას ეშინია. მერე რატომ? ბევრი ვიფაქრე და მივხვდი: იმიტომ, რომ სისხლსავსე ცხოვრებით არ ვცხოვრობთ. რას ვგულისხმობ სისხლსავსე ცხოვრებაში? – გიყვარდეს, უყვარდე, ერთობოდე, განცხრომას ეძლეოდე? – არა. ჭიანჭველასავით თავაუღებლივ

შრომობდე, რაღაცას ქმნიდე, შვილებს ზრდიდე, საზოგადოებისათვის სარგებლობა მოგქონდეს? – ესეც ცარიელი სიტყვებია! სისხლსავსე ცხოვრება ნიშნავს ერთს – გრძნობდე დროის გასვლას.

ჩვემ ხომ დროში ვცურავთ, მაგრამ მაინც ვერა ვგრძნობთ მის სვლას. ის კი გადის, გადის და მხოლოდ იმასდა ვიგებთ, რომ უკვე გასულა. ამასაც თმაში ჭაღარა, შუბლზე გაჩენილი ღარები, წელკავი, ავალყოფობა და სიკვდილი გვაგებინებს. მაგრამ თუ მოვახერხებთ და შევიცნობთ დროის სვლას მანამდე, ვიდრე იგი კი არ გასულა, არამედ მხოლოდ მიდის, და მიდის ჩვენგან შეუმჩნევლად, თავიდან ავიცილებთ უამთასვლით გამოწვეულ ყველა უსიამოვნებას.

იცით, ეს სად აღმოვაჩინე? – გემბანზე, ერთ ახალწლის ღამეს ქადიქოიში მიმავალმა. პალტოში გაზვეული გემის კიჩოსთან ვიჯექი. ერთხანს წამთვლიმა. მერე ერთბაშად გამოვფხიზლდი და – „ოორმეტს აკლია ერთი წუთი“, – ვთქვი ჩემთვის. სანთურა ავანთე, საათს დავხედე. სწორია. წამების მაჩვენებელი ისარი 60-ს მიუახლოვდა, ერთი სუსტად დაიჩხაკუნა და ოორმეტი საათი შესრულდა. დღეების აღმნიშვნელ კადრში ოთხშაბათი ხუთშაბათმა შეცვალა. 31 დეკემბერმა გადაიწია და მის აღგილზე 1 იანვარი გაჩნდა. საათი წლებს არ უჩვენებდა, მაგრამ მე ვიცოდი – 1952 წელი გათავდა და 1953 დაიწყო. და ეს ყველაფერი პაწაწინა წამის მარიფათი იყო.

წუთი წუთს მისდევს, წუთები უსასრულობაში გადადის. ოთხშაბათს ხუთშაბათი მოაქვს, ხუთშაბათს – პარასკევი. ნოემბერი დეკემბრად იქცა, დეკემბერი – იანვარი, იანვარი ობერვლად იქცევა, ობერვალი კი – მარტად. ჩვენც ვაპობთ დროს, როგორც ეს გემი – სიბნელეს და წინ მივიწევთ. საით? იქით, სადაც არ არის დრო. გამოჩნდა საიდუმლოებითა და უკუნით მოცული მოპირდაპირე ნაპირი. ნელ-ნელა ვუახლოვდებით. ნეტა ეს გემი გაჩერდებოდეს, ანდა, უკეთესი, უკან-უკან წავიდოდეს. საათებისა და წუთების მაჩვენებელ ისრებს გზა აებნეოდეს და უკულმა დატრიალდებოდეს. დღეების მაჩვენებელ კადრშიც ხუთშაბათი ოთხშაბათმა შეცვალოს, თვეებიც ბოლოდან აითვალოს. რა იქნება,

დაიწყოს ბოლოდან მოძრაობა: აწმყოდან წარსულისაკენ, ახლიდან ძველისაკენ, შედეგიდან მიზეზისაკენ? დაიწყოს-მეთქი, ვამბობ, მაგრამ გამოვა რამე? გემი რომ უკან-უკან წავიდეს, ნაპირი, რომელსაც მივადგებით, ამჯერადაც განა ის ქვეყანა არ იქნება, საიდანაც წამოვედით? გინდა წინ წადი, გინდა — უკან. სულერთია, ადრე თუ გვიან მაინც მიადგები ხმელეთს, რამეთუ ამქვეყნად ყველა ზღვას აქვს ნაპირი. რამეთუ, შეუძლებელია დროის სვლის შეჩერება. დრო მაინც გავა, რაც უნდა კარგად ვგრძნობდეთ მის გასვლას.

გემი კიზკულების სანახებთანაა. აი, სალაჯაქს ვუახლოვდებით, ესეც სელიმიე, მწვანე შუქი რომ მოჩანს, იქ ჰაიდარფაშას ყურეა, ეს ლურჯი ნათურა კორდონ ბლოზე არ ანთია? გემმა მოუხვია. აი, ქადიქოის ნავსადგომი,

სხვადასხვანაირი მგზავრობა არსებობს: ერთი — გავლილი გზის ყოველ ნაბიჯს რომ უკვირდები და განსჯი, მეორე — ზიხარ პირველი კლასის კაიუტაში, გაზეთის კითხვაში გართული და ერთბაშად გაიკვირვებ: „ოჰ, უკვე მოგსულვართო“.

როგორ პგავს ჩვენი ცხოვრება ამ პირველი კლასის კაიუტაში გაზეთის კითხვაში გართული კაცის ცხოვრებას! წუთების ყადრის მხოლოდ ახალი წლის მოახლოებისას ვიგებთ. მის გასვლას მხოლოდ იმ ღამეს ვადევნებთ თვალს ყურადღებით. ისიც 11,55-დან 12 საათამდე. ჩვენი ფიქრით, ეს წუთები ძეველ წელიწადს ასრულებს და ახალს იწყებს. მაგრამ დადგება თუ არა ახალი წელი, კვლავ ჩავდივარო კაიუტაში და ისევ გაზეთის კითხვას ვიწყებთ. სინამდვილეში კი, რომელი დღის რომელი საათია, რომ ძველ წელს არ ასრულებდეს და ახალს არ იწყებდეს? რატომ ისეთსავე ყურადღებას არ ვაქცევთ ყოველი დღის ყოველ საათს, ყოველ წამს? რომ დავივიწყოთ ყველაფერი და ვიფიქროთ თითოეული წამის გასვლაზე, დრო, რომელიც შფოთიანი ნიაღვარივით მიქრის, ვაკე მინდორზე მდოვრედ მიმავალ მდინარედ იქცევა. ვიმეორებ: მთავარია, ყოველ წამზე გავაძახვილოთ ყურადღება.

იკითხავთ, ეს როგორ მოვახერხოთ? — მოგასხენებთ: სრულიად ჩავიძიროთ საათის ხმაურში. ყველაზე სწორი გზა დროის, და აქედან გამომდინარე, ცხოვრების შეცნობისა, არის

საათების გარემოცვაში ცხოვრება. აბა, სცადეთ: დაგმანეთ ოთახის კარ-ფანჯარა, გულაღმა წამოწექით, თვალები შავი ნაჭრით აიხვით. განიღევნეთ თავიდან ყოველგვარი ფიქრი და მთელი გულისყური საათისაკენ იქონიეთ, უსმინეთ მის ტიკტიკს, იფიქრეთ დროის სვლაზე, იმაზე, რომ ცხოვრობთ, რომ ხართ გემი, აპობთ დროს, მიიწევთ წინ, აქეთ-იქით სხლტებიან და იკარგებიან თქვენი ცხოვრების წუთები.

სწორედ ამიტომ დავიწყე საათების კოლექციის შედგენაც. აუქციონებზე, ანტიკვარულ მაღაზიებში ყყიდულობდი ყველა ჯურის საათს: წვრილზამბარიანებს, ელექტროსაათებს, სარქისოვის ძველ, ვერცხლისხუფიან საათებს. ის კი არადა, იმ დღეს ქუჩის უზარმაზარი საათი მოვათრიე შინ, ტრამვაის პარკში რომ ეგდო, როგორც გამოუსადეგარი.

დილაობით ოცდათხუთმეტ საათს ვმართავ. საღამოს, შინ დაბრუნებული, გულაღმა წამოწვები და ყური მათკენ მიჭირავს. აღვიქვამ ყოველ წუთს, ყოველ წამს, წამის ყოველ უმცირეს ნაწილს და მთელი სისრულით ვგრძნობ, რომ ვცხოვრობ. როგორც სარკის კედლებიან ოთახში იქმნება ფართო სივრცის შთაბეჭდილება, ასევე საათების ტიკტიკი თითქოს აჩერებს დროს და, თუ იგი აქამდე თითებშუა წყალივით გვეპარებოდა, ახლა ხელშესახები ხდება.

ყოველი საათი თავისებურად მუშაობს: ზოგი ჩქარ-ჩქარა, ფათა-ფუთით, ზოგი დინჯად, აუჩქარებლად. ზოგი ქალივით მიცქრიალებს, ზოგი დაოთხილი გარბის, ზოგის რიტმი ბამბის საპენტისას მოგაგონებთ, ზოგი კი ისე ურტყამს, როგორც მჭედელი უროს. ერთის სიტყვით, ჩემი ოთახი ოცდათხუთმეტი საათის ნაირ-ნაირი ხმით არის სავსე.

აი, — ვამბობ, — ერთი წუთი გავიდა... ორი წუთი გავიდა... სამი წუთი... ოთხი, ხუთი, ექვსი... თხუთმეტი წუთი... და ჩემმა გულქვა კედის საათმა საზეიმო კლასიკური მელოდიით გააცილა თხუთმეტი წუთი, რომელიც ჩემს ცხოვრებას მოაკლდა.

კლავ ტიკტაკ, ტიკტაკ, ტიკტაკ, ტიკტაკ გავიდა ოცი წუთი... ოცდასამი... ოცდახუთი... ნახევარი

საათი და, ისმის მეორე მელოდია, რომელიც ზემობს ნახევარი საათის გასვლას.

და როცა ნახევარი საათიც გადის, საათის სიხარულს საზღვარი აღარა აქვს და გახარებული იმით, რომ ჩემი სიცოცხლის კარგა მოზრდილი საათი გადასანსლა, აერთიანებს იმ მელოდიებს, წელან რომ ნაწყვეტ-ნაწყვეტად უკრავდა.

და ძინ... ძინ... ძინ...

როგორც კი გაისმის პირველი „ძინ“, თითქოს დირიჟორის ნიშანზე, დანარჩენი საათებიც – დიდი და პატარა – ერთად აიშვებს თავს: ერთი – მეხანძრეთა ზარივით: ლინგინ, ლინგინ... მეორენი – თითქოს კარზე რეკავენო: ზიართ... ზოგი მედიდურად, ზოგი მშვიდად... გუგულიანი საათის პატარა ჩიტიც რას ჩამორჩება?

– გუ, გუ, გუ...

ამ აურზაურის შემდეგ კვლავ სიწყნარე დაისადგურებს: ტიკტაკ... ტიკტაკ... ისევ გადის ერთი წუთი, სამი წუთი, თხუთმეტი... ბოლოს და ბოლოს, ან გავგიადები, ან მივაღწევ საწადელს: შევიცნობ დროს და დავტკბები ცხოვრებით. გავთავისუფლდები სიკვდილის შიშისაგან, იმაზე ფიქრისაგან, რომ ერთხელაც იქნება, გაიშლება ჩემი ზამბარა, ან სულაც გაწყდება.

მაგრამ თურმე მესამე შესაძლებლობაც ყოფილა მოსალოდნელი. მე კი მანამდე არ მიიფიქრია. თავდაპირველად მეორე შესაძლებლობა უფრო ძლიერად მეჩვენებოდა. ყოველ საღამოს, სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ ტიკტიკში გატარებული ორი საათი მეხმარებოდა, უფრო ღრმად ჩავწედომოდი უამთასვლას. მას კოსმოსურ სიმშვიდეში გადავყავდი.

სამსახურიდან შვებულება ავიღე. თუ აქამდე დღეში ორ საათს ვანდომებდი დროის შეცნობას, ახლა თორმეტი საათი დავუთმე. ოთახში ჩავიკეტე. ოცი დღე არ გამოვსულვარ. ჯიუტად ვაგრძელებდი ექსპერიმენტს.

ჩემი შვებულების უკანასკნელი დღე იყო. ღამის თორმეტი საათი ხდებოდა. სავარძელში ვიჯექი და ვთვლემდი. ყოველთვის, როცა ასეთ დროს გამეღვიძებოდა ხოლმე, პირველად დროს ვიგრძნობდი. მაგრამ ამჯერად მოხდა წარმოუდგენელი: გავიღვიძე

და საათი არც კი გამხსენებია. კარგი ნიშანია! საათებს შევხედე. ყველა საათზე თორმეტს ერთი წუთი აკლდა, მაგრამ ტიკტიკი არ ისმოდა. ვიფიქრე, გაჩერებულან-მეთქი, მაგრამ, არა. შუშაობდნენ: კედლის საათის ქანქარა მარჯვნიდან მარცხნივ მოძრაობდა, მჭედელიც ურტყამდა გრდემლზე უროს... თორმეტი საათი შესრულდა, მაგრამ თითქოს პირი შეუკრავთო, არც ერთი არ რეკავდა. ვინ იცის, იქნებ, რეკავდნენ კიდეც, მაგრამ მე ვერ ვკრძნობდი. ვინ იცის რას ჰქვია! ძალიან კარგადაც რეკავდნენ. ვხედავდი, როგორ ურტყამდა ზარზე ბერკეტი, როგორ გამოფრინდა და შეფრინდა გუგული, მაგრამ ხმას არ იღებდნენ. თვალი დავხუჭე და ჩემს შინაგან ხმას მივაყურადე: ჩემი ქანქარის რიტმი სადღაც დაკარგულა. შევწუხდი. ჩემს დღეში ჩავარდნილი ნორმალური კაცი დაასკვნიდა, რომ დაყრუვდა, ან გაგიჟდა. მე კი ვიფიქრე, მოვკვდი-მეთქი.

ექიმი მარწმუნებს, ცოცხალი ხარ, არ მოგვდარხარო, რომ
მოგვდარიყავ, ამეებს ხომ ვეღარ დაწერდით. ექიმებისაც აღარაფერი
მჯერა. რაკიდა არ მესმის საათების ხმა, რაკი ვეღარ ვგრძნობ
ქანქარის რიტმს, ესე იგი, მე უკვე გაჩერებული საათი ვარ.

თუმცა, ვინ იცის, იქნებ, სწორედ ახლა ვუჩვენებ ზუსტ
დღოს?!

სახეოს გასაირნება

ცექ, ცექ, ცაქ!

ცექ, ცექ, ცაქ!

იგი მზიან ტროტუარზე მიცუქცუქებდა, თან საკუთარი ნაბიჯების რიტმით ტკბებოდა. აქეთ-იქით იხედებოდა, გამვლელებს აკვირდებოდა, უნდოდა, მათ თვალებშიც იგივე სიამოვნება ამოეკითხა და ამით უფრო სრული ნეტარება განეცადა.

სიცილ-კისკისით ჩაურბინა სამმა გოგონამ. სუნით იცნო. კონსერვატორიის საბალეტო კლასის სტუდენტები იყვნენ. პულიასთან მოდიოდნენ ხოლმე, ვიდრე იგი სტიპენდიას მიიღებდა და ლონდონში წავიდოდა. მზერა გაეყოლა გოგონების კანჭებს: "ნეტავ, ამ ფეხებსაც პულიას ფეხებივით ძილშიც ბალეტის პოზა აქვთ?"

ცექ, ცექ, ცაქ!

ცექ, ცექ, ცაქ!

გერმანიის საელჩოს ჭიშკართან გრაფს მიესალმა. გრაფს თავისი ხმირი ბალანი უკანასკნელ მოდაზე დაუყენებია: წელქვემოთ გაუკრუჭინებია, წელზემოთ ლომის ფაფარივით აუწეწვინებია. თეთრი ულვაშებიც ფელდმარშალ ფონ მაკენზენს მოუგავს. უხდება კიდეც. ტროტუართან საელჩოს "მერსედესი" იდგა. მბლოლი და მებაღე წინა მარცხენა საბურავს ბერავდნენ. საბურავი გაიბრა, გაიბრა და პირვანდელი სახე დაიბრუნა. გრაფი და კონსული უკანა სავარძელზე მოკალათდნენ. ოთხმა საბურავმა სპეციალური მანქანებისათვის დამახასიათებელი მედიდურობით გაისრიალა ასფალტზე.

ცექ, ცექ, ცაქ!

ცექ, ცექ, ცაქ!

რა სჯობს კარგ ამინდში სეირნობას!

ერთი, მოდით და ნახეთ, ტროტუარი რა დღეშია! არა და, ადამიანებისა არ იყოს, ძაღლების ხასიათი, კულტურა, აზროვნება, ცხოვრების ნირი მჭიდროდ არის დაკავშირებული ტროტუართან.

ჯერ ერთი მოიჯარადრე მოიპარავს მასალას...

ცუქ, ცუქ, ცაქ!

მერე გზა გაფუჭდება...

ცუქ, ცუქ, ცაქ!

მერე ფეხი გადაბრუნდება...

ცუქ, ცუქ, ცაქ!

მერე ტვინი გადაბრუნდება...

წესრიგი აირ-დაირევა...

სხვა მოიჯარადოებიც დაიწყებენ მასალის პარვას...

ცუქ, ცუქ, ცაქ!

მოედანზე, იქ, სადაც პარლამენტის შენობისაკენ მიმავალი ჭუჩა იწყება, ჰედის შეეფეთა. ამ თეთრ ფინიას ნაღვლიანი თვალები აქვს და, როგორც ყოველთვის, ახლაც თავზე ლურჯი ლენტი წაუკრავს. ჰედის ქალბატონი ზამთარს სან-მორისში ატარებს, ზაფხულს – ბიარიცში, მაგრამ მაინც ასანთის ღერებივით წვრილი ფეხები აქვს და ისტერია სჭიროს. ერთმა ციურიხელმა ფსიქიატრმა ურჩია: ნერვები რომ აგეშლებათ, იყვირეთ, იჩხუბეთ, ბოლმა ძალლზე დაიცალეთო. ქალიც ასე იქცევა და ცოტათი მართლაც მომჯობინდა, მაგრამ საბრალო ჰედი დაავადდა. ჭუჩის ძალლებმა რა იციან ჰედის გასაჭირო? წამდაუწუმ თვალებს რომ აპაჭუნებს და უკანალს იქნევს, ცუდად უსაღებენ, აეტორლიალებიან ხოლმე.

ცუქ, ცუქ, ცაქ!

ცუქ, ცუქ, ცაქ!

ცუქ, ცუქ!

ცუქ, ცუქ!

ფიქრში გართულმა სანჩომ ვერც კი გაიგო, როგორ დარჩა მისი "ცუქ, ცუქ"-ი "ცაქ"-ის გარეშე. ორჯერ ადგილზე შემოტრიალდა და შემდეგ თავდაღუნული უკან გავარდა. ჭულიას მამა გაჩერებულიყო და ვიღაცას ელაპარაკებოდა. ნეტა, ეს ვიღაა? პირველად ხედავდა ამ შარვალს. ეტყობოლა, კარგი შეერავის ნახელავი იყო, მაგრამ ტოტები ჩამოსძენდოდა. ეს ფეხსაცმელებიც, მართალია, ევროპული ჩანდა, მაგრამ ისე იყო მოქცეული, მესტებს დამსგავსებოდა. სანჩომ თავი ასწია და აქლემის ბეწვის პალტო და მაღალი ქუდი დაინახა. მაშინვე მიხვდა, რომ ეს კაცი

პროვინციული ქალაქის ადვოკატი უნდა ყოფილიყო, დეპუტატად ახლახან არჩეული. ისე გაცხარებით ლაქლაქებდა, მიხვდებოდით, ან პოლიტიკაზე მსჯელობდა ან ვიღაცას ლანძღავდა. ჰულიას მამას კრინტი ვერ დაუძრავს. არა და, ეტყობა, ჩასაფრებულია, უნდა, ადვოკატის ლაპარაკში ჰაუზა იპოვოს და ჰულიასათვის ვალუტის გამოყოფაზე სიტყვა ჩაურთოს. სანჩომ ტროტუარის კიდესა და ორი მამაკაცის ოთხ ფეხს შორის წრიალი დაიწყო, აქაოდა, მოშარდვა მომინდა და მეტის მოთმენა აღარ შემიძლიაო. ბოლოს მივიდა და ადვოკატს შეპლრინა მაგრამ იგი ისე იყო გაროული, არაფერი გაუგია. „ღმერთო, რა ყბედია, რა ყბედი!“

ნამდვილად არსებობს ტელეპატია. გაახსენდა ალთესი და შეხვდა კიდეც, მაგრამ ეს ტელეპატიის ბრალია, თუ ჰიქმეთ ბეის ჩიბუხის სუნისა, რომელიც ერთ კილომეტრზე იგრძნობა?

ალთესმა, ჰიქმეთ ბეის წმინდა სისხლის პაკისტანურმა მწევარმა, შტეფსელი ალოკა, დენმა დაკურა და მას შემდეგ კუდის რიკიდან ბარძაყის სახსრამდე მწარე ტკივილები ტანჯავს. როგორ გამხდარა საწყალი! თვალებში სხივი ჩაჰქობია, ბალანი ჩამოსხეჩვია, მამისეულ დიდი ჟაკეტში გამოხვეულ წყალმანკიან ბიჭის დამსგავსებია. ნამდვილად ახლაც საავადმყოფოდან მოდის. როგორია? ლონდონში, კერძო კლინიკაში, საკეისრო გაკვეთით მოევლინო ქვეყანას და ახლა ჰეჯეთევეს საბეითლო სკოლის პოლიკლინიკაში ქუჩის მაწანწალა ძაღლების უკან საათობით იდგე რიგში? მგონი, ალთესს ეს ამბავი ავადმყოფობაზე მეტად აწუხებს.

ჰეკუა უნდა გქონდეს, ჰეკუა! მთავარია, ჯანმრთელად იყო, კარგად იყო და საძაც გინდა, იქ იყავი, შვილოსა!

ცუქ, ცუქ, ცაქ!
ცუქ, ცუქ, ცაქ!
ცუქ, ცუქ, ცაქ!
ტუქ!

ეტყობა, ვალუტის საქმე მოგვარებულია! ჰულიას მამა კარგ ხასიათზეა, უსტვენს და ქოლგა, აქამდე ცომის საბრტყელებელი ჯოხივით რომ მოჰქონდა, ახლა ტარით უჭირავს, ყოველ ორ ნაბიჯზე აიქნევს და ტროტუარზე აბჯენს. როცა სანჩოს "ცუქ,

ცუქ"-ებს ყოველ ოთხ ტაქტში ერთხელ ქოლგის "ტუკ"-ი უერთდება, ნაბიჯების თანაფარდობა სინკოპურ რიტმს იძენს.

ცუქ, ცუქ, ცაქ!

ცუქ, ცუქ, ცაქ!

ტუკ!

გუვენარკის წინ ბელგიის საელჩოს მწევრებს შეხვდა. მათ, როგორც ყოველთვის, ახლაც ფორმიანი შიკრიკი ახლდათ. ეს ორი და – იზაბელა და მირედა – მარტო დიპლომატიური კორპუსისა კი არა, მთელი ანკარის საძალლეთის მაღალ საზოგადოებაში ცნობილი თავქარიანი ლამაზმანები არიან. ანკარის ციხესიმაგრის, ახალგაზრდობის პარკის ხიდის, ულუსის მოედანზე მდგარი ძეგლისა თუ ოპერის თეატრის ფონზე გადაღებული მათი ფერადი ფოტოები ხშირად ამჟობს ძალლების საერთაშორისო ურნალების ყდებს.

სანჩოს რომ ჩაუარეს, ძლივსშესამჩნევად მიესალმნენ. თვალებმოწკურულები, მუცელშეზნექილები, გრძელფეხებიანები, გეგონებათ, კი არ მიდიან, მიცეკვავენო. სანჩომ მათ შორიდანვე მოჰკრა თვალი და მღელვარება დაუუფლა, მაგრამ, ვითომ სხვა მხარეს ვიხედებოდი და მხოლოდ მაშინ შეგნიშნეთ, როცა გამისწორდითო – გულგრილად მიესალმა დებს. მათ ძალლის ლოსიონს შერეული თავიანთი სპეციფიკური სუნი დატოვეს. სანჩოს ხის ძირას მისვლა მოუნდა, მაგრამ გადაიფიქრა. ეს საქციელი ვერ შეაფერა თავის წელიწელ მედიდურობას: "ვინმე დამინახავს და იტყვის, საცა ხეს იპოვის, ყველგან ფეხსა სწევსო".

ცუქ, ცუქ, ცაქ!

ტუკ!

"სხვა რამეზე უნდა ვიფიქრო... სხვა რამეზე უნდა ვიფიქრო!"

ცუქ, ცუქ, ცაქ!

ტუკ!

როგორც კი ქოლგა მიწას შეეხებოდა, სანჩო სველ დრუნჩს ზევით სწევდა, ცოტაც და, დრუნჩის მოძრაობას მოკაუჭებული კუდის ქიცინიც ააყოლა: პირველ ტაქტში კუდი მარცხნივ, მეორე ტაქტში – კუდი მარჯვნივ. მალე სხვა ვარიანტიც შეიმუშავა:

ორჯერ ზედიზედ მარცხნივ, ორჯერ ზედიზედ მარჯვნივ. გამვლელები გაკვირვებით უყურებდნენ. სანჩოს უნდოდა, უფრო გაეოცებინა ისინი და ამ უცნაურ მოძრაობას მთელი სერიოზულობით აგრძელებდა, თან სიცილს ძლივს იკავებდა, როცა ხედავდა, რომ გიჟი ეგონათ.

ერთბაშად თვალი მოპქრა სემირამიდას. ბატონი სახელმწიფო მრჩევლის ყავისფერმა ბულდოგმა ენა გამოყო და ცხვირის წვერი აიღოკა. თავისი ჭკუით, სანჩოს დასცინა. ამ დროს თვითონ ისეთი კუბოკრული ჟილეტი ეცვა, მის ბეწვს სულაც რომ არ უხდებოდა. ფეხებზეც რუხი ბოტები წამოუცვამს, თუმცა წვიმას არ აპირებს. „მასხარად შენი თავი აიგდე, ზიზილ-პიპილავ!“

ცუქ, ცუქ, ცაქ!

ტუქ!

უცნაური ქარი ამოვარდა, ისეთი, გათენებისას რომ იცის. მზე ხან მოეფარებოდა, ხან ისევ გამოანათებდა.

წითელი ჯვრის შენობის წინ კასტორი დაინახა. მან ჯერ გაკვირვებით შეათვალიერა სანჩო, შემდეგ – წყრომით. თვალები დახუჭა, ისევ გაახილა, თითქო ერჩია, სიზმარში ყოფილიყო. კასტორი ძალზე დახვეწილი ჩაო-ჩაოა, თუმცა პროტოკოლის წესებს პატარაობიდან როდია ნაზიარები, კარგა დიდობაში აქვს წიგნებით გაზეპირებული, როგორც ახლანდელ მინისტრებს, სენატორებსა და პროვინციელ დიპლომატებს. მაგრამ როცა გაბრაზებულია, ავიწყდება და ვეღარ მალავს დედამისის – მეცხვარის ნაგაზის ვულგარულ უარგონს. სანჩომ, კასტორს რომ ჩაუარა, მის ჯიბრზე თავის ოინებს ღრენაც დაუროთ.

სწორედ ამ დროს მოპირდაპირე მხარეს დილის მეცადინეობიდან დაბრუნებული პოლიციის ნაგაზები გამოჩნდნენ. ძალზე ღონივრები და კარგად მოვლილნი იყვნენ. სანჩომ შენიშნა ისინი, მაგრამ ერთბაშად ვეღარ შეწყვიტა ონბაზობა, ითაკილა. კოლონის თავში მიმავალი ორი ნაგაზი უცებ შეჩერდა. აქ რაღაც ამბავიაო, – იფიქრეს და ეჭვით აათვალიერეს სანჩო. ამ ბოლო დროს მათ ყველაფერზე ეჭვი უჩნდებოდათ. ისინი რომ შეჩერდნენ, მთელი კოლონა შედგა და წინ მიმავალ, შავულვაშა პოლიციელს

მიაჩერდა, მის ბრძანებას ელოდებოდნენ.

სანჩოს ყველა ძაღლი უყვარდა: ყრაული ძაღლების მითოლოგიური წინაპრის – ცერძეროდან მოკიდებული, მისიონერ სენბერნარებით დამთავრებული; ერთგულების კლასიკურ მაგალითად ქცეული იორქშირელი ლესით დაწყებული – ანაფართალის სამიკიტნოების უპატრონო ქოფაკებით დამთავრებული. სანჩო ყველას უძებნიდა რაიმე ღირსებას, მაგრამ ვერ იტანდა ორი ჯიშის ძაღლს – მონადირესა და პოლიციის ნაგაზს – მათ, რომლებიც პატრონს წინ დაუგდებენ მსხვერპლს და უკანა ფეხებზე ჩაცუცქდებიან. ეს მუდამ მოწყალების მომლოდინე მათხოვრები, ეს მაბეზღარები, სხვისი თევზის მლოკველნი, სანჩოს აზრით, ჩირქსა სცხებენ ძაღლთა მოდგმას. სანჩო ვერ მალავდა, უფრო სწორედ, არ მალავდა ამ სიძულვილს და ამიტომ მისი შეხვედრა მონადირე ან პოლიციის ძაღლებთან ყოველთვის ღრენით თავდებოდა.

ცუქ, ცუქ, ცაქ!

ცუქ, ცუქ, ცაქ!

ღლღრრრ, ტუქ!

ცუქ, ცუქ, ცაქ!

ცუქ, ცუქ, ცაქ!

ღლღრრრ, ტუქ!

პოლიციის ნაგაზები ადგილზე გაქვავდნენ. რვავემ ერთად დაიღრინა. სანჩო უახლოვდებოდა მათ. ინტუიცია ჰკარნახობდა: გეფოფა, მორჩიო, მაგრამ მამაკაცური თავმოყვარეობა აქეზებდა: გააგრძელე, ყურადღებას ნუ მიაქცევო. თვალები დახუჭა, რაც მოხდება, მოხდესო – იფიქრა. რაკი დაიწყო, თავს მოიკლავდა და აღარ შეწყვეტდა. მართლაც არ შეუწყვეტია.

ძაღლების მწვრთნელმა შავულვაშა პოლიციელმა ბრძანა:

– მარშ!

მწკრივში ჩამდგარმა ძაღლებმა გზა გააგრძელეს, თან იღრინებოდნენ. მხოლოდ ერთი, ჯგუფის ბოლოს მიმავალი ჟღალი ნაგაზი მობრუნდა და სანჩოს თვალს არ აშორებდა, თითქოს უნდა დაიმახსოვროს და მარტოს რომ მოიგდებს ხელში, ჯავრი იყაროსო.

ნაგაზები თვალს მოეფარნენ. სანჩომ შვებით ამოისუნთქა. კიდევ კარგი, თორებ ამ დილაადრიანად ათათურქის ბულვარის ხალხმრავალ ადგილზე პოლიციის ძალლებთან ჩხუბი საგრმნობლად შეარყევდა მის რეპუტაციას.

გადატანილი მღელვარების გამო გული გაღმოვარდნაზე ჰქონდა. ამიტომ ვეღარ უწყობდა ფეხს ჰულიას მამას. კიდევ კარგი, იგი გაზეთის გამყიდველთან შეჩერდა.

დილის გასეირნების პირველი ეტაპი გორემის ქუჩაზე იწყებოდა და სწორედ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კუთხეში, გაზეთის გამყიდველთან მთავრდებოდა.

ჰულიას მამამ ერთი უურნალი და ორი გაზეთი იყიდა, შემდეგ თავისი ფეხსაცმელები ბოშა მწმენდავს მიანდო. ამოძრავდა ჯაგრისები. ჰულიას მამამ გაზეთი გაშალა და კითხვა დაიწყო. ამ დროს ქუჩის მეორე მხარეს ჩამწკრივებული სამწვადეების მხრიდან ხახვის სუნით გაეღლენთილმა ქარმა დაუბერა და გაზეთი მოიტაცა. სანჩო გაიქცა და გაზეთს თათი დაადო. სწორედ იმ ადგილზე, სადაც სანჩომ დაბიჯა, ფინანსთა მინისტრის ფოტო იყო დაბეჭდილი. კაცს სახე მოეღრიცა, აქაოდა სანჩოს თათმა მატკინაო, სინამდვილეში კი იმიტომ იღრიჯებოდა, რომ ამერიკული დახმარება ეცოტავებოდა.

ბოშა ბიჭმა ჰულიას მამას ფეხსაცმელები ხავერდით გაუპრიალა. ამ საქმეს რომ მორჩნენ, მოპირდაპირე ტროტუარზე გადავიდნენ და ქავაქლიდერესაკენ გასწიეს.

ბარიქანის სასტუმროს წინ შემთხვევით – სანჩოს ინტუიციას ამ შემთხვევითობისა მაინცადამაინც არ სჯერა – სელმინ ხანუმსა და მის ყავისფერ დანიურ დოგს – დიოგენს შეხვდნენ. სელმინ ხანუმს შარვალი ეცვა, ზემოდან – ალპინისტური სქელი სვიტერი, ფეხზე – სპორტული ფეხსაცმელი. ერთად გააგრძელეს გზა. დიოგენი, როგორც ყველა დოგი, უაღრესად თავდაჭერილი ძალლია. სანჩომ იგი სელმინ ხანუმთან წვეულებაზე, მაგიდის ქვეშ გაიცნო. სუფრაზე მხიარულად საუბრობდნენ, სელმინ ხანუმმა მაგიდის ქვეშ მარცხნა ფეხსაცმელი წაიძრო და თავის მშვენიერ ფეხს ასვენებდა. ჰულიას მამამაც ფეხი მის ფეხთან მიაჩინა. ქალმა

წინდისამარა ფეხი უკან გასწია. კაცმა მეორე ფეხიც მიუახლოვა და ქალის ფეხი თავის ფეხებს შორის მოიმწევდია. დიოგენმა და სანჩომ ერთმანეთს გადაპხედეს. ქალს მუხლი უცახცახებდა. ჰულიას მამამ ორივე მუხლი მაგრად მოუჭირა ქალის მუხლს. სანჩომ დაიჭირა სელმინ ხანუმის ფეხსაცმელი, მის ბალთას ეთამაშებდოდა და თან თვალს არ აშორებდა დატყვევებულ მუხლს! დიოგენმა ფეხებს ზურგი შეაქცია, დაწვა, თავი თათებზე დაიდო და თვალები დახუჭა. როცა სატაცური მოართვეს, ჰულიას მამას ხელსახოცი დაუვარდა, ასაღებად დაიხარა და თან სელმინ ხანუმის პატარა ტერფს ხელი მოუთათუნა. ამ დროს სანჩომ ჩაიდინა ის, რაც თავის სიცოცხლეში არ ჩაუდენია – ჰულიას მამას ხელზე უკინია. კაცმა შეპყვირა, მაგრამ არა ტკივილისაგან, არამედ მოულოდნელობისაგან. ეს ისეთივე წარმოუდგენელი რამ იყო მისთვის, როგორც წვიმის მიწიდან ცაში ასვლა იქნებოდა. მაგიდის ქვეშ შეიხედა, მაგრამ სანჩოს მოესწრო, წაედო სელმინ ხანუმის ფეხსაცმელი და მიმაღლულიყო. ამაოდ ეძებდა სელმინ ხანუმი მაგიდის ქვეშ თავის ფეხსაცმელს. დაღუნვაც უუხერხულებოდა. სანჩო ტახტის ქვეშიდან უთვალთვალებდა. ერთბაშად კეფაზე ცხელი სუნთქვა იგრძნო. დიოგენი ზურგზე თათს უსვამდა, თან კბილებით ფეხსაცმელს თავისკენ ეწეოდა. სანჩომ წინააღმდეგობის გაწევა დააპირა, მაგრამ ვეღარ გაუძლო ვედრებით სავსე თვალებს, დაუთმო ფეხსაცმელი და უზარმაზარმა დოგმა – მოომინების დიდმა, ოთხფეხა განსახიერებამ – ფეხსაცმელი სწორედ იმ დროს დაუდო ფეხებთან თავის პატრონს, როცა მარწყვის ჭამა მოათავეს და სტუმრებმა აშლა დააპირეს. სანჩომ დაინახა, როგორ გაცურდა ქალი ჭირის ოფლში.

აი, ახლა ის დიოგენის გვერდით მიაბიჯებდა და ამ ამბავს იხსენებდა. რით აიხსნებოდა დიოგენის მაშინდელი საქციელი? მოვლენებისადმი ფილოსოფიური მიდგომით, თუ გამომუშავებული ჩვევით? ვინ იცის, რამდენჯერ ჩავარდნილა მსგავს სიტუაციაში? ერთხელ და სამუდამოდ შეიძინა რეფლექსი. ეს კითხვა მოსვენებას არ აძლევდა სანჩოს და ახლა, როცა მათ უკან ის ოთხი ფეხი ისევ ერთად იყო, უნდოდა, ეკითხა დიოგენისათვის. დარწმუნებული

კი არ იყო, რომ გულახდილ პასუხს მიიღებდა. მაინც აპირებდა კითხვას, მაგრამ სწორედ ამ დროს ჰულიას მამა და დიოგენის პატრონი ერთმანეთს გამოეშვიდობნენ.

ცუქ, ცუქ, ცაქ!

ტუკი?

რა იქნა ტუკი?

რა იქნა ტუკი?

სელმინ ხანუმთან ერთად ხუთასი მეტრის გავლა ნაკლებ სასიხარულოა, ვიდრე ჰულიასათვის სტიპენტის განაღდება?

რა იქნა ტუკი?

რა იქნა ტუკი?

სანჩომ დაკარგა "ტუკ"-ის იმედი და "ცუქ, ცუქ, ცაქ"-ს დასჯერდა. "თუ საჭირო იქნება, მე "ცუქ, ცუქ"-ების გარეშეც იოლას გავალ, მაგრამ ჰულიას მამა შეეღევა მათ? ამ ქვეფნად ყველაზე უმაღლერი არსების – ადამიანისა და ყველაზე ერთგული და კეთილშობილი ქმნილების – ძალის ოდინდელი მეგობრობა იმაზე კი არ არის დამყარებული, რომ ძალებს ვერ გავიძლია უადამიანებოდ, არამედ იმაზე, რომ ადამიანებს ვჭირდებით ძალები".

ცუქ, ცუქ, ცაქ!

"ეს არის თავიდათავი".

ცუქ, ცუქ, ცაქ!

"ეს არის თავიდათავი!".

"ღირსი კია ადამიანი ჩვენი ერთგულებისა? ეს არის საკითხავი. თქვენ გვონიათ დიოგენს ასე იმიტომ უყვარს სელმინ ხანუმი, რომ სულ ერთგულებას გვიქადაგებუნდენ? ჰა-ჰა-ჰა! ნუ გამაცინეთ".

ცუქ, ცუქ, ცაქ!

ნუ გამაცინეთ.

ერთგულება ჩვენ გვჭირდება, ძალებს, რათა შევინარჩუნოთ მორალური სრულყოფილება, თავიდან ავიცილოთ შინაგანი გახრწილება, მოვიპოვოთ სულის სიმშვიდე, ზომიერება.

ადამიანი მხოლოდ საშუალებაა!

ცუქ, ცუქ, ცაქ!

ადამიანი მხოლოდ საშუალებაა! მოგვიანებით იყენება
მეტი არაფერი!

ადამიანები კი – როგორც საერთოდ სჩვენიათ – ყველაფერს
უკუღმა წარმოაჩენენ ხოლმე. იქამდეც მიდიან, რომ ხშირად
თავიანთ თვისებებს ჩვენ მოგვაწერენ. რა სავალდებულოა
დიპლომატის ძალი სწობი იყოს? სამხედრო მოხელის ძალი
სულაც შეიძლება მოაზროვნე აღმოჩნდეს. ამასწინათ ერთი
პროფესორის ძალი გამომიტყდა, ბიბლიოთეკის გზა არ ვიცი და
ლამის სირცხვილით დავიწვაო. იმის მტკიცება, რომ ძალებს არ
შეიძლება პეტრონისაგან განსხვავებული ღირსებები,
ნიშნავს – დააკნინო ისინი და ადამიანს გაუთანაბრო.

ცას სქელი ღრუბელი გადაეკრა. ჩანქაიას მხარეს ჩამობნელდა,
ძლიერი ქარი ამოვარდა, გაიელვა, დაიქუხა. ჰულიას მამამ ნაბიჯს
უმატა.

ცუქ, ცუქ, ცუქ, ცაქ!

ცუქ, ცუქ, ცუქ, ცაქ!

სანჩოს სიამოვნებდა ჩქარი სიარული. კიდევ გაიელვა.

რა სჯობს ახლა ტყეში ყოფნას? მიდიხარ და შენ ფეხქვეშ
გამხმარი ფოთლები შრიალებს: ყვითელი, ყავისფერი, წითელი,
სპილენძისფერი, მწვანე, ისფერი. თანაც თუ მარტო ხარ!

ცუქ, ცუქ, ცუქ, ცაქ!

ჰულიას მამა წვიმას გაურბის. რა მოუვიდა ამ კაცს?
წუთის წინათ როგორი თავდაჯერებული იყო, როგორ მედიდურად
მოაბიჯებდა?!

წვიმა არ მოვა. სანჩოს რა გამოეპარება? ცოტაც და, ქარი
ამ ღრუბლებს გადარეკავს, მაგრამ რას იზამ? მას შემდეგ, რაც
კაცი ორ ფეხზე დადგა და ამის გამო ინტუიცია დაკარგა,
მარტო ჭკუის იმედადღა დარჩა. ნახეთ, სულ უბრალო ამბებშიც
კი ვეღარ გარკვეულა. საკმაო ჭკუაც ვერ იშოვა და ინტუიციისაკენ
დასაბრუნებელი ხიდებიც დაწვა. დარჩა ასე, შუაში გამოკიდებული.
საფრთხე არ ელის. ის კი მოკუნტულა და გარბის. საკმარისია,
ორჯერ დაიქუხოს, ორჯერ გაიელვოს, რომ ის უკვე გარბის.

ცოტათი გაუჭირდება და, მაშინვე გარბის.

გაიქეცი, შვილოსა, გაიქეცი! წარ თვითობის მძინალი
გაიქეცი, შვილოსა, გაიქეცი! ! იძერებას იტენი

მჭიდროდ კეტავს დარაბებს. თავს აფარებს იღუზიებსა და მოგლებებს. ან თავაწყეტილ ორგებში ფლანგავს ცხოვრებას.

გაიქეცი, შვილოსა, გაიქეცი! კონ მცდე ძბრცემინთ ამინელ
გაიქეცი, შვილოსა, გაიქეცი!

ჰულიას მამა პირველი მიიჭრა ჭიშკართან, ბაღი გადაირბინა. კიბეზე ავარდა, თავისი გასაღებით გააღო ქარი. სასტუმრო ოთახში რადიო იყო ჩართული. სქელ ხალიჩაზე გაიარეს. ჰულიას დედას მათი მოსვლა არც კი გაუგია. ვიღაცას ერთობ პეპლუცად ეტიკტიკებოდა ტელეფონით. ერთბაშად შენიშნა მოსულები და შეცბა, ყურმილი დაგდო, მივიდა და ჰულიას მამას აკოცა. ეს რა კარგად მოუგონიათ + ყოველთვის, როცა ჰულიას მამა შინ ბრუნდება, ჰულიას დედა კოცნიო ეგებება, თითქოს ამას მათი სიყვარულის გამყარება შეეძლოს.

სანჩო იატაკზე დაცუცქდა, უკანა თათით ყური მოიფხანა, ჯიქურ შეხედა ჰულიას მშობლებს, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაივიქრა, სავარძელზე შეხტა და ფანჯარაში გაიხედა. ჩანქაას მხარეს ზედიზედ გაიელვა, თითქოს, ამ გორაკებს უკან დიდი დევი კვესსა კრავს, მაგრამ ვერა და ვერ მოუკიდებია პაპიროსისთვის.

იზნიქალი¹ ყარყაფი

ამბობენ, კაჭკაჭს რომ ენა აუცრაო, მჭერმეტყველებაში თუთიყუშსაც უკან მოიტოვებსო. ალბათ, გაზეთშიც წაგიკითხავთ; ასეთი ოპერაციის შემდეგ ერთი კაჭკაჭი ტელევიზიონობით გამოვიდა და უნაკლო დიქციონ შეასრულა ამერიკის ჰიმნი.

გამოგიტყვდებით, დიდად არ მაინტერესებს კაჭკაჭის მჭერმეტყველების ამბავი, მაგრამ აი, ყარყატს რომ ლაპარაკი შეეძლოს, უეჭველად ვკითხავდი რასმე მისი აღმსარებლობისა და მსოფლმხედველობის შესახებ.

ჰაჯი² ყარყატი ფრინველებში ყველაზე მართლმორწმუნებული მუსლიმად არის მიჩნეული. მას რაღაც იდუმალი კავშირი უნდა ჰქონდეს მუსლიმ წმინდანებთან, ამიტომაც სდარაჯობს მათ სავანეებსა და საძვალეებს. ხოლო, როცა აფრიკიდან მოფრინავს და რელიგიური ძეგლების თავზე თავაფს³ ასრულებს, ესეც, თუ გნებავთ, მისი ჰაჯიობის ნიშანია. თუმცა, ჩვენში დარჩეს და, ისიც მინახავს, რომ ყარყატები კიოლნის კათედრალს არანაკლები სასოებით დასტრიალებენ, ვიდრე სულეიმანიეს⁴.

იქნებ, ეს ყარყატები პროტესტანტები არიან, პეტრე-პავლეს ტაძარს რომ გადაუფრენენ, ისინი – კათოლიკები? იქნებ, ტრაფალგარის მოედანს იმპერიალისტი ყარყატები დაპფრენენ და კრემლის ქონგურებზე კომუნისტი ყარყატები სხდებიან? უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით: ყარყატებს სულაც არ აინტერესებთ იდეოლოგიური საკითხები. ისინი მხოლოდ ხელოვნების ტრფიალნი არიან და უცხო ქალაქში ჩასულ ამერიკელ ტურისტებს ჰგანან, ხელში ცნობარებს რომ დაიჭერენ ხოლმე და მოვდებიან ისტორიულ ძეგლებს.

ერთი ჩემი მეგობარი ბეითალი მარწმუნებს: ყარყატები იმიტომ ირჩევენ მაღალ შენობებს, რომ უკეთესად გამოჩნდნენ ქვემოდან.

1. ქალაქი ჩრდილო-დასავლეთ ანატოლიაში.
2. მაპშადიანი, რომელმაც მექა მოილოცა.
3. რიტუალური გარშემოვლა.
4. მეჩეთი სტამბოლში.

მეჩეთებსაც ამიტომ დასტრიალებენო.

თუ ასეა, მაშ ყარყატებს გამორჩევით რატომ უყვართ ემირ სულთანი, ისა ბეი, ეიუბ სულთანი?! სტამბოლის უბნებს ღერბები რომ შეურჩიოს კაცმა, ეიუბის ღერბზე უკველად ყარყატი იქნებოდა გამოსახული. შემოდგომობით, გადაფრენის დროს, ყარყატები თავიანთი გუნდიდან ყველაზე ბებერს ეიუბში ტოვებენ ხოლმე და ეიუბელები ამას დიდ პატივად მიიჩნევენ.

— რა, ეფენდი, არ იცი, რომ ყარყატები ნამაზსაც² კი ასრულებენ? — მკითხა ერთხელ ეიუბელმა ნაცნობმა.

სხვა ყარყატებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ეს იზნიქელი ყარყატი, რომელზედაც ახლა გიამბობთ, იმათი გვარისაა, ვინც ნამაზს არ ასრულებს. ის კი არა და, ამასწინათ რამაზანში³ საქვეყნოდ შეექცეოდა ჭიაყელებს. მისი მედიდური გარევნობა, სიარულის მანერა — გადადგამდა ორ-სამ ნაბიჯს, გაჩერდებოდა და ჩაფიქრდებოდა — ეჭვებით შეპყრობილ და პესიმისტურად განწყობილ ფილოსოფიას უფრო მოგაგონებდათ, ვიდრე მართლმორწმუნე მუსლიმს. მას ვოლტერისა და შოპენჰაუერის მიმდევრებთან უფრო მეტი უნდა პქონოდა საერთო, ვიდრე მუსლიმ წმინდანებთან...

ყარყატმა ყურადღებით დაათვალიერა გზის ორივე მხარე. როცა დარწმუნდა, რომ მანქანა არ მოდიოდა, არც ურემი ჩანდა, არც სახედარი, მძიმედ წამოვიდა ჩვენსკენ. ისე მოლახლახებდა, როგორც ვერცხლის ბუნიკიან ჯობზე დაყრდნობილი კუზიანი სენატორი. სასტუმროს ეზოში ვსაუბრობდით. ყარყატმა იქვე მზიანი აღილი შეარჩია, დადგა და მოჰყვა თავისი გაყვითლებული და გაქცეული მკერდის ქექვას.

— შეხედეთ, რა ლამაზია! — წამოიძახა ერთმა გოგონამ, მეორემ კი ამასობაში თავისი საქმით გართულ ყარყატთან სურათის გადაღება დააპირა, მაგრამ მიუახლოვდა თუ არა, ყარყატი ხტუნვა-ხტუნვით გაეცალა იქაურობას. მაშინდა მივხვდით, რომ საბრალოს

1. სტამბოლის უბნებია.
2. მუსლიმთა ლოცვა.
3. მოვარის კალენდრის მეცხრე ოვე, როცა მუსლიმები მარწულობენ.

ფრენა არ შეეძლო. ოთხმა სტუდენტმა თავს დაუარა, აღყა
შემოარტყა, მაგრამ ყარყატმა მშვენივრად იცოდა ეზოს ყველა
შესასვლელ-გასასვლელი და იოლად დაუსხლტა მათ ხელიდან. პროფესორმა რის ვაი-ვაგლახით მოუკიდა ჩიბუხს, ნაფასი დაარტყა,
ასანთი გადააგდო და ჩაილაპარაკა:

- საკვირველია, რატომ ვერ დაფრინავს?
- სიბერის ბრალია, — დაუსვა დიაგნოზი გერმანელმა პროფესორმა.
- რამდენი წლისა იქნება? — მიუბრუნდა კორპისტუდიანი დოცენტი საბარო მანქანის შოფერს.
- არც ისე ბებერია. რა ვუყოთ, რომ ბუმბული აღარ შერჩა. ფრთა აქვს მოტეხილი და იმიტომ ვეღარა ფრენს. საბრალო, პატარა ბარტყი იყო, დედამ რომ ბუდიდან გადმოაგდო.
- ზუსტად ისე, როგორც ჰერამ ჰეფესტო, თუმცა, პარდონ, ის დედამისს არ გადმოუგდია, მამამ გადმოაგდო მიწაზე — ზევსმა, — ჩაერია საუბარში ერთი სათვალიანი ყმაწვილი, რომელიც მითოლოგიაში წერდა დისერტაციას.

ყვითელსვიტერიანი გოგონა შოფერს მიუახლოვდა.

- გეხვეწებით, მითხარით, რატომ გადმოაგდო დედამ თავისი ბარტყი?

— რატომ გადმოაგდებდა? დედალ ყარყატებს ასე სჩვევიათ. თუ სამი ბარტყი გამოჩეკეს, ერთს უთუოდ ბუდიდან გადმოაგდებენ. ცუდია, რომ მაშინვე არ მოკვდა. საწყალი, ტელეგრაფის ბოძზე დაეკიდა. მეპალვე მუსა ავიდა და ჩამოიყვანა. ფრთა სულ მოჰველებოდა. ტყავზედა ეკიდა. გვეგონა, მოკვდებოდა, მაგრამ, ღვთის მადლით, მომჯობინდა. თუმცა, ხეიბრად კი დარჩა, ვეღარა ფრენს.

- შემოდგომაზე რას შვრება, როცა სხვა ყარყატები მიიფრინავენ?

— რას იზამს? რჩება. სამი წელია, ჩვენთან არის. მოშინაურდა. დაეხეტება დუქნიდან დუქანში. ხელოსნებს უყვართ. ზამთრობით ხაბაზებს მიეკედლება ხოლმე და გააქვს თავი.

ყვითელსვიტერიან გოგონას ვერა და ვერ ეპატიებინა დედა

ყარყატისათვის ასეთი გულქვაობა:

— შესლა დედა ყარყატი ასეთი გულცივია? სად იყვნენ
მამა ყარყატი, და-ძმები? რატომ არ დაუშალეს?

გოგონა, ყარყატთან სურათის გადაღება რომ უნდოდა,
გაკაწრული თითიდან სისხლს იწოვდა, თან თავისთვის
ლაპარაკობდა:

— რაც მართალია, მართალია, ძალიან შემუცოდა. რომ მცოდნოდა,
არ გამოვეკიდებოდი. აკი ალაპიც არ შემეწია და არ დამაჭერინა?!
ყარყატი კი ამ დროს მედიდურად დასეირნობდა სასტუმროს
კედლის გასწვრივ. თითქოს, ეს საუბარი მას არ ეხებოდა. ისე
ეჭირა თავი, იფიქრებდით, რომ უნდოდეს, უთუოდ გაფრინდება,
მაგრამ თუ არსად მიფრინავს, მხოლოდ იმიტომ, რომ არცა. აქვს
ამის სურვილით. წინ კატამ გადაუარა. ყარყატმა ქედმაღლურად
გადახედა. ამ მზერაში აშკარად იხატებოდა უპირატესობა,
რომელსაც ეს ცით მოვლენილი არსება გრძნობდა უბადრუკი
მიწიერი ქმნილების მიმართ. კატა შიშით აიბურდგლა, შეხტა
ჩარდახზე და მოკურცხლა. ყარყატმა — აქაოდა, კატა დავაფრთხეო
— ამაყად მიაშურა სანაგვეს.

ნელი სიო ოდნავ არხევდა ჭადრის ფოთლებს. სადღაც
ჩიტმა დაიჭიკჭიკა და გაჩერდა. ყარყატმა თავი აიღო და ცას
მიაჩერდა. ჩვენც ავიხედეთ. მაღლა, სულ მაღლა ძლივს გავარჩიეთ
ყარყატი, რომელიც მოტორგამორთული თვითმფრინავით ეშვებოდა
— უხმოდ და სწრაფად. ჩვენს ყრაყატს რომ მოუახლოვდა,
ოდნავ შეარხია ფრთხები და კვლავ ცაში აინავარდა, გაუჩინარდა.
ხეიბარმა ყარყატმა ერთხანს თვალი გააყოლა, მერე ისევ სანაგვეს
მიუბრუნდა და დაწყებული საქმე განავრძო.

წუთსაც არ გაუვლია, ერთი ბავშვი აყვირდა:

— შეხედეთ! შეხედეთ!

იგივე ყარყატი ნელა ეშვებოდა ციდან. დაეშვა, დაეშვა, ისე
დაბლა ჩამოვიდა და ისე ახლოს გადაუქროლა თავზე ჩვენს
ხეიბარს, მგონი შეეხო კიდეც.

ამ დროს წარმოუდგენელი ამბავი დატრიალდა: ეს გაქუცული
ყარყატი აწრიალდა, აფაფხურდა, თითქო აფრენას ლამობდა. ბოლოს

ერთი გაიბრძოლა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შემოკრა ფრთხი და მოსწყდა მიწას. ერთი, ერთნახევარი მეტრით კიდევაც აიწია, მაგრამ მაშინვე ქვასავით წამოვიდა, მარცხენა გვერდზე დაქარცხა და ნაგვის ორმოში გადავორდა.

სუნთქვაშეკრულნი თვალს ვადევნებდით მის ვარდნას. თქმა არ უნდა, მტკივან ფრთაზე დაცემამ გაამწარა, მაგრამ საჩქაროდ წამოხტა, წელში გასწორდა, ერთი შეიბერტყა, მტკერი დაიყრევინა, რამდენიმე მუჭა ბუმბულიც თან მიაყოლა და, ვითომც აქ არაუერთო, უხმოდ და ამაყად გაეცალა იქაურობას. იმ სტუდენტმა, ლამაზ კბილებს რომ იჩიჩქნიდა, ჩაილაპარაკა:

— შეხედეთ, როგორ ააცუნცრუკა ეს ბებრუხანა იმ დედალმა ყარყატმა.

ჩოფურა მეყავემ წყორმით გაჰქედა მიმავალ ყარყატს:

— საქმე გააკეთა და გასამრჯელოც მიიღო! სულ ასე სჩადის ეს უნამუსო, ესა! ვითომ არ იცის, რომ ვერ აფრინდება! ხალხი დაინახა და წამომიწყო ოინები, იფიქრა, თავს შევაცოდებო. აკი კიდევაც უმასპინძლდებიან გოგონები! უწინ ასეთი როდი იყო. რაც ამ ხელოსნებს დაუმმაკაცდა, სულ ხელიდან წავიდა.

ეს ჩოფურა მეყავე დროული კაცია, მაგრამ შოფურს მასზე უკეთ სცნობია ყარყატი: — „თავს შევაცოდებო“, რა სათქმელია! ყარყატი ერთი ამაყი ფრინველია და უმაღ სიკვდილს ამჯობინებს, ვიდრე თავს შეაბრალებს ვისმე. სირცხვილია, ღმერთმანი, რა იოლად მივაწერთ ხოლმე ადამიანები სხვა სულდგმულთ ჩვენს ნაკლს.

— ოინები რა შეაშია? იქნებ, ის ყარყატი იცნო და იმიტომ მოუნდა აფრენა? ეგბ, სულაც დედამისი იყო, ან მმა, რომელიც მაშინ ბუდეში დარჩა? — თქვა იმ გოგონამ, ყარყატთან სურათის გადაღებას რომ აპირებდა.

— არა, დედა როგორ იქნება? — არ დაეთანხმა ყვითელსვიტერიანი გოგონა, ახლახან დედა ყარყატის გულქვაობაზე რომ ლაპარაკობდა, — მას დედაშვილური გრძნობის ნატამაღიც რომ გააჩნდეს, საკუთარ ბარტყეს ბუდიდან როგორ გადმოაგდებდა?

კორპისქუდიანმა დოცენტმა წკიპურტით მოიცილა მუხლზე

აცოცებული ხოჭო, წამოდგა და თქვა:

— ერთ მფრინავს ვიცნობ, ოფიცერია, პენსიაზე გასული. წარმოგიდენიათ? ეთაკილებოდა ფეხით სიარული და დარღით ავად გახდა. მართლაცდა, ადვილია, სივრცეში მონავარდე ლალი ფრინველისათვის ასე ეხო-ეზო ხეტიალი?

— გალიაში დაწყევდეული ბულბული, დაჭრილი არწივი... რამდენი ლექსი დაწერილა მათზე! არა, ბატონო ასისტენტო? თქვენ ცოტათი ლიტერატორიც ხომ ბრძანდებით? — მომიბრუნდა მეორე ჯგუფის ხელმძღვანელი პროფესორი, რომელიც ის-ის იყო შემოგვიერთდა.

— დიახ, ბატონო, მართალი ბრძანებაა, — ვთქვი მე.

— თუ არ ვცდები, ბოდლერს უნდა ჰქონდეს ერთი ასეთი ლექსი, — ჩაერია საუბარში მეორე დოცენტი — რა ჰქვია იმ ლექსს?

— "ალბატროსი". მშვენიერი ლექსია, — უპასუხა ფრანგული კოლეჯის სტუდენტმა, გაიხსენა იმ ლექსის რამდენიმე სტრიქონი და იქვე თარგმნა თურქულად.

— მეორე ასისტენტსაც ამ მომენტისათვის შესაფერი რაღაც გაახსენდა:

— ნიცშეს როგორა აქვს? — "ჩემი გონება ამბობს "დიახ", სიამაყე — "არა", პარდონ, "ჩემი გონება ამბობს: "არა", სიამაყე — "დიახ", თუ რაღაც ასეთი... ყარყატის ინსტინქტებიც ასევე ამბობენ: "დიახ", სესაძლებლობები — "არა".

ვერ გეტყვით, ყარყატიც ასე ფიქრობდა თუ არა, არ ვიცი, ნიცშეს უხდიდა ხარკს, თუ ბოდლერს ეთაყვანებოდა, ვერც ის გამიგია, სწორად ვიქცევით, თუ არა, როცა ცხოველებსა და ფრინველებს ადამიანურ გრძნობებს მივაწერთ ხოლმე? ერთი რამ ვიცი: ყარყატს ფრენა არ შეეძლო. რომ შესძლებოდა, სხვა ყარყატებივით იქნებოდა თავის დედალთან გალალებული, არ დამაფიქრებდა თავის ბედზე და არც მოთხოვდას დამაწერინებდა, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ამ შემთხვევაში უფრო ბედნიერი იქნებოდა, რაღაც ყველა სურვილის იოლად შესრულება სიცოცხლეს აზრს უკარგავს.

ის იყო ამის თქმას ვაპირებდი, რომ პროფესორმა პირიდან ჩიბუზი გამოიღო და თქვა:

— კმარა ამდენი ყაფანი, საქმეს მივხედოთ!

გერმანელმა პროფესორმა ქალალდი და კალამი მოიმარჯვა, კარგა ხანს იწვალა, ვერ იქნა და ვერ გამოყო ერთმანეთისაგან აკლდამების გამოსაკვლევად და ჯამების დასათვალიერებლად გასაგზავნი ჯგუფები. ბოლოს, როგორც იქნა, ფეხზე წამოდგა, ჩაახველა და გვარები ამოიკითხა. ორი ჯგუფი შეიქმნა. პირველი გზას გაუდგა, მეორეც წასასვლელად ემზადებოდა.

მე კი იზნიქის ამ შშვენიერ დილას მინდოდა, გულალმა წამოვწოლილიყავი ბალახზე, მეცქირა უძირო, ლურჯი ცისათვის და ოცნებაში დამეხატა ფრინველების გადაფრენა. შემდეგ კი ჭილოფზე ფეხმორთხმულს დაჭრილ ყარყატზე მოთხრობა დამეწერა. მინდოდა, მაგრამ იღლიაში ამოვიჩარე გაბრიელ დიცისა და ორო დორნის წიგნები და უგუნძოდ ავედევნე ექსკურსიას.

იქნებ ასეც ჯობდა. რომ დავრჩენილიყავი, ჩემს თავში უკვე ხორცს ისხამდა დიდი მოთხრობა, რომელშიაც ერთმანეთს ვადარებდი დაჭრილი ყარყატის მძიმე ხვედრსა და ადამიანის ბედისწერას. მოთხრობის ფინალიც მზად მქონდა: "ყოველივე ამათა. ადამიანიც, როგორც არ უნდა ეცადოს, რა სიმაღლეზეც არ უდნა აფრინდეს, ბოლოს მაინც ამ დაჭრილი ყარყატივით დაენარცხება მიწას. ასეთია ჩვენი ბედი — ვიცით, რომ ვერ ავფრინდებით, მაგრამ მაინც ვფაფხურობთ".

დიახ, მე დავწერდი ერთ უხეირო, ცრემლიან მოთხრობას, რომელიც არავის არაფერში სჭირდებოდა, მაგრამ პროფესორმა გამიყოლა და ვეღარ დავწერ. მთელი ის დღე მაჰმუდ ჩელების მეჩეთის კარის წარწერის, იაკუბ ჩელების სავანის შემკულობისა და ხილუფერ ხათუნის ხანაგის კაპიტელის დათვალიერებას მოვანდომე. ხვალ კი ისმაილ ბეის აბანოს განივევთი უნდა ჩავიხატო.

ორი მეზობელი

ვინც საქმის თავიდათავი მიზეზი არ იცის, პეონია, მტრობა ინდაურების გამო დაიწყო. შეცდომაა, მიუტევებელი შეცდომა! ინდარუების საკითხი მხოლოდ ის ერთი წვეთი იყო, რომელმაც ფიალა ააგსო.

სარაილი ხანუმი თითქოს მართალი იყო. გაგონილა, დღისით, მზისით ინდაურები წასხან და მეზობელმა ვერ დაინახოს?

— დაინახა, რასაკვირველია, დაინახა, — ამტკიცებდა სარაილი ხანუმი, — დაინახა, მაგრამ ჯიბრზე ხმა არ ამოიღო.

იფაქათ ხანუმმა ჭურდი მართლაც დაინახა, მაგრამ თვალი მოარიდა, ვითომ არ დამინახავსო, შებრუნდა და შინ შევიდა.

მაგრამ იფაქათ ხანუმს იქნებ ჰქონდა ამ საქციელის მიზეზი? დიახ, იფაქათ ხანუმმა შური იძია თავისი ქათმების გამო. განა სარაილი ხანუმი არ იყო, ქათმის ჭირის დროს განზრახ რომ გამოუშვა ეზოში თავისი ავადმყოფი ქათმები?! მას შემდეგ სამი თვე გავიდა, მაგრამ იფაქათ ხანუმს ჯერაც არ დავიწყებია ეს ამბავი, ანდა როგორ დაავიწყდებოდა, როცა ზედიზედ დაეხოცა ლეგორნის ჯიშის ორგულა კვერცხის მდებელი მშვენიერი დედლები! სწორედ ამიტომაც ახლა ნიშნის მოვებით ამბობდა:

— ძალიანაც კარგი მიქნა, ეგრე მოუხდება, აღარას დავუკლებ,

ამდროულა ქალი ინდაურების მწყემსად დავუდგები. მოუაროს

თავის ქონებას და აღარავინ მოჰპარავს.

თუმცა, როგორც მოგახსენეთ, ინდაურების საკითხი ის ერთი წვეთი იყო, რომელმაც ფიალა ააგსო. სინამდვილეში კი მათ ბედის ვარგსგლავებზე გაჩენის დღიდან ზავი არ წერებულა.

რამდენადაც იფაქათ ხანუმი მუნწია, იმდენად სარაილი ხანუმი ხელგამლილია. ერთი სეჯადედან¹ არ დგება, მეორეს ლოცვა-ვედრება არაფრად ეპიტნავება. თვალ-ტანადობითაც სულ სხვადასხვანაირები არიან: იფაქათ ხანუმი ერთი მოლეული, თხუნელასავით ქალია. სარაილი კი — მაღალი, ტანადი, სურმით

1. პატარა ნოხი, რომელზედაც იჩოქებენ მუსლიმები ლოცვის დროს

თვალებმოხატული – ძველი დროის ჩერქეზის ქალს მოგაგონებო. იფაქათ ხანუმი ხედავდა, რომ მისი ახალი მეზობელი ჯანმრთელი ქალი იყო, არც რევმატიზმი აწუხებდა, არც წელკავი (თუმცა ერთი ასაკისანი იყვნენ) და შურიო გულზე სკდებოდა. სარაილი ხანუმს კი ის შურდა, რომ იფაქათს, ამ უბრალო წრის ქალს საკუთარი სახლი ჰქონდა. თავად კი კარიდან კარზე დაეხეტებოდა და მუდამ ბინის ქირას იხდიდა.

როცა სარაილი ხანუმი მათ მეზობლად გადმოვიდა, იფაქათ ხანუმი ეახლა და ახალმოსახლეობა მიულოცა. სარაილი ხანუმმა კი დარბაზობით არ უპასუხა. ასე სჩვეოდა: ყველას როდი უყადრებდა თავს. არც მაღავდა თავის სიძულვილს იმათ მიმართ, ვინც სასახლის კარზე არ გაზრდილიყო. უბრალო ხალხს „ქალაქელებს“ ეძახდა, და დასცინოდა. ახალი რეჟიმის დაუძინებელი მტერი იყო, ძველ დროს მისტიროდა და წამდაუწუმ იმეორებდა: თავი ფეხებად იქცა და ფეხები თავადო. ის კი არადა, ზოგჯერ ჩვენს ლიდერებსაც უკადრისად იხსენიებდა: მათი უდიდებულესობა ეს ჩვენი უნახავისშვილებიო, – იტყოდა ხოლმე.

ასეთი შეხედულებების პატრონი, რასაკვირველია, თავს არ გაუყადრებდა იფაქათ ხანუმს – უბადრუკი მეკარის ცოლს.

იფაქათ ხანუმი ერთი უპრეტეზზიო ქალი იყო, მეზობლის კუდაბზიკობა თვალში არ მოსდიოდა და ზურგს უკან კიდეც კიცხავდა:

— ნეტავი რას იპრანჭები, შე დამთხვეულო, დიდი ამბავი, თუ სულთან რეშადს ხელებს აბანინებდი. ყურები წაიღო: „სასახლეში ასე ვჭამდით, სასახლეში ასე ვერთობოდით!“ წავიდა, ხანუმ, ის დრო. ახლა სხვაა, ახლა რესპუბლიკა!

მაგრამ იდეოლოგიური საკითხი ამ სხვადასხვა მსოფლი-მხედველობის ადამიანთა დაძაბული ურთიერთობის მხოლოდ ერთი, მეორეხარისხოვანი მიზეზი იყო. მათ სიძულვილს უფრო რთული და ღრმა საფუძველი ჰქონდა. მე მგონი, მათ შორის apriori არ სებობდა შური და ამიტომ ყოველდღიური ცხოვრების წვრილმანებში გულის მოსახებელ საბაბს იოლად პოულობდნენ. მაგალითად: სარაილის ბაღში დიდი ლელვის ხე იდგა. იფაქათ

ხანუმს კი მხოლოდ ორი კომშის ხე ედგა. თითქოს ჯიბრზე, იფაქათ ხანუმს ქრონიკული კუჭშეკრულობა ჰკლავდა და კომში არ ეჭმებოდა. ექიმმა ურჩია, უზმოზე ლელვი ეჭამა და ახლა, როცა ხედავდა, როგორ იდგა სარაილი ხანუმი თავისი ხის ქვეშ და ლელვს შეექცეოდა, გულზე სკდებოდა, თითქოს კარგად მყოფს ლელვის ჭამა აკრძალული ჰქონდეს.

— ჯიბრზე აკეთებს, გეუბნებით, ჯიბრზე აკეთებს, — ამტკიცებდა იგი.

— გეჩვენებათ, იფაქათ ხანუმ, ჯიბრი რა შუაშია, ქალი თავის ბაღში თავის ხილს შეჭამს, მაშ რას იზამს. თქვენც ნუ შეხედავთ, ყურადღებას ნუ მიაქცევთ, — ვამშვიდებდი მე.

საბრალო ქალი მორჩილად მისმენდა, მიჯერებდა და ერთორ დღეს მოსვენებული იყო. მაგრამ მერე ისევ განჩდებოდა რაიმე საბაბი და ყიამეთი ატყდებოდა. მეც რა მექნა, სულ დარავად ხომ ვერ დავუდგებოდი?!

როცა იფაქათ ხანუმს ვაშიშმინებდი, ჰაჯი ბეი, ღმერთმა მშვიდობა მისცეს, სარაილი ხანუმის მოთვინიერებას ცდილობდა: — ქალბატონებო, ნუ ჩხუბობთ, ნუ კადრულობთ, არ არის მოსაწონი უთანხმოება მეზობელთა შორის.

მაგრამ აკი მოგახსენეთ, სარაილის ასე იოლად ვერაფერს შეასმენდით. ინდაურების საკითხმაც სწორედ მაშინ იფეთქა, როცა ცივი ომი მიმდინარეობდა. იგი ჰგავდა ორ დიდ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტას, როცა ეს სახელმწიფოები ომის მიჯნაზე დგანან და საზღვრებოან დაკავშირებულ უმნიშვნელო საკითხს განხეთქილების საბაბად იყენებენ.

ომი კი მოახლოებულ არჩენებამდე, თოთხმეტ მაისამდე, რამდენიმე კვირით ადრე დაიწყო. იმ დილას იფაქათ ხანუმს პამიდვრის ნერგები მოერწყა, საადრეო კიტრები დაეკრიფა და ბალიდან ბრუნდებოდა. ამ დროს დაინახა, რომ სარაილი ხანუმსა კიბეზე ჩამოირბინა. ხელში გაზეთი "ჯუმკურიეთი" ეჭირა.

სარაილი ხანუმი და ასეთი სირბილი? სარაილი ხანუმი და გაზეთი? წარმოუდგენელი ამბავია! იფაქათ ხანუმმა, ჩემი არ

იყოს, იგრძნო, რომ აქ რაღაც იმალებოდა. საკითხიც მაღლე გარიკვა: სარაილი ხანუმის სიძე, ლიცეუმის დირექტორი, აღმოსავლეთის რომელიდაც ვიღაცეთს¹ სახალხო პარტიის დეპუტატად წამოეყენებინა.

ამის გამგონე იფაქათ ხანუმი მთლად გალურჯდა, ცხვირ-სახოცი კბილებით დაგლიჯა, დააღო პირი და მოჰყვა ლანძღვა-გინებას. ეს საცოდავი, ღვთისმოშისი ქალი მთელი ათი წუთი მძვინვარებდა და ბობოქრობდა. რა სიტყვები არ დახარჯა! ავსიტყვაობაში მასთან ეროვნული პარტიის ლიდერებიც კი ვერ მოვიდოდნენ.

— რაო, ქვეყანაზე კაცი გაწყდა? — ყვიროდა გამწარებული, — სახალხო პარტიის ლიდერებს თავის ნაცვლად ბოლოკი ადგათ? სარაილის სიძეც ფადიშაპის მომხრე იქნება. ახლავე უნდა წავიდე და პოლიციას შევატყობინო.

— დამშვიდდი, იფაქათ ხანუმ, თავს გაუფრთხილდი, ხომ იცი, მაღალი წნევა გაქვს, მოკვდები, — ვეუბნებოდი მე.

— გაჩუმდით დეიდა, არავინ გაგიგოთ, თორებ პენსიას მოგიხსნიან, — აფრთხილებდა ნათესავი ქალი, მაგრამ იფაქათ ხანუმს აღარაფერი ესმოდა, მეგონა, სულს გააფრთხობდა, მაგრამ რა სათქმელია, მეორე დილას ისევ თავიდან დაიწყო.

მოკლედ, საქმე გაიჩინა: კარდაკარ, ქუჩა-ქუჩა დადიოდა და ყველას ეხვეწებოდა:

— შვილებს გაფიცებთ, თქვენი ქმრების სიცოცხლეს, თქვენი მამების მზეს, ნუ მისცემთ ხმას სახალხო პარტიას!

ისე შემოსწყრა სახალხო პარტიას, რომ როცა ისმეთ ინენუს თეთრმა მატარებელმა ჩაიარა და მთელი ერენქოის ბაყლები და ნოქრები გარეთ გამოეფინენ, ფანჯარასთანაც კი არ მისულა, სამზარეულომში ჩავიდა და ნივრის რჩევა დაიწყო.

ამ დროს კი სარაილი ხანუმი ვარდივით იფურჩქნებოდა. ახლა უკვე "უნახავისშვილების" თავგამოდებული დამცველი გახდა.

არჩევნები ახლოვდებოდა და მეზობლებიც აძლიერებდნენ

1. მსხვილი ადმინისტრაციული ერთეული ძვ. თურქეთში.

თავიანთ პროპაგანდისტულ მოღვაწეობას.

მოთმინებით ველოდით, რით გათავდებოდა საქმე, რომ ერთ ხუთშაბათ დილას საბრალო იფაქათი შინ უგრძნობელი მოიტანეს. სისხლი გამოუშვეს, ნემსი გაუკეთეს, არაფერმა უშველა. ექიმმა კვება მოიფხნას:

— დაიბარეთ სტამბოლიდან ამისი მონაგარიო, — თქვა და წავიდა.

მთელ დღეს სასოფლოთან ვუსხედით. საღამო ხანს თვალი გაახილა და იკითხა:

— გავიდა?

— ვერა, — ვუპასუხე, — ვერ გავიდა. სახალხო პარტია მთლიანად გააშავეს.

და თქვენ წარმოიდგინეთ, ბატონებო, ამ ორმა სიტყვაშ გააკეთა ის, რაც ვერც ექიმმა შეძლო და ვერც წამალმა.

სამ დღეში ფეხზე იყო.

გარწმუნებთ, დემოკრატიულ პარტიას ასეთი უჩინარი ქომაგებიცა ჰყავს. თანაც იფაქათ ხანუმი ერთი უანგარო ქალია — ფიქრადაც არ მოსდის, ამ სამსახურისათვის გასამრჯელო მოითხოვოს. მთავრობას დეპუტატობას არ ედავება და მინისტრობას. არც სტრასბურგის საბჭოზე უჭირავს თვალი და არც სტამბოლის მუნიციპალიტეტის წევრობაზე. მისი სურვილი ერთ ფურცელ ქაღალდს არა სცილდება. ამ ქაღალდს დემოკრატიული პარტიის შტაბი უნდა ამშვენებდეს და ორიოდე სტრიქონი წარწერა იფაქათ პანუმის დამსახურებას აცნობდეს მკითხველს.

ეს ქაღალდი ფოსტალიონმა მთელი უბნის დასანახად უნდა გადასცეს მას. იფაქათ ხანუმი ქაღალდს ეზოშივე გახსნის და მედიდურად გაპხდავს სარაილი ხანუმის სახლს.

ეს არის და ეს. იმედი მაქვს, დემოკრატიული პარტიის მოღვაწენი ამ წყალობას არ დაამადლიან. ვიცი, მათ ამჟამად აღარ სჭირდებათ იფაქათ ხანუმის ლოცვა-კურთხევა, მაგრამ კაცნი ვართ, ერთი დღეც იქნება...

ბანდოს დასტაში

ბანქოს დასტაში ყველაზე ძალიან ის ქაღალდი მიყვარს, ზედ რომ The Jolly Jocker აწერია და ქარაფშუტა, ცოტათი ჯაბაზი თუ გრძნეული, მაგრამ მხიარული, სიცოცხლით სავსე, სიმპათიური ყმაწვილი ახატია. რა საწყენია, რომ ჯოკერს ქანასთას, ჭუმქანსა და რემის გარდა არც ერთ თამაშში არ იყენებენ. არადა, როგორ ელუერს, დინამიურობასა და ხალისს შესძენდა მათ!

Jolly Jocker იქით იყოს და, დასტაში ყველაზე პატივცემული ქაღალდები ხომ ტუზებია, თუმცა მე ისინი სულაც არ მეპიტნავებიან და ამის გამხელა არც მეთაკილება. ალბათ, იმიტომ, რომ ტუზი არასრდეს ვყოფილვარ და არც ვიქნები.

რაც მართალია, მართალია, ოთხივე ტუზს მეფური თვითკმაყოფილება და ფადიშაპური ქედმაღლობა მოსავს. ზოგიერთ დასტაში ხომ ისე იჯხორებიან, ნუდარ იტყვით.

ყვავის ტუზს უბედურების მომასწავებელი რაღაც ახლავს. თქმა არ უნდა, მისი სასახლის კარზე არაერთი შავბნელი ინტრიგა იხლართება. ვინ იცის, იმავე სასახლის მიწისქვეშა დილეგებში ყოველღამ რამდენი თავი გორდება მიწაზე.

ჯვრის ტუზი ბიზანტიის უფლისწული მგონია.

ამათზე მეტად ჩვენ გულის ტუზი გვენათესავება. იგი ნამდვილად ოსმანთა დინასტიის წარმომადგენელია.

აბა, კარგად დააკვირდით აგურის ტუზს, თუ ნამდვილი სელჩუკი სულთანი არ იყოს! – ნატიფი, მოხდენილი, თავაზიანი. თითქოს ჯიბრზე, სწორედ მისთვის დაუტყეპებიათ სახელმწიფო დამღა. თუმცა ეს დამღა ვერას აკლებს მის დიდებულ იერს. პირიქით, კდემასა და მომხიბვლელობას მატებს.

სურათებიანი ქაღალდებიდან – ყველას აგურის ქალი მირჩევნია. ხორცსავსე, თეთრი გოგონაა. უნივერსიტეტს ვინ ჩივის, საშუალო სკოლა ძლიერდლივობით დაამთავრა. ლიცეუმზეც კი არ უფიქრია, მაგრამ სხვა სიკეთე აქვს – იცის ჭრა-კერვა, ქარგვა, ქსოვა: მოკლედ, ძალიან მარჯვეა, მთელი ოჯახია და ის.

მართალია, გოგობაში უბნის ბიჭებთან მიმოწერა პქონდა, მაგრამ რა მოხდა? ბავშვური თავქარიანობა იყო. აი, თუ გათხოვდა, უბადლო ცოლი იქნება. დარწმუნებული ვარ, ქმარს ბრძული მუსაიფით თავს არ შეაწყენს. ეგეც არ იყოს, ასეთი ქალები კარგი დედები დგებიან ხოლმე. მეტი რაღა გინდათ?

თუ ამ ქალს შეირთავთ, თქვენი ცოლისძმა, აგურის ვალეტი იქნება — ზრდილი, თავაზიანი და მოკრძალებული ყმაწვილი. მათი მამა, აგურის პაპა, კეთილი, გულლია კაცია. კარგი ანგლოტები იცის და, როცა ყვება, ყველაზე მეტს თვითონ იცინის. თუ ძალიან გამხიარულდა, მოსაუბრეს მხარზეც დაჰკრავს ხოლმე ხელს. უბრალო, ალალი ხალხია. სწორედ ასეთ ოჯახში მინდა დასიძება.

რაც შეეხება ჯვრის ქალს, უფრთხილდით! მისგან ათასი ვერაგობაა მოსალოდნელი. ასეთი წენარი და გულუბრყვილო რომ ჩანს, არ მოტყუვდეთ! ნეტავ იცოდეთ, რა თვალთმაქცია, რა კახპა! ქალალდზე რომ ხედავთ, ეს მისი საზეიმო პოზაა. ამ უცოდველი კრავის გამომეტყველებას მაშინ იღებს, როცა სურათის გადასაღებად მიდის, ანდა კვირა დღეს, ეკლესიაში როცა მობრძანდება.

ისე კი, უბნის ჭორებს თუ დაგუჯერებთ, თურმე რაღას არა კადრულობს ყვავის ვალეტთან. უცხო ხალხში კი თავი ისე უჭირავს თითქოს ბუზიც არ აფრენოდეს.

ჯვრის ვალეტმა მშვინივრად იცის თავისი დის კაიქალობა, მაგრამ ხმას არ იღებს. სამაგიეროდ დაც ყომარის ვალებს უხდის და არ ამხელს, როცა მას შინიდან რაღაც-რაღაცები გააქვს და ყიდის. მათი მამაც კარგი ძალია. ამდროული კაცი ისევ ავხორცობს და ყომარბაზობს. ერთი დღეც არ ყოფილა ფხიზელი.

მოკლედ, ერთმანეთს ვერაფერს წამოსძახებენ.

გულები არისტოკრატთა ოჯახია. კარგი ცხოვრება აქვთ გამოვლილი. მერე რა, რომ ახლა, ცოტა არ იყოს, დაქვეითდნენ! მათ მამას დიპლომატის პოსტი ეკავა. თუ არ ვცდები, კონსულიც კი იყო. ძველებური, სტამბოლური — მაღალფარდოვანი და გარითმული თურქელით მუსაიფობს. ძიძებისა და მაღმუაზელების ხელში განებივრებული მისი ასული ხუთი წელია, ინგლისური ფილოლოგის ფაკულტეტზე სწავლობს და ჯერაც არ

დაუმთავრებია. ვერც დაამთავრებს. დილიდან დაღამებამდე საბაყლოში ჰა-ჰა-ჰა, ჰი-ჰი-ჰი-ს უნდება, საღამოს კი ყმაწვილებთან ერთად კინოში დაბრძანდება შვიდისნახევრიან სეანსზე. მისი ძმისას თუ იკითხავთ, ერთი შეწვით, მეორე წასცხეთ – ისიც ფერებაში გაზრდილი, ჩიტის რძით გამოკვებილი ფუნთულა, უწვერული, გოგოსავით ლამაზი ბიჭია. საუკეთესო სასწავლებლებში მიაბარეს, მაგრამ არ ისწავლა. ახლა ვიღაც გზასაცდენილ ტიპებს გადაჰყრია. ღმერთმა იცის, იქნებ ჰეროინსაც ეწვეა. ისეთი ამღვრეული თვალებით იყურება, კარგი დღე არ უნდა ადგეს.

ასეთ კეთილშობილ მამას რომ ასეთი უგვანო შვილი გამოუვა, ძალიან საწყენია, ძალიან საწყენი.

ყვავები ერთი სომხური ოჯახია. გედიქფაშაში¹ ცხოვრობენ. მამა კათოლიკე მღვდელია. ხავერდოვანი ბას-ბარიტონი აქვს. ვაჟი მაპმუდფაშაში² გალანტერიით ვაჭრობს. ზემოთ მოგახსენეთ მისი და ჯვრის ქალის ონები. უფროსი და – ყვავის ქალი – შავგვრემანი, შავთვალწარბა ქალია. საკმაოდ ტემპერამენტიანია და ლამაზი, მაგრამ რა გამოვიდა? სულ ლოცვა-ვედრებაშია, მეტისმეტად ღვთისმმოსავია. გულზე ჯვარი ჰქილა, ერთი წუთით არ იშორებს. რომ გაიგოს თავისი ძმისა და ჯვრის ქალის ამბავი, სირცხვილით დაიწვება. ისეთი "წმინდანია", ოდნავ ეროტიკული სიზმარი რომ ნახოს, უთენია აბაზანას მიიღებს, განიწმინდება, დაითრგუნავს ხორცს და ცოდვების მოსანანიებლად ლოცვად დადგება. არცთუ ახალგაზრდაა, ორმოცი-ორმოცდახუთი წლისა იქნება. ელოდება ბედს – ვინმე სერიოზულ, დირსეულ კაცს. ღმერთმა ხელი მოუმართოს³.

1. სტამბოლის უბანია.
2. სტამბოლის უბანია.
3. ყვავის ქალს ლიტერატურაში სახელი აქვს გატეხილი, – თავაშვებული, გაქნილი, ოჯახების დამანგრეველი ქალიაო, მაგრამ ნუ დაიკერებთ, ცილის წამებაა. თუ მისი სათნო სახის მიხედვით იმსჯელებთ და ყურადღებას არ მიაქცევთ იმას, რომ ჩვენს ქაღალდებზე მისი ნომერი ჯვრის ნომერს ემთხვევა, უეჭველად დამეთანხმებით (ავტორის შენიშვნა).

სურათებიანი ქაღალდების შემდეგ პირველად აოიანები და ცხრიანები უნდა ვახსენოთ. უსურათო ქაღალდთაგან მხოლოდ მათ აქვთ მნიშვნელოვან თამაშებში მონაწილეობის უპირატესობა. სწორედ ამიტომ აწერია მათ გარევნობას გულუბრყვილო მედიდურობა და ბრიყვული ამპარტავნება. ამიტომაც, მოდით, მათ მდაბიოთაგან დაწინაურებული ვეზირები ვუწოდოთ.

ცხრიანებს რაღას ვეტყოდით?

ესენი იმასაც სჯერდებიან, რომ არისტოკრატ ქაღალდებს ემსახურებიან. არისტოკრატი ქაღალდები ცხრიანებს დიდად არად მიიჩნევენ, მაგრამ თავიანთთან თამაშის ნებას აძლევენ და ამით სხვა ქაღალდებისაგან გამოარჩევენ. ჰოლა, მართალი ვიქებით, თუ ცხრიანებს სასახლის კარისკაცებად ან მსახურებად ჩავთვლით. ისინიც ხომ თავს მიწამდე იხრიან თავიანთი ბატონების წინაშე, ხალხს კი სასახლის რიკულებს მიღმიდან ცხვირაბზეკით გადმოჰყურებენ.

დაბოლოს, ჯერი მიდგება ექვსიანებსა და მათ მომდევნო ქაღალდებზე. დიდებულ ბეზიქსა და პოკერზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ისინი ისეთ უბადრუკ თამაშშიც კი არ მონაწილეობენ, როგორიც მზარეულობანაა. უმწეონი და საცოდავნი თამაშს შორიდან უთვალთვალებენ. შეტყვით, ფინაქლსა და ქანასთაში ხომ თამაშობენო. მერედა, ამას თამაში ეთქმის? ეს უბედურები იშვიათად თუ შემოიძურწებიან ბრწყინვალე კოზირების საჯირითო მოედანზე და მაშინაც სხვებს ფეხებში ედებიან, ხელს უშლიან, ყველა თავში უტყაპუნებს, მუჯლუგუნებს სთავაზობს.

ასეთ მონაწილეობას, სათამაშო მაგიდის მწვანე მაუდზე მსართებოზე წამოწოლას ვამჯობინებდი. ერთი სიტყვით, ეს ქაღალდები ბანქოს დასტის პარიებია¹. მათ არსებობას ერთი მიზანი აქვს – სხვა ქაღალდებს ზემოთ ასასვლელ საფეხურებად გამოადგნენ. თუ ქვედა საფეხური არ იქნა, ზედა საიდან იქნება?

ყოველთვის მაწუხებდა ექვსიანებისა და მათი მომდევნო

1. ინდოეთის ერთ-ერთი უდაბლესი კასტის ადამიანი, მოკლებული ყოველგვარ ადამიანურ უფლებას.

ქაღალდების ასეთი უნუგეშო მდგომარეობა. ესეც არ იყოს, ქაღალდის დასტაში გამეფებული ეს ფეოდალური თვითნებობა როგორ შევაგუოთ ადამიანის უფლებათა დეკლარაციას?

პოდა, ბანქოს სპეციალისტად როცა ვითვლებოდი, ვცდილობდი, გამომეცონებინა ახალი თამასი, რომელიც ამ ქაღალდებს პარიების მდგომარეობიდან იხსინდა, თანასწორუფლებიანობას მიანიჭებდა. ამით ბანქოს დასტას აიძულებდა, აჰეროლოდა ჩვენი ეპოქის დემოკრატიულ ფეხის ხმას. ვფიქრობდი, ისეთ თამაშს უნდა მივაგნო, რომელშიც ტუზები თავიანთ ჭეშმარიტ მნიშვნელობამდე – ერთიანებამდე დავლენ, ხუთიანები შეძლებენ ქაღების გაჭრას, ოთხიანები – ვალეტებისას და რომელიმე საცოდავი სამიანი ოთხივე პაპას წამოიკიდებს-მეთქი.

მაგრამ არაფერი გამოვიდა, ბატონებო.

ტუზების ყალბი ამპარტავნობა – აქაოდა, ჩვენა ვართ, რაცა ვართო, პაპების მედიდური იერი, რომელსაც მათ აძლევს გრძელი წვერი, კვერთხი და ხაჯახი, შიშის ზარსა სცემს ამ უხეირო, ცინგლიან, მოლეულ ქაღალდებს, საცოდავები ხელის აღმართვას ვეღარ ბედავენ.

რაც გინდათ დაარქვით ამას – თავდაცვის, სიმხდაბლისა თუ სიმდაბლის კომპლექსი, მაგრამ ვერაფერს ხდებიან – ხელიდან არ გამოუდით.

რა დღესაც ამაში დავრწმუნდი, იმ დღიდან უარი ვთქვი ახალ თამაშებზე, ძველებზეც ხელი ავიღე. ახლა პასიანსს და ვშლი. ისიც იმიტომ, რომ იქ ყველა ქაღალდი თანასწორუფლებიანია.

ოთხენი მრთველი კატერზე

ელნათურის მკრთალი შუქით განათებულ გემბანზე ოთხნი იყვნენ: ქერათმიანი ქალი, ნედლი ხორცის სუნით გაუღენთილი ყასაბი, მელოტი პროფესორი და პირში ჩიბუხგაჩრილი ყმაწვილი. ოთხთავეს უკანასკნელ გემზე დაპგვიანებოდათ. საჩქაროდ გადაუხადეს კატერის ნამძინარევ კაპიტანს ხუთ-ხუთი ლირა და გემბანზე ავიდნენ.

ახლა, როცა კატერი მიქროდა და მიაპობდა ჩამუქებულ წყალს, ქერა ქალს ფეხი ფეხზე გადაედო, უდარდელად აბოლებდა სიგარეტს და ბოლს მედიდურად უერთებდა დამის გრილ სიბნელეს. შავგვრემან ყმაწვილს ქალის მუხლის-თავებისთვის დაედგა თვალი, ფიქრით კი იმ ქალთან იყო, წელან ბარში რომ დასცილდა. პროფესორს ის სტატია უტრიალებდა თავში, ახლახან ტრამვაიში რომ წაეკითხა, ყასაბი კი ნუშს შეექცეოდა და თან ახალ ფაქტურაზე ფიქრობდა: „ყარამანი რომ ასორმოცდაათ ლირას ითვლევინება, კიდევ ჰო, მაგრამ ამ დაღლაჯის რაღა მოეპრიანა, რომ მოუწერია, ასოთხმოცი ლირაო“.

ბნელი ღამე იყო, ცაზე ვარსკვლავები არ ჩანდა. ზღვა ოდნავ ირხეოდა. პატარ-პატარა ტალღები დროდადრო ეხეთქებოდა გემბანს და მუშამბაგადაკრულ სკამბზე წვრილ შხეფებად იმსხვრეოდა. კატერმა უკან მოიტოვა მოდა, ქალამიში და გეზი უფლისწულის კუნძულებისაკენ აიღო.

ქერა ქალს შესცივდა. ადგა, აფრიალებული კაბის კალთები ხელით დაიჭირა და კაიუტისაკენ წავიდა. მაგრამ, შევიდა თუ არა, თავბრუ დაესხა: კაიუტაში დამწვარი ბენზინისა და განურებული რკინის სუნი იდგა. ქალმა სარკმელი გამოაღო, დაჯდა და ახალ სიგარეტს მოუკიდა. ჩამლიჯას მაღლობიდან ცას დროდადრო სერავდა ორი პროფესორი. ქერა ქალმა თვალი გააყოლა პროფესორის სხივს. ფიქრებში წავიდა.

ერთბაშად გვერდით ციცინათელამ ჩაუქროლა. ცოტაც და, უამრავი ციცინათელა მიჰყვა ერთმანეთს. ქალი უაზროდ მისხერებოდა ამ საოცარ არსებებს, კუპრივით შავ წყალში რომ იძირებოდნენ. მაგრამ უცებ კვლავ ეცა გავარვარებული რკინის სუნი და დამდუღრულივით წამოხტა. კაპიტნის კაიუტის ღრიჭოდ დარჩენილი კარიდან გვამლის თხელი ჭავლი გამოდიოდა. ქალმა სახელური მოსწია, კარი გაიღო, კაპიტანი და მეზღვაური ჩაცუცქულიყვნენ და ოფლში გახვითქულნი რაღაცას წვალობდნენ. ქალს თავზარი დაეცა და კივილით გარეთ გაიჭრა;

— ვიწვით, გვიშველეთ, ვიწვით!

თვალის დახამხამებაში გემბანზე ყველაფერი აირია. ქალმა კაიუტის კარი ლიად დატოვა. გამოვარდა კვამლი, იქაურობა დაიფარა. თვალთან თითს ვერ მიიტანდი. გაოგნებულ ყასაბს მინდერი¹ ჩაებლუჯა. პროფესორს მოესწრო და ერთადერთი მაშველი რგოლი კისერზე ჩამოეცვა. ქერა ქალი კი ჩაბლაუჭებოდა ყმაწვილს, რომელსაც შიშით ჩიბუხი გავარდნოდა.

— მიშველეთ, გადამარჩინეთ, მე ცურვა არც კი ვიცი, — ევედრებოდა.

— არც მე ვიცი, — აკანკალებული ხმით ჩაიბურტყუნა ყმაწვილმა, მაგრამ ტყუოდა, ისეთი ცურვა კი იცოდა, ნახევარ საათს გაეძლო წყალზე, ოღონდ მარტოს.

იმედგაცრუებული ქალი ახლა ყასბისაგან ელოდა შველას, მაგრამ ის ხელაპყრობილი ღმერთს ევედრებოდა, ამ ხიფათს გადამარჩინე და სამ ცხვარს დაგიკლავო.

ყველაზე უმწეოდ პროფესორი გამოიყურებოდა. სულ ცოტა ხნის წინ კი გმირად მოჰქონდა თავი. სწორედ ამ დილას, ლექციაზე, სოკრატე ახსენა: — სოკრატე სიცოცხლეს არად აგდებდა, თუმცა ჭეშმარიტი ფილოსოფოსისათვის ეს იოლი საქმეა, მეც დიმილით შევხვდებოდიო სიკვდილს. ყველაზე

1. ვიწრო, მოგრძო ბალიში, იატაკზე დებენ და ზედ სხდებიან.

საოცარი ის იყო, რომ ამაში სტუდენტებიც დააჯერა და
თავისი თავიც.

ქალი უკვე მეზღვაურს ეკვროდა ბანჯგვლიან მკერდზე:

— თუ ღმერთი გწამთ, ნუ დამტოვებთ, გეხვეწებით, არ
მიმატოვოთ!

ამ დროს კატერის კიჩოდან კაპიტნის ხმა მოისმა:

— თქვენ, ეი, რა ამბავში ხართ მანდ, რას წრიალებთ,
კატერი არ გადააძრუნოთ!

ამ უხეშ ნათქვამში რაღაც დამამშვიდებელიც იყო: იქნებ,
კიდეც ჩააქრეს ხანძარი? ალბათ, ჩააქრეს. უეჭველად ჩააქრეს,
თორემ კაპიტანი ამათ დასატუქსავად ვერ მოიცლიდა. არც
მეზღვაური გადაღვრიდა მათარაში ჩარჩენილ წყალს.

— ეს რა ხალხს გადავეფარეთ, — ბუზღუნებდა კაპიტანი.
პროფესორმა სამართლიანად ჩათვალა კაპიტნის წყორძა.
საყელო გაისწორა, ჩაახველა და ის იყო, უნდა ეთქვა, მართლაც,
რა პანიკა, ბატონებო, დავწენარდეთო. დიახ, დააპირა, მაგრამ
კიდევ კარგი, არა თქვა: მაშველი რგოლი ხომ ისევ კისერზე
ეკიდა!

ძრავამ ერთხანს ითუხთუხა, რამდენჯერმე ჩაქრა, ბოლოს
მხიარულად ამუშავდა, კაპიტანი კაიუტაში შებრუნდა. თან
გულიანად შეუკურთხა წყეულ კატერსაც და ამ ხმაურიან
მგზავრებსაც. თუმცა, მგზავრებს ეს არაფრად ჩაუგდიათ:
რამდენიც უნდათ ლანბლონ და აგინონ, თუნდა სცემონ კიდეც.
ხომ გადარჩნენ და!

მეზღვაური განზე გამდგარიყო და ხალათის სახელოთი
ოფლს იწმენდდა. ჩანდა, კაპიტანზე მეტი ჯაფა მას დასდგომოდა.

რამდენიმე წუთში ყველაფერი მიწყნარდა. ქარძა გემბანიდან
კვამლი და სიკვდილის შიში ერთად გადარეკა.

ელნათურის მკრთალი შუქით განათებულ გემბანზე კვლავ
ოთხნი იყვნენ, თავ-თავის ფიქრში გართული ოთხი კაცი.

ქალი თითქმის დამშვიდებულიყო და, ალბათ, სიგარეტსაც

გააძლევდა, მაგრამ ხელები უთროთოდა. პროფესორი თავის ფუნთუშა ცოლსა და ლოფაწითელ შვილებზე ფიქრობდა. აქამდე არასოდეს უგრძვნია მათ მიმართ ასეთი სიყვარული. ყასაბს კი თავისი სადარდებელი გასჩენდა: რა ექნა, როგორ მოეტყუებინა საკუთარი სინდისი და როგორ შეეწირა ღმერთისათვის ორი ცხვარი შეპირებული სამის ნაცვლად. მაგრამ მალე იპოვა გამოსავალი. ის კი არადა, როცა ბუიუქ ადას შუქურა გამოჩნდა, ცხვრების რაოდენობა ერთამდე დაიყვანა. იმასაც ყურბან ბაირამზე¹ დაკლავდა.

კატერილან ჯერ პროფესორი გადმოხტა, მას შავგვრემანი ყმატვილი მიჰყვა. გახარებულლი ყასაბი ბავშვით მიკუნტ-რუშებდა. გემბაზე ქერა ქალილა დარჩენილიყო. ტალღა კატერს არწევდა და მას გადმოხტომა ვერ გაეძედნა. მეზღვაურმა ხელი შეაშველა, მაგრამ ქალი ოოგორ შეეხებოდა ამ ჩამოგლეჯილ და ოფლის სუნით აქოთებულ ვიგინდარას! უხერხულად გადმოხტა და მაღალ, წვრილ ქუსლებზე შემდგარი იქაურობას გაეცალა – სიამაყისა და მედიდურობის განსახიერება.

1. მუსლიმური დღესასწაული, როცა სამსხვერპლო პირუტყვს კლავნ.

შეიცნობოთ ცენტრის აუაზაციონი აუდიტორიას და მიმღებების მიზანის არც ერთ გამოფენა-ბაზრობას არ ვაკლდები: სურათებისა იქნება, ქანდაკების, კერამიკისა თუ ხელსაქმის ნიმუშებისა, თქვენ გგონიათ, ვყიდულობ რამეს? – როგორ გეპადრებათ! მხოლოდ მივდივარ, შევჩერებივარ გასაყიდად გამოდგმულ საგნებს და გული სიბრალულით მევსება. უკვე გაყიდული ნივთების დანახვაზე ხომ სიცოცხლეს ვათავებ. ცალკე რომ გადადებენ უკვე გაყიდულ სურათს, ნოხს, ლარნაკს და თანაც მყიდველის მისამართს მიაკიდებენ, აქაოდა, სხვა აღარავინ მოხიბლოსო, ბოლმა მახრჩობს. მე თუ მკითხავთ, ნაყიდ ნივთზე საკუთარი იარღიყის მიკერება, ვისიც არ უნდა იყოს იგი – ადვოკატის, ინჟინრის, მოიჯარადრის, ექიმისა თუ ვაჭრის – მეტისმეტი პატივმოყვარეობაა. თითქოს უნდათ გითხრან: „ხედავ ამ ლარნაკს ჩემი სადარბაზო ბარათის გვერდით რომ დევს? ის მე ვიყიდე, მმაო, მე, მშენებლობის მოიჯარადრემ, მავანმა და მავანმა. ჩემი მისამართი ბარათის მარცხენა კუთხეში წერია: აისფაშა, გუნურის სახლის ესა და ეს სართული. ჩემი ტელეფონის ნომერია ოთხმოცდაცხრამეტი ათას ცხრაას ოთხმოცდათექვსმეტი. ლარნაკი უკვე ჩემია, წავიღებ შინ და რომელი ყვავილიც მომეპრიანება, იმას ჩავდებ. უკვე ჩემია და ძალიანაც რომ მოინდომო, ვეღარ იყიდი, ეფენდი, ინანე და იწყევლე თავ-ბედი“.

აი, ის ლარნაკიც გაიყიდა და მე დარდით აღარა ვარ: რატომ ადრე არ მოვდი, რატომ არ ვიყიდე, ვიდრე სხვა დაეპატრონებოდა? აკი დავაპირე კიდეც, მერე რატომდა გადავიფიქრე? ახლა იმ ღვთის გლახამ იყიდა და შენ იწუხე, რამდენიც გენებოს.

არადა, გუშინწინ გვერდით რომ ჩავუარე, ჯერ კიდევ უპატრონო იყო და ამიტომ ზედაც არ შევხედე. არც მის სილამაზეს მოვუხიბლივარ და არც სხვა რამ ღირსებას. თუმცა, რომ მომწონებოდა კიდეც, მაინც არ დავაცხრებოდი, ვიტყოდი: "აქ არა დგას? როცა მინდა, მაშინ ვიყიდი, რა მეჩქარება – მეთქი. გამოფენის პატრონიც მაძალებდა: დამიკერე, მმაო, იყიდე, საცოდაობა იქნება, ისეთ ვინმეს ჩაუვარდეს ხელში, ამისი ყადრი არ

გაეგებოდესო. საბრალო ლარნაკიც თითქოს მოუთმენლად ელოდა, როდის ვიყიდდი, მაგრამ რაკი მაძალებდნენ, თავპატიუს ვიდებდი, ათას სისულეელეს ვიმიზეზებდი: „ცოტათი გახუნებულია, თანაც ნაპირები დაშაშრული აქვს, როგორც კი წყალს ჩავასხამ, საღებავი დასკდება და ასძვრება, გამოუწვავია. ერთ-ორ წელიწადში ლაქიც აღარ შერჩება.

იმ ლარნაკს რომ აქებდნენ და ისიც მუდარით შემომცეკეროდა – ნურავის დაუთმობ ჩემს თავსო, დრო ვიხელთე და იქაურობას გავეცალე. გუნებაში თავიც ვიძართლე: მაინც ვერ ვიყიდდი, თვის ბოლოა და ფული არა მაქვს.

გაუმარჯოს თავისუფლებას!

* * *

კარგი ერთი, ნუ დარდობო, – მეტყვით, მაგრამ რა ვქნა?! იცის კია იმ მყიდველმა ლარნაკის ყადრი? შესაფერ ადგილზე მაინც დადგამდეს. ნახეთ, ხელში დაჭერაც ვერ მოუხერხებია. ისე უჭირავს, როგორც წერა-კითხვის უცოდინარს – გაზეთი. სადაც არ უნდა დადგან, საბრალო ლარნაკი ყველგან ზედმეტი გამოჩნდება. მერე როგორი სიფრიფანა! ბროლივით არის. ის ოხერი რას მოუვლის? ისედაც ბზარი ჰქონდა და ახლა სულაც გატყდება და ეგ არის!

მე რომ მეყიდა, ციმციმ წავიღებდი, საწერ მაგიდაზე დავდგამდი, თვალისჩინივით გავუფრთხილდებოდი, შიგ ყვავილებს არ გამოვლევდი.

ერთი ხელის გაწვდენა და, ლარნაკი ჩემი იქნებოდა, მაგრამ ნებით ვაქციე ზურგი და სხვას დავუთმე. ახლა კი ასე მგონია, თითქოს ძალით წამართვეს.

ჰოდა, ჩემი ხასიათის კაცისათვის აუქციონზე უფრო ნერვების ამშლელი სხვა რა იქნება?

რა არის აუქციონი? – რა და, გულის ხეოქა, როცა ვიღაც ასწევს ფასს, ასწევს და, თუ უცებ ვერ გადაწყვიტე, თვალსა და ხელს შეა აგაცლის საქონელს. იქნებ ეს მაკავებდა, რომ აქამდე არ მიმიღია მონაწილეობა აუქციონში.

საერთოდ შურიანი არა ვარ. გოეთეს უბრძანებია: "სხვათა უბედურების გაზიარებას ბევრი არა უნდა რა, საქმე ის არის, სხვისი ბედნიერება გახარებდეს". ჩემს ნაცნობ-მეგობრებს რომ პკითხოთ, უეჭველად გეტყვიან, რომ მე ყველაზე გულწრფელად და სულელურად მიხარია სხვების სიხარული. სწორედ სულელურად. ამ ქვეყნად, სადაც ყველა ერთმანეთს მტრობს, ლაფში სვრის, მახს უგებს და თვალებს უბრმავებს, ჩემს საქციელს სისულელეც ეთქმის და უფრო მეტიც.

მაგრამ სულ სხვაა აუქციონი. მე ოთქოს აუქციონისათვისა მაქვს შემონახული ჩემს საქმიანობაში, ჩემს ცხოვრებაში გამოუყენებელი შურის მთელი მარავი. ეს გრძნობა შური არც არის, მაგრამ სხვა, უფრო შესაფერი სახელი არ მოგვეპოვება და ამიტომ ვარქმევ შურს. შური ხომ ეგოიზმის შედეგია. მე კი საკუთარი თავი არც მახსოვს, უღირსი კაცის ხელში ჩავარდნილი ნივთი მენანება, ეგ არის და ეგ გაგავებინეთ, რისი თქმა მინდოდა? მგონი ვერა, მაგრამ მაინც გავაგრძელოთ ჩვენი მოთხოვნა.

* * *

მოზრდილ ოთახში ფეხის მოსანაცვლებელი ადგილი არ იყო. ოფლად ვიღვრებოდით, თუმცა გარეთ საკმაოდ გრილოდა. სკამზე შემდგარი აუქციონერი რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაჰყვიროდა:

— ნომერი 77! ბანქოს სათამაშო მაგიდა ოთხი რბილი სავარძლით! პლასტიკატისა! ფასი ასთხუთმეტი ლირა! ვიწყებთ ასი ლირიდან!

მიმოვისედე. ესენი მდიდრები ჩანან: ბეჭვის საყელოიან პალტოებში გამოხვეული ბატონები, ქურქიანი ქალბატონები, ახლადდაქორწინებულები და დანიშნულები — ოჯახის შექმნა რომ დაუპირებიათ. ნეტა, მე რაღას გავრეულვარ ამათში?!

გვერდით კარგად ჩატარებული ორმოცდათოოდე წლის ჭალარა კაცი მიდგას, პირში ჩიბუხი გაუჩრია, ინგლისელი ლორდივით გამოიყურება. დროდადრო ისე გადმომხედავს, როგორც ლუქს კაიუტაში მოკალათებული ბატონი — გემბანის მგზავრს. თვალებით

მეუბნება: – ვინ ხარ, ვის დაჰკარგვიხარ, რისთვის მოსულხარ, ადრე რატომ არ შემხვედრიხარ აქ? ჯიბეში რამდენი გიდევს? გეტყობა, მყიდველი არაფრისა ხარ. კვირის გაზეთში განცხადებას წაიკითხავდი და იფიქრებდი – ეს აუქციონი რაღააო? ადექი და მოხვედი. მოსულით კი მოსულხარ, მაგრამ წვერი ვეღარ გაიპარსე? დღევანდელ დღეს წვერგაუპარსაობა გაგონილა? აი, ევროპაში კვირა დღეს უბრალო მუშაც კი ზრუნავს თავის გარეგნობაზე. შენი ბედი, რომ ბევრი ხალხია და ვერ ვხდავ, როგორი ფეხსაცმელი გაცვია. ალბათ, ძველი და ჭუჭყიანი. ისე, დარცხვენილი კი ჩანხარ. კარგი, ჯანდაბას, რაკი მოხვედი, დარჩი, ათვალიერე აქაურობა. რაო? რა თქვი? მე ვინა ვარ? ამას ჩემი თამბაქოს სურნელება უნდა გეუბნებოდეს. ამ თამბაქოს ინგლისში განსაკუთრებული წესით ამზადებენ – შიგ თაფლსა და ღვინოს ურევენ. ჰო, მართლა, ეს ჩიბუზი ლივერპულში ოთხ გირვანქა სტერლინგად ვიყიდე. მაშ რა გეგონა? ყველა კაცს რაიმე ხელობა აქვს. ჩემი ხელობაც ფულის შოვნა და კეთილი ცხოვრებაა. შენ ერთი მოფილოსოფოსო ყმაწვილი იქნები. იცოდე, სწორედ შენისთანები არ⁴ მეპიტნავებიან. ფულის შოვნის შნო არა გაქვს და თავს იმით ინუგეშებ, რომ ფულიანებს დასცინი და ზიზღით უყურებ. თავად ჭკუა-გონება სიტყვის ჯამბაზობაზე რომ არ გაგეფლანგა და მომგებიან საქმეს მოჰკიდებოდი, კვირა დღეს ასეთი სიფათით არ გამოგვეცხადებოდი. ერთი მითხარი, თუ შეგიძლია ერთმანეთისაგან განასხვაო *Wilhelm Kempff*-ისა და *Gieseking*-ის დაკრული *Woldsfein-sonat*-ი? მე კი შემიძლია. თუ იცი, რომ როსტბიფს სულ სხვა გემო აქვს, როცა ვერცხლის დანა-ჩანგლით შეექცევი? აბა, რა განსხვავებაა კალვადოსსა და ბრენდის შორის? ანდა, "კადილაკი" უკეთესი მანქანაა თუ "როლს-როისი?" ხედავ? განზრახ გაძლევ იოლ შეკითხვებს, მაგრამ შენ მაინც ვერ მპასუხობ. ცხოვრების თავი და ბოლო კი სწორედ ამ წვრილმანებშია, სწორედ იმაშია, რომ განასხვავო მათი *raffinement*¹. მე ასეთ რამებში განსაკუთრებული ალღო მაქვს. გატყობ, ჩემი

1 დახვეწილობა (ფრ.).

ნათქვამისაც ბევრი ვერაფერი გაიგე.

— მშვენივრად გავიგე. მართალი ხარ, არიან ადამიანები, რომელთაც სწორედ შენისთანა მიღიონერები ეჯავრებათ — განათლებულები, დახვეწილები, რომ იციან, როგორ ჩაატანონ გემო ცხოვრებას. თორემ სხვებს გულგრილად უცქერიან. "მერე რა, რომ მიღიონერია, მაინც ხეპრეა", — ფიქრობენ. მაგრამ შენ ნუ გეშინია, ჩემო მეგობარო, მე არც განათლებული მიღიონერი მეჯავრება, არც გაუნათლებელი.

ამასობაში კი აუქციონერი, რომელსაც სახელად ფორთოხალი რქმევია, გაჰყვირის:

— ნომერი 78! ამერიკული ტექნიკის საოცრება! მონტგომერის მარკის ავტომატური დივან-საწოლი სათადარიგო ლეიბებით. 800 ლირა ღირს. 700 ლირიდან ვიწყებთ!

— შვიდასი!

— ათი!

— თხუთმეტი!

— ოცი!

— შვიდას ოცი!

— ოცდაათი!

— ორმოცი!

— ათ-ათი მოუმატეთ, ბატონებო, სწრაფად, სწრაფად!

— ორმოცდაათი!

— სამოცი!

— შვიდას სამოცს ვიძლევი!

— ოთხმოცდაათი!

— აი, ყოჩალ!

— ოთხმოცდათხუთმეტი!

— ას ათი!

— რვაას ათზე ვართ!

— რვაას ოცდახუთი!

— ოცდაათი!

— ოცდათხუთმეტი!

— რვაას ოცდათხუთმეტი! მონტგომერის სავარძელი... იშლება,

საწოლადაც გამოიყენება!

— რვას ორმოცი!

— სამოცი იყოს!

— სამოცდაათი!

— ოპ, თქვენა ხართ, ალბერტ ბეი, გამარჯობა!

— გაგიმარჯოს!

— სამოცდათხუთმეტი!

— ოთხმოცი!

— ოთხმოცდაათი!

— ოთხმოცდათხუთმეტი! როგორა ხარ, ჰაფიზ?

— კარგად. შენა?

— ცხრაასი!

— ცხრაას ათი! — იყვირა ვიღაც თმააბურძგნილმა მსუქანმა კაცმა.

— ცხრაას ათი! კიდევ ხომ არავინ მიუმატებს?

— ცხრაას ათი ერთი! ცხრაას ათი ორი! ვყიდი! ვყიდი! ჰემს მიქმეთ ბეი, თქვენ ხომ არ ინებებთ?

— ჰემს მიქმეთ ბეი ეს ინგლისელი ლორდი ყოფილა, ჩემს მეზობლად თაფლიან თამბაქოს რომ ეწეოდა. ყველა მას მიაჩერდა.

— გნებავთ, ჰემს მიქმეთ ბეი? ვყიდეთ კიდევ უსიტყვოდ შეათამაშა მარცხენა წარბი, ამით ანიშნა, ფასი ასწიეო.

— ცხრაას ოცი!

ამჯერად ყველა თმააბურძგნილ კაცს მიაჩერდა, ისიც სულ გაიფოფრა:

— ცხრაას ოცდაათი! — იყვირა რაც ძალი და ლონე ჰქონდა. აუქციონერმა ჰემს მიქმეთ ბეის გადახედა. მანაც ისევ შეათამაშა მარცხენა წარბი: — აუწიე!

— ორმოცი! — ყვირის აუქციონერი და ისე უხარია, თითქო თავად მოემატებინოს ფასი.

— ორმოცდაათი! — ყვირის თმააბურძგნილი, თან მამლის ბიბილოსავით წითლდება. ჰემს მიქმეთ ბეი მარცხენა წარბი ათამაშებს.

— სამოცი! — აცხადებს აუქციონერი.

თმაბურძგნილს ნერვები ღალატობს, თავს ძლივს იკავებს და კბილებს შეა ცრის:

— გაუშვი, წაიღოს!

მონტგომერის სავარძელი ჰიქმეთ ბეის დარჩა. ეტყობა, გამოცდილი კაცია — როგორ მშვიდად გადაიტანა ბრძოლა, როცა თმაბურძგნილი ნერვიულობით მთლად გალურჯდა; როგორ სათითაოდ ჩამოიცილა მეტოქები და პირისპირ დარჩა იმასთან, ვინც ყველაზე მეტად შეეპყრო გამარჯვების წყურვილს. როგორ შესციცინებდნენ აუქციონერები. მისი მეტოქე მთელი ძალით რომ იჭაჭებოდა, ჰიქმეთ ბეი ოდნავ ათამაშებდა მარცხენა წარბს და ისე ანიშნებდა: „აუწიე!“ „ასწიე!“ არც მერე გამოუხატავს სიხარული, როცა გაიმარჯვა. გულგრილად ჩაუთვალია ფორთოხალს ფული, რაღაც უჩურჩულა და წავიდა. თურმე, ამ სავარძლის საყიდლად ყოფილა მოსული.

ჰიქმეთ ბეი აქაურობის ხშირი სტუმარი უნდა იყოს. მას სახელით მიმართავენ, იციან რა უნდა, რა — არა. დაკვირვებული ვარ, აუქციონში სწორედ ასეთი უხმაურო, თავის თავში დარწმუნებული ადამიანები იმარჯვებენ. მათ კარგად იციან, რა იყიდონ, რამდენი გადაიხადონ.

ერთბაშად ვიღაც ფუნთუშა ქალს მოვკარი თვალი. ჩემ პირდაპირ კედელთან იდგა და იღიმებოდა. მგონი, მე მიღიმის. მგონი კი არა, ნამდვილად მე მიღიმის. ჰიქმეთ ბეი აქ რომ იყოს, ვიფიქრებდი, ეს ღიმილი იმას ეკუთვნის-მეთქი. მივბრუნდი, ჩემ უკან მდგომი შევათვალიერე, ისინი აინუნშიც არ არიან. ქალს ჩემს საქციელზე გაეცინა და მომესალმა. სალამზე ვუპასუხე და... ღმერთო ჩემთ! ახლადა ვიცანი! ის არის, ნამდვილად ის სალაჯაქში რომ ვცხოვრობდი, სახლის პატრონს ერთი გოგონა ჰყავდა. აღარ მახსოვს, რა ერქვა, ფაპრუნისა თუ ნურუნისა. აი, თურმე კაცს პირვლი შეყვარებულის სახელიც კი ავიწყდება. ერთხელ კიდევ შევხვდი ათი წლის წინათ. ჰაი, გიდი, რა წერწეტა გოგო იყო! კასრს არ დამგვანებია?! ჩამოვსხდებოდით ხოლმე ნავმისაღვომის კიდეზე და ერთმანეთს სენტიმენტალურ ლექსებს ვუკითხავდით. მეოცნებე გოგონა იყო.

— მინდა ქმარი ავად მყავდეს, სასოფუძულოთან ვუჯდე და კუვლიდეო, — იტყოდა ხოლმე. ნეტავი, მართლა ავად რომ გაუხდეს ქმარი, ერთ ჭიქა წყალს თუ მიაწვდის? თუმცა ამის ქმარს ავად რა გახდის? ალბათ, ისიც ლოფებდაჟდაღა და მოღიმარი კაცია. ფაპრუნისას ხელებზე ეტყობა, დიდი ჯაფა არ უნდა ადგეს. ნამდვილად მზარეული პყავთ. იქნებ სულაც რესტორანში საღილობენ?

ჩემი ფუმფულა სატრფო ისევ მიღიმის. ასეთი ჭყლეტა რომ არ იყოს, მომიახლოვდებოდა. გვერდით ყმაწვილი ქალი უდგას. რაღაცას მანიშნებს მასზე. ნახეთ, თუ მისი ქალიშვილი არ იყოს! ათი წლის წინათ რომ შემხვდა, პატარა გოგონა ახლდა. ეჭ, პირველი სატრფოს გასათხოვარ ასულს რომ ნახავ, მაშინდა მიხვდები, რომ დაბერებულხარ!

ჩემმა ყოფილმა სატრფომ თავისი ქალიშვილი ჩემკენ მოახედა. მანაც ყურადღებით შემათვალიერა და თავაზიანად მომესალმა. ფაპრუნისა მრავალმნიშვნელოვნად მიღიმის. ორმოცს მიღწეული იქნება, მაგრამ მის თვალებს ძველებური სხივი ისევ შემორჩენია.

თვალებით ვსაუბრობთ:

- გახსოვს?
- რა დამავიწყებს.
- აი, შე...

ფაპრუნისას ცალი თვალი მტვერსასრუტისაკენ უჭირავს — ეშინია, მისი გაყიდვა არ გამოეპაროს.

უკვე ვნანობ. რაღა მაინცადამაინც დღესა ვარ წვერგაუპარსავი და მოუწესრიგებელი. აი, შეხვდი თუ არა ძველ სატრფოს! შეიძლება, მართლა ისვენებ, როცა თავისუფლად გაცვია, წვერს გაიპარსავ თუ არა, ეგეც შენი ნებაა, მაგრამ იქ, სადაც მოსალოდნელია ძველ სატრფოსთან შეხვედრა, უეჭვლად გამოწკეპილი უნდა მიხვიდე. თუნდაც იმისათვის, რომ ჩრდილი არ მიაყენო შენი სატრფოს ლამაზ მოგონებებს, წარსული სანახებლად არ გაუხადო. მის ქმარზე უკვეთ თუ არა, უარესად არ უნდა გეცვას, თმაჭალარა, ჯანგატეხილი არ უნდა ჩანდე, სიბრალულს არ უნდა იწვევდე. ფაპრუნისას, რასაკვირველია,

ვებრალები. „ეჭ, ეს კაცები, – ფიქრობს ჩემი სალაჯაქელი შშვნიერი – დახეთ, როგორ უსაქმურად დაეხეტება, რას დამსგავსებია, წვერიც მოუშვია. მე რომ შევერთე, გზაზე დავაყენებდი, ავად თუ გახდებოდა, მოვუკლიდი (აკი გითხარით, სულ ავადყოფის მოვლას ნატრობდა), არადა, ამის ამ დღეში ჩაგდება ჩემი ბრალია. ალბათ, სხვას რომ გავყევი, იმიტომ აიყარა გული ცხოვრებაზე“.

თავის ასულს ჩემზე რაღაცას ეუბნება. ისიც იცინის. დედა კი ხელით მანიშნებს – ნახე, ჩემი შეილი საცაა ჩემსიმაღლუ გახდებაო.

– ღმერთმა გაჩუქოს, ჯეირანივითაა, შენა გვავს!

– ოჭ, შე თვალთმაქცო, – მპასუხობენ მისი თვალები და ისევ მტვერსასრუტს უბრუნდებიან.

– ერთი! – ყვირის ჩემი სალაჯაქელი სატრფო.

– ასოცი! – ამბობს აუქციონერი და ჩემი სატრფოც მაშინვე უმატებს:

– ერთი!

– ასოცდახუთი!

– ერთი! – კვლავ ყვირის ფაპრუნისა.

ესეც ტაქტიკაა. მაგრამ პიქმეთ ბეისთან სად მოვა! არც მასავით ათ-ათს უმატებს, არც წარბებით ანიშნებს, ყვირის, რაც შეუძლია. ისე, კარგა ძუნწი ჩანს. უცებ გამოაცხადა:

– არა ვყიდულობ, წაიღონ.

ახლა სხვები უმატებენ:

– ას სამოცდათხუთმეტი!

– ოთხმოცი!

– ოთხმოცდახუთი!

– ოთხმოცდაათი!

ერთბაშად ისევ ჩაერია:

– ერთი!

აკი აღარ ვყიდულობო? თავი მოაჩვენა, აღარ ვყიდულობო, მეტოქეებს სიქა გააცალა და ისევ მოინდომა. ესეც საქმის ცოდნაა.

ასე იყო, თუ ისე, მტვერსასრუტი მას დარჩა. ყოჩაღ,

ფაპრუნისა! ესეც ჰიქმეთ ბეისნაირი მყიდველი ყოფილა, მტკიცე გადაწყვეტილებით მოსული. მერე რა, რომ სხვადასხვა მეორედებით მუშაობენ, მთავარი შედეგია!

ფაპრუნისამ ჩანთა გახსნა და ბეი გადაიხადა. თან აქეთი იქით მიმოიხედა, აბა, თუ მიყურებენო. სწორედ რომ ვალის ცოლია. აღმოსავლეთის რომელიდაც პროვინციის ვალის ცოლი. მის ამპარტავნობას ოდნავადაც ვერ ანელებს ვერც ყალბთვლიანი ბეჭედი და ვერც ყურებში გაყრილი იაფფასიანი საყურეები.

აუქციონერი სკამიდან ჩამოხტა. უკვე შეიძლება მეორე ოთახში გასვლა. იქ მცირეგაბარიტიანი ავეჯი იყიდება.

- რა მოულოდნელი შეხვედრაა!
- მართლაც!
- რა ხანია, ერთმანეთი არ გვინახავს.
- ათი წელი, საერთოდ კი თხუთმეტი წელი იქნება, რაც აღარ შევხვედრივართ.
- რას მეუბნებით! ეჰ, როგორ მიდის დრო! თითქოს გუშინ იყო.
- მაშ!
- კიდევ წერთ ლექსებს?
- რას ბრძანებთ, რაღა დროს ლექსებია.
- იქნებ შთაგონების წყარო დაგიშრათ? – მკითხა ფაპნურისამ და პომადით მოთხუპნული კბილები გამოაჩინა.

ესეც ჩემი შთაგონების წყარო!

– ალბათ.

დავაპირე დამემატებინა, რაკი გნახეთ, ალბათ ისევ დავიწყებ წერას-მეთქი, მაგრამ გათხოვილ ქალს, თანაც ამხელა ქალიშვილის პატრონს ვეღარ შეებედე.

ქალიშვილმა კი ამასობაში ვიღაც ნაცნობი ნახა და მხიარული მუსაიფი გაუბა. ეტყობა, ახლანდელი გოგოებივით ესეც გვარიანი ქარაფშუტაა.

1. პროვინციის მმართველი თურქეთში, გუბერნატორი.

- დადიხართ ჩვენს მხარეში?
- არა, მას შემდეგ აღარ ვყოფილვარ. ჩემდაუნებურად ხმაში ინტიმური ტონი გავურიე.

- რატომ? – მკითხა მან და ხელოვნური წამწამებით დამშვენებული თვალები მოწეურა. მივუხვდი. ახლა ის დროა, ამოვიოხორო და იმავე ტონით ვთქვა: – არ ვიცი. ასეც მოვიქეცი:

- აღბათ, ძველ მოგონებებთან დაბრუნებისა მეშინია.

აი, კიდევ ერთი ნაწყვეტი სამამულო კინოფილმიდან. მაგრამ ფაპრუნისას გული აუჩუყდა, ისე აუჩუყდა, რომ...

- გამოგიტყდებით, მეც ხანდახან ამასვე ვკრძნობ.

შემეშინდა, ახლა გულის გადაშლა არ დაიწყოს-მეთქი. მივხვდი, ამ სენტიმენტალურ საუბარში მტკერსასრუტი უნდა ჩამერთო:

- ძალიან იაფად კი ჩაიგდეთ ხელში.

ფაპრუნისა უცებ გამოერკვა:

- გასულ გვირას უფრო იაფად გაიყიდა. ისე, ცოტათი კი მომატყუეს, მაგრამ რას იზამ? ამერიკელებმაც ისწავლეს ჩვენი ბაზრის კურსი. ადრე აქ რას არ ნახავდი.

ეტყობა, არც ფაპრუნისას აკლია გამოცდილება. შეიძლება, აქ იაფად ყიდულობს და სხვაგან ძვირად ყიდის. ზოგი მოხერხებული ქალი ამასაც არ ერიდება. თითქოს მიხვდა, რასაც ვფიქრობდი:

- ფუსუნის ვათხოვებთ, რაღაც რაღაცებს ვუმზადებთ. მაცივარს ვეძებ. აქ იყო, მაგრამ – ნახმარი. ნიზამეთინი ამბობს, ახალი ვიყიდოთო, მაგრამ ისე გაძვირდა, რომ... ერთი თუნუქის ფერია და ცეცხლის ფასი ადევს. მე ძველი მირჩევნა. თქვენ რას ყიდულობთ?

- მე? მე ლერწმის ხის გარნიტური... ხო, ერთი გარნიტურა ლერწმის ხისა. ვიფიქრე, ვნახავ-მეთქი.

სად მე და სად ლერწმის ხის გარნიტური! მაგრამ იმ წუთში ჩემს ღირსებას ასეთი ტყუილი სჭირდებოდა. უფრო სწორად, ჩემსას ისე არა, როგორც მის ღირსებას, დაახ, სწორედ ფაპრუნისას ღირსებას.

- მაგრამ არ მომეწონა (სხვა გზა არ იყო, ასე უნდა

დამემთავრებინა უკვე ნათქვამი ფრაზა).

- მართალი ხართ, – მიპასუხა ჩემმა ფუნთუშა სატრფომ,
- დიდი არაფერია. მეც არ მომეწონა. გასულ კვირას ინჟინერმა იღვამი ბეიძ და მისმა ცოლმა ძალიან ლამაზი ბამბუკის გარნიტური იყიდეს, სხვას არაფერს ყიდულობთ?

– არ ვიცი, ვფიქრობ.

თვის ბოლომდე ათი დღეა და ჯიბეში სამოცდათერთმეტი ლირა მიდევს. აბა, მე რისი მყიდველი ვარ?!

მაგრამ, განა შეიძლება ხელცარიელი წავიდე იქიდან, სადაც ფაპრუნისას და მის ქალიშვილს წვერგაუპარსავი და მოუწესრიგებელი შევხვდი? ქალს, რომელსაც თხუთმეტი წლის წინათ ვუყვარდი, ამერიკულ აუქციონზე კვირა დღეს დროის მოსაკლავად მოსულ უსაქმურ ავარად ვერ ვეჩვენები.

მაგრამ რა ვიყიდო, რა?

მე ვერ ვიყიდი „რევერის“ მარკის რადიოლას, რომელიც ორი ათას შეიდასი ლირა ღირს. ვერც „გიბსონის“ მაცივარს ორიათას ხუთას ლირად, ვერც ორიათას ლირიან საწერ მაგიდას და ვერც სამფეხა სავარძელს ათას ხუთას ლირად; ვერც გასაშლელ დივან-საწოლს, ათასი ლირა რომ ღირს; ვერც ვერცხლის დანა-ჩანგალს ვიყიდი და ვერც ბროლის ჭიქებსა და სევრის ფაიფურის სადილის სერვიზს.

დიდი-დიდი კლასიკური მუსიკის ერთი-ორი ფირფიტის ან რამდენიმე წიგნის ყიდვა შევძლო. ამ ნივთების პატრონი ამერიკელია, თანაც საქმოსანი. მის ბიბლიოთეკაში უეჭველად იქნება დეილი ქენიგის წიგნები. დაუკრავ ფირფიტებს და ვისწავლი, როგორ გავარჩიო ერთმანეთისაგან Wilhelm Kempff და Gieseking-ი, გადაგშლი წიგნებს და თავიდან ავიცილებ ტვინის ჭყლეტას, ვისწავლი, როგორ მოგახმარო ჭკუა-გონება სარფიან საქმეს, რომ გავმდიდრდე და ერთი წლის თავზე აქ გასართობად კი არ მოვიდე. არამედ – მონტგომერის სავარძლის, ბამბუკის გარნიტურის, მატისისი მიბაძვით დახატული სურათების საყიდლად.

დიახ, რამე უნდა ვიღონო, უნდა გავერიო აუქციონში და ვიყიდო რამე, რაზეც ფული მეყოფა. მაგრამ ამ დროს ყური

მოვკარი, რომ ფირფიტები ბითუმად გაიყიდებოდა. ასე, რომ მისი ყიდვის იმედიც გადამიწყდა.

დაიწყეს წიგნების გაყიდვა.

ფორთოხალმა გამოაცხადა:

— ლიტრეს ხუთტომიანი ლექსიკონის ბოლო გამოცემა! სამოცი ლირა ღირს. ორმოცდაათიდან ვიწყებთ!

კარგა ხანია, ლიტრეს ლექსიკონს ვეძებ. ახლა ვიყიდი და ერთი გასროლით ორ ჩიტს მოვკლავ.

— ორმოცდათხუთმეტი! — დავიძახე. ჩემი ხმა ჩვეულებრივზე ძლიერი მომეჩვენა. ყველამ მე შემომხედა. ხუმრობა საქმეა? აქამდე ჩუმად იდგა და ახლა რაშელა იყვირაო. ცუდად ჩაცმული კია, მაგრამ რას გაიგებ? ზოგჯერ სწორედ ასეთი შეუმჩნეველი გარევნობის ადამიანები არიან, გაფრენილ წეროს თვალს რომ გამოსთხრიან ხოლმე. ნეტა ვინ არის? მდიდარი არ უნდა იყოს. ფულიანი თუა, წელან რომ სამი ათას ცხრაას ლირად სასადილო ოთახის გარნიტური გაიყიდა, ის ვერ იყიდა? რას ჩააცივდა ამ ლექსიკონს, ლამაზი მაინც იყოს. ვითომ ანტიკვარული რამეა? ნამდვილად ბუკინისტი იქნება.

— იძლევიან ორმოცდათხუთმეტ ლირას. ღირს სამოცი, ხუთტომიანი ლექსიკონი!

— სამოცდახუთი!

გაგონდებათ, კინოფილმებში რომ არის ხოლმე — ვინმე ბევრ ფულს მოიგებს, დაიხვავებს წინ და უცებ გამოაცხადებს, ერთ მილიონ ფრანგს ჩამოვდივარო. კაცები შერით უყურებენ, ქალები — აღტაცებით. მეც აქეთ-იქით არ ვიხედები, მაგრამ ვგრძნობ, რომ მიყურებენ. ერთი წამით ფუნთუშა სატრფოს სიყვარულით გამობარი მზერაც დავიჭირე და კვლავ გავაბით თვალებით საუბარი:

— პოეზიის ინტერესი აღარ შეგრჩენია, მაგრამ, გეტყობა, ლექსიკონები ძველებურად გიტაცებს.

— რა ვქნა, ჩემო ფაპრუნისა, რაც შენ წახვედი, სხვა რაღა დამრჩენია?

— სამოცდაათი! — დაიძახა ამ დროს ვიღაცამ. თითქოს პატარა პიქმეთ ბეიდ ვიქეცი. აუქციონერმა ჩემი სახელი არ

იცის, მაგრამ ფასის ყოველ მომატებაზე მეც ისე მომჩერებია, როგორც პიქმეთ ბეის მიშტერებოდა ხოლმე. მის თვალში მე პიქმეთ ბეი ვარ და იმედს ვერ გავუცრუებ: კი მაგრა იჯებ და — სამოცდათერთმეტი!

— თორმეტი.

— ცამეტი.

— თხუთმეტი!

— ოთხმოცი!

— დავიძახე მე.

— ოთხმოცი!

— გაიმეორა აუქციონერმა, თან მოწიწებით

გადმომხედა.

— ოთხმოცი!

— ვყიდი!

— ვყიდი!

— გავ... — და სიტყვა შუაზე

გააწყვეტინეს.

— ოთხმოცდათი!

— დაიძახა ვიღაცამ უკანა რიგებიდან.

ყველანი მისკენ შებრუნდნენ. ეს იყო ერთი ჰაჯი აღა¹, რომელიც

გაზეთსაც კი ვერ წაიკითხავდა ხეირიანად.

ლექსიკონი რაში

უნდოდა?

მაგრამ დაინახა, ფასს ვუწევდით და იფიქრა, რამე

ძვირფასი ნივთი არ იყოს და ხელიდან არ წამივიდესო.

მთელი ჩემი ცხოვრება ასეა:

— ვყიდი!

— ვყიდი!

— ყვირის

აუქციონერი და ეს-ეს არის, უნდა დაიძახოს გავყიდეო,

რომ

ვისიმე უხეში ხმა შეაწყვეტინებს:

ოთხმოცდათი!

და პირში

ჩალაგამოვლებული ვრჩები.

ყველა ბედნიერს მისჩერებია.

ისაც,

თუმცა წერა-კითხვა არ იცის,

თვალსა და ხელს შუა მაცლის

წიგნებს,

რომლებზედაც წლები მიოცნებია და რომლებიც უკვე

ჩემად დამიგულებია.

წაიღებს, მაგრამ განა წასაკითხად უნდა?

არა. ხან კარს დაუდებს, ხან იატაკზე ერთმანეთზე დაალაგებს

და ზედ შედგება, რომ თაროს მისწვდეს.

ჩემი ფუნთუშა სატრუო და მისი ქალიშვილი გვერდით

მიდგანან. ძალზე დამწუხრებულები არიან.

მაპატიე,

ფაპრუნისა,

ორმოცდათი ლირა რომ

კიდევ მქონოდა,

უეჭველად ვიყიდდი.

სამოცლირიან ლექსიკონში

ორასსამოცსაც

გადავიხდიდი,

ოღონდ შენ გაგხარებოდა.

მაგრამ რას იზამ,

თვის

1. ასე უწოდებენ მდიდარ, მაგრამ გაუნათლებელ გლეხს.

ბოლოა.

ლიტრეს ხუთტომიანი ლექსიკონი ხელიდან ხელში გადავიდა
 და ჰყავი აღას დაკოურილ თითებში მოხვდა, იმანაც წამოიკიდა
 და წაიღო. სულ ასე მემართება: ვუწევ ფასს, ვუწევ, ბოლოს
 მაინც ხელცარიელი ვრჩები, რაღა ახლა გავიმარჯვებდი!

უცებ დავშევიდდი. იქნებ, ჯობდეს კიდეც, უმატო ფასი, უმატო,
 ბოლოს კი აღარ იყიდო და იმის სეირს უყურო, ვისაც ნივთი
 დარჩება. აი, თუნდაც ეს ჩასუქებული ქალი, რომლის თვალში ერთხელ
 კიდევ დავმარცხდი იმის გამო, რომ წიგნები ვერ ვიყიდე, განა ის
 ნივთი არ იყო, რომელსაც მე ფასი ავუწიე, ავუწიე და მერე სხვას
 დაუთმე? ვნანობ? რა სათქმელია! პირიქით, ახლა მებრალება კიდეც
 ის მყიდველი.

დატაჭის თვითდამშვიდებაა? სულაც არა, ამ აუქციონზე ჯველაზე
 ბედნიერი კაცი მე ვარ. მდიდარი რომ ვყოფილიყავი და ის წითელი
 ხის გარნიტური მეყიდა, რა გამოვიდოდა? ბეის გადავიხდიდი და
 აუქციონის დამთავრებას დაველოდებოდი.

ვოქვათ, ვიყიდე ეს მაგიდა, სკამები, ბუფეტი, უკვე გადავიხადე,
 ფაქტურას ხელი მოვაწერე და ახლა დგას უკვე გაყიდული საქონელი,
 თან უაზრო მედილურობით გაგრძობინებს: დამინაზე, ვიღაც დამტკატრონა,
 ჩემი მომავალი უკვე განაღდებული მაქვსო.

დახ, რომ მყიდა, ხომ უნდა დამტკადა აუქციონის დამთავრებამდე,
 მერე ფული გადამეხადა და ჩემი ქონება შინ წამედო. მიდი და ეძებე
 მუშა, საბარებო მანქანა. ისინიც გაიგებენ, რომ გიჭირს და მამასისხლად
 დაგიფასებენ. მერე მანქანა გემით გაღმა ნაპირზე გადაიტანე! მიიტნ
 შინ კვეჯს და ახლა მისი დასადგმელი ადგილი ექვებე! იძულებული
 გახდები ძველი ავეჯი ჩალის ფასად გადაყარო. ვიდრე ნივთებს
 შეეჩევი, კარგა დრო გავა. თანდათან რამე ნაკლსაც აღმოუჩენ და
 ერთ შშვენიერ დღეს კიდეც ინანებ: რა ჩავიდინე, ეს რამ მაყიდინაო.

ახლა კი თავისუფალი ვარ, როცა მინდა, გავალ აქედან და
 წავალ. ხელები – ჯიბეებში, ფული – ქისაში, არც მუშებთან დავა და
 არც შოთვრებთან დავიდარაბა. ჩემი ძველი მაგიდაც კარგად მყოფინი.
 კაცმა რომ თქვას, ის ბუფეტიც სულ დაფხაჭნილი იყო, ის ტახტი
 ძალზე ჭყეტელა ჩანდა. არც საწერი მაგიდა იყო დიდი ბედნა.
 ლიტრეს ლექსიკონსაც ყდა შემოხელი ჰქონდა.

იმის გამო, რომ არასოდეს არაფერი მიყიდვა და არც არა დამიბევებია, ახლა ნებისმიერი ნივთის ყიდვა შემძლია, თავისუფალი არჩევანის უფლება მაქვს და იმათზე ბედნიერი ვარ, ვინც უკვე აირჩია.

ამ ფიქრებში რომ ვიყავი, ერთამად მივხვდი – დღემდე არც ერთ აუქციონში არ გავრეულვარ რამის ყიდვის დიდი სურვილით, არასოდეს დამიწყია ბრძოლა მტკიცე გადაწყვეტილებით – უეჭველად გამემარჯვა.

ახლა კი ნათლად დავრწმუნდი – თუ მოვინდომებდი, კიდევაც ვიყიდდი, ფასს ავუწვდი, ვითვალთმაქცებდი, მაგრამ მაინც ვიყიდდი. მე კი მხოლოდ ფასის მომატებას ვკერდები, არაფერს ვყიდულობ და აუქციონზე გასართობად მოსული უსაქმური ვარ, თუმცა ყველაფერს ხელმოცარულობასა და სიღარიბეს ვაბრალებ.

ასე ფასის მომატება-მომატებაში ნივთს რომ ხელიდან ვუშვებ და მერე ვწესვარ, დღემდე მოვეკიდე კია რამეს სერიოზულად? ერთიც ვნახოთ და, აუქციონერებმაც და მუშტრებმაც პირი შეკრან და საქონელი, რომელსაც ფასი ავუწიე, ხელში შემატოვონ, რას ვიზამ? ვიყიდი, გამეხარდება, თუ შევვდავები, როგორ თუ მასხარად მიგდებთ-მეტქი?

უნდა გაძოვტყდე, რომ სწორვდ ასე მოვიქცევი. ასე არ ავარიდე თავი ლარნაკის ყიდვას? ასე არ ჩამოვიშორე აუქციონერი და მთელი ჩემი სიცოცხლე ასე არ ვიცილებდი ყველა საქონელსა და ყველა აუქციონერს? და ახლა, ცხოვრების შუა გზაზე – შუა გზა რომელია, თითქმის დასასრულს ერთადერთი ჭეშმარიტების შეცნობა მოვახერხე: მე აუქციონში მონაწილე კაცი ვარ და თუ აქამდე რამეზე ხელი მიმიწვდა, მხოლოდ ოდნავ შევხებივარ, რათა მაღვე გამეგდო ხელიდან და თავისუფლება შექნარჩუნებინა.

– ოცდახუთი!

რაღაცას ყიდიან. ჩემი სალაჯაქელი სატრფო კვლავ ჩაერია:

– ერთი!

– ოცდაათი!

– ერთი!

– ორმოცი!

– ერთი!

— ორმოცდახუთი! გნებავთ, ჰაფიზ ბეი?
 — რვა! — უპასუხა ჰაფიზ ბეიძ.
 — არა ვყიდულობ, — თქვა ფაპრუნისამ, — არა ღირს, წაიღოს!
 — ვაძლევ ჰაფიზ ბეის, ორმოცდაშვიდად ვყიდი, ვყიდი, ვყი...
 — ორმოცდაათი! — დავიძახე მე, თუმცა არც კი ვიცოდი რა იყიდებოდა. ისევ დამიწყეს ჭურვა. ფაპრუნისაც გაოცებულია. ჰაფიზ ბეი დაიბნა.

— ორმოცდათხუთმეტი!

აუქციონერმა მე გადომხედა.

— სამოცი! — კვლავ მოვუმატე.

— სამოცდახუთი!

— სამოცდაათი!

— ოთხმოცი!

აუქციონერი ამაყობს ჩემთ. ჰაფიზ ბეი გაჩერდა. სხვა რა გზა ჰქონდა?

ისე სმელინგს არ გახარება ჯო ლუისის ნოკაუტში ჩაგდება, როგორც მე გამეხარდა ეს გამარჯვება.

— ვყიდი ოთხმოც ლირად! ვყიდი! ვყიდი! ვყიდი! გავ...ყი...დე!

გაყიდე, გაყიდე, ბატონო აუქციონერო! და მეც ჩემს სიცოცხლეში ერთხელ მაინც ვიყიდი რამეს!

ფული გადავინადე და საქონელი მივიღე. თურმე რკინისფერებისა საფეროვლე ყოფილა. საფეროვლე ავიღე და ფაპრუნისას მორიდებით ვუთხარი:

— თუ შეიძლება, მიიღოთ ეს საჩუქარი თქვენი შშვენიერი ქალიშვილისათვის.

ფაპრუნისას თვალები გაუბრწყინდა:

— როგორ გეპადრებათ!

— გთხოვთ, ნუ გამაწბილებთ.

— ძალიან წუხდებით, თუმცა თქვენ ხომ ჩემს ქალიშვილს ნათესავად მოხვდებით მამის მხრიდან.

— დედის მხრიდან, — გავუსწორე მე.

პირნაბრუნებ პალტოში გამოხვეული, ნაღვლიანი ღიმილით გავეცალე იქაურობას. დარწმუნებული ვარ, კვლავ მოვალ აუქციონზე და კვლავაც არაფერს ვიყიდი.

ALLEGRO MA NON TROPPO

დერეფანში კაცი თვალთან თითს ვერ მიიტანდა, აქ ელნათურა რატომღაც ყოველთვის გადამწვარი იყო. კარზე მიკრული სადარბაზო ბარათის წასაკითხად ან ასანთი უნდა აგენტოთ, ანდა დარბა ყურთამდე შეგეღოთ და ოთახიდან გამოსული სინათლით გესარებლათ. მხოლოდ მაშინ გაარჩევდით: Stephan Alexandrovich Linovsky. Professeur du violon¹. სტამბოლი, პერა.

სხვა აღარა დაგრჩენოდათ რა, მოწიწებით უნდა მოგეხადათ ქუდი.

მე ყოველთვის ვამსგავსებდი ერთმანეთს ამ გამოხუნებული, ბუზებისაგან დალაქავებული სადარბაზო ბარათისა და მისი მფლობელის ბედს. ამ მუყაოს პატარა ნაჭრიდან თითქოს წარსულ დღეთა დიდება და ბედნიერება მოედინებოდა, ვინ იცის, — ვფიქრობდი ხოლმე ჩემთვის, — რა არ უნახავს და განუცდა ამ სადარბაზო ბარათის, ვინ იცის, რამდენი თავადის მუელლის გული აუძგერებია ტკბილად, ან კამელიების თაიგულში ჩადებული რამდენჯერ დაუტოვებიათ ოპერის რომელიმე პრიმადონას პუდრის სუნით გაუღენთილ მაგიდაზე?!?

მაშინ ხომ ქვედა კუთხეში სტამბოლი არ ეწერებოდა? ალბათ, — მოსკოვი ან პეტერბურგი.

თვალწინ მიღება მოქარგულ ლიკრუაში გამოწყობილი ლაქია. იგი სადარბაზო ბარათს ვერცხლის სინზე დებს, გაატარებს პრიალა სვეტებიან დერეფნებსა და ჭერმოხატულ დარბაზებში და მიართმევს შეზღონვზე წამოწოლილ დიდ ქალბატონს, რომელმაც ეს-ეს არის, ქმარი სანადიროდ გაისტუმრა. ქალბატონი დახედავს ბარათს და წამოხტება:

— ოჰ, სტეფან! სტეფან! როგორც იქნა! ახლავე ამოიყვანეთ! არ გესმით?! ჩქარა! ანი, თქვენ შეგიძლიათ დამტოვოთ, — მოუბრუნდება

1. ვიოლინოს მასწავლებელი (ფრ).

ფარეშს.

— ეჭ, საბრალო, ბედშავო ქაღალდო, განა როდისმე იფიქრებდი, რომ ერთ შშენიერ დღეს თარლაბაშიში, მადამ როზის პანიონში იპოვიდი თავშესაფარს და შმორის სუნით აყროლებული დერეფნის სიბნელეში ჩასთვლემდი, უბადრუები და უსიხარულო?

ამ ფიქრებში წასული კართან ვდგავარ, ოთახიდან ახალბედა მოსწავლის მიერ გაუბედავად აღებული ნოტები ისმის. ამ ნოტებს შორის ვარჩევ ლიკონსკის ხმას:

— Entnez!!

ხელში ვოლინოს ფუთით, იღლიაში ნოტებამოჩრილი ფეხაკრებით შევდივარ.

ლიკონსკი, როგორც ყოველთვის, შანდლებიან როიალს უზის და გრძელი, გამხმარი თითებით რიტმს ჰკარნახობს, ზოგჯერ კი ხელებზე ჩამოაყრდნობს თავის ყვითელ, მუმიის მსგავს სახეს, მისტიკურ პოზას მიიღებს (ამით ძალზე ხიბლავს ხოლმე გოგონებს) და მოსწავლეს უსმენს.

როცა მოსწავლე გაკვეთილის დაკვრას მოათავებს, ლიკონსკი წამოდგება და ჯიბებში ხელებჩაწყობილი ოთახში ბოლოთასა სცემს.

— Non, za ne va pas. Mademoiselle ვარუშიან², არ იქნება. Double corde ძალიან ცუდია, Et vos staccatos? Presto vivace ძალიან ნელია, არა, ეფენდი, ასე დაკვრა არ ივარგებს. Vivace, vous comprenez? vivace — ესე ივი, ცოცხლად, უფრო ცოცხლად, ძალიან ცოცხლად. Double corde staccato, presto vivace — აი, სამი ფრაზა.

რომელთაც უცემ გადაჰყავხართ მუსიკის ღვთაებრივ სამყაროში. როგორ მიყვარდა ეს მუსიკალური ტერმინები! განსაკუთრებით Allegro ma non troppo, როცა მას ვამბობდი, მეგონა, იტალიურად ვსაუბრობდი, მეგონა, ცოტაც და, კვრდის, ჰუჩინის გაფუტოლდები-მეთქი, სიბრალულით ვუფურებდი ჩემი სკოლის ამხანაგებს, ამ ტერმინებს ისე რომ ხმარობდნენ, როგორც მოხვდებოდათ. აზრი არ ესმოდათ და მნიშვნელობა. რას გაიგებთ, თქვენთვის ღმერთს მხოლოდ ფეხბურთის

1. შემობრძანდით (ფრ.).

2. არა, არ გამოდის, მადმუაზელ ვარუშიან (ფრ.).

მატჩი გაუჩინდა – "გალათასარაი" – "ფენერი", ჩემთან სად მოხვალო? – ვფიქრობდი ხოლმე.

ლიკონსკის ოთახში მაღალი კულტურისა და დახვეწილი ხელოვნების ატმოსფერო სუფევდა. როიალზე წარბშეჭმუხვნილი ბეთოვენის ბიუსტი იდგა, კედელზე ეკიდა ფანქით ნახატი ესპანური პეიზაჟი. იქვე, ჩამოცვენილი ბათქაშის დასაფარავად ანა პავლოვასა და ფრედერიკ შოპენის პორტრეტები ეკიდა. ისინი გვერდიგვერდ დაეკიდათ და კაცს ცოლ-ქმარი ეგონებოდა. და ნოტები... ნოტები როიალზე, ნოტები ეტაჟერზე, მაგიდაზე, ტახტზე და სკამებზედაც კი, და ბოლოს, "კოლუმბიას" მარკის გრამოფონი. ამ გრამოფონით კვირაში ერთხელ ვისმენდით მუსიკას, რომელსაც თან ახლდა მაესტროს ახსნა-განმარტება. მაესტრო ფიქრობდა, რომ მუსიკოსისათვის ვირტუოზების ფირფიტების მოსმენა ისევე აუცილებელია, როგორც მხატვრისათვის სურათების გალერეის დათვალიერება. მართლაცდა, აბა, მისი ბრწყინვალე კომენტარის შეძლებ მოგესმინათ სიმფონიური პასტორალი! სულ სხვა რამ იყო! თითქოს იგრძნობდით მოახლოებულ ქარიშხალს, თითქოს თქვენს თვალწინ გაიელვებდა და დაინახავდით, დამფრთხალი ქალები ნაკადულში სარეცხის რეცხვის როგორ ანებებენ თავს და ხმაურით გარბიან.

სიმფონიური პასტორალის ფირფიტა ყველაზე უკეთ იყო შემონახული. დანარჩენები ან ხშირი ხმარებით წაშლილიყო, ან მზეს დაეგრიხა. თუნდაც ბეთოვენის მეხუთე საფორტეპიანო კონცერტის ფირფიტა – ნემსი ერთ ადგილს მიაღწიევდა და რომ გაოჩნდებოდა, ფეხს ვეღარაფრით მოაცვლევინებდით; ანდა მანონის არია გაღი კურჩის შესრულებით: დადებდნენ თუ არა ფირფიტას, გრამოფონში ქარიშხალი ამოვარდებოდა და ისე არხევდა ამ განუმეორებელი მომღერლის ხმას, თითქოს ვიღაცას მხრებში ხელი ჩაუვლია და მთელი ძალ-ღონით ანჯღრევსო. მე მეცინებოდა, მაგრამ როგორც კი მატილდას თვალებს შევეფეთებოდი, მაშინვე სერიზულ გამომეტყველებას ვიღებდი – ვიცოდი, აქ ხუმრობას არ მაპატიებდა.

მატილდამ ჩევნსავით თხუთმეტი წლისამ როდი დაიწყო ვიოლინზე სწავლა – რვა წლისა უკვე ლინოვსკის მოწავე იყო.

თანაც ყველაზე ნიჭიერი მოწაფე დანარჩენები გროშ-კაპიკად არ ღირდნენ. ჩემზე უარესებიც კი იყვნენ, თანაც უმეტესობა გოგოები. მერედა, რა გოგოები! საულვაშეზე ღინდლი რომ აშლოდათ. აქ იყო სქელი, დაბალთემოებიანი სირანუში, იყვნენ ანაიდა და ადელაიდა – ოუველირის ქალიშვილები, სულ ორი ბიჭი ვიყავით – მე და ილპანი. ილპანი ერთი დოლდნო ბიჭი იყო, გოგოებს ზედაც არ უჟურებდა, დაუკრავდა თავის გაკვეთილს და წავიდოდა. მე არ მომწონდა, გოგოები რომ ვიოლინოს უკრავდნენ. ვიოლინო რა გოგოს საქმე! თუ მაინცდამაინც დაკვრა უნდათ, ფორტეპიანოზე დაუკრან.

მაგრამ მატილდა სულ სხვა იყო! ის დოლის ან ზურნის დაკვრასაც კი დაიმშვენებდა, ჩამოიჭიმავდა შალის ჯემპრს, გამოაჩენდა პატარა მკერდს და ისე წავიდოდა როიალისაკენ, რომ, გაკვეთილი იქმით იყოს და, მარტო ამის სანახავად ღირდა საათში ოთხი ლირის გადახდა. ზაფხულობით ხომ, ნულარ იტყვით, „უწინდებოდ და მოკლესახელოიანი კაბით რომ დადიოდა!

როგორც კი ზღურბლზე გადმოაბიჯებდა, მასტიკის, ყავისა და პაპიროსის სუნით გაუღენთილი ოთახი გაზაფხულის სურნელებით იქსებოდა. მატილდას მამა იტალიელი იყო, დედა, მგონი, ბერძენი. ალბათ, აქედან მოდიოდა მისი უპირატესობა დანარჩენ „წმინდა სისხლის“ მაღმუაზელებზე.

მატილდას ჩემდამი მხოლოდ ის მევობრული გრძნობა უნდა ჰქონდა, რომელიც ხშირად უჩნდებათ ხოლმე ერთი მაესტროს მოწაფეებს. მე კი, მე უბედურს ეს წყეული გოგო სიზმარშიაც არ მცილდებოდა.

ზოგჯერ ქუჩაში ვხვდებოდით ერთმანეთს. უფრო სწორად, ვიცოდი, როდის ეწყებოდა გაკვეთილი და იმ დროისათვის, ვითომ შემთხვევით, შეგვწეხებოდი ხოლმე. ის უფლებას მაძლევდა, გვერდით გავყოლოდი. გული ყელში მებჯინებოდა, ჩემი ორი დერი ფრანგულით საუბრის გაბმას კცდილობდი. მაგრამ მალე შემომელეოდა ფრანგული სიტყვები და თურქულს ვიშველიებდი:

— მაღმუაზელ მატილდა, ნახეთ ამ კვირას „მელექში“ ახალი სურათი?

— Non¹, — მომიგებდა იგი და ისე მომართავდა ტუჩებს,
1. არა (ფრ.).

თითქოს უნდა დაუსტვინოს, ან ცხელ წვენს შეუბეროსო. ღმერთმა დასწყვევლის შენი non, — ვამბობდი ჩემთვის.

— Pourquoi?!

— Parce que je nai-pas u le temps.²

— არასოდეს გცალია?

მატილდა მუქ თაფლისფერ თვალებს სივრცეს გაუშტერებდა და ნახევრად სერიოზულად, ნახევრად ხუმრობით მეტყოდა:

— Je ne sais pas³.

— რა უცნაური გოგონა ზართ, მადმუაზელ მატილდა.

— Vous trouvez?⁴

— Si, si ... დიახ.

ის-ის იყო, საუბარი აეწყობოდა, რომ მაღამ როზის ფერგადასულ სახლს მივადგებოდით ხოლმე. რაღა უნდა მექნა, უკვე ნახევრად ბნელ კიბეზე ავდიოდით. ზოგჯერ ჩამოვრჩებოდი და ვტკბებოდი მისი ფეხების ცქერით. წყრებოდა, თვალებს მოწკურავდა და თავისი გამოხედვით თითქოს მსაყველურობდა: "ხომ ვიცი, რასაც ფიქრობ, გრცხვენოდეს, ამას შენგან არ მოველოდი". როგორ დავიძოროცხვებდი ხოლმე! თან საკუთარ თავზე ვძრაზობდი. "რა მოხდა, ბოლოს და ბოლოს, კაცი არა ვარ?! ამის შემდეგ მორცხვობას დავძლევ და იდაყვზე ხელს წავავლებ".

სწორედ იმ ხანებში, სკოლაში კინოფილმი გვაჩვენეს. ფილმში ერთმა ჩემისთანა გალეულმა ბიჭმა გამბედაობა მოიკრიბა — რაც იქნება, იქნებაო, — თქვა და თავის სატრუოს ტუჩებში აკოცა და, თქვენ წარმოიდგინეთ, გოგონა სულაც არ გაჯავრებულა. პირიქით, გაიღიმა და თქვა: — ოკეი, ჰარი, მეც სწორედ ამას ველოდი, დღესაც რომ არ გეპოცნა, ვიფიქრებდი, ლაჩარია, — მეთქი და ჯეპს

1. რატომ (ფრ.)?

2. იმიტომ, რომ არ მცალია (ფრ.).

3. არ ვიცი (ფრ.).

4. ასე გონიათ (ფრ.)?

გავყვებოდი ცოლად.

ასე აღმოვაჩინე ქალის მანამდე უცნობი ზასიათი და ერთი სული მქონდა, ვიდრე ჩემს სატრფოს გამოვცდიდი. არ, ავალთ ახლა მესამე სართულის კიბის ბნელ მოსახვევზე, მე წელზე ხელს მოვხვევ და ვაკოცებ ვარდის ფურცელივით ტუჩებში. თუმცა არა, ტუჩებში არა. მხოლოდ ლოყაზე ან კისერში, იმ ადგილზე, სადაც მუშკივით თმები თავდება. ნეტავი იმ ფილმის გოგოსავით მოეწონება თუ გაჯავრდება და სილას გამაწნავს? ერთი წამით ვგრძნობ ჩემს ტუჩებზე მისი კანის მომლაშო გემოს და ლოყაზე – მის სილას.

ალბათ, როგორ უხდება გაჯავრება ამ ოხერს, ამას! ფეხებს დამიბაკუნებს, ნესტოებს დაბერავს და დამიყვირებს:

– თქვენ ვინა გგონივართ! ჩემთვის ჯერ არვის უკოცნა. Vous comprenez?!

– Oui, m-lle, je comprend. Excusez moi² ნებისყოფამ მიღალატა, თითქოს ჰიპნოზი გამიკეთესო, უმწეო ვიყავი, როგორც ქარიშხლის მიერ გატაცებული ფოთოლი.

ვიდრე რომანებიდან ამოკრეფილ და დაზეპირებულ საბოდიშო ფრაზებს ჩემთვის ვიმეორებდი, კიბე თავდებოდა, დერეფანში შევდიოდით და უკვე კარებში აღმოვჩნდებოდით ხოლმე.

ოთხშაბათობით ყველანი თავს ვიყრიდით ვირტუოზთა ფირფიტების მოსასმენად. ვიდრე ლინოვსკი სამზარეულოში ჭურჭელს რეცხავდა, ჩვენ საუბრით ვერთობოდით. ჩვენი მთავარი ორატორი სირანუშია. ძალზე ყბედია. ხმას არავის გვაღებინებს, სულ თვითონ ლაპარაკობს: „აბდულ ჰაჯ ჰამიდმა "ეშბერი" ერთი სომეხი პოეტისაგან გადმოიღო. არა, გენაცვალეთ, ყველაზე კარგი პოეტი უილიამ საროიანია. რუბენ მამულიანმა ყველა რეჟისორს აჯობა“. ის კი არა, და დიუმას "სამი მუშკეტერის" დარტანიანსაც სომხად აცხადებდა.

მატილდა უსმენდა ამ ყაყანს და იღიმებოდა. იღიმებოდა

1. გაიგეთ (ფრ.)?

2. დიახ, მაღუაზელ, გავიგე, მაპატიეთ (ფრ.).

დედოფლის მედიდური ღიმილით, ასე ძალიან რომ შვენოდა. შეძევ თავს მკვეთრად აიქნევდა, ოქროსფერ თმებს უკან გადაიყრიდა, ეტაჟერთან მივიდოდა და უურნალებს ათვალიერებდა. გოგოები იტყოლნენ იმ მთისას, ამ ბარისას და ბოლოს ჯერ ლივონსკიზეც მიდგებოდა – რატომ არის მუდამ ასე მოწყენილი. რატომ არასოდეს იღიმება?

ათიფეთი (მამამისი ექიმია) წუხს:

– ნეტავ ტუბერკულოზი არ ჰქონდეს, ნახეთ, როგორ დღიოთ დღე ყვითლდება.

იღვამი ერთი თითოთ აწყობს როიალზე ახლახან ნასწავლ ტანგოს, თან თავის დიაგნოზს სკამს:

– რა უნდა ჰქონდეს, კაუივით არის.

სირანუშიც ამ აზრისაა:

– ნოსტალგიაა და სხვა არაფერი. ხომ იციტ, მუსიკოსები ზედმეტად მგრძნობიარები არიან, – ბრძანებს ის. თან "ლ" ბგერას მაგრად გამოთქვამს.

აქ კი მატილდა თავს ანებებს უურნალებს და საუბარში ურვა, თან ხელში გულის ფორმის მედალიონს ათამაშებს, რომლითაც დედიკოს სურათს დაატარებს.

– არა, არა, – ამბობს ის, – it est un petit geni t'as connu¹, არც თუ დიდი, მაგრამ მაინც გენიოსია და ნაღვლობს, რომ მისი არ ესმით.

ამ დროს "მცირე ყალიბის გენიოსი", სახედამმარებული და წარბეჭეჭმუხვნილი, ხელების მშრალებით სამზარეულოდან ოთახში შემოდის. ტანზე აცვია შავი პიჯაკი, მუხლისთავებთან გამობერილი გაცვეთილი შარვალი. ფეხთ – თავისი განუყრელი თეთრი გეტრები. მას აინუნშიც არ მოსდის, რომ მშვენიერი ამინდია, რომ ოთახში გაზაფხულის მოახლოებით სისხლაჩქეფებული გოგონები ცქრიალებენ.

ჰა, გაიცინე, ერთხელ მაინც გაიღიმე, ადამიანო! როგორ გეკადრებათ! რომ უნდოდეს კიდეც, არ გამოუვა. დარწმუნებული

1. ის პატარა გენიოსია, რომელსაც არ აღიარებენ (ფრ.).

ვარ, მის სახეს დიდი ხანია, ღიმილი დაავიწყდა. განსაკუთრებით – ამ დაღლილ ცისფერ თვალებს. ისინი თითქოს გეკითხებიან: "იშრომე, ისწავლე, დაძაბე მთელი ძალ-ღონე, ისწრაფე ხელოვნების მწვერვალებისაკენ! და რისთვის? – იმისათვის, რომ საათში ოთხი ლირის საფასურად გამები ასწავლო საშუალო სკოლის ჭორფლიან მოწაფეებს?"

თითქოს საპასუხოდ მოკუმულან მისი დამჭერი, ლურჯი ტუჩები:

– რას იზამ, ძმაო, ეს ყოფილა ჩვენი ხვედრი, ასეთია ქვეყანა, უმაღურნი არიან ადამიანები.

გოგონები დაჟინებით სთხოვენ მაესტროს, რომ დღეს ფირფიტების ნაცვლად თავისი დაკვრა მოგვასმენინოს. ისიც ხათრს აღარ უტეხს მათ და თანხმდება.

მაესტრო ჩვენსავით ერთბაშად, ფათაფუთით როდი იწყებს დაკვრას – საგანგებოდ ემზადება: ნელა, აუჩქარებლად იღებს ბუდიდან შალის ნაჭერში გახვეულ ვიოლინოს, რომელიც მისთვის უჩუქებია ესპანეთის ელჩს პეტერბურგში. მოირგებს მხარზე, დააყრდნობს ზედ გამხმარ ნიკაპს, ნეკით აიღებს ხემს, ერთხანს ჰაერში ავარჯიშებს ხელის მტევანს, ბოლოს თვალს მიაპყრობს ოთახის კუთხეს – სინამდვილეში კი ღმერთმა იცის, მოგონებათა რომელ ზღვაში ჩაიძირება და იწყებს კონცერტს. უკრავს დიდი გატაცებით, მთელი არსებით, განსაკუთრებით glissando-ს დროს ისე ასწევს მარცხენა წარბს, რომ გოგონები ოხვრას ვერ იკავებენ. რამდენჯერ გამხდარვარ მოწმე, თუ როგორ იფრქვეოდა აღტაცების ცრემლები მოსწავლეთა თეთრ წინსაფრებსა და ოფლის სუნით აქოთებულ შალის პერანგებზე.

მასწავლებელი თანდათან ექსტაზში შედის. აი, გაიღიმა შოპენის პორტრეტმა, პავლოვა ადგილზე ვეღარ ჩერდება, საცაა ჩარჩოდან გადმოფრთხილდება, როიალზე შედგება და აცეკვდება. ჯადოქრული ხემის ყოველი აქევა, თითქოს ჩვენც მიწიდან გვიტაცებს, ღრუბლებში გვახვევს, ცას გვახლოებს... ქვემოთ აღარ ჩანან ნაგვის ფორნები, აღარ დარბიან წინდებჩაჩჩული ქალები, ცხვირწინ აღარ გვაქვს ეს ნაცნობი უბანი, რომლის ყოველ კუნჭულში მათხოვრები დაყრილა.

შორს, ცხრა მთას იქით, დარჩა სახურავზე სავსმოდებული უბადრუქი ქოხმახები პატაწინა აივნებით, რომლებზედაც გრძელტოტებიანი საცლებია გამოფენილი.

მეტი რაღა საბუთი გინდათ, რომ ხელოვნება მაგია. ლივონსკი, როცა თვეში თუ წელიწადში ერთხელ ამ დალოცვილ კონცერტებს მართავდა, ალბათ, საკუთარ პედაგოგიურ მიზნებსაც ისახავდა: მართლაცდა, ყოველ ჩვენთაგანს კვლავ ერთი ცეცხლი ედებოდა: ნეტავ როდისმე ჩვენც შეგვაძლებინა ასე დაკვრა! ოჰ, ნეტავ თუ შევძლებ ასე დაკვრას, ნეტავ ასე ამატირებინა მსენელები! და თუ ვერ ავატირებ, არ გავაცინო მაინც!

დადგა ის დღე, როცა კონცერტი უნდა გაგვემართა. ერთი საჩვენებელი მუსიკალური საღამო, რომლის მსგავსსაც ხშირად მართავენ ხოლმე პედაგოგები რეკლამის მიზნით.

პროგრამაში პირველ ნომრად მოცარტის რომელიდაც კვარტეტია, შემდეგ კი ამ მოტკბო წყალივით კონცერტს ცოტა გემო მაინც რომ მიცეს, შეგადაშიგ ათიფეთისა და ილპამის სოლო გამოსვლებს ჩავურთავთ. მერე ჩვენი მატილდას ჯერიც დადგება. კონცერტის მთელი სიმბიმე მის სუსტ მხრებს აწევს და ამიტომ, როგორც გამონაკლისი, მატილდას მასტროს ძვირფას ვიოლინზე დაკვრის ნება ეძლევა. სულ ბოლოს, კონცერტის დასკვნით ნაწილში, დიდებული ფინალი molstuo so: თხუთმეტი ვიოლინოსაგან შემდგარი ჩვენი ორკესტრი შეასრულებს „არლეზიელის“ სუიტას. დირიჟორობს თვით Stephan Alexandrovitch Linovsky.

დიდი შემოქმედებითი ცებ-ცხელება გვადგას: კვირაში, სულ ცოტა, სამჯერა გვაქვს გენერალური რეპეტიცია. კინოთეატრ "მაჟიკი" სახელდახელო სცენა მოვაწყვეთ და ახლა დეკორაციებს ვამზადებთ.

გაზაფხული იყო და, ალბათ, ამიტომ ჩვენი მასწავლებელიც მოსულიერებულიყო. ის მარტო რეპეტიციებს როდი ხელმძღვანელობდა. მიზანსცენებს გვკარნახობდა, დეკორაციებსაც იგონებდა, ერთი სიტყვით, ყველა წვრილმანში ერეოდა. ის კი არადა, მოსაწვევი ბარათების ტიტულიც თავისი ხელით დაწერა 1914 წლიდან

შემონახული გუაშით. თუმცა, ამ წლების მანძილზე, აღბათ, ნამდვილად განვითარდა აფიშების მოხატვის ტექნიკა.

ხალხი არა გვყოფნიდა და მოსაწვევი ბარათების დაბეჭდვა მე მომანდვეს. მეც ყოველდღე თავიდან ბოლომდე ვზომავ ანკარის პროსპექტს¹; ერთ მესტამბეს მუფაო არ ეშოვება, მეორემ – ვარაყის საფასურში ლამის დიდედამისის გამზითვება გვთხოვოს. ასე რომ, ჩნდება საშიშროება: ბარათები დროულად ვერ დაიბეჭდება, და მე დაოთხილი გავრბივარ მაესტროსთან.

მაესტროს ოთახში გრამოფონი უკრავს. ჩემი დაკაკუნება არავის ესმის. ერთხელაც ვაკაკუნებ, მერე ჩვეულებისამებრ, ფრთხილად ვაღებ კარს და გაუბედავად შევდივარ. ოთახში გამეფებულ საღმოს ბინდბუნდში პირველად ლივონსკის მეჩხერთმან თავს ვარჩევ. არასოდეს დამავიწყდება: ფანჯარასთან მიდგმულ სავარძელში ჩამჯდარს მუხლებზე მატილდა დაესვა და ჩაჭივეოდა. მისი მარჯვენა ხელი გოგონას კისერზე შემოსჭდობოდა, მარცხენა კი თემოებზე შემოსალტვოდა კობრასავით. მატილდას ოქროსფერი თმები სავარძლის საზურგებზე გადაშლილიყო. თვალები დახუჭული ჰქონდა და ბაგები, ბაგები... მე რმ მეგონა, ჯერ ვერავის გაუბედავს-მეთქი მათი შეხება, ეს ნაზი ბაგები ბებრის საზიზლარი სუნთქვით იქლინთებოდა.

თავბრუ დამესხა, ფოთოლვით ავცახცახდი. გრამოფონი ბეთჰოვენის კონცერტს "მი ბემოლ მაჟორს" უკრავდა. იქვე კი ერთმანეთს ჩახვეული გოგონა და ბერიკაცი ძაღლებივით მძიმედ ქმნდნენ.

გაბრუნება დავაპირე, მაგრამ პუპიტრის ფეხს წამოვედე და... სწორედ ამან გამოაფხიზლა შეყვარებულები ტკბილი ბურანიდან. ლივონსკიმ ქალიშვილი თვალის დახამხამებაში ისროლა კალთიდან, წამოხტა და ვთომ გაკვეთილს აგრძელებსო, ენის ბორბიკით იკითხა:

1. პროსპექტი სტამბოლში, სადაც მოთავსებულია სტამბები და გამოცემლობები.

— Eh bien, oui¹... — რაზე შევჩერდით?

და ახლალა გაახსენდა გრამოფონი.

— C'est ça, m'lle, — მითხარით, რა ტემპში სრულდებოდა ეს ნაწარმოები?

— Allegro... ma non troppo, — უპასუხა მატილდამ, რომელიც
ჯირაც გერ წამომდგარიყო იატაკიდან.

ამ დროს კი ადაფიო იყო, თანაც ფირფიტის დაზიანებულ აღვილას ჩავარდნილი ნემსი ერთსა და იმავე სამ ტაქტს იმუორებდა.

მინდოდა მეცინა, მეხარხარა, მაგრამ ვერ მოვახერხე. ცრემლები მომდინარე უმწეოდ მიმოვისხდე. ლივონსკის ვიოლინო რითალზე დაგდებული თავახდილი ყუთიდან ბრიფებული გამომეტყველებით მომჩერებოდა.

იმ საღამოდან ვიოლინოს ზურგი ვაქციე. ვლოცულობდი, როგორმე დამევიწყებინა Allegro ma non troppo.

მე ხომ ბავშვი ვიყავი, გამოუცდელი, ამ ქვეყნისა არაფერი გამეგებოდა. კარგა ხნის შემდეგ კი, როცა თმა უკვე შემითხელდა, მივსვდი: არსება, რომელსაც ქალი ჰქვია, ვიოლინოსავით კი არადა, ვიოლინოზე უფრო ჭირვეული ინსტრუმენტია, რომელიც თავის სილამაზეს, თავის ღირსებებს მხოლოდ ვირტუოზებისათვის იმეტებს.

ისე, კაცმა რომ თქვას, ქალი თავისი ვიწრო მხრებითა და განიერი თემოებით, განა ვიღლინოს არ მოგაგონებთ?

1. მაშვილი, ასე (ფრ.).

სიამოვნებით

სედათ გერმიანოლუმ თავისი "შევროლე-63" (სტაჟირებიდან რომ დაბრუნდა, მაშინ ჩამოიყვანა) ნახშირის გროვასთან დააყენა, ნატის ხელთათმანები წაიძრო, მანქანა ჩაკეტა, წვიმდა და ამიტომ ჩქარი ნაბიჯით გადაკვეთა ეზო და ფაკულტეტის შენობაში შევიდა.

ორშაბათობით ზედიზედ ორი ლექცია ჰქონდა. ამის გამო სამშაბათობით მუკი გუნებაზე იყო ხოლმე. დღეს კი ისიც დაერთო, რომ წუხელ როტარის კლუბის ვახშამზე ზედმეტი დალია. გეგმას აწყობდა: ნაშადლევს ცოტას წავუძინებ, მერე გრილ შხაპს მივიღებ და "პარკ ოტელის" ბარში მისტერ პრიჩეტს შევხვდებიო.

სწორედ ამ დროს დარეკა ამ ალაპის რისხვა ტელეფონმა! ვინც არ უნდა იყოს კანდიდატი, ახლა, ამ გაბრაზებულ გულზე, სიამოვნებით ჩაუგდებს შავს!

როგორც კი მესამე სართულზე ლიფტიდან გამოვიდა, რაგიფ ავშარს შექეხა. ეტყობა, ლიფტზე იყო მიყურადებული, ელოდებოდა.

— მადლობა ლმერთს, რომ მობრძანდით, ბატონო. მეგონა, ვერ გიპოვიდით და ძალიან შემეშინდა. თქვენს იმედად ვარ.

— შენი პროფესორობის საკითხი გასულ სხდომაზე არ განიხილეს?

— კვორუმი არ შედგა, ბატონო.

— თუ კვორუმი არ შედგა, ნეჯათი როგორლა ჩავარდა?

— კენჭს რომ უყრიდნენ, მე, როგორც სტაჟიანი დოცენტი, სხდომას ვესწრებოდი, მაგრამ, როცა ჩემს კანდიდატურას იხილავდნენ, გარეთ გამოვედი. ამიტომ სხდომას ერთი კაცი დააკლდა და კვორუმი აღარ შედგა.

— ნეჯათი შესულიყო.

— ნეჯათი სტაჟიანი დოცენტი რომ არ არის?. სხდომას როგორ დაესწრებოდა?

რაგიფ ავშარის ხმაში ცუდად შენიბზული სიხარული იგრძნობოდა, ვერაგული სიხარული. აშკარა იყო, რომ გასულ

სხდომაზე ნეჯათს შავი ამან ჩაუგდო, რათა შტატი თავად დარჩენდა.

სედათ გერმიანოლუმ შეათვალიერა მის წინ ატუზული პროფესორობის კანდიდატი. ამ უშნოდ გამოჩორცნილ ყმაწვილს, ყოველთვის სამ ღილზე შეკრული, უკან შეხსნილი პიჯაკი რომ აცვია და ზოლიანი "პეპელა" უკეთია, დღეს მოკრძალებულად ჩაუცვამს, ისე, როგორც ეკადრება სამეცნიერო საბჭოს, სადაც მისი გაპროფესორების საკითხი იხილება. კოტიტა თითები ერთმანეთზე გადაუჭდვია და ლაპარაკის დროს კისერს ხან მარჯვნივ მოიღერებს, ხან – მარცხნივ. თავს ისაწყლებს, მაგრამ არაფერი გამოსდის – წარმოსადევი გარეგნობა ხელს უშლის.

სედათ გერმიანოლუს გული დასწყდა, რომ გასულ კვირას გაშავებული ნეჯათი საბჭოს წევრი არ იყო, სედათი დღეს სიამოვნებით ჩაუგდებდა რაგიფ ავშარს შავს. იმიტომ კი არა, რომ კვორუმის გამო შეაწუხეს და მოიყვანეს. ღმერთმა ხომ იცის, რომ მხოლოდ ამის გამო არა! იმის გამოც, რომ მისი სულის სიღრმეში მბჟუტავი სამართლიანობის გრძნობა შერისძიებას მოითხოვდა.

ამ დროს სხდომათა დარბაზიდან საქიფ ოზბაშარი გამოვარდა და ფათაფუთით შევარდა საბაკათ ხანუმის კაბინეტში.

– ხედავთ? უქმად არ არიან, – თქვა რაგიფ ავშარმა – წელან იჰსანი სებაკათის მანქანაში ჩახტა და წავიდა, რომ კარდაგარ ჩამოიაროს და ხალხი მოაგროვოს. ნახეთ, თუ, აიეთულაპ ბეიც არ წამოაგდონ ლოგინიდან და არ მოიყვანონ.

– აიეთულაპ ბეის რალა დაემართა?
 – თიაქრის ოპერაცია გაიკეთა, – კბილებში გამოცრა რაგიფმა
 – არ ესიამოვნა, მისი გაპროფესორების საკითხი აიეთულაპ ბეის თიაქარს რომ დაუკავშირდა – ნაღდად, ჩემი ჩაჩეხვა გადაუწყვეტიათ.

სედათი დაფიქრდა. ვის გადაუწყვეტია? თუ მართლა ჩაჩეხვას უპირებენ, რატომდა ცდილობენ კვორუმის შეკრებას? რატომ არ სჯერდებიან კათედრის სხდომას და მაინცადამაინც ფაკულტეტის საბჭოს იწვევენ? ეგეც არ იყოს, ეს რაგიფი ვინ ოხერია? რა

გააკეთა, რით დაიმსახურა ეთნოგრაფიის კათედრის პროფესორის თანამდებობა? ან როგორ მიკადნიერდება და მეუბნება, თქვენ იმედად ვარო? დაატყო, კვორუმი არ შედგებაო და — ეცა ტელეფონს, არ მოერიდა, შინ დამირეკა. მოდი ახლა და დაიძვრინე თავი ამ საქმიდან!

საბაკათ ხანუმის კაბინეტის კარი ღია იყო. საქიფ ოზბაშარის ლაპარაკი გარკვევით ისმოდა:

— აღო, საქიფი ვარ! მაპატიეთ, ბატონო. აღბათ, ჯევათმა მოგახსენათ. აკი შეგვპირდით, რომ დღევანდელ სხდომაზე მობრძანადებოდით. ააარა, ბატონო, ჯევათს ობსტრუქცია სწორად არ მიაჩნა, ამბობს, აზრი არა აქვს, შემდეგ სხდომაზე ისევ გამოიტანენ, ამიტომ ეს საქმე დღეს უნდა მოთავდესო. დიიიას, ბატონო... სწორედ თვითონ... თქვენი იმედი გვაქვს... გელოდებით.

რაგიფი გაფითოდა. ეგონა, მოწინააღმდეგე მხარე ობსტრუქციას მოაწყობდა და ეს იყო მისი უკანასკნელი კოზირი. ახლა ესეც ხელიდან ეცლებოდა. მთლად წახდა კაცი, მისი აკადემიური პოზა თვალსა და ხელს შეა გაქრა, დაბნეული და გამოთაყვანებული, საძოვრიდან გამოგდებულ კასთამონუელ მენახირეს დაემგვანა.

სედათმა საბაკათ ხანუმის კაბინეტისაკენ გააპარა თვალი. მიხვდა — განზრახ გაახმაურეს ის, რაც მოხურულ კარს მიღმა ხმადაბლა უნდა თქმულიყო, ესეც ამათი ღორული ტაქტიკა! ამ ბოლო დროს პარლამენტურ ტრიუკებში ისე გაიწაფნენ, პოლიტიკოსებიც კი უკან მოიტოვეს. დეპუტატები მაინც ყოფილიყვნენ! თუმცა რა? აქაც არ არიან ნაკლებ ხეირში.

გულწრფელად შეეცოდა რაგიფ აგშარი. ახლა სიამოვნებით მისცემდა ხმას ინტრიგების ამ საბრალო მსზვერპლს.

ტუალეტიდან ისლამის ისტორიის პროფესორი იმადედინ ბეი გამოვიდა. ზეწრისოდენა ცხვირსახოცი გაეშალა და ხელებს იმშრალებდა. მისი დამნახავი იფიქრებდა, კადასტრის მოხელეა, იენიჯამეს შადრევანთან აფთესი¹ მიუღია და ახლა შუადღის ნამაზისათვის ემზადებაო.

1. რიტუალური განბანვა ლოცვის წინ.

რაგიც ავშარს თვალებში იმედის სხივი აუკიაფდა:

— ღმერთმა უშველოს, ეს ჩვენიანია, — ეს ისეთი ხმით თქვა, ჩანდა, გულწრფელად ემადლიერებოდა.

"ხმები რომ ვერც მოვაგროვო, პატივად ისიც მეყოფა, მხარს თქვენა და იმადედინ ბეი რომ დამიჭვროთ", — ამოიკითხა სედათმა მის გამომეტყველებაში და არ ესიამოვნა, არაფრად ეჭაშნიგა იმადედინ ბეის მარაქაში გარევა. ის — სედათ გერმიანილლუ — ფაკულტეტის ყველაზე დახვეწილი, ევროპული ტიპის პროფესორი — ამ ოსმალო ხოჯასთან ერთი დროშის ქვეშ რას უნდა დაუყენებინა?! ერზინჯანის მიწისძვრა თუ იქნებოდა, ან კვიპროსის საკითხი, კიდევ ჰო, მაგრამ ვიღაც უბადრუკი დოცენტის გაპროფესორების წყალწყალა "პრობლემა"? არამც და არამც! იგი ვერსოდეს დაუზავდებოდა ისლამის ისტორიის ჩოფურა პროფესორს, რომლის დანახვაზე თავისი პაპა — მეჩეთის უბრალო მსახური — აგონდებოდა. პაპა, რომელიც ასე ეთაკილებოდა, რომლის ხსენებასაც ასე გაურბოდა! როგორ უნდოდა, თავადაც დავიწყებოდა და სხვისთვისაც დაევიწყებინა მისი არსებობა!

როცა მულებული იყო იმადედინ ბეიზე ჩამოეგდო სიტყვა, ყოველთვის "მუდერისად" მოიხსენიებდა და ამით ცდილობდა გაეხაზა თავისი დახვეწილი მანერებისა და აზროვნების სტილის უპირატესობა. ამას ისეთი ნატივი ნართაულებით აკეთებდა, რომ იმადედინ ბეი ბევრს ვერაფერს იგებდა, სამაგიეროდ დიდად უწონებდნენ ანგლო-საქსონურ კულტურას ნაზიარები კოლეგები. თუმცა თავად იმადედინ ბეი პასუხად ხან შუა საუკუნეების ლიტერატურიდან გაიხსენებდა რომელიმე უცნებულო სტრიქონებს, ხან ნეიზენის შულგარულ შაირს ჩაიბურტყუნებდა, მაგრამ ისე, რომ მხოლოდ მის გვერდით მსხდართ გაეგონათ — შუა საუკუნეების თურქული ლიტერატურისა და სპარსული ლიტერატურის პროფესორებს.

არა, იმადედინ ბეისთან საქმეში გასვლა უეჭველად შეარყევდა მის რეპუტაციას.

სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი, პროფესორი მველ თურქეთში.

სედათი ფიქრებიდან გამოერკვა. ერთხელ კიდევ შეათვალიერა რაგიფ ავშარი, რომელსაც ამასობაში დაერკებინა მღელვარება – დაბნეული და საცოდავი მენახირე უანდარმთა პირჭუშ ასისთავად ქცეულიყო.

მხოლოდ ამის გამო თავისუფლად შეიძლებოდა მისთვის შავის ჩაგდება.

საქიფ ოზბაშარი და საბაკათ ხანუმი ერთად შევიდნენ სხდომათა დარბაზში. საქიფი კმაყოფილებით იფშვნეტდა ხელებს – ეტყობოდა, მოახერხა საბაკათ ხანუმის გადაბირება. საბაკათ ხანუმი, როგორც ყოველთვის, გაჯავრებული იყო. არიან ადამიანები, სულ ვიღაცაზე რომ არიან გამწყრალნი და ამაში თავიანთი ცხოვრების არს ხედავენ. ჰოდა, საბაკათ ხანუმიც ერთი მათგანია.

სედათ გერმიანოლუ სხდომათა დარბაზის კარს მიუახლოვდა. მეკარე ფეხზე წამოუდგა. საწყალს ან სად ეცალა დასაჯდომად? კარი წამდაუწუმ იღებოდა და იკეტებოდა.

სედათი დარბაზში შევიდა. რაგიფ ავშარმა დაადევნა:

— მიშველეთ, ბატონო, თქვენს იმედად ვარ!

სხდომათა დარბაზში შესულ სედათს სახეში ეცა თამბაქოს თბილი ბოლი, რომელსაც დაზიანებული რადიატორიდან გამოსული ორთქლი უერთდებოდა. ორთქლისა და ბოლის ფარდაში ძლივს გაიკვლია გზა, როგორც იქნა, იპოვა თავისუფალი სავარძელი და პოლიტიკის ისტორიის პროფესორის მუშთაქ ულაშის გვერდით დაჯდა.

ზია ბოზთეფე უიურის ანგარიშს ისე სერიოზულად და მონოტონურად კითხულობდა, იფიქრებდით, სასამართლოს მდივანია და განაჩენს კითხულობსო.

მუშთაქ ულაშმა საქმის კურსში შეიყვანა დაგვიანებული კოლეგა:

— ანთროპოლოგის კათედრის საკითხს იხილავენ. კომისიის ანგარიში ხმათა 5-ით იქნა მიღებული. რუქნეთინ ათამერის კონტრმოხსენებასაც მოვისმენთ.

სედათმა სხდომის პროგრამა აიღო. ახლადა გაიგო, რომ რაგიფ ავშარი ეთნოგრაფიისა კი არა, პალეონტოლოგის კათედრის

დოცენტი ყოფილიყო.

სედათმა დაამთქარა. მერე მაგიდიდან ახლადგათლილი ფანქარი და ქათქათა ქაღალდი აიღო. ხატვას შეუდგა. შორიდან მაყურებელს ეგონებოდა, კომისიის დადგენილების მესამე პუნქტი რაღაც უზუსტობა აღმოაჩინა და იმას ინიშნავსო. ის კი ჯავშნოსან ხომალდს ხატვადა. ბავშვობიდან მოსდგამდა ზღვაში გასული ხომალდების ხატვა. მისი დრონდოუტები ზუსტად იმეორებდა "იავუზს" – პირველი მსოფლიო ომისდროინდელ ოსმალურ ხომალდს – თუმცა, ამ ხნის მანძილზე, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ძალიან განვითარდა ზღვაოსნობის ტექნიკა.

სედათს თავი ხატვის პროცესში უკეთ უმუშავებდა. ახლაც ხელად გაიაზრა შექმნილი ვითარება, მიხვდა, საქიფ ოზბაშარის მიერ ჯევათის ჯგუფის სახელით დარეკვასა და რუქნედინ ათამერის კონტროლებენებით გამოსვლას შორის რაღაც კავშირი იყო. თუ ხუნტის წევრი დოცენტები წინააღმდეგ მისცემენ ხმას, მაშინ ჯგუფი "147" მხარს დაუჭერს, ნიჰათის „დამოუკიდებელთა ჯგუფიც“ მას მიჰყვება. ვთქვათ, „დამოუკიდებელთა ჯგუფის“ ორი წევრი – ჰალმი და ილჰამი – ჯევათის ჯგუფს მიემსრო, მაშინ იდრისი თავს მოიკლავს და საწინააღმდეგო მხარეს დადგება. გერმანელი ლექტორებიც მასთან იქნებიან. ისინი ხომ იდრისს თვალებში შესციცინებენ. ესეც შვიდი ხმა! სულ ოცდარვა ხმა. რაგიფ ავშარს გამარჯვება განაღდებული აქვს, მაგრამ თავს იკატუნებს, წუწუნებს, ინტრიგების მსხვერპლი ვარო. ეს რა არის, სისულელე თუ მაღალ საზოგადოებაში გარევის სურვილი? რაკიდა მის გასვლას წინ არაფერი უდგას, სხდომის დასასრულს სიტყვას მოვითხოვ და ვიტყვი:

– ვიდრე ჩვენ აქ დისკუსია გაგვიმართავს იმის თაობაზე, არის თუ არა შესაფერი ეთნოგრაფიის, პარდონ, წინა აზიის ენების კათედრის პროფესორის თანამდებობაზე წამოყენებული კანდიდატურა, სხვა კათედრებზე ტიტულებს ხელგაშლით ისე არიგებენ, რომ ცოტა თუ ბევრად დასაბუთებული არგუმენტებით არ ამყარებენ. ასეთი ფაქტები სრულიადაც არ უწყობს ხელს

ფაკულტეტის პრესტიჟის ამაღლებას.

ჩემი გამოსვლა რაგიც ავშარს არაფერს ავნებს. მე კი ერთხელ კიდევ დავიძეკვიდრებ კალიტესათვის, უკაცრავად, ხარისხისათვის მებრძოლის სახელს, ერთხელ კიდევ გავამუდავნებ ჩემს პრინციპულ პოზიციას – ფაკულტეტი მაღალ ევროპულ დონეზე უნდა იდგეს.

ამ დროს ევროპული სიგარის სუნი ეცა. სადი თუმაი მაგიდას იდაყვებით დაყრდნობოდა – აქლემივით გართხმულიყო – და სიგარას ეწეოდა. ქვეყნად ყველაფერი დავიწყებოდა, სიგარის სურნელით ტებებოდა და თვალს აყოლებდა მის ბოლს.

ეს სიგარა „კინგ ედვარდიაო“, – იფიქრა სედათ გერმიანოლლუმ. თითქოს ნაფიქრალს მიუხვდაო, სადი თუმაიმ ჯიბიდან სიგარა ამოიღო და მაგიდის მწვანე მაუდზე დააგორა. „ოჰო, ერთი ამს დამიხედეთ! „კინგ ედვარდი“ კი არა და სულაც "ვალტერ უპანი" ყოფილა!“

– სადი, ეს სიგარა საიდან?

სადიმ არ უპასუხა. მხოლოდ ოდნავ გაიღიძა! ამაზეც დიდი მადლობა!

ეს სადი სტამბოლის უცხოურ საკონსულოებში გამართულ კოკტეილებს არ აკლდება (კაცმა არ იცის, როგორ ახერხებს). თან სულ ბუფეტთან ჭრიალებს. რასაც ჭამს, ხომ ჭამს, რასაც არა და – თვალებით ნოქაეს. ერთხელ სედათმა თავის თვალით ნახა, როგორ მოსწია სადიმ ზედიზედ სამი სიგარა და როგორ ურცხვად ჩაიწყო გულის ჯიბეში დანარჩენი ოთხი – როგორც ვაზნები – პატრონტაშმი.

თუ ეს კაცი ყველა ოფიციალური შეზვერიდან საშუალოდ სამ სიგარას დაითოვეს, მთელი თვის მარაგი გაუკეთებია და ეს არის! მერე კი უნივერსიტეტის' სასადილოში იაფვასიან მწვადს, მოხრაკულ ლობიოს, კოშმის კომპოტს მიირთმევს. ამოიღებს ასეთ სიგარას, მოუკიდებს, გააბოლებს და მთელი ნახევარი საათის განმავლობაში თავი ევროპელი ევონება. სედათ დაკვირვებულია – ასეთ დროს სადი, პირში სიგარაგაჩრილი, „ლე მონდ“ კითხულობს.

სიტყვა აიღო ზია სუნგურმა. ძალიან აღელვებული იყო:

— მეგობრებო, კანდიდატის პირად ცხოვრებაში არ ვერევი. მხოლოდ იმაზე მოგახსენებთ, რაც ჩენენს საქმიანობას ეხება. თუ ვინმეს ნორმალურად მიაჩნია, რომ მეცნიერ კაცს კათედრაზე კვლევითი სამუშაოების შესრულებას პარტიულ თუ წინასარჩევნო მაქინაციებში მონაწილეობა ურჩევნია, მაშინ გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მე სულ სხვა აზრისა გახლავართ.

სედათმა ჯავშნოსნის ანბის ხატვა შეწყვიტა, თავი ასწია და ნიაზი თურნალის შეჭხედა. ხუნტის წევრი ნიაზი ყურადღებით უსმენდა ზია სუნგურს, ეტყობოდა, მისი სიტყვის დასრულებას ელოდებოდა, ეგებ გაერკვია ვის უმიზნებდა ორატორი: ავშარს თუ მას. ისიც ხომ "ტურიზმის" მმართველობის წევრი იყო.

საქიუ ოზბაშარმა სიტყვა შეაწყვეტინა:

— მიკიბულ-მოკიბულ ლაპარაკს მოეშვი, რისი თქმაც გინდა, პირდაპირ თქვი!

დეკანმა მაგიდას ფუმფულა მუშტი დაჰკრა:

— კამათს ნუ მოვყვებით, მეგობრებო!

ჩანდა, დეკანი დარწმუნებული არ იყო, რომ ასეთი მოკრძალებული უესტით რამეს შემატებდა თავის ავტორიტეტს.

ზია სუნგური განაგრძობდა:

— მინდა მოგახსენოთ, რომ თქვენ წინაშეა პროფესორობის კანდიდატი, რომელიც გასულ არჩევნებში ერთერთი პარტიის სიით იყრიდა კენჭს. ამაზე მეტი რაღა საბუთი გინდათ, რომ დაინახოთ: ეს კაცი თავისი კეთილდღეობისათვის ყველაფერს იკადრებს.

— ეს რა თქმაა?! — წამოხტა მუშთაქ ულაში — მეცნიერმა კაცმა რატომ უნდა თქვას უარი იმ უფლებაზე, იმ პატივზე, რაც ყველა მოქალაქეს აქვს მინიჭებული? თუ ინებებენ და ამას ამიხსნიან, დიდად დამავალებენ! — თქვა და დაჯდა.

ზია სუნგურმა არ ინება და სიტყვა დინდარ სულუნოდლუმ აიღო:

— მეგობრებო, ჩენენში რომ ვთქვათ, ვუერთდები ზია სუნგურს. მართლაც, კანდიდატი ის კაცია, თავისი მიზნის მისაღწევად

ყველაფერზე რომ წავა. ეგენი, ავშარები, მარდინში ოთხი ძმანი არიან. მამა შიიტი შეიხი ჰყავთ. დიდ მამულს ფლობენ. წინა არჩევნებში ძმებმა ოთხი სხვადასხვა პარტიის სიით იყარეს კენჭი. რომელი პარტიაც არ უნდა გასულიყო, ერთერთი ძმა უეჭველად მოხვდებოდა მეჯლისში და ოჯახის ინტერესებს დაიცავდა.

— მშვენიერი ტაქტიკაა, — თქვა სებათი იურდაერმა.

— რამის დამატება ზედმეტად მიმაჩნია, გმადლობთ ფურადლებისათვის, — სიტყვა დაასრულა დინდარ სულუნოლლუმ.

სედათ გერმიანოლლუმ ერთი დრენდოუტის ანბაზე საბრძოლო დროშა აღმართა, მერე ერთი ქვემეხიდან გასროლაც დახატა და დიდი გულმოდგინებით დაიწყო ბოლის ბოლქვების გამოყვანა.

ზია სუნგური წამოხტა და იყვირა:

— რომელი პარტიიდან იყო?

— ამას რა მნიშვნელობა აქვს?

— დიალაც რომ აქვს! ერთიც ვნახოთ, მუშათა პარტიიდან! იყო?

— თუნდაც მუშათა პარტიიდან ყოფილიყო. მერე რა?

— მეგობრებო, გთხოვთ! აქ იმიტომ ხომ არ შევკრებილვართ, რომ იდეოლოგიურ საკითხებზე დისკუსია გავაჩაღოთ?

— მაშინ მოვყენეთ ქურთული ნაციონალიზმის პროპაგანდას!

ყველა იცინოდა, დეკანის გარდა, მხოლოდ მან არ იცოდა, რომ რაგიც ავშარი, ისევე, როგორც მუშთაქ ულოში, ქურთი იყო, ამიტომ რეპლიკის აზრი ვერ გაიგო, უკბილო ხუმრობად ჩათვალა და როცა მუშთაქი წამოხტა და იყვირა: ჩემი ღირსება შეურაცხყვეს, სიტყვას ვთხოულობო, უპასუხა:

— თქვენს ღირსებას არავინ შეხებია. ამიტომ სიტყვას ვერ მოგცემთ.

— შეეხნენ!

— არ შეხებია!

1. მემარცხენე ორიენტაციის პარტია. ძირითადი ბირთვი ქურთები იყვნენ.

სადი თუმაიმ სიგარის წევა შეწყვიტა:

— მოგახსენებთ და დამშვიდდით. მუშათა პარტიიდან არ ყოფილა.

ავშარის მომხრეებმა შვებით ამოისუნთქეს. სადი თუმაიმ გააგრძელა:

— არც ახალი თურქეთის პარტიიდან.

სედათ გერმიანოლლუმ ვეღარ მოითმინა:

— ეს რა არის? Demonstration par émination-ს! აკეთებთ?

და ვინაიდან ამჯერად მისი ხუმრობა სულაც არ იყო a second degrue⁵⁸, ატყდა სიცილი.

სადიმ მოედანზე გამოსული მაცნესავით იყვირა:

— არც სამართლიანობის პარტიიდან!

— რაღა დარჩა? — იკითხა საქიფ ოზბაშარმა — სახალხო-რესპუბლიკური პარტია?

— სწორედაც! რაგიფ ავშარმა თავისი კანდიდატურა სახალხო-რესპუბლიკური პარტიიდან წამოაყენა!

სადი თუმაიმ, გამოცდილი ადვოკატივით, რომელიც ერთი მეორის მიყოლებით აბათილებს თავისი კლიენტისათვის წაყენებულ ბრალდებებს, მთავარი კოშირი ბოლოსთვის შემოინახა:

— დიახ, მეგობრებო, თუ დანაშაულად უთვლით, რომ სახალხო-რესპუბლიკური პარტიის კანდიდატი იყო, მიეცით აცილება!

კინაღამ დაამატა: თუ გული გერჩიო, მაგრამ დროზე შეიკავა თავი და სიგარას დაუბრუნდა.

ამ რამდენიმე წლის უკან სედათ გერმიანოლლუმაც დააპირა, სახალხო-რესპუბლიკური პარტიიდან ჩანაკალეში ეყარა კენჭი, მაგრამ პარტიის სიაში ვერ მოხვდა. ერთმა მტკირთავების ბრიგადირმა აჯობა. სედათს ისევ დაუუფლა სიბრაზე რაგიფ ავშარის მიმართ. მას პირველი ბარიერი მაინც გადაულახავს თავის მარდინში. „როგორი გაქნილი ყოფილა! ქურთ ნაციონალისტებშიც უპოვია მხარდამჭერები, ყველასთან შესძლებია

1. გამორიცხვის მეთოდის დემონსტრაცია.

საქმის ჩაწყობა: მემარჯვენებთან, მემარცხენებთან, სუნიტებთან, შიიტებთან, ანარქისტებთან, ნაციონალისტებთან, პროდასავლეთელებთან, პანთურქისტებთან. ექსტრა კლასის გაიძვერა“. და თითქო გაიძვერობა მხოლოდ სტამბოლელთა პრიორიტეტი ყოფილიყოს, დაამატა: „ქალამნიანი გაიძვერა“.

აი, ახლა რომ დაეწყოთ კენჭისყრა, სედათ ამ ვიგინდარა ავშარს სიამოვნებით ჩაუგდებდა შავს!

ამასობაში რუქნედინ ათამარმა კონტრმოხსენებისათვის სიტყვა აიღო:

— ჩემი აზრით, წინა მოხსენების ნაკლი ის არის, რომ იგი დაუსაბუთებელია. დოცენტად მუშაობის დიდი სტაჟი როდი აძლევს უფლებას რაგიფ ავშარს, პრეტენზია განაცხადოს. ჩვენი წესდება მოითხოვს, რომ კანდიდატმა სამეცნიერო მოღვაწეობითაც გამოიჩინოს თავი.

— ესეც შენი ფორმალისტური მიღვომა, — აბუზლუნდა სადი თუმაი — ვინძლო, იმაშიც მოედავოთ, რომ განცხადებას სახაზინო მარკა არ აკრავს!

ხუნტის წევრმა ნიაზი თურნალიმაც ამოიღო ხმა:

— თუ შეიძლება, ბოლომდე მოვისმინოთ ათამერის მოხსენება.

ჯევათის ჯგუფიც ახმაურდა:

— ჩუმად, მევობრებო!

ფერთვე ჯანდანს სამართლიანობის ძლიერმა გრძნობამ ათქმევინა:

— წინა კანდიდატზე რატომ არაფერი ბრძანეთ? არც მას გააჩნია რაიმე განსაკუთრებული დამსახურება.

ამაზე ხუნტის წევრები ერთხმად აყაყანდნენ:

— მაგ საქმეშ ჩაიარა, უკან ვეღარ დავბრუნდებით!

რუქნედინ ათამარი, რაკიდა ხუნტელებისაგან ასეთი მორალური მხარდაჭერა მიიღო, რეპლიკებს ყურადღებას აღარ აქცევდა, თავის ნაწერში ცხვირჩარგული კითხვას აგრძელებდა. ახლადჩადგმულ ჩანას ჯერაც ვერშეჩვეული საცოდვად ჩიფჩიფებდა:

— მრომებიშ შიაში ჩამოთვლილი ორმოჩდაერთი ნაშრომიდან ოჩდაჩვიდმეტი თითო-ოროლა ფორმიანია და მხოლოდ ამონა-

ბეჭდებით არის ჩნობილი. სამეჩნიერო ნაშრომად ვერ მივიჩნევთ კანდიდატიშ ჭიგნშ, რომელშიჩ შხვადაშხვა დროშ გაუეთებში დაბეჭდილი შტატიებია თავმოყრილი. აშე, რომ გვრჩება შამი ნაშრომი: "პალეონტოლოგიშ კარიბჭეშთან", "პალეონტოლოგიშ და შაბუნებიშმეტყველო მეჩნიერებები", "პალეონტოლოგიშ შაულვრები". ამ შრომებიშ შათაურები მეტყველებშ, რომ ჩვენი კანდიდატი უედაპირულად ეხება პალეონტოლოგიაშ და თავშ არ იჭუხებშ მიშ პრობლემებში ჩაღრმავებით. ამიშ გამო ვთხოულობთ, აჩილება მიშჩეთ მიშ კანდიდატურაშ.

ამ გამოსვლას ზუნტის წევრების წამოძახილები მოჰყვა:

- ყოჩალ! დიდებულია.

სედათ გერმიანოლუმ იფიქრა, უნდა ავდგე და კანდიდატის დასაცავად რამე ვთქვაო, მაგრამ არც ამდგარა და არც არაფერი უთქვამს. იცოდა, ჩუმად ყოფნას და დალოდებას ვნება არასოდეს მოაქვს.

შევქეთი ოღუზთურქი:

- თუ თითო ფორმიან სტატიებს სამეცნიერო ნაშრომად არ მივიჩნევთ, ვშიშობ, ბევრი ჩვენთაგანის შრომების სია საგრძნობლად შემოკლდება. გულწრფელები ვიყოთ, მეგობრებო, ასეთი მიდგომა ზედმეტ თავგამოდებად მეჩვენება...

- მართალია!

აქ პროფესორის წოდება ისეთი დოცენტებისთვისაც კი მიგვინიჭებია, დოქტორის ხარისხი რომ არ ჰქონდათ, – გააგრძელა შევქათი ოღუზთურქმა – მოდით, ნურაფერს მათქმევინებთ.

- რაო, რაო, რა ბრძანეთ? – ჩაჰკითხა ნადიმმა, ჯევათის ჯგუფის წევრმა.

განა მართლა ვერ გაიგო! განზრახ იკითხა, უნდოდა, შევქათის ნათქვამზე ერთხელ კიდევ გაემახვილებინა ყველას ყურადღება. ისიც ვერაგობას ვერ მიუხვდა და მართლაც გაიმეორა.

ჯევათსაც ეს უნდოდა. შევქათი ოღუზთურქს გონს მოსვლა არ აცალა, წამოხტა და იყვირა:

- ამ საოცარი აზრის მიზანია, დაამციროს ის პროფესორები, რომელთაც დოქტორის ხარისხი არა აქვთ. მეგობრებო, გთხოვთ,

დავუბრუნოთ ეს "სიბრძნე" მის პატრონს! თავად ორჯერ დავიცავი სადოქტორო დისერტაცია. ამიტომ ობიექტურად მოგახსენებთ: პროფესორების ასეთი დაყოფა ხარისხიანებად და უხარისხობად ძალიან უბადრუკი ანგარიშის შედეგია. მიმაჩნია, რომ ის პროფესორები, რომელთაც დოქტორის ხარისხი არა აქვთ, ჩვენს დაწესებულებას ხარისხიანებზე ნაკლებად არ ემსახურებიან.

შევქათი ოღუზთურქი ახლადა მიხვდა, რომ წამოაყრანტალა. წამოჭარხლდა. ამაღდ ეცადა ნათქვამის გაქარწყლებას, არაფერი გამოიუვიდა. არადა, მას ხომ ჯგუფში თერთმეტი უხარისხო პროფესორი ჰყავდა? არც მოწინააღმდეგე ბანაკში შემავალი ასეთი პროფესორების მტრად მოკიდება არგებდა რამეში.

ზია სუნგურმა მინერალური წყალი დაისხა. თან ჩაიღაპარაკა:

— აი, ამას ჰქვია საკუთარ კარში გოლის გატანა.

დამთრგუნველი სიჩუმე ჩამოვარდა.

ალი რიზა ბეიმ აიღო სიტყვა:

— მე ჯვეათ საქაოლლუსავით ორი კი არა, ერთი სამეცნიერო ხარისხიც არ გამაჩნია. ამიტომ მართალი არ ვიქნები, თუ ვიტყვი, შევქათი ბეის სიტყვები სულაც არა მწყენია-მეთქი.

სედათ გერმიანოლლუმ გუნებაში ჩაიცინა. ალი რიზა ბეის ასე სჩვევია: ჩუმად ზის, იცდის. მერე რამე ჩვეულ ოინს ჩაიღენს. შვიდი-რვა სხდომა ასე კიდევაც ჩაუშლია, კვორუმის შექმნაც გაურთულებია.

ალი რიზა ეფენდიმ თავის ნათქვამს საფანლად ნეფის, კარაჯა ოლლანის, მუალიმ ნაჯის, ეშრეფის¹ სტრიქონები დაუდო და გააგრძელა:

— სადოქტოროს დაცვას ბევრი არაფერი უნდა. „შოტლანდიური ლიტერატურის გავლენა XV საუკუნის ირლანდიურ ლიტერატურაზე ინგლისური ლიტარტურათმცოდნეობის თვალსაზრისით“. ასეთი სადოქტოროს დაცვას სულაც დაუცველობა მირჩევნია.

1. შუა საუკუნეების ცნობილი თურქი პოეტები არიან.

მართლაც ლამაზად გამოუვიდა. უკელა იცინოდა: მტეროც
და მოყვარეც.

— ბატონებო, იძულებული ვარ შეგახსენოთ: რაგიფ
ავშარისათვის პროფესორის წოდების მინიჭების საკითხს ვიხილავთ.
გთხოვთ, საკითხს ნუ გადაუხვევთ, — თქვა დეკანმა, მაგრამ ყურს
აღარავინ უგდებდა. ჩაი შემოიტანეს. ჩაის სმამ დაძაბულობა
განმუხტა.

სედათმა უკანასკნელი ჯავშნოსანი დახატა და ამით საზღვაო
ბატალიის სურათი დაასრულა.

ჯევათის ჯგუფის წევრები ერთად იდგნენ, ტაიმ-აუტზე გასული
კალათბურთელებივით ერთმანეთზე თავმიღებულები რაღაცაზე
ბჭობდნენ.

შევქათი უხარისხო პროფესორებს შორის მიმოდიოდა,
წელანდელი ნათქვამის შერბილებას ცდილობდა, მაგრამ ახალ-
ახალ უტაქტობას სჩადიოდა.

სედათ გერმიანოლუ გაბეზრდა. „ბარემ ჩატარდეს ეს
კენჭისყრა და მორჩესო“, — ფიქრობდა. მისთვის რაგიფ ავშარის
გაპროფესორების საკითხს მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ახლა
თავისუფლად მისცემდა, ან არ მისცემდა ხმას. იქნებ სულაც
თავი შეეკავებინა.

დღის წესრიგში ჩაიხედა:

1. პალეონტოლოგის კათედრის პროფესორის ვაკანტური
ადგილის დასაკავებლად ისმეთ გირაის, რაგიფ ავშარისა და
მალზუმ ინალის კანდიდატურების განხილვა;
2. ბიბლიოთეკის ხარჯების შემცირება;
3. მუსლიმური ღვთისმეტყველების ინსტიტუტის ხარჯების
გაზრდა;
4. ამერიკაში მყოფი პროფ. მემდუქ გეზგინის სტაუირების
ერთი წლით გაგრძელება;
5. მამაკაცების ტუალეტში უნიტაზის გამოცვლის წინადა-
დების განხილვა;
6. ოქებერვლის თვეში ლისაბორში მოწვეულ საერთაშორისო
კონგრესზე დელეგატების არჩევა.

„ნეტავ, დეკანი თავად რატომ არ მიდის? ალბათ, მიუნაცხოვთ“
არქეოლოგთა კონფერენციაზე წასკლას ამჯობინებს, – გაიფიქრა
სედათმა – ისე, ურიგო არ იქნება თებერვლის არდალეგებზე
პორტუგალიაში გასეირნება. თანაც ლისაბონში ელჩი მისი
თანაკლასელია. თუ გინდა, მოგზაურობას გემო ჩაატანო, გემით
უნდა წახვიდე“. ერთბაშად ისე ცხადად წარმოიდგინა მზით
გაჩახჩახებული გემბანი, რომ თვალიც კი მოეჭრა. ჯიბიდან მზის
სათვალის ამოღება დააპირა. „პორტუგალიურ ღვინოს ხომ
არაუერი შეედრება“. წარმოიდგინა, როგორ გაიქროლებენ პალმების
ხევანში ისა და ჯაჭიდი საელჩოს მანქანით.

ფიქრებში წასულმა თავის დახატულ გემებში ერთს საზღვაო
მიმოსვლის ემბლემაც კი მიახატა.

სედათმა პორტუგალიის მივლინების გასწვრივ კითხვის ნიშანი
დასვა და ქაღალდი სადი თუმას გადასცა. სადი მიუხვდა და
ერთი სიტყვა მიაწერა: იდრისი.

სედათმა ქაღალდი დაიბრუნა და მიაწერა:

– ვინ წამოაყენა?

კვლავ წერილობითი პასუხი:

– ვინ წამოაყენებდა? ხუნტამ.

ამ, თურმე, რატომ იჯდა იდრისი მთელი დღე ხმაამოუღებლად!
ეშინოდა, ან ერთ მხარეს არ ვაწყენინო, ან მეორესო. იდრისი
უთხარი შენ! შვიდ გერმანელ ლექტორთან ერთად რვა ხმაა.

სედათს ყველა ერთნაირად აღიზიანებდა: იდრისი, ხუნტა,
გერმანელი ლექტორები. ამიტომ თავის ნახატზე საზღვაო ალამი
შავი მეკობრული დროშით შეცვალა, ზედ გადაჯვარედინებული
ძვლები და თავის ქაღაც მიახატა. ახლა, ხუნტას ჯიბრზე შეეძლო,
მთელი ორი საათი ელაპარაკა რაგიფ ავშარის დასაცავად. არა
და, ამასობაში ლამის დავვიწყდა კიდეც. „უნდა მეფიქრა, უნდა
მივხვდოლიყავი. ეს ტიპი სოციოლოგი კი არა, ბურსოლოგია!“.

ამ დროს კარი გაიღო. იჰსანი მხარში შესდგომოდა და

1. (ფრ.) საზღვარგარეთ მივლინების დასაფინანსებელი ვალუტა;
უცხოეთის სასწავლებლებში გაგზავნილი სტუდენტების სტიპენდია.

კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად ლოგინიდან წამოყენებული აიეთუპალ ბეი მოყავდა. მოხუცი ძლივს მოდიოდა, ოპერაციას ბოლო მოეღო მისთვის. ლოფები ჩასცვენოდა, გალეული კისერი პერანგის საყელოში ჯოხივით ჰქონდა ჩარჭობილი. ჩასაძირად განწირული გემის გადასარჩენად შუალამისას გაღვიძებულ მოხუც კაპიტანს ჰგავდა. ვისაც მისი საავადმყოფოში ნახვა ვერ მოეხერხებინა, შემოეხვივნენ ბერიკაცს. ზოგი ჰკოცნიდა, ზოგი ბოდიშს უხდიდა. აიეთულაპ ბეის თვალებზე ცრემლი მოადგა. სავარძელში ჩააბრძანეს, ჩაი მიართვეს.

სედათმა გადაპხედა იჰსანს, რომელმაც საბაპიათის მანქანა გამოიყენა ლოგინში მწოლარე ავადმყოფის მოსაყვანად. თითქოს იჰსანს რაგიფის სამტროდ მიზეზი არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ ამ კაცისათვის ინტრიგანობა თანდაყოლილი სენია. სენი თუ ჰობი, გაროობა, რომელიც სიამოვნებას ანიჭებდა. ეს მისთვის ნარკოტიკია.

ნედიმ გურზაი წამომდგარიყო და ლაპარაკობდა:

— ერთ მოკლე ამბავს გიამბობთ. თავად გადამხდა. მოგეხსენებათ, ჩვენს ქალაქში ორკესტრია. დანტისტები, მეაფთიაქები, ბეითლები, ბანკის მოხელეები საღამოობით ამ ორკესტრის წევრები ხდებიან, ჩვენი ფილარმონიის ჭრელაჭრულა ორკესტრის წევრები. ერთი ჩემი ახლობლის შვილს ამ ორკესტრში მოხვედრა უნდოდა. გასინჯვაზე გავიდა და ჩაფლავდა. კონცერტმეისტერი ჩემი კლასელია. მივედი. ვეუბნები:

— თქვენს ორკესტრში ამ ბიჭისნაირი მევიოლინები ბლომადა გყვანან, — მეთქი.

— მართალი ხარო, — მითხრა — სხვებიც პროტექციით არიან ჩვენთან მოხვედრილები. ამიტომაც არის ორკესტრი ასეთი უბადრუკი. თავი დაგვანებეთ, ეგებ ამას იქით ცოტა ხეირიანი ხალხი ავიყვანოთ და საქმეს ვუშველოთ.

ატყდა სიცილი. ნედიმმა გააგრძელა:

— ხომ მიხვდით, რისი თქმაც მინდოდა? თავს აღარ შეგაწყვნთ. აიეთულაპ ბეის აღუთქვეს, როგორც კი კენჭისყრა დასრულდება, მანქანით წაგაბრძანებთ და თქვენს თბილ ლოგინში დაგაბრუნებთ. ეტყობოდა, მოხუცს გაჭიანურებული კამათი გულს

უწუხებდა. რომ არ გაქცეულიყო, ნეჯმი გესტაპოსავით მიუჩინეს. იპსანმა დაინახა, რომ აიეთულაჲ ბერ მოუსვენრად იყო. მიუახლოვდა და დაუწყო თავისი ერთერთი უკბილო ანეკდოტის მოყოლა:

— ერთხელ ერთმა კაცმა, საძინებელი ვაგონის მგზავრმა, ის იყო ტანთ გაიხადა, რომ მეზობელი ქუპედან ქალის ხმა შემოესმა.

აიეთულაჲ ბეიმ ფური ცქვიტა. სულ დაავიწყდა, ნაოპერაციები ადგილი რომ სტეხდა და წელიც სტკორდა.

ჯერ არც კი ჩამცხრალიყო ნედიმ გურზაის ნაამბობით გამოწვეული სცილი, რომ სიტყვა ითხოვა ნიაზიმ:

— წინადაღება შემოძაჭვს, ჩვენს კანდიდატს პროფესორის წოდება მივაწიჭოთ.

ხუნტელის ამ პარადოქსულმა წინადაღებამ დაძინებულებიც კი გამოაღვიძა.

— მეგობრებო, ეს ფაქულტეტის პრესტიჟის საკითხია, — გააგრძელა ნიაზიმ — რაგიც ავმარმა არჩევნებამდე ქარგა წნით ადრე ახალი სავიზიტო ბარათები დამზადებინა და თავის გვარს პროფ. მიაწერა. ახალი ბინა იქირავა და კონტრაქტში პროფესორი ჩააწერინა — ქვედა სართულზე ჩემი ქვისლი ცხოვრობს და იმან მითხრა. უცოდელ კოლეგებსაც პროფესორად აცნობს თავს, ფორდის ფონდსაც გრანტის თხოვნა პროფესორის სახელით გაუგზავნა. ახლა რომ არ ავირჩიოთ, თავი მოგვეჭრება — გამოვა, რომ მატყუარები ვართ. გადაწყვეტილების მიღება თქვენზეა, საბჭოს პატივცემულო წევრები.

საბჭოს სერიოზულობის ნარჩენები საერთო სიცილ-ხარხარში ჩაიკარგა.

სედათ გერმანოლენუ ბალიან გააღიზიანა ამ ვიღაც რაგიც ავმარის სულსწრაფობამ. არადა, ბრწყინვალე სიტყვა ჰქონდა მზად და გამოსვლას აპირებდა, რათა მოწინააღმეგე მხარისათვის სილა გაეწნა.

ახლა ისეთი კაცის დაცვა, რომელმაც თავი ბრიყვულ მდგომარეობაში ჩაიყენა, ლამაზი სიტყვების ქარისათვის გატანებას ნიშნავდა.

სედათმა გაჩუმება ამჯობინა, ლამაზი სიტყვები სხვა დროისათვის

შემოინახა.

დეკანმა კრწისყრა დაიწყო. რაგიც ავმარი ვერ გავიდა. ჩვიდმეტი მომხრე ჰყავდა, ოცდარვა – წინააღმდეგი.

აიეთულაპ ბერ წამოდგა. შინ წასვლა უნდოდა. იპსანს დაუწყო ძებნა.

ყველანი წამოშალნენ და ის იყო, სიგარეტის მოსაწევად გარეთ უნდა გასულიყვნენ, რომ ვიღაცას გაახსენდა:

– მოითმინეთ, მოითმინეთ, ბიულეტენში მესამე კანდიდატიც იყო!

- მართალია, იყო.
- ვინ იყო?
- ვიღაც მაზლუმ ინალი.
- არ ვიცნობ.
- ვინმე იცნობს?

არც ხუნტის წევრები ინცობდნენ. არავინ იცნობდა.

– ერზერუმის უნივერსიტეტის დოკუმენტია, – თქვა შაქირ ბარანმა.

– ერთი წუთით, მეგობრებო, – თქვა დეკანმა – ვიდრე შემდეგ საკითხზე გადავიდოდეთ, მესამე კანდიდატის საკითხიც განვიხილოთ.

ვიღაცამ, ვისაც შესვენების მოწყობა უნდოდა, წინააღმდეგობა გაუწია, ვიღაც დათანხმდა.

- თანახმა ვართ! – აყვირდა უმრავლესობა.
- რაზე ხართ თანახმა? – იკითხა დეკანმა – განხილვა დავიწყოთ, თუ პრიდაპირ მიგანიჭიოთ კანდიდატს პროფესიონის წოდება?
- ერთზეც თანახმა ვარ და მეორეზეც.
- დავიწყოთ განხილვა, – თქვა დეკანმა – ვის სურს კანდიდატის შესახებ აზრის გამოთქმა? პირველად სიტყვას ვაძლევ იმას, ვინც წინააღმდეგია.

ასეთი არავინ აღმოჩნდა.

– ვინ უჭერს კანდიდატს მხარს?

მსურველი არც ახლა გამოჩნდა.

მაშინ სიტყვა შაქირ ბარანმა ითხოვა. ის ერთადერთი იყო, ვინც კანდიდატს იცნობდა და სინდისმა ჩუმად ყოვნის უფლება არ

მისცა.

— მაზლუმ ინალი, როგორც მისი სახელიც მეტყველებს!,
მოკრძალებული, უპრეტენზიო კაცია. ჯარში ერთად ვიყავით.
ფოლათლიში ვშაახურობდით. ინალმა დამოკიდებლად შეისწავლა
ინგლისური ენა. იგი მეცნიერების რიგით, უხმაურო მსახურია. არა
მგონია, ბევრი ნაშრომი ჰქონდეს, მაგრამ სიზარმაცით კი არ მოსდის,
არამედ — მოკრძალებულობით. ერზერუმის უნივერსიტეტის გახსნის
დღიდან მისი დოცუნტია. თავისი სიურვილით წავიდა.

— ძალიან კარგი.

— მეტი რა არის საჭირო?

— შესაფერია.

— მივიღოთ.

დეკანმა კენჭი უყარა. ოცდათვერთმეტმა წმა მისცა მაზლუმ
ინალს. წინააღმდეგი იყო თოთხმეტი.

მაზლუმ ინალი პალეონტოლოგიის კათედრის პროფესორად
დაამტკიცეს. დეკანმა თხუთმეტი წუთით შესვენება გამოაცხადა.

აიეთულაპ ბეი ისევ იჭიანს ეძებდა. როცა მისი პოვნის იმედი
გადაეწურა, ლიფტისკენ წალასლასდა. დაღლილობაზე უფრო ის
აწუხებდა, რომ ტაქსის ფული საკუთარი ჯიბიდან უნდა გადაეხადა.

სედათ გერმანოლლუმ კომედიის მეორე მოქმედებაზე დარჩენა
აღარ ისურვა, აიღო საწვიმარი და კიბეებზე დაემვა.

ვესტიბულში საფოსტო განყოფილების წინ ხუნტის სულიერი
ლიდერი ჯევათი საქიფ ოზბაშარს ეკითხებოდა;

— იმ ვიღაცას რა ჰქვია?

— მგონი, მაზლუმ ინალი, ერზერუმის უნივერსიტეტის დოცუნტი
ყოფილა.

— მოდი, დეპეშა გაუგებავნოთ. დაწერე: ძალიან როგორ პირობებში
თქვენთვის პროფესორის წოდების მონიჭებას მივაღწიეთ. თქვენთან
ერთად მოხარული ვართ. ჩვენი ჯგუფის სახელით გაოცნით,
გილოცავთ წარმატებას. ხელმოწერა: ჯევათ საქაოღლუ.

1. მაზლუმ წყნარს, მშვიდს, მორჩილს ნიშნავს.

ჩვენი უბის აფთიაქში

ჩვენს უბანში სამი ყავახანაა. ერთში შეიძლება ყომარი ითამაშოთ, ჩხუბი ატეხოთ. სხვებში – ნარგილე მოსწოთ და ცოტა წასთვლიმოთ. სანაპირო ბუღვარიც ხომ არისო, მეტყვით. არის, მაგრამ საღამობით იქაურობა ხანშიშესული ქალბატონებით, ბავშვებითა და მათი ძიძებით არის სავსე.

ასე რომ, მხოლოდ აფთიაქიღა დაგვრჩა, სადაც შეიძლება კაცმა საღამო გაატაროს.

ჩვენი უბნის აფთიაქში საღამობით თავს იყრიან ბევრის მნახველი და ბევრის გამგონე დარბაისელი ბატონები – ყოფილი პრემიერ-მინისტრი, მეჯლისის ყოფილი თავმჯდომარე, ყოფილი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, გენერალური შტაბის გადამდგარი პოლკოვნიკი, ცნობილი საზის ხელოსანი და თავისი საქმის უბადლო ოსტატი, სახელგანთქმული მესუნეთე!

სხვა რომელი უბნის რომელ აფთიაქს შეუძლია თავი მოუყაროს ამდენ პატივცემულ გვამს?

მეტყვით, რაღა ფასი აქვს ყოფილ პრემიერ-მინისტრს, პენსიონერ ელჩსა თუ გადამდგარ პოლკოვნიკსო?

რა ბრძანებაა!

მე გადამდგარ პოლკოვნიკს კადრის გენერალზეც კი არ გავცვლიდი. მართალია, კადრის გენერალი უფრო ენერგიულია და საქმიანი – იღწვის, რაც შეუძლია, მაგრამ სადა აქვს მას გადამდგარი პოლკოვნიკის სიდინჯე, მისი უნარი, გულგრილად ადევნოს თვალი დუნიას და მშვიდად განსაჯოს მოვლენები.

ხელისუფლების სათავეში მდგომი პრემიერ-მინისტრი იმას მოიმოქმედებს, რაც მოეპრიანება: უნდა ჩამოახრჩობს ვისმე, უნდა – მოკლავს კიდეც. მის აბდაუბდა გამოსვლებს რადიო დღეში სამჯერ-ოთხჯერ იმეორებს. განებივრებული და გატუტუცებული ბავშვის საქციელი აქვს.

ყოფილი პრემიერ-მინისტრი კი სანდომიანი, დარბაისლური

1. საგანგებო პირი, რომელიც ბიჭებს წინადაცვეთას უტარებს.

გარეგნობისაა, თითქოს გუებნებათ: „ეჭ, შვილო, შენ რომ მოდიოდი, ჩენ მივდიოდითო“. იქნებ, ახალ პრემიერზე ჭკუადამჯდარი არც იყოს, მაგრამ შორიდან ისეთ მთაბეჭდილებას ტოვებს, ამბობენ: „ეს იყო, რაც იყო, გახსოვთ, ამა და ამ საკითხის გადაჭრისას როგორი პრინციპულობა გამოიჩინა, ან ამ საკითხთან დაკავშირებით რა დიქტატორული სიტყვა თქვა?“

მაგრამ ეს ყველაფერი უკან დარჩენილა და მოგონებების ტკბილი ბურუსით შეტურულა. ახალ პრემიერ-მინისტრს კი შეუძლია, ახლა დაგმართოთ სიავე – სამსახური დაგაკარგვინოთ, სამინისტროს განკარგულებაში აგიყვანოთ, უდროოდ გაგიშვათ პენსიაზე – მოკლედ, თქვენი სული იმის ხელშია. ის ყოფილი პრემიერ-მინისტრივით აფთიაქში მორჩილად როდი ელოდება თავის რიგს. კაცი ვართ, ძლიერნი ამა ქვეყნისანი არა გვხიბლავენ, დაქვეითებულები კი ჩვენ გვემსგავსებიან და ეს მოგვწონს.

აფთიაქის სტუმარი პრემიერ-მინისტრი, რაც თანამდებობიდან გადმობრძანდა, უკვე ჩვენი კაცია, თავაზიანობასაც კი შეუჩვა. სიტყვამუნწია, მაგრამ ვიდრე მისოვის შპრიცი იხარშება, მცირე ხნით დაჯდება, დიდს, პატარას – ყველას მოიკითხავს: მეჯღისის ყოფილ თავმჯდომარეს, გადამდგარ პოლკოვნიკს, პენსიონერ ელჩს, მეაფთიაქს, მის შეგირდ რეჯებს, ასპირინის საყიდლად შემოსულ მეურმე იბრაჟიმ ჩავუშს.

„ღმერთმა უშველოს! რა კაცური კაცია, როგორი თავმდაბალი და დემოკრატი“, – ვამბობთ მისი საქციელით გაკვირვებულნი და მოხიბლულნი. თუმცა არც ჰაჯი ბეი შემოვა აფთიაქში ისე, თუ ყველას არ გამოელაპარაკა, არ გაქსუმრა, მაგრამ აზრადაც არავის მოსდის, დაუფასოს თავმდაბლობა.

რას იზამ, ასეთია ქვეყანა!

არ ვიცი, რა სატკივარი აწუხებს პრემიერ-მინისტრს, მაგრამ აი, ჰაჯი ბეი და საგანგებო ელჩი, თუ რეჯებს დავუკარებთ, თურმე ტესტოვირონს იკეთებენ.

ნუ, იცინით, გეთაყვათ, ტესტოვირონს მხოლოდ ყავლგასული მუსუსები როდი ხმარობენ, რათა თავიდან აიცილონ გაავებული საყვარლების საყვედურები. არა, მას სავსებით დარბაისელი

ბატონებიც იყენებენ. ისე, პროფილაქტიკისათვის.

თავს მოვალედ ვთვლი, განვაცხადო, რომ ჰაჯი ბეი და საგანგებო ელჩი სწორედ ამ მეორე კატეგორიას ეკუთვნიან.

ჩვენს პოლკოვნიკს კი, მადლობა ღმერთს, მსგავსი არაფერი სჭირს. საღამოობით აფთიაქში მხოლოდ იმიტომ შემოდის, რომ ცოტა წაიმუსაიფოს. პოლკოვნიკს ნაზიმ ბეი გუმელჯუნი ჰქვია. შემოვა თუ არა აფთიაქში, ყველანი ფეხზე დგებიან.

— მობრძანდით, ბატონო პოლკოვნიკო!

— როგორ ბრძანდებით, ბატონო პოლკოვნიკო?

ბატონი პოლკოვნიკი იმათ როდი ჰგავს, სამსახურიდან რომ გადადგებიან და კომისიონერობას ან ჯიშიანი ქათმების მოშენებას იწყებენ. ის თავით ფეხამდე სამხედროა, სალდათად დაბადებულა, სალდათად მოკვდება. სალდათურია მისი მიხრა-მოხრა, საუბარი, ფიქრი. ცხვირსაც კი სალდათურად იხოცავს, ცხვირსახოცსაც სალდათურად კეცავს და იდებს ჯიბეში. გერმანული ენა სამხედრო სასწავლებელსა და გალიციის ფრონტზე გერმანული ოფიც-
რებისაგან უსწავლია და ახლა დღენიადაგ გერმანულ სამხედრო ლიტერატურას ჩაკვირკიტებს. ერთი ჰკითხეთ და ნახავთ, თუ ერთსაათიანი ახსნა-განმარტება არ მოგცეთ ატომური ყუმბარის, რეაქტიული თვითმფრინავების მანევრირების, სატანკო ტექნიკის, გუდერიანის ბოლოდორინდელი შრომების გამო.

— მსოფლიოში ორი ხალხია, რომელსაც სამხედრო საქმისა გაეგება, პირველი გერმანულები, მეორე — თურქებიო, — ამბობს და მართალიცაა.

სამხედრო საქმეში დიდად ჩახედული არა ვარ, მაგრამ, მცონია, რომ დაჯდეს და სტატიები წეროს, ერქილეთ ფაშასა და აბიდინ დავერზე უკეთეს ტომებს დააღავებს.

— ვინა თქვა, ჰიტლერი შლევი იყოო, — გაიოცებს ის, — ისტორიას არ ახსოვს, რომ დამარცხებულ და დაქსაქსულ ხალხს ოთხ წელიწადში ისეთი სამხედრო ძლიერებისათვის მიეღწიოს, რომ მსოფლიოზე ბატონობა შესძლებოდეს. ეს გააკეთა ჰიტლერმა.

— სტალინგრადთან რომ არ დაუჯერა თავის გენერლებს?

— არა, მისი მთავარი შეცდომა ის იყო, რომ რუსეთთან

პაქტი დადო და საფრანგეთს დაესხა თავს. ჯობდა კი, დასავლეთს შეთანხმებოდა და რუსეთი დაეპყრო. დაზამთრებამდე რომ რუსეთი დაეჩოქებინა, ევროპას სულ იოლად დაიყოლიებდა სასურველ ზავზე.

საგანგებო ელჩი სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც იზიარებს ნაზიმ ბეის ამ აზრს.

თქვენი არ იყოს, ჩვენი ელჩიც ტკბილი კაცია. ამბობენ, ელჩისთვის მთავარია, ცოტას ლაპარაკობდეს, შენიღბული იყოსო. ტყუილია! ეს ელჩი პოლკოვნიკზე ყბედია. ეტყობა, თავის დროზე ზედმეტად იყუჩა და ახლა გულს იფხანს. ჩემს სიცოცხლეში არ შემხვედრია კაცი, ამდენი ანეგდოტი რომ იცოდეს. ვთქათ, სიტყვამ მოიტანა და ახსენეს ჭადარი. მას უკვე მზადა აქვს და ერთმანეთს მოაყოლებს ხუთ-ექვს ანეგდოტს ჭადარზე. რეჯები ამბობს, ყოფილ პრემიერ-მინისტრს თუ მეჯლისის ყოფილ თავმჯდომარეს საქმაოდ უხამს პარიზულ ანეგდოტებსაც კი უყვებაო.

როცა საქმე პარიზზე მიღება, ჩვენი საგანგებო ელჩი ვარდივით იფურჩქნება. რაღა გააჩუმებს! ერთ დროს პარიზის საელჩოში მესამე მდივნად უმუშავია. მაშინ პირადად გაუცნაა წარსულისა და აწმყოს უდიდესი ფინანსისტი კეიი, ბებერი ვეფხვი კლემანსო, პუანკარე და მაშინ ჯერ ახალგაზრდა, მაგრამ დიდი მომავლის მქონე პოლიტიკოსი ტარდიო.

ძველი დიპლომატიური სკოლის ტრადიციების ერთგულს ვერ ნახავთ გაუუთოებელი შარვლით ან გაუხამებელი საყელოთი. სტამბოლში რომ ჩადის, ხელთაომანებსა და ხელჯოზსაც არ ივიწყებს. ამ ამერიკელებმა კი სულ გააუბრალოეს დიპლომატიური ეტიკეტი. ელჩები ახლა სპორტულ სანახაობებში მონაწილეობენ, ოჯახებით დადიან ბოსფორის ყურეზე და საბანაო კოსტიუმებში გამოწყობილი სურათებსაც იღებენ. ჩვენი საგანგებო ელჩი ასეთი როდია, რომ უნდოდეს კიდეც, ვერ იქნება. ორმოცი წლის განმავლობაში შემუშავებულ ჩვევებზე უარის თქმას ვერც შეძლებს.

როცა აფთიაქში გახურებული კამათია საგარეო პოლიტიკის, პარიზის ბულვართა კაფეებისა და უპილოტო თვითმფრინავების

მანევრირებათა გამო, აფთიაქში ეფდალეთინ ბეი და ადვი ბეი შემოდიან.

ეფდალეთინ ბეი ბელედიეს¹ გადამდგარი ინსპექტორია. ის ერთი სამოცდახუთი წლის ლოყაწითელი, თმაბურძგნილი კაცია. სიგარეტს მხოლოდ ქარვის მუნდშტუკით ეწევა. ეფდალეთინ ბეის ჩვენი ქვეყნის ყველაზე მტკივნეულ პრობლემებზე მეტად ორიგინალური აზრები აქვს. ვთქვათ, ეს მტკივნეული პრობლემა სოფლის აღორძინებაა. მას აქაც აქვს პროექტი, დამკვიდრებული ღრმა კვლევა-ძიებასა და ადგილობრივ დაკვირვებებზე. ეფდალეთინ ბეი მეტად უკმაყოფილოა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების საქმიანობით.

— რა მცოდნია ამ ინსტიტუტებისა, მისი ქურსდამთავრებულები ურმის შებმასაც ვერ ახერხებენ, — ამბობს.

ეფდალეთინ ბეი დროდადრო საკუთარი ინიციატივით ჩამოივლის ხოლმე სოფლებს. ვინ იცის, იქნებ დეპუტატობაზეც უჭირავს თვალი?

იმ დღეს ახალი დაბრუნებული იყო გონენდან. ქვისლთან ყოფილიყო სტუმრად და, ახლა ერთი სული ჰქონდა, ვინმესთვის გაეზიარებინა თავისი შთაბეჭდილებები.

— გონენის სოფლებში გლეხებს მუხაზე მსხალი დაუმყნიათ, — იწყებს ამბავს.

— განა მუხა მსხალს დაიმყნობს? — სასწრაფოდ კითხულობს ადვი ბეი.

— სწორედაც რომ დაიმყნობს. ჩემი თვალით ვნახე. ყური მიგდეთ — მუხაზე მსხალი დაუმყნიათ. რა არის ამაში ცუდი? ღარიბ-ღატაკნი ცოტას მაინც ამოისუნთქებენ. მაგრამ არა! იმამ ეფენდი² ფეტვას³ ბეჭდავს. არ შეიძლება, ცოდვააო, აცხადებს.

1. მუნიციპალიტეტი.
2. მუსლიმთა სასულიერო წინამდღოლი.
3. უმაღლესი სასულიერო პირის მიერ მუსლიმური რელიგიური კანონების საფუძველზე გამოტანილი განაჩენი ან გადაწყვეტილება.

— ნუ იზამ, იმამ ეფენდი, აბა სადაური ცოდვააო, — უბნებიან.

— როგორც ალაპს შეუქმნია, ისე უნდა დარჩეს, მუხა მუხად
და მსხალი მსხლად. მუხის მსხლად გადაკეთება ალაპის ნების
წინააღმდეგ წასვლააო.

ბატონი ელჩი აღშფოთებულია:

— ლმერთო ჩემო! იმამს რალა ესაქმება, რას ერევა?

— ერევა, ჩემო ბატონო, და რას უზამ?

ბატონი პოლკოვნიკი სალდათური პირდაპირობით პასუხობს:

— იმამს ეშინია, მის მსხალს ფასი არ დაეკარგოს.

— ჰოდა, სწორედ ამიტომ, — განავრძობს ეფდალეთინ ბეი, —
საჭიროა, სოფლებში გაიგზავნონ განათლებული და რევოლუ-
ციურად განწყობილი იმამები. რაც გინდათ თქვით და, სოფელი
ყველაფერში იმამს მიჰყება. აბა, გაგზავნე სოფელში ინტელიგენტი
იმამი და ნახავ, რა იქნება!

ამაზე ჩვენი მოსაუბრენი ბევრს მსჯელობენ, წავლენ, წამოვლენ
და მიადგებიან სასულიერო სასწავლებლების რეორგანიზაციის
საკითხს.

თუ თავშეყრას ჰავი ბეიც ესწრება, მაშინვე ცხარე კამათი
ჩაღდება. ჰავი ბეის სოკრატეს სახელი არც კი სმენია, მაგრამ
კამათში მის მეთოდს იყენებს: ყურადღებით უსმენს მოწინააღმდეგეს,
თან ულვაშებში ეღიმება. შიგადაშიგ შეკითხვებსაც აძლევს, ვითომ
ვერ გავიგეო. ამით თანდათან აბნევს მოკამათეს და, როგორც კი
ყველაფერს ათქმევინებს, მაშინვე სიტყვას მოუჭრის. ისე
განსხვავებულად იტყვის თავის სათქმელს, რომ ვეღარავინ
შეეკამათება, მოწინააღმდეგეს ჩიხში მიიმწყვდევს და კამათს
თავის სასარგებლოდ დაამთავრებს.

ეფდალეთინ ბეის ასთმა სჭირს, მალე იღლება და იძულებულია,
დაასრულოს შთაბეჭდილებების მოყოლა.

ახლა ბატონი პოლკოვნიკი იწყებს ლაპარაკს წყალმომარაგების
ეკონომიკურ მნიშვნელობაზე, გზათამშენებლობის როლზე სამხედრო
საქმეში, იგი გვიტაცებს თავისი საუბრით და ოვალის დახამსამებაში
გადავყევართ პირველი მსოფლიო ომისდროინდელ პალესტინის
ფრონტზე, ვიგებთ, რა საშუალებებს მიმართავდნენ გერმანელები

უდაბნოში უწყლობის დროს. ბოლოს გავყვებით ფალქენპაიძე ფაშასა და ქემალ ფაშას კვალს და არხის მშენებელთა შორის აღმოვჩნდებით.

ჩვენ სიამოვნებით ვუსმენთ ბატონ პოლკოვნიკს და ვერც კი ვამჩნევთ, რომ მზე უკვე გადახრილა. რეჯები გარეთ გადის და ტენტს წევს. მეაფთიაქის შვილი ენგინი ერთ კუთხეში მიკუნჭულა და ვიტრინის მინიდან უთვალთვალებს კოლეჯის სტუდენტ გოგონას, რომელიც აფთიაქის პირდაპირ გემმისადგომთან დგას. გოგონას ოდნავ მსხვილი ფეხები და ძალიან საყვარელი სახე აქვს. ენგინი გალათასარაიში სწავლობს. კარგი ყმაწვილია. ლამაზიც არის. ამ უბნის გოგოები მისი გულისათვის სულ აფთიაქში ტრიალებენ, დილა-საღამოს იწონებიან, წამდაუწუმ ყიდულობენ კბილის პასტას.

გარეთ გასულ რეჯებს აჩერებენ ჩვენი უბნელი ბიჭები.

- სად არის, ძმაო, ელექსირი "კატარიდი"?
- უნამუსოებო, ახლა საით გაგიწევიათ?
- ქალფაზანქაიაში.
- ვინ და ვინ მიღიხარო?
- ვიღაც-ვიღაცები.
- ბელმა და სელმაც მოღიან?
- სელმა დავიყოლიეთ, ბელმა ისევ ორჭოფობს.
- მაწანწალებო, აკი გვირასა გვაქვს პიკნიკიო?
- მორჩი ახლა! გვაძლევ თუ არა ელექსირს?
- ნუ ღრიალებთ! შიგ ქვეყნის ხალხია. ამაღამ მოღით და მოგცემთ.

ბიჭები მიდიან. რეჯები აფთიაქში შემოდის.

- რა არის ეს ელექსირი "კატარიდი"? — ვეკითხები ჩუმად.

რეჯებს ჩემს გამოუცდელობაზე ეღიმება.

- ერთი ელექსირია. ლუდში ხუთ-ექვს წვეთს ჩაუსხამ გოგოებს და მორჩა, აღარაფერი უშველით, გადაირევიან.
- ადამიანო, რა ურცხვები ხართ?!

რეჯები იცინის.

ჩვენ, უფროსებს ყოვლისმცოდნებად მოგვაქვს თავი. ამ

საკითხებში კი ახალგაზრდების გვერდით უყიცებად გამოვიყერებით.

ბატონი პოლკოვნიკი ისევ პალესტინის ფრონტზეა, მცხეუნვარე მზის ქვეშ, გავარვარებულ ქვიშაში ობერსტ ფონ ეპენჰეიმთან ერთად დაზერვაზე მიღის, ხან კარავში ზის და შეტევის გეგმას ადგენს.

ცოტა მოშორებით, ჯამეს ეზოში ბავშვები ვან, თუ, თრის თამაშობენ. ეფდალეთინ ბეი უსმენს მათ, უსმენს და ამბობს:

— ერთ დროს ჩვენც ვთამაშობდით ამ თამაშს, მაგრამ მაშინ ენ, დე, ტრუა⁶⁸ ერქვა. დახეთ, ესეც კი გავაამერიკულეთ.

ექვსი საათი და თხუთმეტი წუთია. ნაპირს გემი მოადგა. მგზავრების ერთმა ნაწილმა აფთიაქში შემოუხვია. რიზა ბეის ფეხის თითებზე ეგზემა ჰქონია და მალამო იყიდა. ბატონ კომისარს წუხელ ცოლისდის ქორწილში ზომაზე მეტი ჩაუყლაპავს და ფისტულის ანთებამ გაუხსენა. მასაც მიართვეს წამალი. ფერდანე ხანუმმა თავისი გოგონასათვის რეზინის საცვალი იყიდა, დურდანე ხანუმმა — საწოვარი.

საზის ოსტატიც ამ გემით ჩამოვიდა. იგი აფთიაქში დასასევენებლად შემოდის. იკითხავს ამბავს, ხაბარს და ჩაქირს მიუბრუნდება. ჩაქირი ბატონი მეაფთიაქის ბებერი კატაა. მარცხენა დახლის წინ კედლის ძირში მიკუნჭულა და სძინავს. თან კრუტუნებს. კედელზე ბატონი მეაფთიაქის გადიდებული სურათი კიდია. ეს სურათი იმ წელს არის გადაღებული, როცა ბატონმა მეაფთიაქშ საპროვიზორო კურსები გაათავა.

საზის ოსტატს კატები ძალიან უყვარს. კალამიც უჭრის და ხანდახან თავის საყვარელ ფისოებზე მოთხოვობებს წერს. დრო მოვა და ჩაქირზეც დაწერს რამეს. თუმცა, მოთხოვობა რა არის, ჩაქირზე მთელი რომანიც კი დაიწერება. მართალია, ჩაქირს აღარც ახალგაზრდობა შერჩენა და აღარც ჯანმრთელობა, მაგრამ, როგორც ყველა ძველი ყალთაბანდი, ისიც ფიზიკურ უძლურებას ტექნიკის სრულყოფით ინაზღაურებს. ბებერი მუსუსივით, ჩაქირიც მთელ ღლეს ძილში ატარებს, ძალ-ღონეს ღამისათვის ინახავს. როგორც კი დაღამდება, იქაურობას იკლებს. ვის შეუძლია იმის გაპეტება, რაც ამ კატამ წუხელ მოიმოქმედა: შევარდა ბატონი

დირექტორის სარდაფში, გადახტა ნახშირის საკუჭნაოში, იქიდან აბაზანის ოთახში შებრძანდა. მერე კიბეებზე აირბინა, სამზარეულოს კარის ღრიფოში მავთული შეუყარა და რაზა ასწია. საბრალო ქალს სტუმრებისთვის არაუანი ჰქონოდა გამზადებული და მთელი თასი არაუანი გუჭში გადაუშვა. დიასახლისმა კარზე ფხაჭუნი გაიგონა და იფიქრა, ქურდები არიანო. შიშით გული შეუღონდა, ძლივს მოაბრუნეს. გაგონილა, კატას ასე ადამიანივით მოფიქრებულად ექურდოს?

გასულ კვირას მეორე რანგის კაპიტნის სახლში მაცივრიდან თევზი მოუპარავს. — კაცი არ ვიყო, ეს კატა თუ არ მოვგალიო! — ყვიროდა კაპიტანი.

კაპიტნის ხსენებაზე მომაგონდა:

იმ დღეს აფთიაქში ვისხედით. შემოვიდა ბატონი კაპიტნის ახალი ადიუტანტი. ხელში ქალალდი ეჭირა. ქალალდი ჯერ ენგინს გაუწოდა. ენგინმა ვერაფერი გაარჩია და მამამისს მისცა. იმანაც ვერაფერი გაიგო. ქალალდი ხელიდან ხელში გადავიდა, მაგრამ ვერავინ ვერაფერი ამოიკითხა. ისევ მე გავარჩიე რამდენიმე ასო: ჰიგი...

— იქნებ ჰიგიენური პასტა უნდათ? — იკითხა მეაფთიაქემ.

— ღმერთმანი, არ ვიცი.

— როგორია, რისთვის გვჭირდებაო?

— მოსამსახურებ მითხრა, ქალბატონი ლაჯებში იდებსო.

— შეგაჩვენა ღმერთმა. გეთქვა, ჰიგიენური პაკეტი-თქო.

ჯერ ბატონმა ელჩმა ჩაიხითხითა, მერე ჩვენც ავყევით. ისეთი ხარხარი ავტეხეთ, კინაღამ დავიხოცენით. დარბაისერმა ბატონმა პრემიერ-მინისტრმაც თავი ვეღარ შეიკავა, სახე მიიბრუნა, რომ არავის დაენახა და ისე იცინოდა. ნერწყვი გადაუვარდა სასულეში, ხველა აუტყდა. რევებს რომ წყალი არ მოერბენებინა, საწყალი, კიდევაც დაიხრჩოდა.

განდაგება

მიზანის მიღებული
 მოწყვეტილების მიმღები რჩხული ცაც უძახანებ ინდივიდუალური მიმღების

მინდა ჩემი ქანდაკება დავადგმევინო. სირცევილია განა? ყველა კაცს თავისი ინტერესი და გატაცება აქვს. ჩემიც ეს ყოს. თანაც, როგორც ვიცი, დიდ ადამიანებს საერთოდ სჩვევიათ გაბრინჯაონების სურვილი. ასე რომ არ იყოს, ძვირფას დროს დაკარგავდნენ და მოქანდაკეების წინ საათობით გაიჯგიმებოდნენ? რა სათქმელია! გამოდის, მარტო არა ვყოფილვარ. მაგრამ მე ერთი მორიდებული კაცი ვარ. ამიტომ, როდი ვაპირებ, ავიღო და ჩემი ქანდაკება ქალაქის მთავარ მოედანზე წამოვჭიმო. დიდი დიდი ერთი კერძო ძეგლი დავიდგა სადმე, პატარა სკვერში.

ეს გადაწყვეტილება ჩემს ძმაკაც ვაჭრებს გავანდე. პირდაღებულები შემომაჩერდნენ. კრინტი ვერ დაძრეს. მერე მომდგნენ:

თურმე ნუ იტყვით, მე არც ისეთი დიდი ვინმე ვძრმანდები, რომ ძეგლის დადგმა შემეფერებოდეს. კარგს ვიზამ, თუ ხელს ავიღებ ამ განზრახვაზე. დავიჯერო? რას იზამ? შური ალაპარაკებო!

ოცდაათი წელია, თივთიკით ვვაჭრობ. არც საქმეში და არც ცხოვრებაში ისეთი არაფერი ჩამიდენია, რაც სახელს გამიტებდა, ნამუსს შემირცხვენდა. ასი კაცი მაინც დამემოწმება, რომ ერთი პატიოსანი ვაჭარი ვარ. ბირჟის საქმეებიც რიგზე მაქვს. ომამდე გერმანიაში ვგზავნიდი საქონელს, ახლა ინგლისთან ვვაჭრობ. ასე რომ, სიმართლე თუ გინდათ, ვინმე ვიგინდარა როდი ვარ. კარგა ხანია, ერთი ქანდაკება დავიმსახურე. ხალხიც მიცნობს. აბა, ახსენეთ ურიანიზადე სიღექი და ნახავთ, თუ ბაჭჩექაფიში⁶⁹ ყველამ არ იცოდეს, ვინა ვარ. ქონება გინდათ? მადლობა ღმერთს, არც ის მაკლია. მე არ დამითვლია, მაგრამ გადასახადების ამკრეფები მარწმუნებენ, მილიონნაზევარი გაქვსო. ქვეყანას რა სარგებლობაო? — მკითხავთ. მოგახსენებთ: ეროვნულ საქონელს უცხოეთში რომ რეკლამას ვუკეთებ, ვასაღებ და ამით ვაღუტა შემომაქვს, ცოტაა? ეს სამშობლოს ეკონომიკური კეთილდღეობისათვის გარჯა არ არის? რაც შემიძლია, თავს არ ვიზოგავ. მეტი რაღა ვქნა?

მოკლედ, ყველაფერი აუკრშია. პირველ რიგში ქანდაკებისათვის შესაფერი აღგილი გამოვნახე. ჭკუაში დამიჯდა შიშლიში, ჩემი სახლის წინ ერთი სკვერი. პატარა სკვერი კია, მაგრამ, სამაგიუროდ პროსპექტზე გადის. ხალხმრავალი აღგილია, გამვლელ-გამომვლელი თვალს შეავლებს. მეც გამოვხედავ ხოლმე ჩემი ოფისის ფანჯრიდან.

აღგილი რომ დავიგულე, ერთ ჩემს მეგობარს ვთხოვე, კარგი მოქანდაკე მაპოვნინე-მეთქი. იმას ამ საქმებისა გაეგება. სამი კაცი დამისახელა. სამივენი ოფისში დავიბარე, ვუთხარ, რაც მინდოდა. გაგებული, წესიერი ყმაწვილები გამოდგნენ. დამთანხმდნენ, გაგიკეთებთო, საქმე ნათელი იყოს, თავიდანვე ვიცოდე, რომელი გააკეთებთმეთქი. მოილაპარაკეს და მითხრეს: ერთად გავაკეთებთო. ფასზე არ მივაჭრია. ამ საქმეში კი მაქს გვარიანი გამოცდილება. ვიცი, თუ იძუნწე, ბოლოს შენვე დარჩები წაგებული. გამოგიჭერენ და უხეირო რასმე შემოგაჩეჩებენ. რასაც გადაიხდი, იმას მიიღებ. ასე იყო, თუ ისე, შვიდიათას ლირაზე მოვრიგდით. კვარცხალბეკი – ცალკე. ბრინჯაო და სხვა რამე-რუმები იმათი იქნება.

საღამოობით, სამუშაოდან რომ ვბრუნდებოდი, სახელოსნოში შევივლიდი ხოლმე. ერთ საათს ვიდექი მოქანდაკეების წინ. ქანდაკებას ჯერ თიხისას აკეთებენ, მერე ყალიბს აიღებენ და ბრინჯაოსას ჩამოასხამენ. მოქანდაკეებს ძალიან მოვეწონე: ამდენი წელია, ქანდაკებებს ვაკეთებთ და ასეთ ტიპს პირველად ვხედავთო. მართლაც! ტყუილად როდი მუქანება ხოლმე ჩემი მეზობელი, თოკებით მოვაჭრე რეფიქ ბერ:

– შენ ოფიცირის მანერები გაქვს, შეცდომითა ხარ ვაჭარი, სამხედრო უნდა გამოსულიყავიო. ეს დარბაისლური გარეგნობა მემკვიდრეობით დამყვა. ქანდაკების საქმე ისეა განვითარებული, რომ ეს ოინბაზი მოქანდაკეები, თუ მოინდომებენ, ვინმე ვიგინდარას გმირად გამოიყვანენ, უღიძლიმო გარეგნობის ბრიყვი მათ ხელში გენიოსად იქცევა.

ამ ექვსიოდე წლის წინათ რაღაც საქმეზე უნგრეთში გახლდით. პირველად ვიყავი ევროპაში და ამიტომ ყველაფერი

მიკვირდა, განსაკუთრებით – ძეგლები, რომლებითაც ქუჩებია მორთული. სათითაოდ შევისწავლე. უმეტესობა ცხენოსანი კაცების ქანდაკებებია. ხელი ხმლის ვადაზე უდევთ. გოროზი ხალხია. მერე მივხვდი: დიდყაცური გამომეტყველება, გმირული პოზა, მაღალ კვარცხლბეჭები წამოსკუპება – ყველაფერი იმ ჯელების საქმეა, მოქანდაკები რომ ჰქვიათ. დარწმუნებული ვარ, სინამდვილეში ესენიც ისეთი ადამიანები იყენენ, როგორებიც მე და თქვენა ვართ. მაგრამ, აბა, ერთი იმათ ქანდაკებებსაც შეხედეთ! ისე გაყინჩულები დგანან, თითქოს ჩვენისთანები არ იყენენ, ჩვენსავით არა ცხოვრობდნენ, არ დადიოდნენ, არ ჭამდნენ, სვამდნენ, ჭამის შემდეგ კბილებს არ იჩიჩნიდნენ და არ აბოყინებდნენ, ანდა არ იგინებოდნენ, როცა გაცეცხლდებიან.

სიყალბეა, დამიჯერეთ, სიყალბე!

ასე რომ არ გამოექანდა კებინათ: ცხენებით, მთელი მოკაზმულობით, არამედ, ვთქვათ, პირდაღებულები, როცა ხვრინავენ, ანდა ცხვირს იქექავენ, მაშინ ხომ აღარ ექნებოდათ ასეთი მედიდური პოზა?

ეს რომ ვუთხარი, ჩემს მოქანდაკებს გაეცინათ:

– მართალი ბრძანდებით, მაგრამ ქანდაკება რომ ქანდაკებას ჰგავდეს, საჭიროა ესთეტური მიმზიდველობა და დიდებულება ჰქონდესო, – მითხრეს.

გამოგიტყდებით, ეს ლაპარაკი იმიტომ წამოვიწყე, რომ მიხვდნენ, მეც ცოტა რამე გამეგება ხელოვნებაში. თორემ ვიცი, ჩემი ქანდაკებაც ისეთი გამოვა, როგორიც სხვებისაა. – თვალში მოსასვლელი, მდიდრულად ჩაცმული. ასე ყოფილა და ასე იქნება. მე რაღა გამონაკლისი ვარ. ისე, კაცი ჩემისთანა წარმოსადევი რომ დაიბადება, რა მნიშვნელობა აქვს, როგორ პოზაში გამოაქანდაკებენ. ნიფხავ-პერანგის ამარაც რომ იჯდეს, ქანდაკება მაინც არაფერს დაკარგავს.

კარგი საქმე ორმოც დღეში გაკეთდაო, – ნათქვამია, მაგრამ ჩემს საქმეს ასორმოცი დღე დასჭირდა. ერთ ხუთშაბათ საღამოს მე და ჩემი ოჯახის წევრები სახელოსნოში მიგვიწვიეს. როცა ქანდაკებას ზეწარი ჩამოხსნეს, სანახაობამ გამაოცა. ტყუილი

როგორ ვთქვა, წელზე ჭიანჭველებმა დამიარეს. ჩემს ცოლს მღელვარებისაგან თვალებზე ცრემლი მოადგა. ბავშვები ხომ პირდაღებულები დარჩნენ. ქანდაკება, ჩემო ბატონი, ჩემზე ერთნახევარჯერ დიდი იყო. მთელი ტანით, ფეხზე მდგომი ვიყავი გამოქანდაკებული. ერთი ფეხი წინა მაქვს გადადგმული. შორს ვიცექირები. თავი – ოდნავ მოღერებული. ცალი ხელით დოინჯი მაქვს შემოყრილი, ცალი – დაშვებულია. ჩინებულია! ალალი იყოს, რაც მივეცი! სწორედ ის არის, რაც მინდოდა!

გასამრჯელოს ნახევარი წინასწარ მქონდა მიცემული, ნახევარიც იმ დღეს ჩავუთვალე, მაგრამ იძულებული ვიყავი, ქანდაკება ისევ სახელოსნოში დამეტოვებინა, რადგან სკვერში კვარცხლბეკი ჯერ მზად არა მქონდა.

მერე კი ყველაფერი ამ კვარცხლბეკის გამო ატყდა...

ერთ დიღას დავინახე, ჩემს ბაღში მუნიციპალიტეტის ორი მოხელე მუშებს ელაპარაკებოდა. მერე მეკარე მოვიდა და მითხრა, მოხელეებს თქვენი ნახვა უნდათო. შინ მოვიპატიუკე.

– ამ ბაღში რას აშენებთ? – მკითხეს, როგორც კი შემოვიდნენ.

– ჩემი ქანდაკების კვარცხლბეკია, – ვუპასუხე.

ამაზე ერთმა, დაბალმა, მეორეს გადაჭრედა. „თურმე, მართალი ყოფილაო“, ანიშნა და მე მომიბრუნდა:

– არ იცოდით, რომ ქალაქის ახალი გეგმის თანახმად, ამ პროსპექტზე მშენებლობა აკრძალულია? თანაც ქანდაკების დადგმისათვის მუნიციპალიტეტის ნებართვაა საჭირო. პირველად მესმოდა.

– რაკი ასეთი წესია, ვითხოვ და ავიღებ ნებართვას.

– ვიდრე არ აიღებთ, თუ შეიძლება, ნუ ააშენებთ.

– კარგი.

მეორე დღესვე მივედი მუნიციპალიტეტში. საჭირო თხოვნა მივართვი მერის მოადგილეს.

– თქვენს თხოვნას შევისწავლითო, – მითხრეს და თავიდან მომიშორეს.

თხუთმეტი დღის შემდეგ ისევ მივაკითხე.

– ბატონი მერი დაკავებულიაო, – გამომისტუმრეს.

ერთ თვეზე ისევ დავუკარი თავი.

— ჯერ ისევ სწავლობენ საკითხს, გადაწყვეტილება არ მიუღიათო, — გამიჭიანურეს.

ვეღარ გამაჩერეს:

— უაჭველად მერი უნდა ვნახო! — მეთქი ავიჩემე. ჯიბრზე, მერი იმ დღეს სამსახურში არ მოსულიყო.

ჩვენ რომ აქა ვდაობდით, ერთი კარი გაიღო და ვიღაც კაცმა გამოიხედა.

— რა ხმაურიაო? — იკითხა.

აუხსნეს, რაშიც იყო საქმე. გვიან გავიგე, მუნიციპალიტეტის გავლენანი მოხელე ყოფილა.

— ჰოო, ქანდაკება? — თქვა მან და ოთახში შემიპატიუა, ღიმილით მიმითითა სავარტელზე, სიგარაც მომაწოდა.

— გავიგე, თქვენი ქანდაკების დადგმა გადაგიწყვეტიათ. არ მინდა წინ აღვუდგე თქვენს სურვილს, მაგრამ თავადაც გეცოდინებათ, რა სიძნელეებია ამასთან დაკავშირებული. უმჯობესი არ არის, იმ ფულით, რაც ამ მეგლზე უნდა გაფლანგოთ, ერთი პავილიონი, სკოლა, ან სხვა რამე ააშენოთ? მე მგონია, უკეთეს საქმეს გააკეთებდით: თქვენს სახელსაც უკვდავჭყოფდით და სამშობლოსაც შეეწეოდით.

— მართალი ბრძანდებით, მეც ძალიან მინდა, ჩემი წევლილი შევიტანო სამშობლოს სოციალური კეთილდღეობის საქმეში, მაგრამ ქანდაკება, რომელზედაც მოგახსენებთ, უკვე გაკეთებულიც არის და დასრულებულიც. ასე რომ, თუ წინააღმდეგი არ ბრძანდებით...

იმ კაცმა სიტყვა გამაწყვეტინა:

— გაკეთებულია და დასრულებული? საოცარი ამბავია! მერე როგორია? დიდია, პატარაა, ბიუსტია, ქანდაკებაა?

— დიდია, ბატონი, კარგა დიდი. ნატურალურ ზომაზე ერთნახევარჯერ დიდია.

— ეგ როგორ იქნება! პატარა რომ ყოფილიყო, კიდევ ჰო, მაგრამ, აი, ბრძანებთ, დიდიაო. ეგ რომ პროსპექტზე წამოჭიმოთ, გამვლელ-გამომვლელის ყურადღებას მიიპყრობს.

— თქვენს მონა-მორჩილსაც ეგ უნდა. იქნებ კანონი კრძალავს?

— არა, კანონმდებლობაში, სამწუხაროდ, — სწორედ ეგრე თქვა: სამწუხაროდ — ამის შესახებ პუნქტი ვერ ვნახეთ. კერძო შენიებლობის პუნქტი ქანდაკებებს არ ითვალისწინებს, მაგრამ ქალაქის მთავარ მოედნებზე დასადგმელ ძეგლებს მთელი რიგი საბუთები უნდა ახლდეს. მართალია, კანონი არ კრძალავს, მაგრამ როცა საქმე ქალაქის ხედს შეეხება, მუნიციპალიტეტს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება. ეს გადაწყვეტილება შეიძლება უარყოფითი იყოს.

— საკვირველია, ღმერთმანი! ვერაფერი გამიგია! განა ისეთი რამეა, რომ ქალაქის ხედი გააფუჭოს? ხელოვნების ნიმუშია! შვიდიათასი ლირა მიმიცია!

— აკა გითხარით, თუ საქმეს კანონიერ მსვლელობას მიუცემთ, თქვენცა და ჩვენც დროს დავკარგავთ ფუჭ ფორმალობაში. ძალიან გთხოვთ, დაგვიჯერეთ, ნუ დადგამთ იქ იმ ქანდაკებას. აბა, დაფიქრდით, აქაო და, კანონი არ კრძალავსო, ვისაც მოეპრიანება, ყველამ რომ გამოდგას თავისი სახლის წინ საკუთარი ბიუსტი, რა სანახავი იქნება სტამბოლი! ქალაქში ჩამოსული მოგზაურები ამ ნაირ-ნაირი ძეგლების ნახვით არ გაკვირდებიან? ასე ნამდვილ ძეგლებსაც ხომ ფასს დავუკარგავთ.

— ვერ დაგეთანხმებით! ჯერ ერთი — ყველა მსურველი ვერ დაადგმევინებს თავის ძეგლს. ამას ფული უნდა. მეორეც — რომ შეეძლოს...

იმ კაცმა ისევ გამაწყვეტინა:

— ესე იგი, არ იშლით. კარგი, საკითხს საბჭოზე წარვადგენ. პასუხს გაცნობებთ, — თქვა და წამოდგა.

სხვა გზა არ იყო, წამოვედი.

ველოდე ერთი თვე, ორი, სამი, ოთხი. არაფერი ამბავია. ეს მოქანდაკებიც ჩამციებიან: „წაიღე ქანდაკება სახელოსნოდან“. რა მექნა? დავიქირავე მანქანა და შინ გადავიტანე. დროებით ვესტიბულში დავდგი. რასაკვირველია, უკვარცხლბეკოდ. ჯერჯერობით მხოლოდ სტუმრები ათვალიერებენ. მაგრამ ესეც უბედურება! იმ დღეს ჩემს ბიჭს ბურთი უთამაშია და დიდი

ამბავი დაუტრიალებია. საღამოს მოვედი შინ და რას ვხედავ! ქანდაკებას თავი მოსტებია, გადმოვარდნილა და მარმარილოს ლამაზი იატაკი მთლად დაუფშენია. სისხლი თავში ამივარდა. სად ნახულა, ქანდაკება შინ ედგეთ. იმოდენა ფული რომ გადავყარე, იმაზე ვიდარდო, თუ ქვეყნის სასაცილო რომ გავხდი, იმაზე.

ასე შეწუხებული რომ მნახა, ჩემმა ცოლის ძმამ — იმ ლამეს ჩვენთან იყო სტუმრად — მითხრა:

— ნუ დარდობ, სიძე ბატონო, ყველა საქმეში შეიძლება ნახოს კაცმა ხეირი. აი, რა მოვიფიქრე: რატომ არ გადგმევინებენ ქანდაკებას? დიდიაო, არა? შენც აიღე და ამ მოტეხილ თავზე პატარა მხრები მიადგმევინე. გახდება ბიუსტი და კრინტსაც ვერავინ დაძრავს. აკი დგას გალათასარაის ბაღში თევფიქ ფიქრეთის! ბიუსტი?

ჰეკუაში დამიჯდა.

— მერე ტანი? ტანს რას ვუზამთ? — ვკითხე.

— ეგ საქმე მე მომანდე. ტანს იაფად მივასაღებ სტამბოლის ან რომელიმე პროვინციის მუნიციპალიტეტს. ზედ რამე თავს მოარგებენ და მშვენიერი ძეგლი გამოვა.

1. ცნობილი თურქი მწერალი (1867-1915).

ვახი

ხარაზმა იპსანმა დუშაში გააგორა. ეტყობოდა, მარსს იგებდა და იმიტომ წაუყრუა, როცა მუსლიმმა ფანჯი იაქე გააგორა და ფანჯი დუო, — თქვა.

— ჩარი გავაგორე, შაში ვითამაშე, ბედმა დამჩაგრა მე, — ჩაიღილინა კმაყოფილმა იპსანმა.

დაწყებითი სკოლის მასწავლებელს მუსუთ ჩაღლაანს ფეხები გაეჩაჩხა და ეძინა. ცოტა მოშორებით მეყავე სალიპი ჩაციებულ ლიმონათს იღებდა ჭიდან.

თექირს, მეყავის ხატაურა კატას, თავი მოაბეზრა ნარგილეს თუხთუხმა, ისკუპა და ბეითალ ბეის მკერდზე მიახტა. ბეითალ ბეიმ გაზეთის კითხვა მოათავა, კატას ზურგზე ხელი გადაუსვა, გაზეთი დაკეცა და ფიქრებში წავიდა: „კვლავ მწვავდება საარის პრობლემა... ვერ იქნა და ვერ იცნეს აპირქაფის ნაპირზე ნაპოვნი მკლავებდაჭრილი გვამი. ამ ზამთარშიაც ქვანახშირის ნაკლებობა იქნება, გაზეთი აღარ წაიკითხება! ღმერთმანი, ნამდვილად წაგიხდება კაცს ხასიათი“.

ამ დროს ჩამავალი მზის სხივებით განათებულ მტვრიან შარაგზაზე ჟივილ-ზივილით გაირბინა ბავშვების ჯგუფმა.

ერთი ბიჭი დაწინაურებულიყო და ოოკზე გამობმულ რაღაცას მიათრევდა, დანარჩენები უკან მისდევდნენ.

მეყავის კატა მაშინვე ძირს ჩამოხტა და ცარიელ აუზში მიიმაღა. მესუთ ჩაღლააიანმა რაღაც ჩაიბურდლუნა და გაიღვიძა, მონარდეებს არაფერი გაუგიათ.

ბეითალ ბეი სათვალის ზემოდან ყურადღებით დააკვირდა ოოკზე გამობმულ საგანს, დააკვირდა და ყვირილით წამოხტა:

— შეჩერდით, შეჩერდით, — მეთქი!

მაგრამ ბავშვები უკვე თვალს მიეფარნენ.

ბეითალ ბეი ახლა ყავახანაში მყოფთ მიუბრუნდა:

— დაიჭირეთ! ჩქარა! გააჩერეთ!

— რა მოხდა, ბეი ეფენდი? — იკითხა ჯერ ისევ ბურანში მყოფმა მესუთ ჩაღლააიანმა.

— ფეხი, — ბეითალმა მხოლოდ ამის თქმა მოახერხა. საყელო შეიხსნა, ძარღვებდაბერილი კისერი გაიხალვათა — ფეხი, ბავშვები ფეხს მიათრევდნენ.

ხარაზმა იჭიანმა და სალიპმაც თავი ანებეს თამაშს და სმენად იქცნენ. მეყავეს ვედრო ხელში შერჩა. იგი გაოცებული მოუბრუნდა ბეითალს:

- რა ფეხი, ბეითალ ბეი?
- კაცის ფეხი.
- როგორ თუ ფეხი?
- როგორ და ისე... ფეხი, კოჭში გადაჭრილი ფეხი.
- არა, მართლა?!?
- ღმერთმანი, ფეხი იყო. ჩემი თვალით დავინახე!
- მერე და, სად უპოვიათ?
- აბა, რა ვიცი?

ხარაზ იჭიანს ეშინოდა, მოგების შანსი ხელიდან არ წასვლოდა.

— გენაცვათ! ფეხია და ფეხი იყოს! რა ჩვენი საკითხავია, სად იპოვეს. გააგორე, თუ ძმა ხარ, ეგ კამათელი, — მოუბრუნდა მუსლიმს, მაგრამ ის კამათლებს უკვე მაგიდაზე ალაგებდა.

— მოიცა, ასე როგორ იქნება! უნდა აგავიგოთ, რისი რა იყო. მართლა კაცის ფეხს მიათრევდნენ? შენ კარგად დაინახე, ბეი ბაბა! იქნებ შეგემალა?

— მე შემემალა? უყურეთ, რას ამბობს! მოჭრილი ფეხის მეტი რა მინახავს ანატომიის ლექციებზე! სწორედ ფეხი იყო, კაცის ფეხი. ქუსლზე თოკი გამოებათ და მიათრევდნენ. მესუთ ჩაღლაიანი სულმთლად გამოფხიზლდა.

— მაინც სად უნდა ეპოვათ? — იკითხა გაკვირვებულმა.

ბეითალ ბეიმ მაგიდიდან გაზეთი აიღო, ჯიბეში ჩაიდო და მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო:

- პოლიციას უნდა შევატყობინოთ.
- რა თქვენი საქმეა! — აყვირდა იჭიანი — ალბათ, ბავშვებმა

1. სიტყვასიტყვით: ბატონო მამა

საღმე იპოვეს. თვითონ ხომ არ მოაჭრიდნენ ვინმეს.

— ეგრე იყოს, მაგრამ უნდა გავიგოთ თუ არა, სად იპოვეს?!

— ყველაზე ბოლოს რომ გამორბოდა, ის ბიჭი ჩვენი მემაწვნის შვილია, — თქვა ყავახანის პატრონმა.

— სად ცხოვრობს?

— არ ვიცი.

— წავიდეთ, ჯერ ის ბიჭი ვიპოვოთ!

მეყავემ ყავახანა შეგირდს ჩააბარა და ყველანი გზას გაუდგნენ. ნარდთან მხოლოდ გაჯიუტებული იჰსანი დატოვეს.

ბედზე, გზად ინალს შეხვდნენ. ინალი მესუთ ჩაღლაიანის მოწაფე იყო. მასწავლებლის დანახვაზე ჯიბეებიდან ხელები ამოიღო და სმენაზე დადგა.

— ახლახან აქ ბავშვებმა ჩაირბინეს, არ შეგხვდრიან?

— შემხვდნენ, მასწავლებელო, ფეხს მიათრევდნენ. ქუსლში გაეხვიტათ და მიათრევდნენ. კაცის ფეხი იყო.

ბეითალმა მწყრალად გადაპატები მუსლიმს, ვითომ ახლა რაღას იტყვიო?

— იცნობ იმ ბავშვებს?

— ვიცნობ, მასწავლებელო, ქოხმახებისუბნელები არიან. ფეხბურთს ვთამაშობთ ხოლმე. კინაღამ წამოსცდა, ერთხელ თუთაზეც ვიჩხუბეთო, მაგრამ — მასწავლებელი არ გამიწყრესო — გაჩუმება არჩია.

— გაიქცი პოლიციის განყოფილებაში, ვინმე იქნება და დაუძახე. ჩვენ აქ დაგიცდით.

ინალმა მაღე მოირბინა.

— ვუთხარი, საბრი ეფენდი იყო, IV-ბ კლასელი ერჯანის მამა, მოღის.

ამ დროს, მართლაც, მოვიდა IV-ბ კლასელი ერჯანის მამა. სულ ს ძლივს ითქვამდა. ასთმა პქნენდა და სირბილი უჭირდა.

— რა მოხდა, ბატონო მასწავლებელო? — პკითხა მესუთ ჩაღლაიანს, რომელსაც განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა, როგორც თავისი შვილის მასწავლებელს.

მესუთ ჩაღლაიანმა პოლიციელ საბრი ეფენდის უამბო, რაშიც

იყო საქმე.

— ჯერ ფეხი უნდა ვიპოვოთ, მერე ჩვენება ჩამოვართვათ და პროკურატურას ვაცნობოთ, — გადაწყვიტა საბრი ეფენდიმ.

ბინდდებოდა, როცა უბანში მივიღნენ. ცივი ქარი ქროდა, ვამლის ხის კენჭეროები ირხეოდა. იქვე წუმპეში იხვები ჭყუმპალაობდნენ. ისინიც, ხალხის დანახვით დამფრთხალნი, ამობაჯბაჯდნენ და იქაურობას გაეცალნენ.

პოლიციელმა უბრად ჩაუარა მათი დანახვით შეშინებულ ქალებს. ბავშვები თითქოს მიწას ჩაეყლაპა. მხოლოდ ერთ ნანგრევებთან ტრიალებდა სამი ფეხშიშველი ბიჭი. ორი ზარს თამაშობდა, მესამეს კალია დაეჭირა და პირში პაპიროსს აბოლებდა. ბიჭებმა პოლიციელის დანახვაზე გაქცევა დააპირეს, მაგრამ ვეღარ მოასწრეს, ისინი იქვე დაიჭირეს.

— ესენი იყვნენ?

— ერთი ეს იყო, — თითო დაადო ბიჭს ინალმა.

— მემაწვნის შვილიც ამათთან იყო, — თქვა სალიპმა.

— აბა, თქვი, სად არის ფეხი? — შეუტია პოლიციელმა ჭორფლიან ბიჭს, რომელზეც ინალმა მიუთითა.

ბავშვს შიშისაგან სუნთქვა შეეკრა.

— რომელი ფეხი, ძია?

— კიდევაც რომ კითხულობს?! რომელი და ის, წელან რომ მიათრევდით.

— ჩვენ არაფერი გვინახავს, არ ვიცით! — ერთხმად იყვირა სამივე ბიჭმა, მაგრამ როცა ასთმიანმა პოლიციელმა უბრძანა, განყოფილებაში წამოდითო, მაშინვე ალაპარაკდნენ:

— ის ფეხი იბრაჟიმისაა, თვითონ იპოვა, ჩვენ არ გვაძლევს.

— აბა, იბრაჟიმი?

— ქაზიმ უსტას შვილია. ის და მამამისი წელან ქვიშაზე წავიდნენ.

— რა ქვიშაზე?

— სახლის ასაშენებელ ქვიშაზე.

— რომელ საათზე დაბრუნდებიან?

— საქმეს გააჩნია, შვიდზე, რვაზე, შეიძლება, ცხრის ნახევარზე.

— არავინ იცის, სად შეინახა ფეხი?

— ჩვენ რა ვიცით, ძია! თვალისწინეთი უფრთხილდება. არც ერთს ახლოსაც არ გვაკარებს.

გახდა შვიდი საათი, რვის ნახევარი, რვა, ცხრის ნახევარი. ის იყო პოლიციელი უნდა გაჯავრებულიყო, რომ იბრაჟიმიც გამოჩნდა თავისი ურმით. გამხდარი ბიჭი იყო. წვრილი თვალები და ჭკვიანური გამოტეტყველება ჰქონდა. ცარიელ ურეშში, დიდი ცხენების ფონზე ცეროდენად ჩანდა. მოიჯარადოესა და უსტაბაშს შორის რაღაც გაუგებრობა მომხდარით და ხელფასის აღება დაპგვიანებოდათ. მამამისი ბექირ უსტას მანქანით სილივრიში წასულიყო, ურემი კი ამისთვის გამოტანებინა.

პოლიციელი საფრთხოებელისავით აეყუდა ბიჭის წინ.

— აბა, ჩქარა, გამოიტანე ის ფეხი!

იბრაჟიმმა იფიქრა, დავმალავო, მაგრამ თავისი ცხვირჩამოშვებული ამხანაგების გამოხედვაზე მიხვდა, რომ უკვე გაყიდული იყო. საჯინაბოში შევიდა, თივასა და ჩვრებში დამალული თიხის ქილიდან ფეხი ამოიღო და პოლიციელს მიართვა.

ეს იყო ბასთურმისფერი ხორცის ნაჭერი. ერთი შეხედვით ვერც მიხვდებოდით, რომ კაცის ფეხი იყო, გადაჭრილ კოჭთან ორი ძვალი გამოჩრილიყო, თითები — გაწვრილებული, გალურჯებული და დანაოჭებული. ალაგ-ალაგ თეთრი ქონის ფენა ჩანდა, ქუსლთან გაეჭვრიტათ და თოკი გაეყარათ.

— სად იპოვეთ?

— საავადმყოფოს ორმოში, ძია, სანაგვეზე.

— იქ რა გესაქმებოდათ?

— ჩვენ იქ ყოველდღე დავდივართ. წამლის ყუთებსა და სტრეპტომიცინის ბოთლებს ვაგროვებთ. იმ დღეს ესეც ვიპოვეთ ულუხჩის ბიჭმა წამგლიჯა. ვიჩხუბეთ, წავართვი და გავიქეცი.

— ეს როდის იყო?

— თხუთმეტი დღე იქნება.

— კარგი, — თქვა კომისარმა, — ახლავე ქაღალდში გაახვიე დიახ, მოძებნე ქაღალდი! უკეთესია, თუ პერგამენტისა იქნება.

იბრაჟიმის უფროსი და გაიქცა და საიდანდაც მართლაც მოარბენინა პერგამენტის ქაღალდი. ეგონა, თუ პერგამენტის ქაღალდს იშოვიდა, მას ცოტათი მაინც შეუშებუქებდა სასჯელს.

— აბა, ახლავე დაიშალენით! სასეირო რა ნახეთ! — მიუბრუნდა პოლიციელი საბრი ეფენდი სეირის საყურებლად შეყრილ ხალხს.

იბრაჟიმის და დიდი მზრუნველობით ახვევდა ფეხს. ჩაღლაიანს გოგონა შეუცოდა:

— ალბათ, საჭირო არ იქნება ბავშვის წაყვანა.

მუსლიმი, მეყავე და ბეითალ ბეიც ამას ფიქრობდნენ, ინალს კი ძალიან უნდოდა, როგორლაც დაესაჯათ იბრაჟიმი.

მესუთ ჩაღლაიანისადმი განსაკუთრებული პატივისცემის მიუხედავად, პოლიციელი უარზე დადგა:

— მოვალეობა მოვალეობაა, ეფენდი. უეჭველად უნდა წამოვიდეს. პროკურატურაში ჩვენებას ჩამოართმევენ.

მუსლიმმა და მესუთ ჩაღლაიანმა იბრაჟიმის და დაამშვიდეს, დაამედეს და ყველანი პროკურატურისაკენ მიმავალ გზას დაადგნენ. წინ პოლიციელი მიუძღვოდათ, რომელსაც პერგამენტის ქაღალდში გამოხვეული მნიშვნელოვანი ნივთმტკიცება მიჰქონდა.

უკვე ბნელოდა, პროკურატურაში რომ შევიდნენ. სმაურით შეაღეს კარი და ოთახში შევიდნენ. მორიგე პროკურორის თანაშემწერ ჩიბუხს აბოლებდა. იქვე, მაგიდაზე თამბაქოთი გატენილი ხეილონის ქისა ედო. ხელში ავტოკალამი მოემარჯვებინა და ქვისლს წერილს სწერდა. მათ დანახვაზე გაჯავრდა:

— რა ამბავია, რა აურზაურია! — შემდეგ პოლიციელს მოუბრუნდა: ესენი გავიდნენ. შენ თქვი, რა მოხდა, ოღონდ ჩქარა! ბეითალ ბეი, მესუთ ჩაღლაიანი, მუსლიმი, სალიპი, ინალი და იბრაჟიმი გარეთ გაღავდნენ. ასთმიანმა პოლიციელმა ფეხს ქაღალდი შემოხსნა, პროკურორის თანაშემწერს უჩვენა და რაც იცოდა, თავიდან ბოლომდე უამბო.

პროკურორის თანაშემწერმა საათს დახედა:

— გარგი, ახლავე ჩამოართვი ბიჭს ჩვენება!

იბრაჟიმი ოთახში შეიყვანეს. პოლიციელმა მისი ნათქვამი

ჩაიწერა. მერე ხელი მოაწერინეს. ამასობაში პროკურორის თანაშემწემაც დაასრულა ქვისლისათვის გასაგზავნი წერილი. როგორც იქნა, კონვერტიც იპოვა, ჩადო წერილი, დაბეჭდა და წამოდგა.

— წავედით საავადმყოფოში! — უბრძანა პოლიციელს.

გარეთ გამოვიდნენ. დანარჩენები ისევ კართან იდგნენ. პოლიციელმა და პროკურორის თანაშემწემ უხმოდ ჩაუარეს მათ და ქუჩაში გავიდნენ.

თანაშემწის მოტოციკლი ახალი ფოსტის წინ, ტროტუარზე იდგა. სწორედ იქ, სადაც დღისით საფოსტო ნიშნების გამყიდველის დახლია ხოლმე გამართული. თანაშემწემ მოტოციკლი ტროტუარიდან ჩამოიყვანა, დაჯდა და პოლიციელი თავისი მნიშვნელოვანი ტვირთით უკან შემოისვა. პროკურორის თანაშემწემ გაზის პედალს ფეხი დაჭირა. ძრავა არ ჩაირთო. მეორედ დაჭირა, მესამედ და, როგორც იქნა, აამუშავა. მოტოციკლის ხმამ დამის სიჩუმე გააპო და ანკარის პროსპექტისაკენ გავარდა. მორიგე მთავარ ასისტენტს სათვალე მოეხსნა და პროკურორის თანაშემწეს უსმენდა. იგი პოეზიით გატაცებული ექიმი იყო, საუბარში ხშირად ურევდა ციტატებს დივანის ლიტერატურიდან¹. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ კალამიც ისევე უჭირდა, როგორც სკალპელი. იაპია ქემალს ეთაყვანებოდა და მოცლილობისას მის რობაიებზე² ნაზირებსა³ წერდა. ახლაც წინ ედო ახლადდაწყებული რობაი. მან ბოლომდე მოისმინა პროკურორის თანაშემწის ნათქვამი, სათვალე მოიხსნა, მინები გაწმინდა, ისევ გაიკეთა და თქვა:

— შეუძლებელია! აქ რაღაც გაუგებრობა უნდა იყოს. მოგეხსენებათ, ბატონო ჩემო, რომ საავადმყოფო ამპუტაციისა და ოპერაციის ნარჩენებს ასე არ ყრის, სადაც მოხვდება. არც მენაგვეებსა და ვიღაც-ვიღაცებს ვატანთ. მათ ერთ ნაწილს

1. ქლასიკური ლიტერატურა.

2. ლექსის ფორმა აღმოსავლურ პოეზიაში.

3. რომელიმე დიდი პოეტის მიბაძვით დაწერილი ლექსი.

საავადმყოფოშივე წვავენ, ნაწილი კი სანიტარულ ბრიგადას მიაქვს და ისე სპობს, რომ არავინ ნახოს.

— გაი, სულო! მაშ ღუმელში იწვის? რა საშინელებაა, ვინ იცის, როგორ შიშხინებს ხორცი! — გაიფიქრა პოლიციელმა.

პროკურორის თანაშემწე, ისევე, როგორც ყველა მისი კოლეგა, ძალიან მიხვედრილი კაცი იყო:

— ჰმ... მაშინ, შეიძლება, განზრახ დააგდეს, რომ კვალი დაეფარათ, ვითომდა, საავადმყოფოდან არის გადავდებულიო, რასაკვირველია, ამის ჩამდენი აქაურ წესებში ჩახედული არ ყოფილა, — შემდეგ ღიმილით დაუმატა — ისევე, როგორც მე.

— როგორც ყველა, — მოკრძალებით გაუსწორა მთავარმა ასისტენტმა და ფეხი, რომელსაც წელანდელს აქეთ ხელში ატრიალებდა, როგორც იქნა, ტერფზე დააყენა.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ვენტილატორის ხმა (საკმაოდ გრილოდა, მაგრამ მაინც ჩართული იყო) და ასთმიანი პოლიციელის ქშენა ისმოდა.

პროკურორის თანაშემწემ სიგარეტი საფერფლეში ჩაბერტყა და თქვა:

— ბატონებო, საქმე ისაა, რომ ამ ბოლო დროს კიდურებდაჭრილ გვამებს ვპოულობთ. ვიღაც ბოროტმოქმედი თავის მსხვერპლს ხელ-ფეხს სჭრის და ისე ყრის. აღბათ, წაიკითხეთ გაზეთში — გასულ კვირასაც ვიპოვეთ აპირქაფის სანაპიროზე მკლავებდაჭრილი გვამი. შეიძლება, აქაც იმ მხეცის ხელი ერიოს.

მთავარ ასისტენტს, რომელსაც უნდოდა, მალე დაბრუნებოდა თავის რობაის, კინაღამ წამოსცდა, ეს აღარ მაინტერესებსო, მაგრამ თავი შეიკავა და მის ნაცვლად თქვა: „სავსებით შესაძლებელია“; მაგრამ თქვა თუ არა, მაშინვე მიხვდა, რომ ასეთი რამ სწორედაც შეუძლებელი იყო: ფეხს, განსაკუთრებით თითებთან, აშკარად აჩნდა მოლურჯო კვანძები, განგრენოზულ კიდურებს რომ ახასიათებს. ამიტომ და იმიტომაც, რომ ამ დროს ცხელი ყავა შემოიტანეს და ასისტენტს პროკურორის თანაშემწის გულის მოგება უნდოდა, თქვა:

— ყოველი შემთხვევისთვის ერთხელ კიდევ ვაკითხვინებ.

— მაშ, დამდეო პატივი, ბეივენდი⁷⁸, რასაკვირველია, თუ არ შეწუხდებით.

მთავარი ასისტენტი მელოტი იყო, პროფესიონალის თანაშემწეს დოცენტი ეგონა და ამიტომ მოკრძალებით ელაპარაკებოდა.

— როგორ გვადღებათ, რა შეწუხებაა, ეს ჩვენი მოვალეობაცაა.

მთავარმა ასისტენტმა ზარს თითო დაჭირა.

— დიდად დამავალებთ.

— რას ბრძანებთ.

— საიმე ხანუმ, თუ შეიძლება, სელმან ბეის დამიახეთ, — უთხრა მთავარმა ასისტენტმა ოთახში შემოსულ მოწყალების დას.

საწოლზე გაშოტილი სელმან ათაჯანი ჩერჩილის მემუარებს კითხულობდა, როცა მასთან მოწყალების და შევიდა და უთხრა, მთავარი ასისტენტი გიბარებსო. როგორც ყველა ახალბედა ექიმი, ათაჯანი მფრთხალი ყმაწვილი იყო. ახლაც გული გადაუბრუნდა: „ერთიც ვნახოთ და იმ ვატმანს, გუშინწინ რომ აპენდიციტი ამოაკვეთე, პერიტონიტის ნიშნები აქვს, ანდა იმ მასწავლებელს, ერთი კვირის წინ რომ ტირიოდინი გავუკეთე, კრიზისი დაეწყო“. მაგრამ ასისტენტთან რომ შევიდა და გაიგო, რაშიც იყო საქმე, შვებით ამოისუნთქა, თანაც პროფესიონალის თანაშემწე მისი ნაცნობი გამოდგა. ერთ სკოლაში უსწავლიათ, როცა სელმან ათაჯანის მამა ნალიჭანის კაიმაკმი⁷⁹ იყო. ეჭ, რა სწრაფად გადის დრო?!

ჰო, რაც შეეხება ფეხის მოჭრას... არა, ამ დღეებში ათაჯანს ასეთი ოპერაცია არ გაუკეთებია. საერთოდ, თავის სიცოცხლეში ერთხელ გააკეთა ფეხის ამპუტაცია ამ ოთხი თვის წინათ და ისიც მუხლს ქვემოთ გადაჭრა. თანაც მარჯვენა ფეხი იყო.

— საკვირველია, — დაუმატა მან — სანაცვეზე საიდან გაჩნდა. საავადმყოფოში მოკვეთილ კიდურებს ხომ...

— ვიცით, ვიცით! სწვავენ ან ანადგურებენ საგანგებო წესების დაცვით, — შეაწყვეტინა პროფესიონალის თანაშემწემ, თან მთავარ ასისტენტს გაულიმა. სელმან ათაჯანმა იფიქრა, დამცინიანო, და განაწყენდა, მაგრამ როცა პროფესიონალის თანაშემწემ უთხრა, რაზე იცინოდნენ, მასაც გაეღიმა. ერთი სიტყვით, ოთახში მხიარული

ატმოსფერო დამყარდა. ცოტაც და, მთავარი ასისტენტი რომელიმე კლასიკურ ლექსს წაიკითხავდა, მაგრამ დროზე შეიკავა თავი და მკაცრი გამომეტყველებით იკითხა:

— ახლა რა ვქნათ?

— მოდით, ისქანდერ ისქითსაც ვკითხოთ, — ურჩია სელმან ათავანმა.

— ისქანდერ ბეი ამაღამ მორიგეა? — მთავარმა ასისტენტმა სიტყვა ბეი ხაზგასმით და ირონიით წარმოთქვა. როცა მისთვის საძულველ ვინმეს ასე მოიხსენიებდა, უგონა, ჯავრს იყრიდა მასზე. რა დასამალია, ისქანდერ ისქითიც არ მოსდიოდა თვალში. არ მოსწონდა და რა ექნა? კაცია და გუნება! დიდი რამე, რაღაც რვა თვეს ლონდონში კვალიფიკაციას იმაღლებდა და ახლა თავს აღარავის უყალრებს. დოკუმენტებს, პროფესორებსაც კი ზემოდან დაჰყურებს.

ისქანდერ ისქითს თავისი პროფესიის შემდეგ გველაზე მეტად ფოტოგრაფია იტაცებდა. ფოტოგრაფია, როგორც თვითონ ამბობდა, მისი „პობი“ იყო. ახლაც, მასთან სტუმრად მოსულ ექიმ-რენტგენოლოგს ფოტოგრაფიაზე ელაპარაკებოდა.

— დამით ბლიცით როდისმე გადაგიღიათ სურათი?

— არასოდეს. თქვენა?

— მე ამასწინათ ბეიოდლუზე გადავიღე ორმოცდაათი დაყოვნებითა და სამნახევარი დიაფრაგმით. ორმოცდათხუთმეტ წუთს ვამჟღავნებდი. ისე კარგად ჩანს ყველაფერი, გაგიჭვირდებათ.

— საოცარია. თუმცა თქვენი აპარატი ხომ "გეზაქტაა".

— არა, "რეფლექსია". თქვენც "რეფლექსი" გაქვთ?

— არა, ერთი თვეც იქნება, გაყიდე. ახლა ცეის-ტესარის ობიექტივიანი "რეტინა-2" მაქვს. 1:3,5.

— მოგწონთ?

— მოუხერხებელია. ვიდრე ოცდათექვსმეტივე კადრი არ გათავდება, ნეგატივს ვერ ამოიღებ.

— თქვენც აიღეთ და ყოველ მეათე კადრზე გადაჭრით.

— მერე, მმაო, ყოველთვის ხომ ვერ დააბნელებ ოთახს. სააბაზანოც არა მაქვს, აბანოში დავდივარ. ამ ვიწრო ლენტების

ნაკლი ისიცაა, რომ ძალიან ვერ გააღიდებ.

— წვრილმარცვლოვანი გამამჟღავნებელი იხმარეთ, DK-20 ფიქსაჟში გაავლეთ და მერე გააღიდეთ.

ამ დროს მედდამ კარზე დააკაკუნა და საუბარი გააწყვეტინა. ისქანდერ ისქითს არ ესიამოვნა, მთავარ ასისტენტთან ასე გვიან რომ იძახებდნენ. ოთახში უკამაყოფილო სახით შევიდა. აუხსნეს, რაში იყო საქმე. ისქითმა ფეხი აიღო, ხელში შეატრიალა და თქვა:

- არა, ამ ფეხს მე ვერ მოვჭრიდი.
- რა საბუთით აცხადებთ ასე კატეგორიულად? — ჰქითხა სელმან ათავანმა. მთავარმა ასისტენტმაც მრავალმნიშვნელოვანი გამოხედვით იგივე შეკითხვა გაიმეორა.

ისქანდერ ისქითმა ნერვიულად, თითქმის ისტერიულად გაიცინა და კბილების გასასწორებლად ჩადგმული მავთულები გამოაჩინა.

— აი, რა საბუთით, მეგობარო: მე ასეთი ოპერაციის დროს ცოტა ქვემოთ ვჭრი, თანაც კონუსური ფორმით, რომ პროტეზს კარგად მოერგოს, — თქვა ისქითმა და ისე გადახედა მთავარ ასისტენტსა და სელმან ათავანს, თითქოს ეკითხებოდა: „ახლა მაინც გაიგეთო?“ ამ გამოხედვაში, მისი ლაპარაკის ტონში, მთელ მის გარეგნობაში იგრძნობოდა უპირატესობა, რომელსაც მას ლონდონში გატარებული რვა თვე აძლევდა.

„ზანგი ვიყო, თუ მესმოდეს, რას ამბობს, — გაიფიქრა ასთმიანმა პოლიციელმა. — მავრამ კარგად კი ლაპარაკობს ყმაწვილი. მაინც რას ნიშნავს განათლებული კაცი?! ბარემ აქა ვარ და გავესინჯები, ნახონ ჩემი ასთმა“.

— კარგი, — უთხრა მთავარმა ასისტენტმა ისქანდერ ისქითს, გმადლობთ, „ესეც შენ. ჯერ კაცად იქცი და მერე გამიტოლდი“, — გაიფიქრა ისქანდერ ისქითმა მთავარი ასისტენტის მისამართით. ძალზე სიამოვნებდა მისი გაბრაზება. სელმან ათავანი ამას მიხვდა და ირონიულად იკითხა:

- ესე იგი, შენი მეთოდით არ არის მოჭრილი?
- პროგურორის თანაშემწის გამოცდილ თვალს არ გამოპჰარვია სელმანის შეკითხვის ტონი. უფრო მეტიც — მან ამ შეკითხვაში

მლიქნელური თავგამოდება დაინახა და იფიქრა:

„ესენიც კბილებით გლეჯენ ერთმანეთს, როგორც ჩვენ და მოსამართლები. ეს ყმაწვილი, ალბათ, ორივეზე ჭკვიანია და იმიტომ ეჯავრებათ. როგორ გაკენწლეს! მაინც ხომ ვერ დააკარგვინეს წონასწორობა!“

ოთახში დამდგარმა პაპიროსის ბოლმა ასთმიანი პოლიციელი შეაწუხა: „აბა, თუ მოიფიქრონ და ფანჯარა გამოაღონ!“

პროფესიონის თანაშემწეს უნდოდა განეტუხტა დაძაბული ატმოსფერო და საქმე ტკბილად მოეგვარებინა. ის-ის იყო, ბოლიშის მოხდა და გასვლა დააპირა, რომ ოთახში საოპერაციოს უფროსი ექთანი მუშერეფ მუთლუ¹ შემოვიდა. ასეთი გვარი კი ჰქონდა უფროს ექთანს, მაგრამ ცხვირ-პირი სულ ჩამოსტიროდა. თუმცა, რა ექნა, საბრალო ქალს! – ქრონიკული რევმატიზმი სტანჯავდა. მხოლოდ ორმოცდახუთი წლისა იყო, მაგრამ ბებერივით დალახლახებდა. პოლიციელს მის დანახვაზე პირი ღია დარჩა:

„ეს საქმეა?! – ფიქრობდა გაკვირვებული, – ქალი საავადმყოფოში მუშაობს, ამდენ ექიმებშია და თავის თავისთვის ვერ უშეველია?“

მუშერეფ მუთლუმ ჯერ მაგიდაზე დადებულ ფეხს შეხედა, მერე – პროფესიონის თანაშემწეს და ბოლოს, მთავარ ასისტენტზე შეაჩერა მზერა. მთავარმა ასისტენტმა მოკლედ გააცნო საქმის ვითარება.

– ერჯუმენთ ბეისთვის არ გიკითხავთ? – თქვა უფროსმა ექთანმა.

– რა ხანია, ერჯი შვებულებაშია, – ჩაერია სელმან ათავანი თაფლობის თვე აქვს, არ იცოდით?

– ვიცი, მაგრამ, თუ არ ვცდები, სწორედ წასვლის წინ გააკეთა ერთი ამპუტაცია (მთავარ ექთანს უნდოდა, ექიმისთვის თაფლობის თვე ჩაეშამებინა).

– გაქვს მისი ტელეფონის ნომერი? – პკითხა მთავარმა

1. ნეტარი.

ასისტენტმა.

— აღბათ, მექნება.

— თუ არ შეწუხდებით, გაგვიგეთ.

ისქანდერ ისქითი წასვლას აპირებდა, მაგრამ დარჩა. აინტერესებდა, რით დამთავრდებოდა საქმე.

სელმანი ტელეფონთან მივიდა, ნომერი აკრიფა, თან თვალს არ აშორებდა პერგამენტის ქაღალდში გახვეულ ფეხს.

ტელეფონმა რომ დარეკა, ერჯი საპირფარეშოში იყო. კიმონოში გამოწყობილი მისი ცოლი სავარძელში ჩამჯდარიყო და უერნალის ბოლო ნომერში შპალერის ახალ ნიმუშებს ათვალიერებდა. იგი ავეჯისა და ინტერიერის საკითხებში კარგად ერკვეოდა (თვითონ ასე ეგონა) და ამიტომ სახლ-კარის მოწყობის მთელი სიმძიმე თავად იტვირთა. ეს ერთსართულიანი სახლი, შვეიცარულ ვილას რომ ჰგავდა, ავეჯი, ფარდები, კედლების მომწვანო ფერი — ყველაფერი მისი შერჩეული იყო.

ერთი სიტყვით, ერჯუმენთ ბეის უფლებები საწოლს იქით არ კრცელდებოდა, მაგრამ რას იზამ! როცა მდიდარ ქალს ირთავ, ამისთანებსაც უნდა შეეგუო.

— ალ! — თქვა ქალმა ფრანგული აქცენტით. სხვას თუ არაფერს იტყოდა, უეჭველად პარიზელი გეგონებოდათ — ალ! ერჯუმენთი გნებავთ? სააბაზანოშია. მოითმინეთ, იქნებ გამოვიდა.

— ქალმა საპირფარეშოსაკენ გასძახა:

— ერჯი! ერჯი!

— რა მოხდა, გენაცვალე? — მოირბინა ქმარმა.

— საავადმყოფოდან რეკავენ, გკითხულობენ.

— ამ შუალამისას? მოიტა, ერთი! — ერჯუმენთ ბეიმ ცოლს ყურმილი ჩამოართვა და მაშინვე ქირურგის ტონი და მანერები დაუბრუნდა:

— რაო, კოჭში გადაჭრილი მარცხენა ფეხი? დიახ, მართალია. ღმერთმანი აღარ მახსოვეს, მარჯვენა ფეხი იყო თუ მარცხენა. ოცი დღეც იქნება, რაც ოპერაცია გავაკეთე. რა ვიცი, ვიღაც მეთევზე იყო თუ მენავე. ამისთვის შუალამისას კაცის შეწუხება გაგონილა? ჩამოატარეთ პალატებში. ავადმყოფებს უჩვენეთ და

პატრონი იცნობს, თუ ჯერ არ გაუწერიათ. არა, გენაცვალე, არ დავწოლილვართ. დიახ, რა ბრძანეთ? არაფერს, კარგად ბრძანდებოდეთ! გადავცემ, გადავცემ, მერს!

ცოლი კისერზე შემოეხვია ერჯის:

— არაფერი, ჩემო კარგო, სელმანმა მოგიკითხა.

— რატომ გემებდნენ, რა მოჭრილი ფეხიო?

— ერთი ამპუტაციის გამო, გენაცვალე.

ქალი შეშფოთდა:

— რაო, რამე კომპლიკასიონია?! პასუხს არ გაგებინებენ?

— არა, სულო, განა ჩემს ოპერასიონს კომპლიკასიონი მოჰყვება? — ერჯის ამ ფრაზის წარმოთქმა გაუჭირდა და გადაიხარხა: — რაღაც მოჭრილი ფეხი უპოვიათ და მკითხეს, სავადმყოფოდან ხომ არ გადაგიგდიათო.

— ვაი, ცუდად ვარ! — ყმაწვილი ქალი მთლად გაფითრდა. ქირურგის ცოლი კი იყო, მაგრამ სისხლის დანახვაზე გული მისდიოდა. ბარემ ერჩია, ექიმის ნაცვლად არქიტექტორს გაჰყოლოდა (თავადაც ხომ ინტერიერით იყო გატაცებული), მაგრამ რას იზამ, ბედს სად გაექცევი?

— შენ რა უთხარი, როგორ უნდა გაარკვიონ?

— პალატებში ჩამოატარეთ და ავადმყოფებს ჰკითხეთ-მეთქი.

— კარგად გითქვამს.

ქალმა სავარძელში მოიკალათა. თან თვალი სარკისაკენ გააპარა, თმები ხომ არ დამეშალაო. ერჯი ხელების დასაბანად წავიდა. მალე დაბრუნდა და ცოლს გვერდით მოუჯდა. ამასობაში ცოლს უურნალში კაკლის სამფეხა მაგიდა მოსწონებოდა. სწორედ ასეთი მაგიდა იმ დღეს აუქციონზე 350 ლირად გაიყიდა. ცოლ-ქმარმა მომავალ კვირას ნიშანთაშიში ამერიკის აუქციონზე წასვლა გადაწყვიტა.

მთავარი ასისტენტის კაბინეტში არ იცოდნენ, რა გზას დასდგომოდნენ. — ერჯიმ სწორედ გვირჩია, ფეხი ავადმყოფებს უნდა ვუჩვენოთ, — თქვა სელმან ათავანმა.

1 გართულება (ფრ.).

- თუ პატრონი უკვე გაწერილია?
- მაინც ვიკითხოთ.
- არა, არ არის საჭირო.
- რას ვკარგავთ, ვიკითხოთ!
- მართლაც და, რა მოხდა!

გადაწყდა. დაიწყეს პალატების ჩამოვლა. წინ სანიტარი ქალი გაიძღოლეს. მას ფეხი მიჰქონდა, უკან გაჰყვნენ მთავარი ასისტენტი და პროკურორის თანაშემწე, მათ მუშერეულ მუთლუ მიჰყვებოდა. მას პოლიციელი, ისქანდერ ისქითი და სელმან ათაჯანი მისდევდნენ. ჯერ მეორე ქირურგიულ განყოფილებას ჩამოუარეს, ყველა პალატაში შევიდნენ, მერე მესამე განყოფილებასაც მიაკითხეს. ავადმყოფები უკვე დასაძინებლად ემზადებოდნენ. სანიტარმა დერეფანშივე მოპკრა თვალი უცხო ხალხს, პროკურორის თანაშემწე მინისტრი ეგონა, გაიქცა, დაავლო ჩვარს ხელი და თითქოს ახლალა მოიცალაო, მტვრის წმენდას მოჰყვა.

პალატაში კარბოლმჟავას სუნი იდგა.

ერთ საწოლზე თეთრწვერა მოხუცი წამომჯდარიყო და ლოცულობდა.

ამ პალატაში, ერთი კაცი იყო ნაოპერაციელი – რიზელი მენავე შაჰინი. იგი მეთორმეტე საწოლზე იწვა. ოცი დღის წინათ მოეკვეთათ ფეხი, მაგრამ ცოტა შაქარი აღმოსაჩენოდა და ამიტომ ჯერ არ გაეწერათ. ახლა კედლისკენ გადაბრუნებულს თავზე საბანი წაეხურა და ტკბილად ეძინა.

მთავარმა ექთანმა ფრთხილად გაარხია საწოლი. რიზელს არაფერი გაუგია. მაშინ ქალი მხარზე შეეხო. ავადმყოფმა თვალი გაახილა და უაზროდ მიმოიხედა. ვერ გაეგო, რატომ გააღვიძეს, ან ეს ხალხი ვინ იყო? რა უნდოდათ. პოლიციელი საიდანდა გაჩნდა?

– შენ ფეხი მოგაჭრეს? – ჩაესმა ვიღაცის ხმა. რიზელმა შეხედა და მთავარი ასისტენტი იცნო.

– ხო, მომაჭრეს, – უპასუხა და მარცხენა ტერფის ტკივილი იგრძნო.

– განგრენა გქონდა?

— ეგრე ტკვეს, ღმერთმა დასზღვლოს მაგატი ჭავი.

მთავარი ასისტენტი, თავისი ჭკუით, ავადმყოფს ნელ-ნელა ამზადებდა და ცდილობდა, ჩამოფარებოდა სანიტარ ქალს, რომელსაც ფეხი ეჭირა.

— ვინ გაგიკეთა ოპერაცია? — ჰკიოთხა მან პაციენტს რაც შეეძლო თბილი ხმით.

— ვიდაზ პულენტ ბეიმ თუ ეჯმენტ ბეიმ.

— ალბათ, ერჯუმენტ ბეიმ.

— ხო, ღმერტმა უშველოს, — თქვა რიზელმა, თან კი ფიქრობდა: „ღმერთმა დაგწყევლოთ, რას მაღვიძებთ ამ შუაღამისას და რა აბდაუბდას მელაპარაკებით“. მერე ერთბაშად გული შეეკუმშა. მთელი სიცხადით იგრძნო, რომ მარცხენა ტერფი აღარა ჰქონდა. თავისი ფეხი მას თითქმის დავიწყებოდა, ახლა კი, გინდა თუ არ გინდა, ყველაფერს თავიდან მოგაყოლებენ.

— ახლა ხომ კარგად ხართ?

— მაღლობტ, კარგატა ვარ.

— გეძინა?

— ზოტა, — რიზელი საბოლოოდ გამოფხიზლდა.

— ჩვენებურო, შენთან საქმე გვაქვს. აი, ეს ბატონი პროკურორის თანაშემწეა, — დაიწყო მთავარმა ასისტენტმა, მაგრამ მაშინვე იფიქრა — სიტყვა არ გამიგრძელდესო და მოკლედ მოჭრა:

— ერთი შეხედე, იქნებ იცნო. შენი ფეხია? — ჰკიოთხა სულმოუთქმელად, მერე გვერდზე გადგა და სანიტარი ქალი წინ გამოუშვა.

რიზელმა ბასთურმისფერი ხორცის ნაჭერი რომ დაინახა, ფერი წაუვიდა, სულ გამწვანდა, სახეზე ხელები აიფარა და პირი იძრუნა.

— არ შევხედავ, არაფრის გულისთვის არ შევხედავ!

მოსულებმა ერთმანეთს გადახედეს. პროკურორის თანაშემწე საწოლთან მივიდა.

— სირცხვილია, როგორ გეკადრება, ვაჟკაცი არა ხარ? ამოდენა ხალხი გელოდება. შეხედე და გვიპასუხე!

ახლა, რაკიდა საქმე ვაჟკაცობაზე მიდგა, რიზელი ჯოჯოხეთის კარსაც კი გაუსწორებდა თვალს. ნელ-ნელა გადმობრუნდა, მოიშორა სახიდან გაძვალტყავებული ხელები და ფეხს შეხედა. შეხედა და თვალი ვერ მოაცილა, კრინტი ვეღარ დაძრა.

„ეს ფეხი, ხო, ეს მისი ფეხია, იცნობს როგორ ვერ იცნობს, მაგრამ კოჭში თოკი რატომ გაუყრიათ?“ – რიზელმა თვალები დახუჭა, მერე ისევ გაახილა. „მაშ ამ ფეხს ნოტიო ქვიშაზე ვეღარასოდეს დააბიჯებს? სველ ტერფს ცხელ კენჭებზე ვეღარ გაიშრობს? ვეღარ დატკბება თითების ფხანით? ეს ფეხი საწოლში ჰეჯერის კანჭებს ვეღარ შემოეხვევა.“

საშინელი დანაკლისი იგრძნო. რაღა კაცია, თუკი მიწას მყარად ვეღარ დაადგამს ფეხს? ალბათ, როგორ შერცხვება ჰეჯერს უფეხო ქმრის ყოლა?! შაპინს სიკვდილი ერჩია დაინვალიდებას და დახეთ, როგორ გაწირა ღმერთმა?! მოხდა ის, რისიც ყველაზე მეტად ეშინოდა. და მოხდა არა ოცი დღის წინათ, როცა ფეხი მოაჭრეს, არც მაშინ, ერთი თვის წინათ, როცა განგრენა დაეწყო, არამედ ახლა, ამ წუთას.

აი, თითქოს ესმის ქამანჩის ხმა. ეს ძია იდრისი უკრავს, როცა რიზეში "ალიქას", "მემეთინას" ან "ფაფილათს" უკრავდნენ და „პორონს“ ცეკვავდნენ, შაპინის მჯობი კაცი არ იყო. გაუჩერებლად, სულმოუთქმელად ცეკვავდა, დაღლა არ იციდა, თანდათან უფრო ედებოდა ცეცხლი, ეშხში შედიოდა, დროდადრო შეჰკივლებდა და სხვებიც ცეკვის ეშხზე მოჰყავდა. თვალწინ სხვა მოცეკვავების ფეხები დაუდგა. როგორ ბუქნავენ! ფეხს როგორ უსვამენ! ეჰ!... ცალი ფეხით რაღას იცეკვებს! გააჩუმე, ძია იდრის, შენი ქამანჩა!

ამის შემდეგ მარტო ცალ ფეხსაცმელსდა დასჭირდება გაწმენდა. მეორე ცალი ვის მისცეს? ხელები საღ-სალამათი აქვს და მხარ-კისერი, მაშ, ჯანმრთელია და ეგ არის. მარჯვენა ფეხს ნავის კედელს მიაბჯენს და მოუსვამს ნიჩბებს.

კიდევაც წარმოიდგინა თავი ნავში, ნიჩბებს უსვამს, ჭრიალებს ნავი და მასთან ერთად შაპინის ხის ფეხიც.

– ძმაო, შენი ფეხია? თქვი, რამ დაგამუნჯა?!

მაშ, კოჭლობით უნდა იაროს? მაშ, ისე უნდა ირხეოდეს, როგორც ზღვის ტალღები სამხრეთის ქარზე? მათ უბანში ერთი ცალფეხა ბიჭი ცხოვრობდა. საწყალს არ უნდოდა, სხვებს ჩამორჩენოდა: კალიასავით ხტოდა და მაინც თამაშობდა ბურთს. შაპინს ახლა განსაკუთრებით შეეცოდა ის ბიჭი, მაგრამ ივრძნო, რომ იმ ბიჭის შებრალებით თავის თავსაც იბრალებდა.

— ვერ იცნო. ალბათ, ამისი არ არის.

ბავშვებიც აღარ მოინდომებენ შაპინის ნავში ჩაჯდომას. თმახუჭუჭა, ქერა გოგონა თავის ძიძას რიზიქის ნავისაკენ წაიყვანს: "ნუ ჩავსხდებით ხისფეხიან ძიასთან. ნავი რომ გადაბრუნდეს, ხომ ვერ გვიშველის?" — იტყვის ბავშვი. მართლა, ნეტავ, ხის ფეხიან კაცს თუ შეუძლია ცურვა? კიდევაც რომ შეეძლოს, ნავი ახლოს როგორ უნდა მოითრიოს? წინათ მარჯვენა ფეხით ნაპირს დაებჯინებოდა, მარცხენა ფეხის ცერს ბარჯივით ჩავლებდა ნავის კიდეს და თავისკენ მოიწევდა. დააკვირდა მოჭრილ ტერფს, სანიტარ ქალს რომ ეჭირა. ის მსხვილი, ღონიერი ცერი მთლად დალეული და გალურჯვებული ჩანდა.

— შაპინ ეფენდი, რა მოგდით, რაზე ფიქრობთ?

რა უცნაური მოგონებები აქვთ! ფლოტში რომ გაიწვიეს, კომისიაზე ტერფები შეუმოწმეს: ფეხთ გახადეს, წყალში ჩააყენეს და მერე იატაკზე გაატარეს. სკელი ნაფეხურების მიხედვით ბრტყელტერფიანობას ადგენდნენ. ახლა რომ მოაწყონ ასეთი კომისია, მარჯვენა ნაფეხურის გვერდით რეზინის მრგვალი კვალი დარჩება.

თავი წამოსწია და საწოლთან მდგარო ფეხებზე დახედა: "აი, იმას, პროკურორის თანაშემწერ რომ ყოფილა, ფეხსაცმელი ახლახან გაუწმენდია, სულ პრიალ-პრიალი გაუდის. პოლიციელს ჩექმები აცვია, მთავარ ასისტენტს — მოკასინები. ერთი ექიმი ფოსტლებით ჩამოსულა. მთავარ ექთანს ყაითნებით შეკრული პრუნელის თეთრი ფეხსაცმელი აცვია. მას მორებივით ფეხები აქვს — მსხვილი და უფორმო. თანაც რევმატიზმიანი. საწყალი, არც ისეთი ხნიერია და როგორ დადის, — ფიქრობდა ხოლმე რიზელი მის დანახვაზე, მაგრამ ახლა სულაც აღარ ებრალებოდა. ანდა რა პქონდა შესაბრალისი: მორებივით იყო თუ კუნძებივით, მაინც საკუთარი ფეხები იყო, არც

რევმატიზმია დიდი უბედურება. ნეტავი ორივე ფეხი ჰქონდეს და დაე, რევმატიზმიანი იყოს, დაე, მორებსა ჰგავდეს!"

— ადამიანო, თქვე, ბოლოსდაბოლოს, შენია თუ არა!

რიზელს ცისფერი თვალები აუცრემლდა, ძლივს გადაყლაპა ყელში მომდგარი ცრემლი და ამოილულლუდა:

— ჩემია, ჩემი ფეხია...

რიზელის მწუხარებისადმი თანაგრძნობის გამოსახატავად ერთხანს ყველანი გაჩუმდნენ, მაგრამ მთავარ ასისტენტს ათიოდე წამის დუმილი ზედმეტად ჰქვენა.

— როგორ იცანი? — პკითხა მოგონილი მხრუნველობით.

— ორი პატარა ტიტი შეხორცებული მაქ.

მთავარმა ასისტენტმა და პროკურორის თანაშემწებელ ფეხი გულდასმით გასინჯეს. მართლაც, ნეკი მეზობელ თითს სანახევროდ შეზრდოდა.

რიზელმა საბნიდან საღი ფეხი გამოყო. ამ დაკუნთულ და ძარღვებდაბერილ ფეხზე ასევე შეზრდილი თითები ჰქონდა.

მთავარმა ასისტენტმა და პროკურორის თანაშემწებელ კმაყოფილებმა ერთმანეთს გადახედეს. მათი შემხედვარე ბედნიერი მთავარი ექთანიც იღიმებოდა.

— ღამე მშვიდობისა, კაპიტანო, შეგაწუხეთ და გვაპატიე, — უთხრა რიზელს მთავარმა ასისტენტმა.

— კარგატ ბზანდებოდეტ, — უპასუხა რიზელმა ყრუ, გაზარული ხმით.

მთავარი ასისტენტი და პროკურორის თანაშემწე კარისაკნ გაემართნენ. მათ სხვებიც მიჰყვნენ.

პალატაში აქა-იქ ხვრინვა გაისმა. მოხუც მლოცველს საწოლზე მოერთხა, ხელში მინერალური წყლის ბოთლი ეჭირა და დაბნეული იყურებოდა.

საავადმყოფოს საათმა დარეკა.

რიზელს არ ეძინა. გულაღმა იწვა და ფიქრობდა. დროდადრო მისი სრუტუნი ისმოდა.

ახლა უფროს ექთანს უნდა გაერკვია, ვინ გადააგდო ფეხი სანაგვეზე. მანაც ჯერ საინტარი ქალები დაკითხა, შემდეგ —

მომვლელები და მაღა დამნაშავესაც მიაკვლია.

დამნაშავე კი ვინმე კასტამონუელი სულეიმანი აღმოჩნდა. საავადმყოფოში მუშაობა პირველ კვირას ქირურგიულ განყოფილებაში დაეწყო, მაგრამ ვერ გაეძლო და მაღა თერაპიულში გადაეყვანათ. იმ დღეს კი, ოოცა რიზელს ოპერაციას უკეთებდნენ, ისევ საოპერაციოში მოეყვანათ, რადგან აქაური სანიტარი შვებულებაში წასულიყო.

ვიდრე ოპერატორები ავადმყოფს ჭრიდნენ და კურავდნენ, საწყალს სული კბილით ეჭირა. ერჯუმენთ ბეიმ ოპერაცია დაამთავრა და მოჭრილი ფეხი ისე გაუწოდა სანიტარის, არც შეუხედავს, ვინ იყო.

მანაც რა იცოდა, სად უნდა წაედო, გულისრევას ძლივს იკავებდა. აიღო და პირველივე ფანჯრიდან სანაგვეზე ისროლა.

პოლიციელმა ოქმი შეადგინა. პროკურორის თანაშემწემ ეს ოქმი ჯიბეში ჩაიდო, ერთხელ კიდევ გადაუხადა მადლობა მთავარ ასისტენტს, მხარზე ხელი დაჰკრა თავის სკოლის ამხანაგს სელმან ათავანს და უთხრა:

— იცოდე, გელოდები, მამაშენიც წამოიყვანე. კალამიშში ცეხოვრობ. საიდ ფაშას ქუჩაზე პატარა ბოსტანიც მაქვს, მწვანილში უული არ მეხარჯება. ლუდი ჭაში ჩავაციოთ, დავდგათ შეზლონგები ჩრდილში და ვიმუშაიფოთ. გავიხსენოთ ახალგაზრდობა.

გადაწყვიტეს, ერთ კვირა დღეს სელმანი წაიყვანს მამამისს, ყოფილ ნალიპიეს კაიძაკამს და დილიდანვე წავლენ კალამიშში. მისამართები ჩაიწერეს, სიგარეტის კოლოფზე გეგმაც კი დახაზეს.

პროკურორის თანაშემწე კვლავ დაჯდა მოტოციკლზე. პოლიციელი ისევ უკან მოუჯდა. ახლაც გაჭირდა ძრავის ჩართვა. ბოლოს, როგორც იქნა, მოტოციკლი ათუხთუხდა, მაგრამ აღვილიდან მაინც ვერ იძვროდა.

პოლიციელს თითქოს ხელში რაღაც აკლდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს რაღაც დარჩენდეს.

— ფეხი, ფეხის წამოღება დაგვავიწყდა, — გაიხსენა ბოლოს, მაგრამ მისი სიტყვები ძრავის გრუხუნმა ჩაახშო.

პოლიციელი პროკურორის თანაშემწეს მხარზე შეეხო.

— ფეხს რა ვუყოთ, ბეი ეფენდი?

პროგურორის თანაშემწეობის თვალი ჩაუკრა მთავარ ასისტენტზე და ძრავის ხმაურში რომ გაეგებინებინა, პოლიციელს დაუყვირა:

— მასაც ისევე მოსპობენ, როგორც საერთოდ სპობენ ამპუტაციისა თუ ოპერაციის ნაშთებს.

მთავარმა ასისტენტმა ვერ გაარჩა პროგურორის თანაშემწის ნათქამი, მაგრამ იფიქრა, რაღაც იხუმრაო და ზრდილობის გულისხვის გაიღიმა.

„ფუჭ, ღმერთმა დასწყეველოს!, — ფიქრობდა პოლიციელი, — ასთმის წამალი მინდოდა მეთხოვა და ვერა ვთხოვე. ან რას ითხოვ პროგურორის თანაშემწის დასანახავად. ჯანდაბას, ექიმები ხომ გავიცან! კარგი ხალხი ჩანს. ერთი როდისმე მოვალ და გავესინჯები“.

პროგურორის თანაშემწეობის ვალმოხდილი კაცის სიამაყით დააჭირა ფეხი პედალს. სამართალი და პოლიცია ძრავის გრუქუნით გაეცალნენ საავადმყოფოს.

მთავარი ასისტენტი, რომელმაც ისინი კარებამდე მიაცილა, იდგა, გზას გასჩერებოდა და ფიქრობდა: „საღამოობით უკვე ცივა. საცაა ზამთარიც დადგება“. მერე სიგარეტს მოუკიდა და შენობაში შევიდა. საღამოობით შთაგონება ეწვეოდა ხოლმე. უნდოდა, მალე დაბრუნებოდა იმ რობაის, პროგურორის თანაშემწის მოსვლამდე რომ დაეწყო. მაგიდას მიუკვდა, წელან ნაპოვნი ჰქონდა რითმა „ათ“-ზე, მაგრამ უკვე დავიწყებოდა. ეცადა, მაგრამ ვეღარ გაიხსენა, ნერვები აეშალა: ერთხანს უფრა კვდელზე დაკიდებულ ჯემილ ფაშას პორტრეტს, მერე მოკრიფა თავისი ხელნაწერები და დასაძინებლად წავიდა.

სელმან ათავანი თავის ოთახში დაბრუნდა და ჩერჩილის მემურების კითხვა განავრდო. ჩერჩილი იგონებდა, როგორ გადაურჩა სიკვდილს პენიცილინის წყალობით, ანდა ჩრდილო აფრიკაში, ყველაზე ცხარე ბრძოლების დროს როგორ იქცევდა თავს ხატვით. „საოცარი კაცია ეს ჩერჩილი, — ფიქრობდა სელმანი. — არა, ერჯუმენთი როგორ გაბრაზდა, რომ დაუკურექე. უნამუსო, ვინ იცის, რას აკეთებდა! მამაჩემსაც გაუხარდება პროგურორის თანაშემწის ნახვა. საბანაო ქოსტიუმს წავიღებ, იქნებ, ფენერბაჟეს პლაჟზეც შევიაროთ, არ დავკვირვებივარ, ნეტავ, ბეჭედი ეკეთა? თუ ცოლი ჰყავს, კამფეტის

წალება დამჭირდება“.

უფროსი ექთნის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რაკიდა იპოვა, ვისჩე ამოეფარა ჯავრი. მთელი მისი სიცოცხლე ასეთი შემთხვევების მოლოდინში გადიოდა. რა ღამესაც შესვერპლს იპოვიდა და ბოლმას დაიცლიდა, იმ ღამეს ბრომურალი აღარ სჭირდებოდა. რას იზამ! ავადმყოფი ქალი იყო. ახალგაზრდობაში ვიღაც ბუდალტერს გაჰყოლია ცოლად, მაგრამ მას მეზობლის ცოლისძასთან საქმე გაუჩარხავს და შინიდან გაპარულა. ქალმა კი ამის შემდეგ საკაცეთი ამოიძულა და ჯავრს ხან ავადმყოფებზე იყრიდა, ხან – სანიტრებზე.

– წამომყევი, – უბრძანა კასტამონუელს, რომელსაც თავი სიკვდილმისჯილივით ჩაექინდრა და საკუთარ ფეხებს დასხერებოდა. – წამომყევი, მე გაჩვენებ, რამდენი კუნჭული აქვს დუნიას – და თავისი კაბინეტისაკენ გაუძღვა: სიბრაზისაგან რეგმატიზმიც კი დავიწყებოდა.

როგორც კი ფეხის პატრონი იპოვეს, ისქანდერ ისქითი თავის კაბინეტში დაბრუნდა. რენტგენოლოგი უკვე წასულიყო და ახლა თავად ესტუმრა მას. მოკლედ უამბო გამოძახების მიზეზი და შეწყვეტილი საუბარი გააგრძელეს.

– მე პიპოსულფიტს მეტაბისულფატსაც ვუმატებ. ლენტსაც კარგად ამაგრებს და ჭურჭელსაც არ აფუჭებს.

– კარგი გიქნიათ, – მოუწონა რენტგენოლოგმა.

ერჯუმენთი და მისი ცოლი დასაძინებლად მოემზადნენ და თითო ჭიქა კონიაკიც გადაკრეს.

პროგურორის თანაშემწისა და პოლიციელის წასვლის შემდეგ ასისტენტებიც თავ-თავიანთ კაბინეტებში ჩამორიგდნენ და საავადმყოფო ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდა.

მოხუცმა დარიაჯმა საათი მომართა.

უფროსმა ექთნამა კარგად შეახურა კასტამონუელი, მერე ფეხებზე ცხელი წყალი გადაივლო, წითლად დათორაჯებულ სახეზე ცივი წყალი შეისხა და დასაძინებლად დაწვა.

სანიტრების ოთახში გვიანობამდე დასცინოდნენ საბრალო კასტამონუელს.

რიზელს კი ისე სტეხდა მარცხენა ფეხი, თითქოს მოჭრილი არცა ჰქონდა.

დურგინდი

ცხოველს ადამიანზე მახვილი სმენა აქვს. ადამიანს მხოლოდ იმ ბგერების აღქმა შეუძლია, რომელთა სიხშირე წამში 3000-ს არ აღემატება. თანაც, თუ ხელს არ აძლევს, ყურის ძირში ზარბაზანიც რომ დაუცალო, არ გაიგონებს. მექებრის ცხვირი მწყერს ორ კილომეტრზე გრძნობს, ადამიანს კი ყნოსვა გაჩენის დღიდან ხომ ჩლუნგი ჰქონდა და ჰქონდა, ახლა მხოლოდ ფულის სუნიღა სცემს. კატისათვის ადამიანი ის არსებაა, ატმოსფეროს ელექტრობას რომ ვერ აღიქვამს, თაგვისათვის კი – ულტრაინფერ სხივებზე რომ ვერ რეაგირებს, შავარდენიც მართალია, რომ ვებრალებით, ახლომხედველები ხართო: ჩვენი მხედველობის არე, რომელშიც ზუსტად და ნათლად ვხედავთ საგნებს, 50 მეტრის რადიუსიან წრეს ხომ არ აღემატება. კათ დღე დაგვადგებოდა, ჩვენი გრძნობათა ორგანოების სიღატაკეს ჩვენივე თავი რომ არ ანაზღაურებდეს. შადლობა ღმერთს, აღმოვაჩინეთ ტელეფონი, მიკროფონი, რადიო, მოვიძიეთ შორეული ბგერები და გავაგონეთ ისინი ჩვენს ყრუ ყურებს. სხვადასხვა სურნელება, რომელსაც ოდნავ ვგრძნობდით ან რომელთა არსებობაც კი არ ვიცოდით, გავაძლიერეთ ლაბორატორიებში და შევჭიდეთ ჩვენს სურდოიან ცხვირებში. ამით გავიმრავალფეროვნეთ შეგრძნებების უბადრუკი შკალა, თანდათანობით გაუტოლდით ჩვენს ოთხფეხა მეგობრებს და მათ შორის ამაყად სიარულის უფლება მოვიპოვეთ.

მაგრამ, მგონია, ადამიანის გონების უდიდესი მონაპოვარი მოკლე ტალღები კი არა, ოპტიკური მინაა. შევიდა იგი ტელესკოპის შემადგენლობაში და დაგვანახა, რაოდენ მცირენი ვართ, შევიდა მიკროსკოპის შემადგენლობაში და გვიჩვენა ჩვენი სიდიდე. თუმცა თავი ვანებოთ ამ ორ უკიდურესობას და ავიღოთ მათ შორის საშუალო – დურბინდი. დურბინდი რომ არ ყოფილიყო, შეძლებდა კია ქრისტეფორე კოლუმბი ამერიკის აღმოჩენას, ან ადმირალი ბერდი ჩრდილო პოლუსისას? დურბინდი რომ არ ჰქონდა, დასცემდა ნაპოლეონი შიშის ზარს ევროპას? იტყვით, ნაპოლეონის დაპყრობებმა ბევრი ვერაფერი შესძინაო კაცობრიობას. მართალი

ბრძანებაა. თუ ეგრეა, იმასაც ამბობენ, არც ამერიკის აღმოჩენას მოუტანია დიდი სარგებლობაო, მაგრამ ეს სხვა საქმეა. გეტყვით მხოლოდ: ტირადა, დაწყებული სიტყვებით: რომ არ ყოფილიყო დურბინი, დაუსრულებლად შეგვიძლია გავაგრძელოთ. რომ არ ყოფილიყო დურბუნი, არ იქნებოდა ეს, არ იქნებოდა ის, და, რაც მთავარია, ჰიჯაბი ბეის პენსიონერობის წლები არ გაივლიდა ესოდენ მხარულად, ესოდენ ფერადოვნად და შინაარსიანად.

რა გასაკვირია, თუ დიდად პატივცემული ჰიჯაბი ბეი სულაც არ უყურებს დურბინს კაცობრიობის განვითარების ისტორიის თვალსაზრისით. გინახავთ ვინმე, რადიოს რომ უსმენდეს და მოკლე ტალღების საოცრებაზე ფილოსოფოსობდეს?

ბევრი ვიმტკრიე თავი, რათა დამედვინა, საიდან, როგორ, რატომ, როდის გამოაჩნდა ჰიჯაბი ბეის ოპტიკური მინით გატაცება. ბოლოს დავასკვენი, რომ მემკვიდრეობითი მოვლენაა. ერთხელ, ისე, სხვათაშორის თქვა: ჩემი ერთ-ერთი პეპერა ასტრონომით ყოფილა დაინტერესებული, პაპა კი გემის შტურმანი იყოო. მამამისს - კი არ უნდა ჰქონოდა არავითარი კავშირი ოპტიკასთან. ოპტიკური მინები, რომლებშიც ცხონებული მთელი სიცოცხლე იხედებოდა, იყო -2,5 სათვალე და ტაქსომეტრის ჭუჭრუტანა.

დიდად პატივცემული ბეი არც თავისი პეპერასავით გაპყურებდა ცას, არც პაპასავით ათვალიერებდა ზღვას და არც მამასავით ეძებდა გზის ტრიანგულაციის პუნქტებს. მისი ყურადღების სფერო მხოლოდ ახლომახლო წყლები და ხმელეთი იყო.

სამ დურბინდს, როგორც თვითონ ამბობდა, დაკვირვების არის მიხედვით სამად ყოფდა:

ერთი, ცხონებული შტურმანი პაპისაგან მემკვიდრეობით მიღებული მეკობრის ჭოგრიტი, შორი მანძილებისათვის ჰქონდა განკუთვნილი. ამ ჭოგრიტით აკვირდებოდა იგი ჩრდილო-აღმოსავლეთით დიდ ჩამლიჯას, მცირე ჩამლიჯასა და აჯიბების!

1. აქ და შემდგომშიც დასახელებულია სტამბოლის გარეუბნები ბოსფორის სრუტისა და მარმარილოს ზღვის სანაპიროზე.

მიდამოებს; სახმრეთ-აღმოსავლეთით – ქინალის, ბურგაზის, სივრისა და იასის კუნძულებს, აგრეთვე ყველა ჯურის დიდსა თუ მცირე საზღვაო ტრანსპორტს: გემებს, იახტებს, კატერებს, იაღწიან, მოტორიან და ნიჩიან ნავებს, ამ კუნძულებს შორის რომ მიმოდიოდა. მეორე 8/30 ობიექტივიანი "კარლ ცეისის" მარკის სამხედრო დურბინდი – საშუალო სიშორისათვის. მისი დაკვირვების არე იყო სამხრეთ-აღმოსავლეთით კალამიშის ყურე, იოლურთჩუს ხევი ტრამვაის ხიდიდან მოკიდებული: ჩრდილო-აღმოსავლეთით – ფენერბაჟე, მენდირექი, საიალქნო კლუბი, ბელვუ და მისი მიმდებარე ადგილები; ჩრდილოეთით – მოდას ნავმისადგომი, საზღვაო კლუბი, ტივტივები და ალმანგამფის ბაღი. მესამე – 1890 წლის მოდელის თეატრალური დურბინდი (ვიდაც სომეხი ქალის მემკვიდრეობა იყიდებოდა აუქციონზე და იქ იაფად ჩაიგდო ხელში), რომლითაც აკვირდებოდა კაზინოს, მეზობელი სახლების ბაღებს, აივნებსა და ფანჯრებს, აგრეთვე მეზობლად მდებარე ჩიხს.

ჰივაბი ბეის ოთახი ზემო სართულზეა, ოთხივ მხრით ფანჯარა აქვს და ციხე-კოშკსა ჰგავს. როცა ჰივაბი ბეი იქიდან გრძელი ჭორვიტით იცქირება, მოგაგონებთ ანდრეა დორიას დორინდელ ცალხელა, კოჭლ მეკობრეს. პრევეზეს ბრძოლაში რომ დაუკარგავს ხელ-ფეხი და ამ დამსახურების გამო აუყვანიათ გემზე, ანდა – ჯიუტ ზღვის მგელს, რომელსაც გამოუცხადეს: "კაპიტანო, უკვე დაბერდი, სმელეთზე დარჩიო", მავრამ მაინც შეპარულა გემზე და უწინდებურად დგას სათვალთვალო პუნქტთან.

საშუალო მანძილებზე საყურებელი "კარლ ცეისის" დურბინდით ხელში იგი სამხედრო მანევრებზე მოწვეული მამაცი და ნამსახური გენერალია, საბრძოლო მოქმედებას რომ ხელმძღვანელობს, თანაც სამხედრო ატაშეების წინაშე გულლიად ესაუბრება ახალბედა მეთაურებს.

ხოლო როგორც კი თეატრალურ დურბინდს მოიმარჯვებს, წუნია ბარონია, მეტროპოლიტენ ოპერაში „ტოსკას“ რომ უსმენს, ცხვირს უბზექს სკარპიას არიას მეორე მოქმედებაში და თან ფიქრობს: „ვანდაბას, ბოლო მოქმედებაზეც დავრჩები, კავარადოსისა

და ტოსკას დუეტს მოვუსმენო!“

ყოველი ხელობა თავის დაღს ასვამს კაცს: დურგლებს ძალზე დაკუნთული მკლავები აქვთ. გინახავთ სუსტფეხება ფოსტალიონი? არც ის არის შემთხვევითი, რომ პოლიტიკოსები ბაქიები არიან, მესაათეები — თვალებდასიებულნი და მებაღეები — კუზიანები. ამიტომაც არის, რომ ჰიჯაბი ბეის შეხედვაზე პირველად მის ძალიან ლურჯ თვალებს დაინახავთ, თითქო სხვა ნაკოთებს პირი შეუკრავთ ამ ორი გადმოკარგლული თვალის სასარგებლოდ და ჩრდილში დარჩენას შეჰქუებიანო.

დიდად პატიცემული ბეი განა მხოლოდ უთვალთვალებს? — რა ბრძანებაა! სურათები გაივლის დურბინდის ლინზაში, ბეის თვალებში — დიდ ლურჯ ობიექტივებში — შემდეგ ფოტოფირფიტაზე აღიბეჭდება მის თავში, ძველებური, საბერველიანი ფოტოაპარატისხელა რომ არის და ნესვის ფორმა აქვს. აქვე გადატრიალ-გადმოტრიალდება, გაირეცხება და სიტყვებად ქცეული პირის უჯრით გარეთ გამოვა.

აი, მიაჰყრო შორ მანძილებზე სამზერალი დურბინდი ფენერბაჟესთან იახტას და ბუტბუტებს:

— ღმერთო ძლიერო! ამ ვარცლს პირველად ვხედავ. ალბათ, უფლისწულის კუნძულებიდან არის. მოიცა, კიჩოსთან რომ მიკუნტულა, სითარე არ არის? ღმერთმანი, ნედიმ ბეის იახტაა, შეუღებიათ და ვეღარ ვიცანი. ეს ზორბა დედაკაცი, ღოინჯი რომ შემოუყრია და ყურიან ქოთანსა ჰგავს, გერმანელი ძიძა იქნება. საბანაო კოსტუმი ვიწრო აქვს და სხეულს ვერ უფარავს.

ჰიჯაბი ბეი თავს ანებებს იახტას, იღებს საშუალო რადიუსის დურბინდს, ყურადღებით ათვალიერებს ყურეს და მზერას აჩერებს საზღვაო კლუბის პლაჟზე:

— ვერა და ვერ გაათხოვეს ეს მამდუჭის გოგო. გადახტი, შვილო, გადახტი! გინდა მერცხალივით გადახტი, გინდა — ქოთანივით. მაინც ვერ გიშოვია ქმარი და ეგ არი! პროფესორის ცოლს ყვითელი საბანაო კოსტუმი ჩაუცვამს. დღესაც ის მწევარივით ბიჭი ახლავს. გუშინ ზურგზე კრემს უსვამდა, ახლა ხელისგულზე დასჩერებია, მკითხაობს. აი, ხელზე აკოცა. ყურები

გამოიძერტყე, ვაკას ბეი! როგორც ჩანს, ჩვენშიაც ბლომად გაჩნდა სამუა ოჯახები.

ამ დროს ობიექტივში ხვდება სკუტერი, რომელიც ტალღებზე მოხტის. დურბინდი კინოკამერასავით მისდევს მას:

— ეს ის დამთხვეული ბიჭი არ არის, ამასწინათ კაბოტაჟის ზემთხე საზღვაო ფლოტის ფელუკას რომ დაეჯახა და გადააძრუნა? შეხედეთ ერთი, არც კი დაუსჯიათ. თუმცა რა, მამა თუ ადვოკატი გყავს, სამართალი რას დაგაკლებს?

შორს ყურებით დაღლილი თვალები ცოტათი უნდა დაასვენოს. "კარლ ცეისს" გვერდზე გადადებს, იღებს თეატრალურ დურბინდს და თვალს ავლებს მეზობლების ბალებს:

— რეზანი ისევ პოკერს ჩასჯდომია. ჰიდაიეთს კი ეფიცებოდა... ეჰ, ნათქვამია, ქათმის კურტუმომ ფიცი რა იცისო... როგორც ჩანს, რასიჲ ბეის არავინ არაფერს უჯერებს. ეს ბიჭიც დიდი ავარაა. მაგათ ოჯახში ერთადერთი ნორმალური კაცი სიძეა. სხვა ყველა გინდა თალგამი ყოფილა და ბოსტანში დაგირგავს.

დურბინდს იქვე, კარის მეზობლის ნიაზი ბეის ბაღს უმიზნებს:

— უყურეთ, ნიაზიანთა სუფრა გაუშლიათ! ხორციანი ბადრიჯანი, წიწაკის ტოლმა, პამიდვრის სალათი, კიტრის სალათი მაწვნით. დურდანე დიეტაზეა და გუშინდელი გოგრის ყალიაც დაუდგამთ სუფრაზე. დახეთ, უფროსი ქალბატონი ტოლმას ხელით იღებს. ღმერთმა შეგარგოს! ერდემი კბილებს იჩიჩქის. ცივი ლუდიც მოართვეს. ეჰ, როგორ ჭამს ხალხი?!?

ნიაზიანთა-მეთქი, ვთქვი და გამახსენდა: ერთი თვის წინათ ამ ბაღში ნიშნობა ჰქონდათ. ნიაზი ბეის ვაჟი ერდემი — ჭკვიანი, წესიერი ყმაწვილი — დაინიშნა. მას ძველებური აღზრდა-განათლება აქვს მიღებული და ახლა ადვოკატთან გადის სტაჟირებას. მისი საცოლე გულიზი სანდომიანი გოგონაა, წაბლისფერობიანი. უსქედარის კოლეჯში უსწავლია, მაგრამ მეათე კლასიდან გამოსულა მამის სიკვდილის გამო. ისა და დედამისი ქიზილთოვრაქში ცხოვრობენ. ნათესავმა გაურიგა, უქებდა: ახლანდელ ურცხვ გოგოებს როდი ჰგავს, სწორედ ისეთი უმწიკვლოა, თქვენ რომ ეძებთო.

ნიშნობაზე ჰქონდა ბეიც დაპატიჟეს. იგი უდერბინდოდ მოვიდა, მაგრამ მაინც კარგად გაერთო. ერდემი მის ხელში იყო გაზრდილი და შვილივით უყვარდა.

გაიარა ნიშნობის ვარდისფერმა დღეებმა. ერთ საღამოს ერდემმა ჰკითხა გულიზს:

- გუშინ საიდან გადახტი ზღვაში? თავისწერ ცნობაზე ნავიდან.
- ვინ იყო შენთან ერთად?
- ჩემი ბიძაშვილი იონჯე.
- სხვა?
- სხვა არავინ.
- გეკითხები, ვინ იყო-მეთქი ის კბილებდაკრეჭილი ტიპი, თქვენს ნავში რომ ამომვრა?
- რას ამბობ? ჩვენს ნავში არავინაც არ ამომვრალა.
- კიდევაც ბლლარმუნობდით.
- ტყუილია, ცილისწამებაა, ღმერთმანი! ვინ მიგონებს ამას, გენაცვალე?
- მაშ, რამ გაგაწითლა?
- გავწითლდი განა? თუმცა, კაცს რომ ეტყვი, გაწითლდიო, მართლა გაწითლდება.
- მაშ, ვერ იხსენებ? მაღალი, შავგვრემანი, გამხდარი...
- მოიცა, მოიცა, შაქირზე ხომ არ ლაპარაკობ?
- შაქირი ვიღაა?
- იონჯეს უფროსი ძმის ამხანაგია. ბანკში ერთად მსახურობენ. მაგრამ არაფერიც არ მებლლარმუნებოდა. ზღვაში ხელის კუნთი გაენასკვა და გვთხოვა, ჩვენს ნავზე ამოგვეშვა. ჩვენც ამოვუშვით. ეს იყო და ეს. დაშავდა რამე?
- აკი ნავზე არავინ ამოსულაო?
- ოპ, რა ვიცი, დამავიწყდა კიდეც. მეტი არაფერი მაქვს საფიქრალი? რა დაკითხვას მიწყობ, გენაცვალე? პრაქტიკას გადიხარ?

ერთი თვე ისე გავიდა, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ერთ პარასკევ საღამოს, ბომბონდის ბაღში რომ ისხდნენ, ერდემმა

მოულოდნელად ჰქითხა:

- გულიშ, შენ მოდას კლუბის წევრი ხარ?
- არა, რატომ მეკითხები?
- ისე. გუშინ საღამოს ვიღაც თეთრკოსტუმიან მამაკაცთან ერთად იქ ჩაის მიირთმევდი.
- ღმერთმანი, ტყუილია! მოეშვი მაგ უაზრო ეჭვიანობას, გენაცვალე! ნახე, რამდენი დღეა, არ გვიჩხუბია. ვიღაცას ჩვენი წაკიდება მოუნდომებია. მე მოგიკვდე, თუ არ მითხრა, ვის?
- სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ.
- გეუბნები, ტყუილია-მეთქი, ცილისწამებაა, გაიგე!
- აბა, დაიფიცე.
- გეფიცები.
- მე დამიტიცე.
- შენ თავს ვფიცავ!
- დედა დაიფიცე.
- რატომ დავიფიცო? ხომ არ გაგიქებულხარ? მეც სულელივით აგყევი და რასაც მთხოვ, გისრულებ.
- გასაგებია.
- რა არის გასაგები?
- გარსონ, ანგარიში მომიტანე!
- მიდიხარ? ნუ სულელობ. უპ, ღმერთმა სიკეთე მისცეს, გამახსენდა, სულელი ორპანი იქნებოდა.
- მოდაზე გემიდან ერთად ჩამოხვედით.
- სწორია. გემზე შემხვდა. მთხოვა, კლუბში ჩაი დავლიოთო და უარი ვერ ვუთხარი. რა, დანაშაულია? რაო, არ მენდობი?
- როგორ არ გენდობი, მაგრამ ისე იოლად ცრუობ, მეტი რომ არ შეიძლება.
- ღმერთმანი, სისულელეა, ჩემო ერდემ, ყველანი დავცინოდით. სულელი ორპანი შევარქვით.
- სად დასცინოდით?
- მუნიციპალიტეტის ტურიზმის ბიუროში, გიდების კურსებზე.
- შენ გიდების კურსებზეც დადიოდი?

— დავდიოდი. მერე რა მოხდა?

— რატომ აქამდე არ მითხარი?

— რა ვიცი, დამავიწყდა. აღბათ, საჭიროდ არ მივიჩნიე. მაპატიუ, მაგრამ ძალიან უხასიათო კი ხარ. აბა, რაზე იბუტები? ყასიდად მაიც გაიცინე! ნახე, ყველანი ჩვენ შემოგვყურებენ. ზრდილობიანი კაცი ასე არ ექცევა თავის დანიშნულს.

ერდემს მართლაც უყვარდა გულიზი და რას არ მოითმენს შეყვარებული კაცი? ათი-თხუთმეტი დღის მანძილზე სულ ცდილობდა ზრდილობიანი ყოფილიყო და ქალს პატივისცემით მოქცეოდა. მეთხუთმეტე დღეს ერთი საკასაციო საქმის გამო ანკარაში უნდა წასულიყო. გულიზმა შინ გამომცხვარი შაქარლამა მიართვა. გადაკოცნეს ერთმანეთი და გამოემშვიდობნენ.

ზუსტად თორმეტი დღის შემდეგ ატყდა სკანდალი. შემთხვევით შევესწარი, როგორ ელვასავით შემოვარდა ნიაზიანთ ბალში ჰიჯაბი, ბეი ხელში დურბინდით.

— ღმერთს გეფიცებით, ეს ნიშნობა ჩაიშლება! — დაიქუხა მან. — ჩვენ წმინდანი გვეონია და ამ კახპის საქციელმა ყველა საზღვარი გადალახა. რა ხანია, ვუთვალთვალებ. დღეს იმ გარეწართან ერთად იყო მოიჯარადრის იახტაზე. ზღვაში გავიდნენ. ღმერთმანი, განმარტოვდნენ. ცოტა ხნის შემდეგ იმ ტიპმა წყალში ჩაყვინთა. ცხადია, აფთესი¹ აიღო.

რაც გულიზს იახტის იაკუტაში შეემთხვა, იქნებ, უცხო ამბავი არც იყო მისთვის. იქნებ, ერდემისადმი დიდი სიყვარულისდა მიუხედავად, სხვაგვარად არ შეეძლო? რასაც ჩვენ სინდის-ნამუსსა და უბიწოებას ვუწოდებთ, ზოგისათვის სხეულის აღნაგობის საკითხი უფროა ვიდრე ზნეობისა.

გაიგო თუ არა, ერდემი ჩამოსულაო, გულიზი მაშინვე მასთან გაჩნდა. ყველაფერი იუარა, იტირა, იწუწუნა, იზლუქუნა და რომ ვერაფერს გახდა, სულ გადაირია — ერდემი დაკბინა კიდეც. ერდემიც, ეს წყნარი, თვინიერი ყმაწვილი მოთმინებიდან გამოვიდა და საქვეყნოდ სილა გააწნა ქალს.

1. რიტუალური განბანვა ლოცვის წინ; განბანვა.

ჰიჯაბი ბეის კი ხელები დაუკოცნა და უთხრა:

— კიდევ კარგი, დროზე გამაფრთხილეთ, თორემ ცოლად რომ შემერთო, დმერთმანი, სისხლს დავღვრიდი!

"უბიწოზე" რომ ხელები დაიწვა, ერდემი "ოდნავ შელახული რეპუტაციისას" დასჯერდა. ცოლად შეირთო ერთი გოგონა, რომელიც ბანქში მსახურობდა, ფლორიას სანაპიროსთან ბანაობდა ზღვაში და ამდენად, ჰიჯაბი ბეის დაკვირვების არეში ვერ ხვდებოდა.

ამ შემთხვევის შემდეგ საგრძნობლად იკლო კალამიშის ყურეში „ლუფარზე გამსვლელთა“ რიცხვმა. იმ უბნის გასათხოვარი გოგონები ისეთ წყლებს ეტანებიან, ჰიჯაბი ბეის თვალი რომ ვერ სწვდება. მაგალითად, მუჭურდარს ან დალიანს, ფენერბაშეს ყურის შიდა მხარეს რომ არის. თუ იძულებულები გახდებიან, ყურეში იბანაონ, ძალიან ფრთხილობენ.

გუშინ დილას სათვაზაოდ წავედი. ჩვენი უბნის ლამაზმანები: დუიგე, ესერი, აილა, არმაღანი და სხვები ესერიანთ პლაჟთან ბანაობდნენ. თავიანთი ყმაწვილი მეგობრები მიუახლოვდნენ. მათ დანახვაზე არმაღანი და დუიგე წყლში შეცვივდნენ, ესერი და აილა აწრიალდნენ, ხალათები წამოისხეს, პირსახოცები აიფარეს, თითქო ისლამის წესის მიხედვით უცხო კაცის თვალს ემალებიან. გასაგებია, ემალებიან დურბინდს, რომელიც მათ უთვალთვალებს, მაგრამ ეს შიშით ლაპარაკი რაღაა, თითქო დიდად პატივცემულ ბეის საიდუმლო ხმის ჩამწერიც ჰქონდეს:

— დღეს ძალიან ცხელა, არა, აილა ხანუმ?

— დიახ, ალბათ სამხრეთის ქარი ქრის, მაგრამ ფოთოლიც რომ არ იძრის?

— თეომან ბეი, როდის ბრუნდებით ანკარაში?

— თუ არაფერმა დამაბრკოლა, ერთ კვირაში. ესერ ხანუმ, მამათქვენი როდის ბრუნდება კონგრესიდან?

— მგონი, იმ თვის დასაწყისში.

— სამწუხაროა, თუ ვერ ვნახე, გადაეცით ჩემი დიდი მოკითხვა. მეტს აღარ შეგაწუხებთ.

სადღარა უწინდებური ლაზღანდარობა, ღლაბუცი?

საღამოს თეომანს ვკითხე: ის რა კომედია იყო დილას-

გეოგი.

— ჰიჯაბი ბეი მარტო ზღვაში შესულ "მოთევზავებს", კაიუტაში გახალვათებულ წყვილებს ან შინიდან გაპარულ ქმრიან ქალებს კი არ ხედავს, არამედ ყველას და ყველაფერს.

ნიზამეთინ ბეიმ ჰიჯაბი ბეის დურბინდის წყალობით გაიგო, რომ მის ადვოკატს მოლაპარაკება გაემართა მოწინააღმდეგე მხარესთან, ფაქტუნისა ხანუმმა – მისი ქმარი ზოგჯერ რივერზე თავის პირველ ცოლს რომ ხვდება.

მოდას, ქალამიშის, ქადიქოის მცხოვრებნო!

ფრთხილად იყავით, თქვენ არათერი იცით, მაგრამ თქვენ შესახებ ყველაფერი იციან! თქვენ ვერა ზედავთ, მაგრამ თქვენ გხედავენ. რაკილა იცით, რომ გითვალოებულებენ, გხედავენ, თავს იდებთ, იპრანჭებით, თვალომაქცობთ, ამით იქნებ სხვებს ატყუებთ, მაგრამ ვერ მოატყუებთ ერთ კაცს. როცა მარტო ხართ საკუთარ თავთან და გვონიათ, რომ არ ჩანსართ, მაშინაც კი ვერ დაუმალავთ მას თქვენს ჭეშმარიტ სახეს.

MADE IN U.S.A.

საყვარელო ინჯი!

უნდა გამოგიტყდე, შენზე გაჯავრებული ვარ, ძალიან გაჯავრებული. ასე რამ გაგადიდგულა? ერთი თვეა, წახვედი და ორი სიტყვაც არ მოგიწერია. ასეთი უსინდისო არც უნდა მომეკითხე, მეც უნდა გავჩუმებულიყვავი, მაგრამ ვეღარ მოვითმინე. ამ ერთ თვეში იმდენი საინტერესო ამბავი გადამხდა, რომ არ გაგაგებინო, გავგიჟდები.

როგორც იცი, თორმეტში სერაფის birthday იყო. სამივენი წავედით, — გუნური, ლალე და მე. კარი გაგვიღეს თუ არა, დავინახე, საკიდზე ამერიკული კასკეტი ეკიდა.

— ოპო! — ვუთხარი სერაფს და თვალი ჩავუკარი.

— "ამერიკის დახმარების მისისი" თანამშრომელია, ლოიტნანტ ო'კონორ, — მითხრა მან. თურმე ალპინიზმის კლუბში გაუცვნიათ ერთმანეთი და ახლა დაუპატიჟებია კიდუც.

შევედით. Presentation, shake-hand. ლოიტნანტი იმაზე ლამაზი აღმოჩნდა, ვიდრე წარმომედგინა — ქერა თმა, მუქი ყავისფერი თვალები და შუაგაყოფილი ლამაზი ნიკაპი; ზედგამოჭრილი პარი გრანტი — ოღონდ, მასზე ქერა. ერთი ცისფერბანტიანი ხუჭუჭა პუდელი მოუყვანა.

შენ იცი ჩემი ხასიათი — სულაც არაფრად ჩავაგდე. ისეთი სახე მივიღე, ვითომ პუდელი უფრო მაინტერესებდა, ვიდრე მისი პატრონი, რომლისთვისაც ჩვენს გოგოებს უკვე აღყა შემოერტყათ. მანაც ერთხანს თავი დაიფასა, მაგრამ რას გამომაპარებდა? და აი, ცოტა ხნის შემდეგ მომიახლოვდა, ხელში ჭიქა ეჭირა.

— ჰელო, Wild-cat, — მითხრა, — თუ ასე მოგწონთ ჩემი ტეჭი, შემიძლია გაჩუქოთ. მაგრამ, ჯერ მოდით, ტანგო ვიცეკვოთ.

— Sorry, — ვუპასუხე მე და სიგარეტი გავაბოლე — ტანგო არ მიყვარს.

— Really? — მკითხა მან, ჭიქა მაგიდის კიდეზე დადგა და უცერემონიოდ გვერდზე ჩამომიჯდა — მე კი მეგონა, მწვანეთვალება და შავთმიან რომანტიკულ ქალიშვილთან მხოლოდ ტანგოს ცეკვა

შეიძლებოდა.

მე ვუპასუხე, სულაც არა ვარ რომანტიკული და, საერთოდ, არავითარი რომანტიკა არ მხიბლავს-მეთქი.

— That's wonderful! — მითხვა, — მეც ასე ვარ. ჩვენ იოლად გავუგებთ ერთმანეთს.

და მოჰყვა ლაქლაქს. არც მიკითხავს, ისე მიამბო, ექვსი თვეა, რადალურ კურსებს ვხელმძღვანელობ გოლჯუქში, ვადა უკვე გამითავდა და ათ თვეში ნიუ-იორკის ვბრუნდებიო.

— თქვენ ტეხასელი იქნებით, — გავაწყვეტინე ერთბაშად.

მან ხშირი წარბები მაღლა ასწია და გაოცებულმა მკითხა:

— როგორ მიხვდით?

— კოლეჯში ერთი ტეხასელი მასწავლებელი გვყავდა, ისიც ასეთი აქცენტით ლაპარაკობდა.

— თქვენ დეტექტივის ალღო გქონიათ, ლამის შემაშინოთ.

ამ დროს "საჯენა" დაუკრეს. ო'კონორმა თვალები ჭერს მიაპყრო და სმენა დაძაბა. მაგიდაზე თითები ააყოლა მუსიკის რიტმს და მითხრა:

— თუ არ ვცდები, ჩემო wild-cat, ეს სლიუფოქსია.

— That's Possible, — ვუპასუხე.

ერთბაშად წამოდგა, მუნდირი ჩამოიჭიმა, ქამარი გაისწორა, მაგრამ მე არც გავნძრეულვარ. მაშინ შემეხვეწა:

— თუ შეიძლება, თუ შეიძლება.

თავდახრილი უცოდველ ბავშვს პგავდა. უმწეო ხმით მევდრებოდა და ისეთი ლამაზი იყო, იასეთი ლამაზი, გაგიუდებოდი.

ვცეკვავთ. თან მიამბობს, რომ მამამისს ტეხასში მაღაროები აქვს, რომ დედამისის ძარღვებში ცოტაოდენი ესპანური სისხლიც ჩქეფს და, ალბათ, ამიტომაა, რომ საშრეთში უცხოდ არა ვრძნობს თავს. მოკლედ, რაღა არ მიამბო! თავისი კოლეჯის ამბავი, თავიანთი ბეისბოლის გუნდის ამბავი, და ათასი ამდაგვარი. დაამთავრა საკუთარი ბიოგრაფიის მოყოლა და უცერემონიოდ გადავიდა ფლირტზე: გიფიქრიათ როდისმე რომ თქვენი ბაგები დამცინავი ლიმილის გარდა, სხვა რამისთვისაც გამოდგებაო, ანდა, — რა ელექსირს ხმარობთ აღმოსავლელი ქალები, რომ თვალები ასე

გიბრწყინავთო. ხუმრობა იქით იყოს, და თქვენი თმების სურნელება უკვე თავბრუს მახვევსო.

გამოგიტყდები, მეც ძალიან მალე მოვლბი. ერთი ცეკვა დამთავრდა, მეორე დაიწყო, მეორეს მესამე მოჰყვა და უკვე გაუჩერებლად ვტრიალებთ. თანაც chick to chick¹. ლალე და გუნური სიმწრით ტუჩებს იკვნეტენ. ნუპქეთს ისე დაებნა თავგზა, ახლადშეკერილ აგურისფერ ბოლეროზე კოკტეილი გადაისხა. რაღა ბევრი გავაგრძელო, მალე მე და ფრედმა იქაურობა დავტოვეთ. გოგოებსაც მეტი აღარ უნდოდათ. აუტეხიათ ჭორაობა. სერაფს უთქვაშს, როგორ თუ გამეპარნენო. ლალე და გუნური სულ გადარეულან, რატომ მიგვატოვაო. რასაკვირველია, შური ალაპარაკებდათ. აბა, თქვი, რა უნდა მექნა. ხომ ვერ ვეტყოდი ფრედს: მოიცა, აქ ორი მხევალი მომყვა და ახლა უიმათოდ ვერ წამოვალ-მეთქი.

ფრედმა აქინთიბურნუზე ჰალვა იყიდა, მაგრამ არ იცოდა, როგორ ეჭამა, ხელში ჰალვის პარკებით, ჭუჩის ბიჭებივით ლაპარაკლაპარაკით დოლმაბაპჩემდე მივედით. ძაღლიც ფეხდაფეხ მოგვყვაბოდა. აქ დაშვიდობება მინდოდა, მაგრამ ფეხი არ მოიცვალა – უეჭველად შინამდე უნდა მიგაცილოო. უარი არ გამივიდა და ტაქსიში ჩავსხედით. ტექნიკური უნივერსიტეტის მოსახვევში first kiss და მეორე დღისათვის ჰაემანი თარაბიაში.

მეორე დღეს შინ დავიბარე, ემირგანში მივდივარ დეიდასთან-მეთქი და გამოვედი. თარაბიაში განმარტოებით five o'clock tea², ტყეში გავისეირნეთ, ცაზე ვარსკვლავები ბრწყინავდა, მთვარის სხივი წყალზე ირეკლებოდა და second, third and more kisses. ფრედი ძალიან სერიოზულად გამოიყურებოდა. ხშირ-ხშირად ახსნებდა დედამისს და მე ვხვდებოდი, რომ გადამწყვეტი წუთი ახლოვდებოდა. მართლაც, ცოტა ხნის მერე ფრედმა დაუფარავი მღელვარებით მკითხა:

– Darling. Will you marry me?

1. ლოფა ლოფაზე მიდებული (ინგლ.).

2. მსუბუქი ჩაი (ინგლ.).

— რას იტყვი, როგორ უნდა მოვქცეულიყავი? იდუმალებით აღსავსე სახით უნდა მეპასუხა: — შეიძლება. თუ თვალები დამეხარა და თურქ ქალებს რომ სჩვევიათ, ისე მეტქვა: მოდით, ჯერ ჩემს დედ-მამას მოელაპარაკეთ-მეთქი?!

მან თვალი თვალში გამიყარა, მოუთმენლად ელოდა პასუხს.

— რასაკვირველია, გენაცვალე, რასაკვირველია, — ვუპასუხე მე

კვლავ შეერთდა ჩვენი სუნთქვა. ფრედმა სასოებით მოიხსნა თითიდან ბეჭედი და მითხრა:

— ეს საგვარეულო ბეჭედია. ჩემს პაპას უჩუქნია ბებიაჩემისთვის. ნახე, რა აწერია შიგნით.

— Forever.

— Yes, forever, — და ბეჭედი მე გამიკეთა, ერთხელ კიდევ გაიმეორა:

— Forever.

— დეიდაჩემის სახლამდე ხელიხელჩაკიდებული მივედით. კართან ნაცნობი ცერემონიალი და:

— Glood by darling.

— Glood by baby, to-morrow morning.

მეორე დღეს მოდას პლაჟზე შევხვდით, ერთად შევცურეთ ზღვაში. ერთად ვიწერით მზეზე. Entre parentuse¹⁰²; არაჩვეულებრივად ათლეტური აღნაგობისაა. ვისადილეთ იმ სასტუმროს რესტორანში, რომელშიც თვითონ ცხოვრობდა. სადილის შემდეგ მის ნომერში ავედით. პატარა, მაგრამ გრილი და კოხტა ოთახი იყო. ზღვას გადაჰყურებდა. ფრედმა კალვადოსი გახსნა. გახსოვს ფილმი "ტრიუმფალური თაღი"? შეყვარებულები სულ რომ კალვადოსს სვამდნენ? ჰო, კალვადოსის ბოთლი გახსნა. მერე თანდათან ცეცხლი მოგვედო. ფრედს თვალები დაებინდა, მეც ძლივს ვიკავებდი თავს. ფანჯარასთან მივედი. გარეთ გავიხდე. ფრედი ზურგიდან მომიახლოვდა, ხელი მომკიდა და თავისკენ მიმაბრუნა. ერთმანეთს თვალი თვალში გავუყარეთ. მერე ჩემს კისერზე, ლოყებზე, ტუჩებზე მისი სურნელოვანი თუთუნით გაუღენთილი სუნთქვა ვიგრძენი და შემდეგ... არ ვიცი, ვთქვა თუ

არა, რა მოხდა შემდეგ. ფრედმა მოშნევია თავისი ღონიერი მკლავები, პატივი ამიტაცა და ერთხანს ასე გამაჩერა – როგორც პატარძალი ქორწინების პირველ დამეს. მერე კი ფრთხილად დამაწვინა საწოლზე.

კინო-ფილმში ასეთ ადგილას კადრი ერთბაშად გამოიცვლებოდა. რომანში კი – მთელს პასაუს წერტილებით აღნიშნავდა მწერალი. მეც ასე მოვიქცევი. ოღონდ, წერტილების ნაცვლად ვარსკვლავებს დავსვამ, ორმოცდარვა ვარსკვლავს, როგორც ამერიკულ დროშაზე:

როცა შეშვიდე ციდან დედამიწაზე დავბრუნდით, ზუსტად შვიდი საათი იყო. წარმოიდგინე, ორიდან შვიდ საათამდე. მიმოვიზედე, ჩემი წინდები და საცვლები სკამზე იყო მიყრილი. მათ ქვემოდან მოჩანდა ჩემი კაბის შესაკრავი, რომელსაც ისე დაეკრიჭა კბილები, თითქოს დამცინოდა.

ავდექით, აბაზანა მივიღეთ. გზაზე ფრედი ჩამაცივდა, შენი დედ-მამა გამაცანიო. მეც შევპირდი, რაიმე საშუალებას გამოვნახავ-მეთქი.

შენ იცი ჩვენების ამბავი. ერთბაშად, მოუმზადებლად რომ მიმეყვანა, ისეთ სკანდალს ატეხდნენ, ღმერთმა დამიფაროს!

იმ დამეს დედიკოს ყველაფერი წვრილად ვუამბე. დაფიქრდა.

– სერიოზულად ამბობ?

– სავსებით სერიოზულად.

– მერე, როგორ იქნება, მამაშენი რას იტყვის?

– მამას შენ დაიყოლიებ.

– ასე ადვილია? ვითომ არ იცნობ მამაშენს!

დედიკოს თვალები ცრემლებით აევსო. მოვეხვიე და ვუთხარი:

– დედიკო, არ გინდა შენი ქალიშვილის ბედნიერება?

– როგორ არ მინდა.

– მაშ, იცოდე, ფრედის გარდა ამქვეყნად არავის შეუძლია

ჩემი გაბედნიერება.

— რომ ვიცოდე, მართლა გაგაბედნიერებდა, — მითხრა გულაჩუფებულმა.

— მაგაში ეჭვი ნუ გეპარება, დედიკო. აი, სემრა ნახე. შარშან ამერიკელ ატაშეს რომ გაჰყვა ცოლად, უბედურია? ხედავ, როგორ წერილებს იწერება?

ჩემი დედიკო მაინც გონიერი ქალია.

— მართალი ხარ, — მითხრა, — მაგათ ჩვენს კაცებზე უკეთ ესმით ცოლის ყადრი, მაგრამ მამაშენი? ქვეყანა რომ გადაბრუნდეს, არ დათანხმდება.

გამართლდა დედაჩემის ნათქვამი: როგორც კი გაიგო, რაში იყო საქმე, მამა თვალებგადმოკარგლული შემომივარდა:

— რაო, როგორა? ამერიკელზე გათხოვება მოგისურვებიაო??!

თურმე ნუ იტყვი, ძალიან უკვირს, ვის დავუმსგავსე ასეთი გარეწარი, ჩვენს ოჯახში ხომ ყველანი ნორმალურები იყვნენ. ნუთუ სულ აღარ შემრჩა ეროვნული ღირსების გრძნობა?

მოკლედ, ნახევარ საათს მიკითხავდა მოდიდან გადასული არაბული ფრაზებით შეზავებულ მორალს. ამასობაში რაღაც "ჭეშმარიტებებშიც" გავერკვი: ზნეობრივი დონე ამა თუ იმ ქვეყნისა განიზომება მასში მცხოვრებ ქალთა ყოფა-ქცევითა და ზნეობით!

ასე რომ, იცოდე, დიდი ქვეყნის ბედ-იღბალი ჩემი, შენი და სხვა ჩვენისთანების კაბის საკინძეზე კიდია. ხედავ, რა მოკლე ჭკუის ხალხში ვცხოვრობ? ეროვნული გრძნობა წელს ქვემოთ ბატონ ჰიტლერსაც კი არ დაუწევია!

კარგი, ვთქვათ, მამაჩემი ძველი კაცია, ძველებური შეხედულებები აქვს. მაგრამ ჩემი ძმა რაღამ გადარია? მოწინავე იდეებზე თავსა სდებს ეს ეკროპაში გადოქტორებული ვაჟატონი და ერთი გენახა, რა ქუჩური სიტყვების კორიანტელი დააყენა: "თუ ის ვიგინდარა აქ მოგითრევია, შენცა და იმსაცო..." მოდი და ელაპარაკე ამ რქიანებს, რომლებიც იუნესკოს ეპოქაში ჯვაროსნული ომების დროინდელი შეხედულებებით ცხოვრობენ! მეც გულგრილად მოვისმინე, მერე ლუმინალი დავლიე და დავიძინე.

მეორე დღეს ფრედს ყველაფერი ვუამბე.

— რას ვიზამთ, — მორჩილი ბავშვივით მითხრა მან, — ამერიკიდან წერილს მოვწერთ და შევირიგებთ.

გადავწყვიტეთ, ვიდრე გამგზავრებისათვის საჭირო ფორმალობა არ დამთავრდება, კრინტი არავისთან დავძრათ. ფრედმა მითხრა, ხვალ უეჭველად მომიტანე შენი პასპორტიო. სამხედრო სალამი მივეცი და ვუპასუხე:

— All right my Lieutenant.

— შენში ყველაზე მეტად იუმორის გრძნობა მხიბლავს.

— მხოლოდ?

— არა, სხვა რამეებიც. End he pressed his lips on my lips თანაც შუა ქუჩაში.

იმ საღამოს შინ დავბრუნდი თუ არა, მოვრთე წუწუნი: "გიხაროდეთ, ხომ მიაღწიეთ საწადელს, ხომ დამაშორეთ ფრედს. გუშინ სამშობლოში დაბრუნდა"-მეთქი. დედას აშკარად ეწყინა. მამას, ეტყობოდა, გუნებაში უხაროდა, მაგრამ არ იმჩნევდა. გული კი სწყდებოდა, რომ მეჩხუბა. ცოტაც და, თავის პაწია გოგონას წინაშე მუხლს მოიყრიდა და ძველ ხალხურ სიმღერას დაამღერებდა: "მაჟატიე, ჩემო ანგელოზო, ტყუილ-უბრალოდ გაწყნიე, გული გატკინეო".

მოკლედ, ადვილად მოვადუნე მათი სიფხიზლე. მეორე დღეს დედას დავუბარე, მე და შულე "ატლასში" მივდივართ-მეთქი და შინიდან გამოვედი. მაშინვე აიაზფაშასაკენ მოვუსვი. პარკის კაფეში ფრედს შევხვდი. იმ დღეს სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა — რუსი სპორტული კოსტიუმი, ფეხზე — ყავისფერი ზამშის ფეხსაცმელი. პასპორტი გამომართვა. უკვე დაეწყო გასამგზავრებლად მზადება. თვითმფრინავის ბილეთებიც შეეკვეთა. ათი დღის შემდეგ მივფრინავთ. კაფედან ხელიხელჩაკიდებულები გამოვედით. იქვე ფრედის ერთ ამხანაგს უცხოვრია. შევიაროთო, მითხრა. შევიარეთ. შინ არ დაგვიხვდა. ფრედმა ჯიბიდან გასაღები ამოილ და ისე გააღო კარი, თითქოს მამამისის სახლი ყოფილიყო. ოთახში მარჯვნივ ერთი განიერი საწოლი იდგა, მარცხნივ — თვალისმომჭრელი ბარი. ფრედმა კალვადოსი გამოილო. გახსოვს, ფსიქოლოგიაში რომ პირობითი რეფლექსის თეორია გვასწავლეს?

ჰოდა, ახლა საკუთარ თავზე გამოვცადე: როგორც კი კალვადოსს დავლევდით... ხვდები, არა? მაგრამ იმ დღეს მხოლოდ ორ საათს შეგვეძლო დავრჩენილიყავით – ერთი კინო-სეანსის ოდენა დროს. საღამოს შინ კვლავ დარდიანი ბავშვის როლის თამაში გავაგრძელე. მეორე დღეს ერთი საათით კიდევ გავიპარე. მგონი, ფრედის ამხანაგი, საერთოდ, არ ცხოვრობს თავის სახლში. კვლავ კალვადოსი და ა.შ. დამიჯერე, ამ ნამალევი honeymoon-ის¹⁰⁵ სიამე სულ სხვაა.

ერთი სიტყვით, ათი დღის განმავლობაში რეგულარულად ვსვამდით კალვადოსს. ბოლოს, კვირა დღეს, ფრედი გახარებული მოვარდა. ხელში რაღაც ქაღალდი ეჭირა.

– ხვალ მივურინავთ, გენაცვალე! – მომაძახა და ამერიკელი ინდიელების ცეკვა დაიწყო.

იმ დღეს კალვადოსის სეანსი ცოტათი შევამცირეთ. რას იზამ! თვითმფრინავი დიღის ცხრა საათზე მიფრინავს, ადრე უნდა ავდგეთ.

ნუღარ იყითხავ, რა ოინები მოვიმოქმედე იმ საღამოს! – ყველას ყურები გამოვუჭედე, სამი დღის შემდეგ წვეულებაში ვარ დაპატიჟებული, ამა და ამ ოჯახში კიდევ ჩაიზე მიმიწვიეს-მეთქი. მოკლედ, რაღა თავი შეგაწყინო, დიღის 5 საათზე საწოლიდან წამოვთურინდი. დედაჩემს მაგიდაზე პატარა ბარათი დავუტოვე, ჩავიცვი ქათმის ფეხების ფერი კოსტიუმი, ავიღე პატარა რუხი ჩემოდანი და მივატოვე მშობლიური კერა.

როცა მანქანა აეროდრომს მიუახლოვდა, გული ამოვარდნაზე მქონდა. მივიხედ-მოვიხედე. ფრედი არ ჩანდა. ცოტა მოშორებით ორი ამერიკელი ოფიცერი საუბრობდა, მაგრამ ორივე საზღვაო სამსახურის ოფიცერები იყვნენ. მოსაცდელ დარბაზში შევედი, ფრედი არც აქ არის. საბაჟო განყოფილების სარკმელს შევხედე – არავინაა. ბოლოს დავძლიე სირცხვილის გრძნობა და იმ მეზღვაურებს ვკითხე. არ იცნობდნენ. ავიაკომპანიის მოხელესთანაც მივედი. ო'კონირის სახელზე ბილეთი არავის შეუკვეთია. ჩემს სახელზეც მოვაძებნინე. არ არის და არა.

ოჰ, რა დამემართა, რა დამემართა, ვერც კი წარმოიდგენ.

მთლად სასაცილო მდგომარეობაში რომ არ ჩავგარდნილიყავი, ვთქვი:

- ალბათ, ხვალისთვის აიღო-მეთქი.
- შეიძლება, — მიპასუხეს.

მოიცა, ჯერ სადა ხარ! იქიდან პირდაპირ მოდაში წავედი. სასტუმროში მივაკითხე. მითხრეს, ერთი კვირაა, აქ აღარ ცხოვრობსო. მივაკითხე "ამერიკული დახმარების მისიას". ჭაღარა მაიორმა ყურადღებით მომისმინა და მითხრა:

— უკაცრავად, ასეთ კაცს არ ვიცნობ, იქნებ, ინგლისის მისიაშია.

— არა, ნამდვილად ამერიკელია. ტეხასურ დიალექტზე ლაპარაკობს.

— ალბათ, გოლჯუქიდან არის, — ჩაერია მდივანი, — ჩვენ მათ არ ვიცნობთ.

— დიახ, დიახ, გოლჯუქიდანაა, — ვუთხარი მე.

— თქვენ თავიდანვე პოლიციისათვის უნდა მიგემართათ, მათ უაჭველად ექნებათ უცხოელების მისამართები, — მითხრა მაიორმა. მეც მივადექი პოლიციას. მიმიყვანეს ერთ თვალებგადმოკარკლულ კომისართან, რომელიც, ცოტა არ იყოს, აგდებულად მელაპარაკა.

— იმ კაცის სურათი ხომ არ გაქვთ? — მკითხა კომისარმა.

მართლაც გადავიღეთ ერთხელ სურათი თაქსიმში. ჩანთიდან

ამოვიღე და გავუწოდე. კომისარმა დახედა თუ არა, მითხრა:

— ვიცნობ, ტეხასელი დონჟუნია.

ოთახში ორი პოლიციელი იყო. ერთს სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა, მეორეს ფორმა. ორივენი მოგვიახლოვდნენ. მათაც შეათვალიერეს სურათი და სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა გულიანად გადიხარხარა:

- უყურეთ, ახლა მფრინავი გამხდარა!
- მაშ რას იზამდა, — თქვა მეორე პოლიციელმა, — მეზღვაურის ფორმა არ გამოადგებოდა. მეზღვაურის ფორმით მხოლოდ მაშინ შეიძლება სეირნობა, როცა პორტში ამერიკული გემები დგას. მფრინავის ფორმით კი, სადაც გინდა და როცა გინდა, მიბრძანდი!

ამაზე პირველმა პოლიციელმა ისევ გადიხარხარა. მაგრამ კომისარმა ერთი შეუბრვილა და გააჩუმა. შემდეგ უჯრიდან ვარდისფერი საქალალდე ამოიღო და გადამიშალა.

ჩემი კარგო, ეს ამერიკულ ფორმაში გამოწყობილი და
ტეხასურ დიალექტზე მოსაუბრე "ლოიტნანტი" თურმე ერთი
იზმირელი თურქი არა ყოფილა?! თანაც კარგი ოჯახის შვილი.
იზმირის კოლეჯი დაუმთავრებია, მერე ცოტა ხანს ტეხასში
უსწავლია. მოკლედ, ერთი ავანტიურისტია ვიღაცა. ჩემზე ადრე
ასეთი ონი კიდევ ორი ქალისთვის გაუკეთებია. თანაც ყოველთვის
virgin¹⁰⁶-ს ირჩევდა. ჰქონია გემოვნება! პოლიცია ეძებს და ვერ
დაუჭირია.

ასე იყო, გენაცვალე. მამასთან ისევ გაბუტიული ვარ. ამჟამად დეიდასთან ვცხოვრობ. ისე, კი, უნდა გითხრა, მე იმ კაცის მიმართ არავითარ სიძულვილს არ ვგრძნობ. არცა ვნანობ. ჯერ ერთი, არაფერი დამიკარგვავს, მეორეც *He really did kiss wonderfully*⁷.

რაც იყო, იყო. ვითომ ამის მეტი სალაპარაკო აღარა გვაქვს. სხვა ამბებსაც მოგწერ: გასულ კვირას ილთარების იახტით თუზლუში გავისეირნეთ. ყველანი ვიყავით: მე, ჟალე, ნევინი, ილპანი. ისე ვიმხიარულეთ, ვერ წარმოიდგენ!

გაიგებდი, სითარი პარიზიდან დაბრუნდა, პლაუის ქუდი ჩამოიტანა, რომ ნახო, ჭკუას დაკარგავ. ლიონში ნაყიდი შავი ტილოს კოფთა შევიკერე, მე მგონია, ლიმონისფერ შარვალს ძალიან მოუხდება.

(ასე და ამგვარად წერილი კიდევ ოთხ გვერდზე გრძელდება).

გაშემარჯოს დემოპრატიას!

დემოკრატებს¹ ხელთ ეგდოთ მიკროფონიანი საბარგო მანქანა და მისი ძარადან გადაჰყვიროდნენ სოფლის მოედანზე შეყრილ გლეხობას:

— ჩვენ მოგვეცით ხმა! თქვენს სატკივარს ჩვენ გარდა ვერავინ უწამლებს!

ნაპიეს² უფროსს, პარტიის ექვსისრიანი ემბლემით მკერ-დდამშვენებულ ცისფერ ტანსაცმელში გამოწყობილ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და სახალხო პარტიის ქაჩალ თავმჯდომარეს თავზა დაბნეოდათ, უმწეოდ უვლიდნენ გარს საბარგო მანქანასთან შეგროვილ ამომრჩევლებს და ცდილობდნენ, როგორმე შეეტყუებინათ ისინი ყავახანაში. ყავახანის თავზე დროშები ფრიალებდა, შიგ კი ტრიბუნა მიეწყოთ, ზედ სკოლის დირექტორი ასულიყო და ქადაგებდა:

— თურქი გლეხი ქვეყნის ბატონ-პატრონია!

მაგრამ ყურს ვინ უგდებდა! ნაპიეს უფროსმა ნახა, საქმეს ცუდი პირი უჩანდა, და გლეხების გასაფანტად უანდარმები გამოიძახა.

მაგრამ ამითაც ვერაფერი გააწყო: დემოკრატების წარმომადგენელი მაგარი კაცი აღმოჩნდა:

— რას მიქვია უანდარმები! კანონს არავინ არღვევს! — სახეგაჭარხლებული ყვიროდა იგი. — ჩვენ კანონით დაშვებულ პროპაგანდას ვეწევთ!

არადა, მართალი იყო.

ნაპიეს უფროსსა და თავმჯდომარეს სიმწრის ოფლი სდიოდათ. გამოუვალი ძღვომარეობა იქმნებოდა. ანდაზისა არ იყოს: საითაც გავიქეცი, იქით წავიქეციო.

ერთბაშად მტკრის კორიანტელი ავარდა და მოედანზე მსუბუქი ავტომანქანა შემოიჭრა. მანქანიდან სამნი გადმოვიდნენ: ორი სახალხო პარტიის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო: მკლავზე ლენტები ეცეთათ, მესამეს კი, მინთანსა³ და განიერ შარვალში გამოწყობილ

1.. სახალხო დემოკრატიული პარტიის წევრები.

2. მცირე ადმინისტრაციული ერთეული.

3. მამაკაცის ზედა ჩასაცმელი.

გლეხური გარეგნობის ჯმუხა კაცს, ხელში საზი ეჭირა.

— ა, ეს არის აშელი მექმედი, ამაზე გვუძნეოდით, — წარუდგინეს თავმჯდომარეს ის ჯმუხა კაცი. თავმჯდომარემ გაიღიმა: გამოაჩინა თავისი სულ ცოტა, ოცდაოთხი ქბილი და აშელს შხარზე ხელი დაპკრა.

აშელმა ყავახანის საჩრდილობლის ქვეშ ერთი ადგილი შეარჩია, ფეხი მოირთხა და სიძლერა დაიწყო.

აშელ მექმედს მაღალი და სასიამოვნო ტემბრის ხმა ჰქონდა. როგორც ყველა აშელი, ისიც დიდი გატაცებით, მთელი გრძნობით მღეროდა. საბარგო მანქანასთან შეგროვილმა გლეხებმა ყავახანასაკენ გააპარეს თვალი. ცოტაც, და, სათითაოდ იქით გადაინაცვლეს, საიდანაც სიძლერა ესმოდათ.

მექმედის სიძლერით მოხიბლულები აღტაცებას ველარ მაღავინენ. აშელმა აქაურ გლეხობაში პოპულარული ერთი სიძლერაც მიაყოლა და ყავახანის ეხო უკვე ხალხით გაიჭედა. ვისაც ადგილი არ ეყო, დანგრეული ყორის გადაღმა მოკალათდა.

აშელი თან ძლეროდა და თან თვალებდახრილი თავის ოდნავი დაკვრით პასუხობდა ხალხის აღტაცებულ შეძახილებს.

აშელმა სიძლერა მოათავა და თქვა:

— ახლა ერთ ახალ სიძლერასაც გიმღერებთ, ჩემი გამოთქმულია. სიჩუმე ჩამოვარდა. მექმედმა სიმებს ჩამავტული თითები შეახო და დაიწყო:

ათათურქი ჩვენი მზეა
ინწუ — ჩვენი ბელადი.

რესპუბლიკის შვილები ვართ,

თურქეთის მსგავსი სად არი.
სიძლერის მელოდია მარშს მოგაგონებდათ, მაგრამ მექმედის ტკბილი ხმა ოდნავ არბილებდა მის რიტმს და ხალხურ სიძლერას ახლოებდა:

ინცრედი მიიტობ თლიატას ლიცე იმუშავ .

ჩვენი სახალხო პარტია

ქომაგად მოგვევლინება,

ის არის ჩვენი პატრონი
ჩვენ კი – ერთგული შვილები.

ერთმანეთს ხელი ჩავკიდოთ,
ყველა ერთობის კაცია,
ქავშინერებას ძოვფინოთ,
რომ ვართ თურქეთის ნაცია.

ერთ-ერთმა, მკლავზე ლენტი რომ ეკეთა, თავმჯდომარეს
წასჩურჩულა:

– ყური უგდეთ, ყოველ სტროფში ჩვენი პარტიის ლოზუნგი
ურევია.

თავმჯდომარე ბედნიერების მწვერვალზე იყო. თხუთმეტიოდე
წუთის წინ კი, ერჩია, მიწა გახეთქოდა და შივ ჩავარდნილიყო. ახლა უყურებდა მეპმედის სიმღერით მოხიბლულ გლეხებს და
სიამოვნებით ითშვნეტდა ხელებს.

თურქ ხალხს ბრძოლაში რა დაღლის,
არც არასდროს დაღლილა,
ხალხს მთავრობა მხარს უმაგრებს,
მისი ბურჯიც ხალხია.

– მართალია, ჩვენი მთავრობა ხალხის მთავრობაა! ყოჩალ,
მიღი! – აქეზებდა დაწყებითი სკოლის მასწავლებელი.

მხარს დავუჭროთ ჩვენს მთავრობას,
ერთგულები ვართ ფიცისა...

– მხარს დავუჭროთ, მაშ რას ვიზამთ, – თქვა მსმენელებში
ვიღაცამ. ვინც მთავრობასთან არ არის, მტერია მშობელ მიწისა.

მეპმედმა სიმღერა მოათავა და წინა რიგებში ჩამსხდარმა
ბეიქმა¹¹³ ტაში დასცეს. მათ სხვებიც აჰყნენ. გლეხებს კიდევაც

უკვირდათ, როგორ მალე გახდნენ ბეიქი სახალხო პარტიის
მომხრეებით.

აშულმა დრო აღარ დაკარგა და ახალი სიმღერა წამოიწყო:

ხალხის პარტიის შვილი ვარ,
დემოკრატებთან რა მინდა,
ჩემი პარტიის რწმენა მაქვს,
ვერავინ გადამიბირებს.

მიკროფონიან საბარეო მანქანასთან აღარავინ დარჩენილიყო. დემოკრატების წარმომადგენლის ატირებას აღარაფერი აკლდა. საგანგებოდ ჩამოტანილ ტრანსპარანტს მანქანის ძარაზე აბრახუნებდა, უნდოდა, აშულის ხმა როგორმე ჩაეხშო. თან თავის მეგობრებს ეჩხუბებოდა. ბოლოს ვეღარ მოითმინა და ბრძოს შეერია:

— ურს ნუ უგდებთ! ვერა ზედავთ, თავად პერანგი არ აცვია და მდიდრებს კი ეტმასნება! — ყვიროდა იგი, მაგრამ მისი ხმა შხოლოდ შვიდ-რვა კაცს თუ ესმოდა. გლეხები აშულს შემოხვეოდნენ და სახალხო პარტიის წარმომადგენლების მიერ დარიგებულ ბიულეტენებს ურნაში უშვებდნენ.

დემოკრატები უკე უმწეონი იყვნენ. სულ ნახევარ საათში წართვა მათ მეჰმედმა ზუთასამდე გლეხი, რომელთაც ის-ის იყო, დემოკრატების სასარგებლოდ უნდა მიეცათ ხმა.

სახალხო პარტიის მესვეურებმა, როგორც კი დაინახეს კნჭისყრის ბედი უკე გადაწყვეტილიაო, აშული საჩქაროდ ისევ მანქანაში ჩასვეს და ახლა სხვა საარჩევნო უბნისაკენ გააქანეს.

* * *

სადაც კი მიიყვანეს, მეჰმედმა ყველგან იოლად მოიპოვა ამომრჩეველთა ხმები. დემოკრატები ვერ მიმხდარიყვნენ, რატომ იყო, რომ თვით ყველაზე ოპოზიციურად განწყობილი გლეხობაც კი, ამ ხმატკბილი აშულის მოსმენისთანავე იცვლიდა პოლიტიკურ სიმპათიებს.

ამ დროს დემოკრატიული პარტიის ერთი ლიდერი, შემთხვევით იმ ვილათების ცენტრში ყოფილიყო. ჰოდა, მიხვდა, ასე რომ გაგრძელდეს,

მექმედი საღამომდე ოთხ-ხუთ სოფელში კიდევ წაგვარომევს ხმებსაო, და ამოქმედდა: ჩაჯდა მანქანაში და ჩავიდა იმ სოფლებში, სადაც მექმედი უნდა მიეყვანათ. მოახერხა, და მექმედი პირველად ამ დიდად პატივცემულ პირს მიჰვარეს. დიდად პატივცემულმა პირმა მექმედს ხელი ჩამოართვა, ყავითა და ტებილეულით გაუმასპინძლდა და თავაზიანად ჰქონდა:

— განა რა დაგიშავეთ დემოკრატებმა, რომ ასეთი წინააღმდეგი ხარ ჩვენი?

მექმედმა გულახდილად უთხრა, რომ დემოკრატებს, რასაკვირველია, მისთვის არაფერი დაუშავებიათ, სახალხო პარტიამ კი დიდი სიკეთე გაუწია და ეს სიკეთე ორას ორმოცდაათი ლირით განისაზღვრებოდა.

— ადრე გეოქვა, მმაო, — დიდად პატივცემულმა პირმა გაიღიმა და აშენს შეიძი ასიგნაცია ჩაუთვლა: თითო ორმოცდაათ-ორმოცდაათ ლირიანი. სამაგიეროდ სოხოვა, იმ დღეს მეტი აღარ ემდერა.

მართლაც, პატივცემულ ბეისთან შეხვედრის შემდეგ მექმედი მანქანაში აღარ ჩაჯდა:

— დილიდან გაუჩერებლად მამღერებთ, ამდენი წანწალითაც დავიღალე. ბოლოს და ბოლოს, მე აშენი ვარ და მაშინ ვმღერი, როცა მემღერება, რა ჩემი საქმეა პოლიტიკა! — განაცხადა მან.

აღარც თხოვნამ გაჭრა და აღარც მუდარამ. სხვა რა გზა ჰქონდათ? — კიდევ 250 ლირა შეაძლიეს, მაგრამ მექმედს ამითაც ვერ შეაცვლევინეს გადაწყვეტილება.

სახალხო პარტიის წარმომადგენლებს მეზურნეებისა და მოცეკვავების იმედილა დარჩათ, მაგრამ უკვე ნაშუადლევს გაირკვა, რომ იმ სამ სოფელში, სადაც მექმედის მიყვანა ვერ მოახერხეს, ხმები ერთიანად დაკარგეს.

* * *

გვიან მიხვდა მექმედი, რა სისულელე ჩაიდინა. მაშინ რომ სახალხო პარტიისაგან შეთავაზებული ორას ორმოცდაათი ლირა აეღო, დემოკრატები გასაჩუმებლად სამას ორმოცდაათ ლირას კიდევ მისცემდნენ, და ამრიგად ორთავეს გვარიანად გაფცევნიდა.

საწყალი დიდხანს წუხდა ამაზე, მაგრამ მომდევნო წელს, მორიგ არჩევნებზე შეცდომა მარჯვედ გამოასწორა და კარგად

გაისქელა ჯიბე.

ახლა გულმოდგინედ ემზადება ახალი არჩევნებისთვის – უკვე რვა სიმღერა შეთხა: ოთხი სახალხო პარტიისათვის, ოთხიც – დემოკრატიულისათვის. მეცხრე სიმღერაცა აქვს. იგი, ასე იწყება:

"თურქი ერის პარტია, ერის გზას მიჰყება..."

მაგრამ ეს სიძლურა იმას დარჩება, ვინც მეტს გადაიხდის.

შემცირდა შინძის წინ მიმდინარეობს. შესერით შემცირდა უდიდესთანავე მყურებელთა დარჩენილი ფარ გამოიდის პირადებით — ეკაზიანი ბიჭი. მყურებელთა უდიდესთანავე ხილვაზებს სისაკითხი.

ქართველი აღის დესთანი


ტანთ პერანგი, კი
ოფალთავან ციცხლის

შეგხედავან — გულმა მულტანი
ისარჩე გაფაფრინდა.

წარბზე ღამის დაცა
სახეს — შეწერ წარმა
ნატყვარი ფეხის მიმა
უჭირს სისრული.

მომდევა: სკოფი და მისი მიმი სერამი
ქუთა მნიშვნელი, მიმდინარეობის მიმდევრი
არა მოღებული და მიმდევრი არა.

მყურებელი მიმდევრი
შეგობრები, მოგმარიშები
ნათრით მებმის ქნა.
როგორ გვინდა, მოგმარიშები
ჩვენი წარმოლავნა.
ამ ფოტოდან შემოუტკით



¹ ქართველი თემულება, ამავე.

პირველი მოქადაგა

მოქმედება შირმის წინ მიმდინარეობს. შესავალი მუსიკის დასრულებისთანავე მაყურებელთა დარბაზში უკანა კარიღან შემოდის პიდაიეთი – კუზიანი ბიჭი. მაყურებელს მუყაოზე დაბეჭდილ სიძლერებს სთავაზობს.

პიდაიეთი: ახალი სიძლერებია... "აკაციის რტოები". "შენი თვალების ტბაში". სინექლის მთის ყოჩი ბიჭის – "ქეშანელი ალის დესთანიც!" მაქვს.

პიდაიეთი დარბაზს გაივლის. სცენაზე ადის. პროექტორის სინათლე მიაცილებს. კიბეზე ჩერდება და დესთანის პირველ სტროფს კითხულობს:

ტანთ პერანგი, ყელზე ძეწკვი,
 თვალთაგან ცეცხლს ყრიდა.
 შეგხედავდა – გულში ტრფობის
 ისარს გაგიყრიდა.
 წარბზე დანის კვალი აჩნდა, ფ უმცირს ძიძ
 სახეს – მუწუკ-წყლული.
 ნატყყარი ფეხით ოდნავ
 უჭირს სიარული.

პროექცია: სცენის შებლზე ეკრანია, ზედ ალის ორი სურათია. ერთი ანფასში, მეორე პროფილში. სურათები ციხის არქივიდან არის ამოღებული. ზედ საქმის ნომერი და ბეჭედი აზის.

შერეფი (შირმის უკნიდან გამოდის, ავანსცენაზე ჩერდება და მაყურებელს მიმართავს):

მეგობრებო, მოგმართავთ და მუციკი მუციკები
 ხათრით მებმის ენა.
 როგორ გვინდა, მოგეწონოთ ჩარგვილი
 ჩვენი წარმოდგენა.
 ამ ფოტოდან შემოგცერით

1. ეპიკური თქმულება, ამბავი.

ქეშანელი ალი.

მის დესთანს ყველგან ამბობენ,

სადაც სწვდება თვალი.

მოდით, კარგად მოგვისმინეთ.

არა, თავს არ ვიქებთ.

მაგ დესთანს სულ თხუთმეტ ფარდად

ჩამოგიწიკწიკებთ.

ქოროს შეადგენენ: გლარჯა ნური, არზების მწერალი დერვიში¹ დანების ძლესავი თემელი, შეაურტნე ნიაზი, ზურგ ზე თავ-თავიანთი ხელსაწყოები ჰქიდიათ: ფეხსაცმლის მწმენდავის ყუთი, პატარა საბჭდი მანქანა, სალესავი ჩარხი. ისინი სათითაოდ წარუდგებიან მაყურებელს.

ნური: ნური მქვია, მეტსახელად – შენობებთის შფრობტუ ქეშანელი გლარჯა.

ალის სოფლიდან მომყვება მარიფათი, გარჯა. მარიფათ – ფეხფლეცნენ

ხან გაზეთებს ვაფრიალებ, ფლეიფეგ მშამი

ხან ვწმენდ ფეხსაცმელებს. მიმდ ცირის უმუშევრად თუ დავრჩები.

არ ვაჩერებ ხელებს: მცენა – მცენა

"ჩეჩმას"² გავწმენდ, გაგიმართავთ ონკანსა და ქურას.

ქუჩა-ქუჩა ვასეირნებ შამამას და მურას.

ავტოს გავრეცხ, ბავშვს მოვუვლი, სხვა ძიძას ნუ ეძებთ,

თუ არა გყავთ. ღვთის შეწევნით (მაყურებელს თვალს ჩაუკრავს)

ბავშვსაც გაგიკეთებთ.

თემელი: ყველგან აყალმაყალი, ყველგან დავიდარაბა!

1. მოხეტიალე მუსლიმი ბერი.

2. (ეარგ.) საპირფარეშო.

მეც მეტი რა დამრჩენია?

კლესავ ამ ჩემს დანასა.

დერვიში: მთელი ჩემი ქონება ამ პატარა ყუთშია.

ძია დერვიშს მიაკითხეთ, კანონები მუქტია.

დღეს და ღამეს ვასწორებ სასამართლოს წინა.

განცხადება დაგიჯდებათ მხოლოდ სამი ლირა.

ჰიდაიეთი: ჰიდაიეთი გახლავართ

სინექლიში შობილი.

სამი-კლასის ცოდნითა და

განათლებით ცნობილი.

გაზეთს ვყიდი. ეგ კი არა,

საქმეცა მაქვს უფრო დიდი:

სინექლის მთის ყოჩი ბიჭის

სიმღერებს და დესთანს ვყიდი.

ნიაზი: ნიაზი ვარ, მეკურტნე.

ვინ, სად გამომაჩინო?

დღე და ღამე იმას ვცდილობ.

გროში გადავარჩინო.

ცოლ-სიდედრი, წვრილშვილი

ამ კურტანით ვარჩინო.

შერეფი: შერეფ აბლას! მეძახის

მთელი მთა და ბარია.

უჩქაფიში ფეხსალაგი

ყველა მე მაბარია.

ბედმა შუბლზე დამაწერა

ხვედრი ეს სატიალო:

სხვებმა უნდა დასვარონ და

მე კი დავაკრიალო.

გზისპირია, წამსვლელ-მომსვლელს

ყველას შესვლა უნდება,

ქალაქელი თუ სოფლელი

აქეთ შემობრუნდება.

1. უფროსი და; ასაკით ცოტათი უფროსი ქალისადმი ზრდილობიანი მიმართვა.

ლუქსებიც გვაქვს, ევროპულიც,

ცალკე თუ საზიარო.

ჩვენს მხარეში თუ მოხვდებით,

გთხოვთ, რომ შემოგვიაროთ.

მსუქანი პოლიციელი (სასტვენის სტვენით შემოდის):

მერე რა, რომ ღია მადევს?

არ გეგონოთ უქნარობის შედეგი.

ჩემოდენა საქმეები ვის აწუხებს?

ჭურა-ჭურა ხეტიალში ვპერდები.

მე ღია პიან პოლიციელს მეძახიან.

აბა, ჩემზე ამის მეტი რა გითხრათ?

მოსვენება დამეკარგა. რას ჰგავს, ხალხო,

ეს ამდენი მიტინგი და გაფიცვა?

აქ წესრიგის დამყარება არც იოლი საქმეა.

ამ ჭურების, ამ უბნების მოვლა ზომ მავალია.

მწერლობისა და თეატრის ცენზურაც მაბარია.

ქორო: ეს მიდამო სინექლია.

ქალაქის დასცექერს სერზე მდგომი.

ქალაქი კი მოჩანს შორით

ზღაპარივით მიუწვდომი.

თემელი: ფანერის ოთხი კედელი, სარკმელი სამად სამი.

თუნუქის სახურავი და ერთადერთი კარი.

აი, ეს არის ჩვენი სასახლეცა და სახლიც.

ნური: აქეთ ნაგვის დიდი გროვა.

იქ ციცაბო და ქლდის ჭურე,

წყაროსავით მოჩუხჩუხებს

ვეხსალაგის სიბინძურე.

ქორო: ვისაც ბოლმა აწუხებს,

ყველა ჩვენზე იწევს.

მთავრობაა, ჩვენ გვერჩის,

პოლიციაც გვიღრენს

და "სიჩუმის საფასურს"

აღაც ჩვენგან იღებს.

1. მოხურიად შესლიმი ბერი.

იმასთან დაკავშირდება მისამართი თუ ამობლი არ არის.

პირველი სურათი

პროექტია: სადაც ბევრი მამალია, იქ ადრე თენდება. სინექლიში ანარქია დამდგარა. სიღატაკე, გარყვნილება, მკვლელობა გაბატონებულა.

დეკორაცია: საპირფარეშოების შიდა ეზო. სცენის სიღრმეში წარწერებია: "ქალების 00", "კაცების 00". საპირფარეშოების წინ შერეფ ხანუმს დამის ქოთნებში ყვავილები გაუხარებია. მამაკაცების საპირფარეშოს წინ ფულის დასახურდავებელი ავტომატი დგას. ჩანს ტრანსპორტის მოძრაობა. ნური ფეხსაცმლის მწმენდავის ყუთზე ზის და სივარუტის აბოლუტის. ზილპა ქალების საპირფარეშოს წინ პატარა სკამზე ჩამომჯდარა და გაზეთს კითხულობს. ხის ქოშებზე შემდგარი შერეფი საპირფარეშოს რეცხავს.

შერეფი: გულ-მუცელი ამოუბრუნდეთ ამ უწმინდეულებს (მოაქვს ერთი სათლი წყალი და კაბინაში ასხამს), დამიტოვებენ თავიანთ მარიფათებს და წავლენ.

ზილპა (გაზეთში ცხვირჩარგული): დედოფალი სურეია ვიღაც გრაფის იახტაზე დროს ატარებს.

ნური: ერთი შაპმა ალიმენტი მოუჭრას და ნახავს თავის სეირს.

ზილპა: ღმერთმა ხელი მოუმართოს! მაგის ადგილზე მეც ეგრე მოვიკეოდი. ადამიანი ერთხელ მოდის ამ ქვეყანაზე. შაპსაც უნდა სცოდნოდა მაგისი ყადრი.

შემოდიან მსუქანი და გამხდარი პოლიციელები. მსუქანი ოვლს იწმენდს, ქამარს იხსნის. გამხდარი უცხოდ გრძნობს თავს, დაბნეული აქეთ-იქით იყურება. მამაკაცთა კაბინიდან სიმღერა ისმის.

ნიაზი: "ჩემი საბედოს შავი წარბებითი..."

შერეფი (კაბინისაკენ გასძახებს): ბიჭო, აქ აბანო ხომ არ გგონია, დაზელსაც რომ კითხულობ?!

ნიაზი: ფულის საქმე არ არის? მინდა – ვიმღერებ, მინდა – ღაზელს წავიკითხავ.

შერეფი: ბებიაშენისამ! ხმა ჩაიწყვიტე და წყალი ჩამოუშვი! სიმღერა წყდება. ისმის წყლის ჩხრიალი.

მსუქანი პოლიციელი კაბინაში შედის, კარს მიიხურავს.

გამხდარი პოლიციელი ავტომატში ფულს ავდებს, მაგრამ ხურდა არ გადომოდის. მუშატს ურტყამს. მაინც არ ცვივა. ნიაზი სიძლერით გამოდის საპირფარეშოდან, ხელებს იბანს, კურტანს იღებს. ამ დროს სასწრაფო დახმარების მანქანის ხმა ისმის. ნიაზი, ნური, ზილაკა, შერეფი, გამხდარი პოლიციელი წამოცვივდებიან და სცენის გარეთ იყურებიან.

მსუქანი პოლიციელი (კაბინიდან ყვირის): რა მოხდა? რა ამბავია?

გამხდარი პოლიციელი: არ ვიცი! შეძლდის თემელი.

თემელი: იმ ყალთაბანდი რუსთემის ძმაკაცებს მუსა დაუჭრიათ, ესეს შვილი. დანა გაუყრიათ.

შერეფი: ვაიმე, აიშე დეიდას სიძე?

ნური: გუშინდელს აქეთ ვიცოდი, ასე მოხდებოდა. ქრთამს ვერ გაიყოფდნენ და იმაზე წაიკიდებოდნენ.

მსუქანი პოლიციელი (შიგნიდან): კვირაში ერთი მკვლელობაა.

გამხდარი პოლიციელი: ეს ნაძირალები ერთ დღეს ჩვენც შამფურზე წამოგვაგებენ. მაწანწალების ბანდა, ნაძირალების ბუნაგი...

მსუქანი პოლიციელი (ისევ შიგნიდან): სათითაოდ რას გახდები, ძმაო, ძირიანად უნდა ამოთხარო, რომ...

გამხდარი პოლიციელი: არაფერია. ცოტაც და ბოლო მოეღებათ. წაიკითხე ჩვენი დეპუტატის პროგრამა? ამ ქომახების ამოძირკვას აპირებს.

შერეფი: თქვენ, ეი, ბაიყუშებო, მანდ რა ამბავში ხართ? მორჩით ლაყობას!

მსუქანი პოლიციელი (ისევ კაბინიდან): შერეფ ზანუმ, მე და შენ ვიჩხუბებთ. გამოვალ და აქტს შეგიდგენ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების მომენტში მყოფი მოხელის შეურაცხყოფისათვის.

შერეფი: მაგას ეძახი სამსახურეობრივ მოვალეობას?

ნური, ნიაზი, ზილპა იცინიან. გამხდარი პოლიციელი მეტად სერიოზულია.

მსუქანი პოლიციელი (გამოსულა და ხელებს იბანს): შენ წინაშე სახელმწიფო მოხელე დგას.

შერეფი: შენ კი არა, მთელი ქვეყნის დიდმოხელეები რომ მოგროვდნენ, აი, კომისრების უფროსიც რომ მოვიდეს, იმასაც არად ჩავაგდებ. ყველა თავის ადგილზეა უფროსი. არ გაგიგია თავის საყვირს ყველა თავის სანაგვეზე აყვირებსო?

ნური: შერეფ აბლას შენ მოუგებ სიტყვას?

შერეფი: ბრჭყვიალა ღილები რომ გაკერია, თავი ღიდი ვინმე ხომ არა გვინდა? აქ ყველა ერთია.

ასეთია კაცის შვილი:

ყველას თავი მოაქვს კიტრად,

ყოვლობინობს, იბერება,

თავზე მამალ ბუზს არ ისვამს.

ყველასა აქვს საუფროსოდ

თავის დრო და ადგილი:

ყაჩაღს, როცა გზიდან უხვევს, რა ნეომცი :იძანდ
როცა ჩექს წერს ბანკირი,

კეპლუცს, როცა თმას ივარცხნის,

ყულფს რომ აცმევს ჯალათი.

ასეთია კაცის შვილი:

ყველას თავი ღმერთად მოაქვს,

მაგრამ ბოლოს მათი გზები

მაინც ფეხსალაგში მოვა.

მუცლები რომ დაუსკდებათ,

განსხვავებას ვინ დაგიდევთ?

აღარავინ იბლინძება —

ყველა აქეთ მოაბიჯებს:

მოღალატე და ერთგული,

ჭუჭყიანი, სუფთა,

წვერიანი, უწვერული.

თურქი ისტორია მახინჯი და ტურფა. გამართებული კიბეკის ჩამდებულება გაზრდილი და გაუზრდელი, ფულიანი, უფულო, უნიფერსული და ნიფხვიანი, ჩულიანი, ჩულიანი, უჩულო... აი, ყველას გზა აქ მოდის, საღაც მეფე თავის ფეხით დადის. განსხვავება აღარ არის მდიდრისა და გლახის.

გამხდარი პოლიციელი: ახლომახლო არავინ ჩანს. მოდი, ერთი შემოვუაროთ აქაურობას და გავპრუნდეთ. მსუქანი პოლიციელი შეჩერდება, მერე ორივე გადის. შერეფი თვალს გააყოლებს. კერ მიმხვდარა, რა ხდება. პოლიციელები მარცხნივ გადიან. მარჯვნიდან რუსთემი შემოდის. ხელებს იბანს. შემოდის ჰიდაიეთი.

ჰიდაიეთი: ვის გინდათ "ახალი ცხოვრება", ჰიტნის კამფეტი, ხილის კევი, ამერიკული საღეჭი რეზინა? (რუსთემის დანახვაზე ჩუმდება).

ნიაზი: რუსთემ აღა, რა მოსვლია ესეს შვილს, მუსას?

რუსთემი: რა ვიცი, დანაზე დაგებულა (ხელებზე შერჩენილ ქაფს უბერავს). (ნურის): ერთი, ესენი გამიპრიალე! (ყუთზე ფეხს შემოდგამს).

ნური (მარჯვედ უპრიალებს ფეხსაცმელებს, თან მაყურებლისაკენ, ჩუმად): ამას ტურა რუსთემს ჭახიან. ზემო უბნის რისხვაა. (გამოჩენდებიან ყოჩი ქაზიმი და ქურთი საბრი. გაჯავრებულები ჩანან). აი, ის თმაზუჭუჭა კი ყოჩი ქაზიმია – ბაზრის საფრთხობელა. ჩოფურა – ქურთი საბრია, ქვემო უბნის სირცხვილი და თავის მოჭრა.

ახალმოსულები ავანსცენაზე დგებიან და თავმომწონედ შემოსძახებებს:

ჩვენ გვეძახიან ქოხმახების უბნის ბატონებს,

ძალზე სარფიან საქმეს ვადგავართ:

მიწას ვყიდულობთ, ქოხებს ვაშენებთ,

ავაშენებთ და გავაქირავებთ.

ჩვენცა ვცხოვრობთ და სხვებსაც ვაცხოვრებთ.

რომ გაგიჩუმდეთ, ორიათას ლირას ვთხოულობთ,

არ მოვცემთ მაყუთს? ფეხქვეშ გაგიგდებთ.

ვისაც უჩვენოდ ქოხი დაუდგამს, დედას ვუტირებთ...

მარტო ჩვენა ვართ ამის ჩამდენი?

დიდი ამბავი. თუ გვახარებს ჩვენი ნაშრომი!

რა მოხდა მერე? რად ატეხეთ აურზაური?

ყველგან ასეთია ამ საქმის კანონი.

მოუბრუნდებიან სცენაზე მყოფთ. ისინი გაისუსებიან და
მიმკით ანიშნებენ, ჩვენ რა შუაში ვართო. ვარუდან ისმის გაზეთის
გამყიდველის ხმა.

ხმა: ამნისტია გამოსულა! ვისაც ამნისტია შეეხება, ყველას
გამოუშვებენ! სამივე ჩხუბისთავი ადგილს მოწყდება და
გავარდება.

ჰიდაიეთი: ნახე, სუნი იკრეს.

ზილჭა: რა სუნი?

ჰიდაიეთი: რა და, დღეს ალი ბეის გამოუშვებენ.

ზილჭა: გამოუშვებენ რო?

ნური: გამოუშვებენ, მაშ! დამეს დღე მოჰყვებაო, — ნათქვამია
(გაქცეულ ჩხუბისთავებზე ანიშნებს). რა უხარიათ? იციან,
ქეშანელი რომ გამოვა, მაგათ პირში ბალახი ამოუვათ.

ზილჭა: მაშ ამბობ, ამნისტია იქნებაო?

ნური: მაშ, მთელი უბანი შესახვედრად წავიდა.

თემელი (ნიაზის): ზილჭას გუნება გაუფუჭდა.

ნიაზი: მოეშვი, თავისი უბედურება ეყოფა!

გამხდარი პოლიციელი: რად არის უბედური?

მსუქანი პოლიციელი: ადამიანი სულ ბედს უნდა უმაღლოდეს.

უარესზე უარესიც ყოფილა. მაგის იღბალიც ეს არის.

ზილჭა (მაყურებელს): ეგრე ეგონოთ! იღბალი ყოფილა! ერთი

საღმე შემახვედრა ეგ იღბალი, თუ კისერი არ მოვუგრიხო!

ჩემო ბედო, ეს ცხოვრება იცილო იყონება.

გამიფრინე, როგორც ქარი.

მე ჭაობის ყვავილი ვარ, და თბილის გედ
 მშენაკლული, ჩამომჭკნარი.
 ცოდვა მაინც მქონდეს რამე?

ვთქა: "ღვთის წყრომა ახი არი!"

რით მჯობისართ? დალალ-კავი
 არ მაშვენებს, ჩოფურა ვარ?

წელს ბეჭედში გავაძვრენ და
 ეშხს ვაკვესებ, ისე დავალ.

ეჰ, ვინ მომცა ბედი, თორემ ცმა ძაღლები

უცხო მხრიდან წამოსული.

ჩვენს მხარეშიც გაივლიდა

ერთი ვინმე უფლისწული.

ლურჯა ცხენზე ამხედრებულს

ამშვენებდეს უზანგ-რახტი,

ჩემს დამნახავს დაავიწყდეს

სამეფო და გვირგვინ-ტახტი...

ეჰ, ვინ სად ხართ? მომხედეთ!

ნუ დამადნეთ გლოვითა.

წამიფვანეთ, მიხსენით

მე ამ ნაგვის გროვიდან!

ნური: ევრე ადვილია? მკვლელი ამის შეყვარებულია, მოკლული
 კი — ალალი ბიძა.

გამხდარი პოლიციელი: ეს რაებს ამბობს?

მსუქანი პოლიციელი: ქოხმახების უბნისათვის ტიპური
 დანაშაულია. ოთხი წლის წინათ მოხდა.

გამხდარი პოლიციელი: მაშინ აქ არ ვიყავი.

პიდაიეთი: მაშ, ქეშანელი ალის სახელი არ გაგიგია?

გამხდარი პოლიციელი: ქეშანელი ალი ვიღაა?

ნური: არ გეპალრება, აბი!

1. შეკუმშული აღაბეი — უფროსი მმა. ასაკით ცოტათი უფროსი
 მამაკაცისადმი ზრდილობიანი მიმართვა.

თემელი: ტლაპო იპსანი როგორი კაციც იყო, სახელიც ისეთი ერქვა. თავისნათქვამა, გაქირი. თანაც ცოლსა და ქალიშვილს ხელით ეხებოდა. ალისაც ეს ყველაფერი ყელში ამოუვიდა...

ნური: არა, კაცო, ზილჰას გულისთვის მოხდა. ალიმ გოგო სთხოვა. იპსანი იმის ბიძა არ იყო? პოდა, უარი უთხრა.

თემელი: ამანაც აიღო და სისხლი დაიდო. იმასაც ამბობდნენ, თავის დიშვილს ავად დაადგა თვალიო.

გამხდარი პოლიციელი: ყიზილბაში იყო?

ნიაზი: ყიზილბაშზე უარესი, ბატონო, უარესი.

გამხდარი პოლიციელი: როგორ მოკლა?

მსუქანი პოლიციელი: ღმერთმანი, აღარ მახსოვს.

ნური: როგორ გეკადრება, აბი!

ნიაზი: ალი კარგი ბიჭია. უთხრა – უფროსი კაცი ხარ, მაგრამ ერთს დაგარიგებ: ან ყველა მოასვენე, ან სისხლს დავლვრიო.

გამხდარი პოლიციელი: ალიმ?

ნიაზი:

ნური:

პიდაიეთი: პო, მაშ! ალიმ!

თემელი:

ნური: ტლაპო იპსანი ისე იკრიჭებოდა, როგორც ვირი ქორფა ბალახის დანახვაზე.

თემელი: ჰასიბე მკითხავის ქვეშაფსია ბიჭო, როგორ გაზრდილხარ, კიდევაც მემუქრებიო?

გამხდარი პოლიციელი: ალის უთხრა?

ნიაზი:

ნური: პო, მაშ, ალის!

პიდაიეთი:

თემელი: კარგი ერთი, შვილო, წადი, გაიარე, უბანში მიდი, იკოჭავეო. თანაც ლოყაზე უჩქმიტა.

გამხდარი პოლიციელი: ალის?

ნიაზი:

თემელი: მაშ! ალის!

ნური:

- პიდაიეთი:** აკა გითხარი, სიკვდილი მოენატრა-მეთქი, რა გიგვირს?!
ნური: შენ ალის კეთილშობილება ნახე! ხელიციარე ახლო.
 ოცობ როგორია? ოღონდ სამი დღის ვადა მისცა. გამხდარი პოლიციელი: სამი დღის მერე?
ნური: ვინ დააცადა? მეორე საღამოს შენი მმაკაცი ტლაპო
 იჰსანი ჩაუსაფრდა. ალი ყავახანიდან ბრუნდებოდა.
თემელი: ზურგიდან, დედლურად, სამი ტყვია...
პიდაიეთი: თახ... თახ... თახ...
გამხდარი პოლიციელი: მოკლა ბიჭი?
ნური: როგორ გეკადრება, აბი!
თემელი: ალის რა ტყვია მიეკარება!
მსუქანი პოლიციელი: რატომაო?
პიდაიეთი: შარბათიანია და იმიტომ.
მსუქანი პოლიციელი: შარბათიანი რაღაა?
ნური: რა და ისა, რომ დედამისი ჰასიბე ბაჯი ძალიან მორწმუნე
 ქალი იყო. შელოცვა იცოდა, მკითხაობდა კიდეც. ჯადოსაც
 აკეთებდა. ალი რომ დაიბადა, შეულოცა, შარბათში აბანავა.
 იმ დღიდან ალის არც ტყვია ეკარება, არც დანა.
მსუქანი პოლიციელი: ზღაპარია!
გამხდარი პოლიციელი: მოიცა, ეს საინტერესოა! ტლაპო
 იჰსანმა ჩახმახს ხელი დააჭირა და სამი ტყვია... მერე?
ნიაზი: ალი ერთბაშად მოტრიალდა...
ნური: ჩემი ბრალი არ არის, მმაო, – უთხრა. როგორია?
თემელი: პატარა ბებუთი დააძრო...
ნიაზი: იქვე მიალურსმა ის ოღრაში.
გამხდარი პოლიციელი (აღტაცებული): ალალი იყოს! (გონს
 მოვა) არა, ვაჟკაცი ყოფილა-მეთქი.
ნური: ვაჟკაცი რომელია! უნდა გენახა, ბორკილები რომ ჰქონდა
 გაყრილი. ჰაი, დედასა! გახსოვს, შერეფ აბლა?
**შერეფი (საპირფარეშოს რეცხვაშია გართული და ბოლო
 სიტყვები არ გაუგია): ამათ ევროპული ფეხსალაგი რად
 უნდაო? ბრიყვი! ისევ ფეხით შემდგარა უნიტაზზე!**

ნური: რა ამბავი იყო?! ქალები ლამის ფანჯრებიდან ცვიოდნენ.

რას ტიროლნენ!

ნიაზი: ხელებზე ბორკილები, აქეთ-იქით უანდარმები...

თემელი: ფეხს რომ გადადგამდა, დედამიწა ზანზარებდა.

ნური: ჰაი, გიძი, ალი, კაცებში გამორჩეულო ლომის ბოკვერო!

დაუსტვინე სელიმი საპირფარეშოში შესულა და იქიდან უგდებს ყურს.

თემელი: აფსუს, დედამისი მოსწრებოდა ამ დღეს!

დაუსტვინე (მიუბრუნდება გამხდარ პოლიციელს): ეგეთი ხმები

კი დადის, ბეი, მაგრამ სულ ჭორებია. ტლაპო იჭიანი ალიმ კი არა, რეტიანმა ჯაფერმა მოკლა.

ნური (დაცინვით): არაფერიც! (გამხდარ პოლიციელს) არა ჭამო, ბეი! ამათ ქეშანელის სახელი შერთ.

თემელი (დაუსტვინეს): წადი, შენი! ბრიყვო, მაგაზე დესთანიც კია!

დაუსტვინე: რაკი თქვენ იტყვით!

მსუქანი პოლიციელი: რომ არ მოეკლა, ცხრა, წელს მიუსჯიდნენ?

ნური (წამოხტება და დაუსტვინეს მუჯლუგუნს გაპკრავს. მსუქანი პოლიციელი გაჯავრებულია, ფეხსაცმელი გაუწმენდავი დარჩა): აქედან მოწყდი, შე მათხოვარო! გეტყობა, ჰაშიში

თავში აგვარდნია!

დაუსტვინე: რა გინდა, ვა?

ნური: ახლავე ფეხქვეშ გაგიდებ!

დაუსტვინე: ცოტა მძიმედ იყავი! ვის გაიდებ, შე დამთხვეულო?

ნური: შენ გაგიდებ, შე ფუნავ!

დაუსტვინე (დანას ამოიღებს): აბა, მოდი! წამოგაგე დანაზე და ეგ არი!

მსუქანი პოლიციელი: რას სჩადი? დანა ამოიღე?

დაუსტვინე: არა, ისე, ვაშლი უ...უ...ნდა გ...გ...ავთალო.

ნური: რეგვენო, ალი აბის ნამუსზე ბუზს არ დავაფრენ, ისე ვიცოცხლო!

მსუქანი პოლიციელი (ნურის ხელს ჰკრავს, დაუსტვინესაც

ზურგში უბიძგებს და გარეთ გაყვანას უპირებს): შენს გზას ეწიე! (ნურის) შენც საქმეც მიხედვ!

დაუსტვინე (კიდრე გავიძოდეს): ტლაპო იპსანის კაცებს ფიცი უთქამო, აღის რომ გამოუშვიბო, ჭყვით დაუსხრიოავო.

თემელი: ვის დაცხრილავენ? რაებს როშავ? მთელი სინექლი
რომ დაუსიოს, ერთ ღერ თმასაკ კურ დააგდებინებენ.

დერვიში (აქოშინებული შემორბის): დადექთ! რა ღმერთი გიწყორებათ?! პატიმრები გამოუშვეს, ხალხს ალი ადა

ციხიდან მოჰყავს! მოვარდ ახლობელის ციხიდული

ნური (წამოხტება): რას ამბობ?!
ნური გვარის პოლიციარი მუსიკის მიმღებად წერს:

ტერი სუკება პოლიციელი სუქის ფეხისაცელი თავისტები,
მარცხნიდან შემოდიან ქალები და მოხუცი კაცები. ზოგ ქალს
ძუძუთა ბავშვი უჭირავს.

ლუთფიე: შესახვედრად წასულები არ დაბრუნებულან? კუნძული

შემცირება: უკვე გაძონებდება.

21-15. 1. 2. 5. 6. 3.

ძსუქანი პოლიციელი: რატე უხდა ვიღობოთ.

მეორე სურათი

პროექტია: დამეს დღე მოჰყება. ქეშანელ ალის ამნისტია შექხებია და ციხიდან გამოსულა. გარედან ისმის მანქანების საყვირის ხმა. ხალხი ერთ ხმად გაიძახის: – ალის გაუმარჯოს! დიდი დღე მისცებ! რამდენიმე კაცი კულისებში გავარდება. დერვიში (იქით იხედება, საიდანაც ხმა ისმის): ჰეი, დიდო ლომო!

ნიაზი: კაცი კისრით იცნობა. თვალი არ ეცეს და, ერთი ამის ქედს შეხედეთ!

ნური: ციხე მოხდენია. თმაც გადაუპარისავს!

მსუქანი პოლიციელი (საქმიანად): გზა! (უსტვენს) გასასვლელს ნუ ჩაკეტავთ!

ალი რამდენიმე კაცს მხრებზე შუსვამს და მოჰყავს. ხალხი ურამულით მოსდევს. ფოტოურნალისტი უკან-უკან იხევს, ბლიცი აინთება. სურათს იღებენ.

შერეფი: მოხველ მშვიდობით!

ალი: დამხვდით მშვიდობით!

თემელი: გავიგეთ, ციხეში პატივისცემა არ მოგკლებია.

ალი: ჰო, დიდ პატივში ვიყავი, არაფერი შეშლიათ.

ნური: ციხის უფროსი რომ მიბეგვ და გაზეთში შენი სურათი დაიბჭიდა, ყველას გაგვეხარდა.

ალი: თქვენ რასა იქთ, რაც არ მინახავხართ?

პაფიშე: ღმერთმა გიშველოს, რომ ტლაპოსაგან დაგვიზსენი.

შენს მერე პატარ-პატარა ტალახები კიდევ გაგვიჩნდნენ.

დერვიში: მოეშვით ამ ბიჭს, ცოტა ამოასუნთქეთ!

ნიაზი: წელან პოლიციელმა თქვა, ქოხმახებს დაგინგრევენ.

ალი: ვერ დაგინგრევენ.

ლუთფიე: ამ გაუმაძლარი აღების ამბავი არ იცი? რომ გაჩუმდნენ
და თავი დაგვანებონ, ორჯერ მეტ ქრთამს მოითხოვენ.

ალი: ვერ მოითხოვენ.

ნიაზი: იპსანის კაცებს უთქვამთ, წყალი გაათბოს და ფეხები დაიბანოს. მალე მოვქლავთო.

ალი: ვერ მომკლავენ.

მსუქანი პოლიციელი: დაიშალენით, ხალხო! (ალის) უთხარი, აქედან წავიდნენ, ქუჩას კეტავენ. (უსტვენს) მოძრაობის მიზანი წესებია აღარ არსებობს? ახლავე ოქმს შევადგენ. არ გესმით ჩემი ლაპარაკი?

გამხდარი პოლიციელი: დაიშალენით!

მსუქანი და გამხდარი პოლიციელები ბრძოს ხელის კვრით ერევებიან. ხალხი გაიფანტება, მაგრამ ახლა სხვა ადგილზე შეჯგუფდება.

გამხდარი პოლიციელი (მსუქანს): ტკბილი სიტყვით, ტკბილი სიტყვით.

მსუქანი პოლიციელი (ალის): ალი ეფენდი, ღმერთმა გაკმაროს! ალი: ღმერთმა გიშველოს!

მსუქანი პოლიციელი: უთხარი, დაიშალონ. შენ დაგიჯერებენ, ჩვენც ხათას გადავრჩებით.

ალი: მეზობლებო, მაღლობელი ვარ, რომ შეწუხდით და მობრძანდით. მოხუცებს ხელებს დაგიკოცნით, ახალგაზრდებს – თვალებს (ისმის მანქანის საყვირის ხმა) ჩემ ძმაკაც შოთრებსაც მადლობას ვუხდი, რომ თავიანთი საქმე მიატოვეს და აქ მობრძანდნენ. (გაბრაზებით) დაიშალენით, ხალხი არა ხართ?!

ნური: შენ თქვი და ჩვენი თავი გენაცვალოს!

დაიშლებიან. სცენაზე რჩებიან ალი, ნური, დერვიში, თქმელი, ნიაზი, ჰაფიზე.

ნიაზი (დერვიში): მია დერვიშ, მამასახლისობის ამბავი უთხარი?

ალი: სანახავად რომ მოვიდა, მაშინ გადამიკრა სიტყვა. პირში წყალი ჩაიგუბეთ?

დერვიში: ამ საქმის მოგვარება ჩვენ მოგვანდე.

ალი: ვითარება დაზვერეთ?

ნიაზი: ჰაფიზე ზემო უბანში დაძვრებოდა.

ნური: პირაიეთმაც ქვემო უბანი დათირასუნარებულ ნია:

დერვიში: ქვემო უბანში ხმებს ვიშოვით.

ნური: ფიქრი ნუ გაქვს. ბაზარშიც კერძო სექტორი შენს მხარეზეა.

ჰაფიზე: მოკლეკაბიანების შარაქაც მხარს ციჭერს ძალა ეგ არის!

ალი: ზიღვა?

დერვიში: ზილჰას მოეშვი.

ალი (შეწუხებული): წავიდა, განა?

თემელი: არსალაც არ წასულა. აქ არის, შერეფ აბლას ფეხსალაგში
მუშაობს.

ალი: რატომ არა ჩანს?

შერეფი: ცოტა უქეიფოდ არის.

ალი: თუ ისევ მებუტება?

შერეფი: კაცო, ბიძა მოუკალი და გინდა კისერზე ჩამოგეკიდოს?

თემელი: მოეშვი, აბი.

დერვიში: ახლა მაგის დრო არ არის.

ნიაზი: ყოჩ ქაზიმს თავისი კანდიდატურა წამოუყენებია.

თემელი: ქურთი საბრი და ტურა რუსთამიც კანდიდატები არიან.

ალი: ძალიანაც კარგი, ხმები გაიყოფა.

დერვიში: ზემო უბნისა უნდა გვეშინოდეს.

შემოიპარება დაუსტვინე და ჩუმად უსმენს

თემელი: სივასელები ტურა რუსთამის მხარეზე არიან.

ალი: ზილჲაც?

ნური: ის რა, სივასელი არ არის?

ალი: მხოლოდ მაგიტომ? (არავინ უპასუხებს) ეჰ, ეტყობა, ევრეა.

დერვიში: ზილჲას მოეშვი.

თემელი: ამბობენ, ზემოუბნელ ბოგანოებს ყოჩი ქაზიმისათვის
სიტყვა მიუციათ.

ნური: გააძლიერეთ ფორფუგანდა!

დერვიში: მაგაზე უკეთესი საშუალებაც არსებობს (თან თითებს
ერთმანეთზე უსვამს, ანიშნებს, ფულია საჭირო).

ნიაზი: მერე ეგ სად ვიშოვოთ? მოდი, ყომარბაზებისაგან ვისესხოთ.
არჩევნებში რომ გავიმარჯვებთ, მოგებით დაუკარუნოთ.

შემოღის უურნალისტი

უურნალისტი: უკვე დაიწყო საარჩევნო კამპანია?

ალი: ეს ვიღას ტიკი-ტომარაა, ლაპარაკში დაუკითხავად რომ
ერევა?

უურნალისტი: ერთ წუთს წაგართმევთ.

1. დამახინჯებული: პროპაგანდა.

ალი: ხმა, ბიჭო, სელის თესლო! კიდევაც რომ ლაპარაკობს!

შურნალისტი: ვერ გაგაგბინეთ ჩემი სურვილი, ბატონო ჩემო!

ალი: ბატონი მამაშენია! წესიერად ილაპარაკე!

ნური: ალიჯან, ფეხებს დაგიკოცნი! არჩევნებამდე ბატონ ურნალისტს არ აწყენინო!

შურნალისტი: ალი ბეი, ფეხი რომელ ომში დაიშვავეთ?

ალი: ბავშვობაში თუთის ხიდან ჩამოვვარდი. (ერთბაშად გაახსენდება) ჰო, ძველი ამბავია. ერთი ჩვეულებრივი ჩხუბი იყო...

დაუსტვინე: აკი შარბათიანიაო?

ნური: ბრიყვო, შარბათში რომ ავლებდა, დედამისს უხებით ეჭირა.

ნიაზი (დაინახავს დაუსტვინეს): ერთი ამას უყურეთ! ამ ყბამოხეულს აქ რა უნდა?! (საცემრად გაიწევს, დაუსტვინე გაიქცევა).

შურნალისტი: თუ შეიძლება, გვითხარით, რას ფიქრობთ ცხოვრებაზე?

ალი: ცხოვრებაში საშუალო არ არსებობს. ან ძირსა გდიხარ და გნაყავენ, ან სათავეში მოქცეულხარ და ნაყავ.

შურნალისტი: ტლაპოს კაცები სისხლის აღებას აპირებენო. გეშინიათ?

ალი: ბიჭო, მე ის კაცი ვარ, ღვთის მოცემული სული მათხოვარს დავანებო?

შურნალისტი: მამასახლისად თუ აგირჩიეს, რას იზამთ?

ალი (ეჭვით): რა შენი საქმეა?

ნური (აფრთხილებს): ალი!

ალი: გინდა, ქვეყანა შემიყარო, რეფორმას აპირებსო, თავისი უბნის აღორძინებაზე ფიქრობსო? არა, მეგობარო, ჩვენთან სიტყვა არ გადის, აქ საქმეა! წადი, შეაყოლე!

შურნალისტი: იმედი გაქვთ, რომ გაიმარჯვებთ?

ალი: ამ ქვეყანაზე მარტო საკუთარი მუშტის იმედად უნდა იყო.

შურნალისტი: კიდევ?

ალი: ვა, გიურა ოხერი?! კიდევ და კიდევ მუშტი! (მივა, ფულის ავტომატს მუშტს დაჰკრავს, თქრიალით გადმოცვიდება ხურდა ფული).

მარტინ სურათი

პროექცია: მხარეები და ხვეწილი ტაქტიკით იწყებენ საარჩევნო კამპანიას. ვნახოთ, რას გვიჩვენებს სურათი.

დეკორაცია: ქოხმახების უბანი. ყავახანის წინ ყველა ქუთხე-ქუნჭული ძორთულია.

ნური (სკამზე ადის): ჯერ მე მომისმინეთ! ეი, მუსლიმებო! (ჰიდაიეთს) შენ კუთხეში დადექი და ფარაონებს უთვალთვალე.

დაუსტვინე: შენ, ეი, ფეთვა! უნდა გამოსცე?

პირველი ბოგანო: დღეს ფორფუგანდა აკრძალულია!

ნური: გაჩუმდით, ამხანაგებო! ძლივს დავიზეპირე და დამავიწყდება.

დღეს მამასახლისის არჩევნებია. ოქვენ გეკითხებით, მეგობრებო, ვის მისცემთ ხმას?

პირველი ბოგანო: რა შენი საქმეა? ვისაც გვინდა, იმას მივცემთ. მეორე ბოგანო: შენ რა? ადუკატი² ხარ?

პირველი ბოგანო: ჩვენზე ზემოქმედებას ვერ მოახდენ, მეგობარო!

მესამე ბოგანო: თვითონ ვიცით, ვისაც ავირჩევთ!

დაუსტვინე: ბიჭო, მანდედან ჩამოეთრიე!

ნური: ერთი ესეც ვიკითხოთ, კანდიდატები ვინა ყრიან? ყოჩი ქაზიმი, ტურა რუსთემი, ქურთი საბრი.

მეორე ბოგანო: ქურთმა საბრიმ ტურა რუსთემის სასარგე-ბლოდ უარი თქვა.

დერვიში: ერთიანი ძალით უმამაძალლიათ და ეგ არის!

ნური: უნაშესოები! გამოდის, ყოჩისა და ტურის წინააღმდეგ ახლა სახელოვანი ქეშანელი აღის კანდიდატურა რჩება (ხალხს ანიშნებს, ტაში დაუკარითო).

ქორო: გაუმარჯოს ქეშანელს!

1 მუსლიმთა უმაღლესი კანონმდებლისა და სჯულისკანონის მცოდნის მუფთის-მიერ გამოცემული განჩინება ამა თუ იმ საკითხზე.

2. დამახინჯებული: ადვოკატი.

ზემო უბნის ქორო: წავიდეს, მაგისი!

ნური: მეგობრებო, ის თქვენი ყოჩი ქაზიმი დეზერტირია!

ზემო უბნის ქორო: წადი, შენი!

ნური: თანაც წერა-კითხვა არ იცის, სად გაგონილა, ბრიყვი და უბირი მამასახლისად აერჩიოთ?

პირველი ბოგანო: თითს დააჭირს!

მეორე ბოგანო: ბეჭედს დაარტყამს! ბეჭედი რისთვის არის?

ნური: ტურა რუსთემი ერთი ლოთბაზარა ვინმეა, თანაც – მექრთამე. შეამად შეერგოს!

დაუსტვინე (ხელი წაუკლია გამხდარი პოლიციელისთვის და მოჰყავს): აი, აქ დადექ და უსმინე! ამომრჩევლებს ებაზრება, ფორთუგანდას ეწევა. ერთი აქტი შეუდგინე და დედა უტირე!

ნური (საფრთხე იგრძნო): ხო, იმას გეუბნებოდით... ენა როგორ მომიბრუნდება, რომ ვთქვა, ყოჩი ქაზიმი დეზერტირია, თანაც წერა-კითხვა არ იცის-მეთქი, ანდა, როგორ ვიტყვი, რომ ტურა რუსთემი მექრთამეა? თანაც დღეს ფორთუგანდა აკრძალულია. ფხიზლად იყავით! ვინც გინდათ, ის აირჩიეთ. ყველანი ძმები ვართ. პოლიციელიც ჩვენი ძმაა. ეგრე არ არის, ძმაო? თქვენი ეროვნული გრძნობის, თქვენი პატრიოტიზმის იმედი მაქვს. ნახეთ, ცრემლი მომადგა, ხმაც მიკანკალებს. მოდით, ეროვნული ჰიმნი ვიმღეროთ. გაუმარჯოს ყველა კანდიდატს!

გამხდარი პოლიციელი (დაუსტვინეს): კარგად გაიგე ხოლმე, რას ამბობენ! მოჰყრა ყური რაღაცას და მეც ნერვები ამიშალა (გადის).

ნური (შეშინებულია, ოფლს იწმენდს): ბიჭო, რა ძნელი ყოფილა პოლიტიკოსობა!

შერეფი: ადრე უნდა გცოდნოდა!

თემელი: ბრიყვი, იმათ ლანბდვას გადაჰყევი და ალის საქებრად ვეღარ მოიცალე?

დერვიში: არათერია, ეგ ლანბდვაც ალის წისქვილზე ასხამს წყალს.

თემელი: ხალხო, ალიც შეაქეთ. ცოტა!

შემოდის ნიაზი.

ნიაზი: როგორ არის საქმე?

დერვიში: ქვემო უბანს ცოტა ფული დავახარჯეთ.

ნური: ზემო უბნის სიებშიც ზოგი ორ-ორჯერ შევიტანეთ.

ნიაზი: ეგ რა გიქნიათ! ახლა ყოჩ ქაზიმს ორჯერ მეტი ხმა ექნება.

ნური: პოლა, კარგია.

ნიაზი: რითია კარგი?

ნური: გოგრა აამუშავე! გაიგებენ და იფიქრებენ, ყოჩმა იმამაძლლაო და ზემო უბნის ურნებს გააუქმებენ.

ნიაზი: გლარჯავ, პრემიერ-მინისტრად გამოდგები!

ნური: ალი აბიმ დაგვარიგა. ტყუილად ზეხა ციხე?

პილაიეთი: ძია დერვიში ლაპარაკობს, ძია დერვიში...

დერვიში (ჩახველებს, მერე იმ მხარეს გაიხდავს, სათაც პოლიციელი წავიდა და სკამზე ავა): ალიზე რა უნდა ვთქვა? მასზე ისტორიამ ილაპარაკა. ხალხმა დესთანიც კი გამოუთქვა. მადლობა ღმერთს, ყველამ ზეპირად ვიცით.

ქორო: გაუმარჯოს!

დერვიში: ასეთი ვაჟკაცი საუკუნეში ერთი თუ დაიბადება.

• თქვენ რას იტყვით, ამხანაგებო?

ქორო: არ დაიბადება!

დერვიში: ტლაპო იპსანის ჭირისაგან ვინ დაიხსნა სინექლი?

ტურამ თუ ქეშანელმა ალიმ?

ქორო: ალიმ იხსნა!

შერეფი: უკვე დაიქოქა ზამბარა. ამათ რაღას გააგებინებ?

დერვიში: ვის ხვდა წილად ცხრა წლის პატიმრობის პატივი იმისათვის, რომ სინექლი სინექლობდეს?

ქორო: არავის!

დერვიში: ვისი ცოლისა თუ ქალიშვილისათვის შეუხედავს ხარბი თვალით?

ქორო: არავის!

დერვიში: როდის გაუწვდია ხელი იმის ასაღებად, რაც არ

ეკუთვნოდა?

ქორო: არასოდეს!

დერვიში: უპატრონოდ დარჩენილი სინექლი ნაცემ ბავშვს
დაემგვანა. თავი სჭირდება თუ არა?

ქორო: სჭირდება!

დერვიში: მაგ ცრემლიან თვალებს დაგიკუცნით, ამხანაგებო!
ღმერთმა თვალის სინათლე მოგცეთ (აცემინებს), აი, უკვე
მთავარ სათქმელს მივადექი!

ქორო: მივადექი!

დერვიში (ისევ აცემინებს, ცხვირსახოცს ეძებს): ცხვირსახოცი
შინ დამრჩენია, დასწყვევლოს ღმერთმა!

ქორო (მექანიკურად ავრძელებს): დასწყვევლოს ღმერთმა!

დერვიში: თქვენ არ გუაბნებით, ხალხო, ჩემთვისა ვთქვი!

ქორო: შენთვისა თქვი!

დერვიში: გეყოფათ, მორჩით!

ქორო: მორჩით!

შერეფი: ხალხი ამოძრავდა, ვეღარ გააჩერებ.

ქორო: ვეღარ გააჩერებ.

თემელი: ალი აბი მოდის! ალი აბი მოდის!

ზემო უბნის ქორო: წავიდეს, მაგისი!

ქორო: მოდის და არემარე თან მოაქვს.

ზემო უბნის ქორო: ქლესები, ქლესები!

მოხუცების ქორო: ვაი, ალი! ვაი, ალი!

ნური: გაჩუმდით, თორემ შიიტები¹ ეგონებით და დაგიჭერენ.

თემელი: ქეშანელი ალი გვინდა, ქეშანელმა ილაპარაკოს!

ქორო: ქეშანელი გვინდა, ქეშანელმა ილაპარაკოს!

ალის თავისი მომხრეები აძალებენ, ილაკარაკეო. ალი
სკამზე დგება.

ალი: ჩემი საყვარელო სინექლიილებო!

1. ისლამის ერთერთი მიმდინარეობის შიიზმის მიმდევრები. შიიტები თაყვანს სცემენ მუჰამედის სიძეს ალის. ისინი წელიწადში ერთხელ მართავენ რელიგიურ მისტერიას.

ქორო (ხანგრძლივი ტაშით): იცოცხლე!
ალი: ძვირფასო ამომრჩევლებო!
ქორო (ტაში): მიდი! კარგია!
ალი: ძვირფასო თანამემამულეებო!
ქორო (ტაში): ყოჩად! ეგრე! გოოოლ!

ზემო უბნის ქორო: მლიქნელები! ქლესები! (თან საჩხაკუნებლებს აჩხაკუნებენ და ყვირიან, ხმაურობენ).

ალი (ზემო უბნის ქოროს): გაჩუმდით, ხალხო! (სიჩუმე ჩამო-
 ვარდება, ალი მაშინვე მოლბება). საყვარელო სინექლიელე-
 ბო, პარასკევის ღოცვაზე ვიყავი და იმიტომ შემაგვიანდა.
 მოხუცებს ხელებს დაგიკოცნით, ახალგაზრდებს – თვალებს.
თემელი (მაყურებელს ხელით ანიშნებს, რა სიტყვებია, რა
 სიტყვებიო).

ნიაზი (მაყურებელს): ციხეშიც კი არ გამოუტოვებია ერთი
 ღოცვა, ნახეთ, როგორი მორწმუნეა!

პიდაიეთი: გავჩუმდეთ!
ალი (აგრძელებს): დღეს სინექლის საქმე შავად არის. ქოხებს
 გინგრევენ. რათა? იმიტომ, რომ ცისმარე დღეს ჩხუბი და
 აყალმაყალი გიდგათ. ნათქვამია, სადაც ერთობა არ არის,
 იქ არც გართობაა.

ქორო: სადაც ერთობაა, იქ გართობაც არის.

ზემო უბნის ქორო: სადაც ხალხმრავლობაა, სიღარიბეც იქ
 არის!

ალი: მაგალითად, ავიღოთ ერთი ღერი ჩალა (აიღებს ერთ ღერს
 და გადატეხავს), ერთი ღერის გატეხვა ბავშვსაც კი
 შეუძლია (იღებს ერთ ბლუჯას), მაგრამ ასი, ათასი, ათიათასი
 ღერი ერთად რომ შეიკვრება, თუ ბიჭი ხარ, გადატეხე,
 ამის ღედა ავატირე! რალა ბევრი გავაგრძელო, გაიგოთ,
 რაც გითხარით?

თემელი: ამაზე მაგარი სიტყვა იქნება?

ჰაფიზე: მაშ, მაშ, ყველაფერი დღესავით ნათელია.

ალი: ამ ქვეყანაზე ერთხელ მოვსულვარ, ამხანაგებო! დედის რძე
 არმად მექცეს, თუ ისე წავიდე, ექვსიოდე პარაზიტის

სული არ გავისტუმრო ჯოჯოხეთში.

თემელი: ამ კაცს თავისი გზა აქვს.

ალი: აი, ყველანი აქა ხართ. თუ ჩემს სინდის-ნამუსზე ვინმეს რამე ეთქმის, გამობრძანდეს!

ზილჭა (ხალხს გააპობს და გამოვა): მეც ვიტყვი ერთ-ორ სიტყვას! ეს კაცი მკვლელია. ყველამ იცით, ბიძაჩემი ამან მოკლა. მკვლელს მამასახლისად ირჩევთ?

ალი: ჩემზე ამბობ? შენ ამბობ?

ზილჭა: რაო? მკვლელი არა ხარ? ტყუილია?

ალი (ძალზე შეწუხებული): აბა, რა გითხრა? ეგ არის შენი ზრდილობა? გამარჯობაც არ გითქვამს, გამოხვედი და დაახეთქე: მკვლელიაო.

ნიაზი: სისხლში იმიტომ გაისვარა წელი, შენი და ჩემი ნამუსი დაეცვა.

ზილჭა: ჩემს ნამუსს თვითონ დავიცავ, ალაპის შეწევნით.

მეორე ბოგანო: მართალია! ტლაპო იპსანი მაგან მოკლა!

ზილჭა: აი, უფალმა დაამიწოს, ისე წავიდეს ამ ქვეყნიდან, ვერ გაძლეს თავისი ახალგაზრდობით! ღმერთმა უბედურება არ გამოულიოს! ფუი! (მიაფურთხებს და გადის).

ალი დაბნეულია, არ იცის, რა ქნას. დერვიში მკლავს გამოსდებს, აწყნარებს.

თემელი: სინექლის ნამუსისათვის ცხრა წელი ციხეში გამოალამო და მერე...

დაუსტვინე: რა ცხრა წელი? ოთხი წელი მხართებოზე იწვა, ხუთი წელიც ამნისტიამ ჩამოაჭრა. დიდი ამბავი!

თემელი დაუსტვინეს პანლურს ამოკრავს, მოწინააღმდეგე მხარეები ერთმანეთზე წაიწევენ. პოლიციელებიც შემოცვივდებიან, შემოდის რუსთემი.

რუსთემი: დაიცათ! ამ კაცზე მეცა მაქვს სათქმელი!

ნური (მუსქან პოლიციელს): ნახე, ფორთუგანდას ეწევა.

მსუქანი პოლიციელი: ვერაფერსაც ვერ იტყვი, დაგაპატიმრებ!

რუსთემი: წესებზე ვიღაპარაკებ, მეთოდებზე.

ზემო უბნის ქორო: წესებზე, მეთოდებზე!

რუსთემი: ეს კაცი კენჭის ვერ იყრის, იმიტომ, რომ ბალახის სისტემა ბარიგაა. კარგად მოძებნეთ მაგის დახლში და ნახავთ.

დაუსტვინე თანხმობის ნიშანად თავს უქნევს.

მსუქანი პოლიციელი: რას ამბოლ!

ყავახანაში შევარდება, გამხდარი პოლიციელიც თან შეჰვება. ანაშას ეძებენ.

მსუქანი პოლიციელი: აქ არაფერია.

რუსთემი (დაუსტვინეს): სად დამალე, ბიჭო?

დაუსტვინე: ქვემოთ ნახეთ, ლოტოს პარკის ქვეშ!

მსუქანი პოლიციელი (რაღაც იპოვა): აქ რაღაც წიგნია!

ალი: წიგნი?

ნური: რასაკვირველია, წიგნია, ძმაო, მუჰამედის წიგნი, ძლის წინ

რომ კითხულობ ხოლმე (პოლიციელებს თვალს ჩაუკრავს),
თუ ბეზღობაა, ბეზღობა იყოს. რაკი ჩხრეკა დაიწყეთ,
ბარემ ეს ტურაც გაჩხრიკეთ.

რუსთემი: მე რა შუაში ვარ?!

ნური: ნახე, იყიდა.

რუსთემი: გამჩხრიკეთ, რა! წიწაკა არ მიჰამია და პირიც არ
მეწვის (მსუქანი პოლიციელი ჩხრეკს. რუსთემს ეღუტუნება,
ჭიბვინებს). მანდ მეღუტუნება.

დერვიში (ნურის): სად დამალე, ბიჭო?

ნური: სარტყელი შემოხსენით.

პოლიციელები რუსთემს ატრიალებენ, ატრიალებენ და
სარტყელს შემოხსენიან, პერანგიდან პატარა პარკი გადმოუკარდება.

მსუქანი პოლიციელი: ეს რა არის?

ქორო: ააა! ააა!

თემელი: ნამდვილად ბალახია.

მსუქანი პოლიციელი: ბატონო?

თემელი: ქერა გოგოა, რა!

მსუქანი პოლიციელი: ვერ გავიგე.

პიდაიეთი (მიუახლოვდება): ბოლია, ბოლი. მოკლედ, ანაშაა.

რუსთემი: ტყუილია, ცილისწამებაა.

დაუსტვინე: ვიღაცას ჩვენი დაგდებული ანაშა აუღია და შენთვის

ჩაუდვია. ნოტისა და მისახი მარტინ გაიცა. ვაი, თქვე უნამუსოებო! მსუქანი პოლიციელი: წამოდით, განყოფილებაში ვიღაპარაკო.

ტურა წინააღმდეგობას უწევს. დაუსტვინე შეწუხებულია. პოლიციელები ორივეს შეაში ჩაიყენებენ და გადიან.

ნური (მაყურებელს): დაჭერობანა ვითამაშეთ და ჩვენ ვაჯობეთ. რას იზამ? უღმერ-თოსთან რომ საქმეს დაიჭერ, შენც ურწმუნო გახდები. (ხალხს) ხალხო! ტურა რუსთემი დისკვალიფირებულია. წადით და ეს ამბავი შვიდივე უბანს შეატყობინეთ!

ალი: გლარვავ, ლამის გული წამივიდა! (სერიოზულად) მმებო, მხოლოდ სიმართლის გზით უნდა ვიაროთ.

ნიაზი: ერთი კონკურენტიდა დაგვრჩა – ყოჩი ქაზიმი.

თემელი: ზემო უბანში თუ ყველამ მისცა ხმა, დავიწვით და ეგ არი!

შემორდის გამხდარი პოლიციელი.

გამხდარი პოლიციელი: ზემო უბანში ბიულეტინები გაუყალებიათ!

კაცების ქორო: გაუყალებიათ?!

ქალების ქორო: ვაი, უნამუსოები!

გამხდარი პოლიციელი: ორ-ორჯერ მიუციათ ხმა.

ქალების ქორო: ვაი, უნამუსოები!

გამხდარი პოლიციელი: ცნობილი ხერხია!

კაცების ქორო: ცნობილი ხერხია!

ქალების ქორო: თაღლითები!

შემორბის ყოჩი ქაზიმი, სულს ძლივს ითქვამს.

ყოჩი ქაზიმი: ამათი ნამამაძალლარია, ზემო უბანში ყველამ მე მომცა ხმა და გაყალბება რად დამჭირდებოდა? ღმერთმანი, ამათი დაგებული ხაფანგია, ხაფანგი!

გამხდარი პოლიციელი: ამას საარჩევნო კომისიაში გაარკვევენ.

ქაზიმი: მეც ეგ მინდა. ერთი, გაარკვიონ!

ქორო: ერთი, გაარკვიონ, გაარკვიონ!

თემელი: ეს საქმე უკვე მორჩა, ბასტა!

ნური: ქემანელ ალის გაუმარჯოს!

ქორო: სახელიანად ევლოს!

უკვე ჩვენი ბელადი გვყავს

ქორო: უკვე ჩვენი ბელადი გვყავს,
აგვაცილებს ბედის რისხვას.

ნური: თუ ბელადი გაინაღდე, გშველებია!
მხარობოზე წამოწექი, იძინე.
გულს დარდი არ გააკარო,
თავი ფიქრით არ დაღალო!
ბელადი გყავს? შენს მაგივრად ის იფიქრებს,
მოგაშორებს იღბალს კვიმატს,
რაც არა ხარ, გაქცევს იმად და გადავით იმავე
დღეს მზით დაგწვავს, ხვალ კი წვიმით
გაგალაღებს, გაგაგრილებს.
მოკლედ მოყვრი: ეს ბელადი
ხელოვნური სასუქია,
უხვ მოსავალს გაგინაღდებთ.

ქორო: უკვე ჩვენი ბელადი გვყავს,
აგვაცილებს ბედის რისხვას.

ნური: ასე მოსდგამს ადამის ძეს,
ვერ ვუჯერებ თვალს და ყურებს – რომ ამინდი
ჯერ კერპს შექმნის, მერე მის წინ
თავს მიწაზე ურახუნებს.

ქორო: უკვე ჩვენი ბელადი გვყავს,
აგვაცილებს ბედის რისხვას.

(დავალებულ მწიგოლება და აძლევნილ) მეგცოთუდებონ : იძინებ
მიმერჩინები წერ, წერ რამა მიუცვის იმამდე მარტით წინამდებ
წენების წერის შინაგან შემთხვევაში არ გვიგ მიზოგ ავალებ
ავალებ.

ასე ასე მისამართ დაუკარ მუშაობის დამატება დაგვით
იძინებ იყენებოდა მათთვეზე დაუწინებონ მიზობრი, (გრძელ) საჭიროა,
რამა შემასახურობის გადასაცემი მიზოგ მიზოგ მიზოგ

მეოთხე სურათი ცხელი

პროექტია: ქეშანელი ალი ბოგანოების ბელადია, ანუ ძალა ერთობაშია.

თემელი: ამხანაგებო, გავჩუმდეთ! ჩვენი ახალი მამასახლის, ქეშანელი ალი თავის პროგრამას წაგვიკითხავს.

ლოთი რასიპი: როდის დაწერა?

ნური: წუხელის დაუწერიათ ამასა და ძია დერვიშს.

დაუსტვინე: ვა, რა ბეჯითი ყოფილა!

ალი: აღარ გაჩუმდებით?

პირველი ბოგანო: დემოკრატიაა, აზრის გამოთქმა აკრძალული არ არის.

თემელი: ხმა ჩაიწყვიტე! ნახეთ, ისევ ლაპარაკობს!

ნური: დემოკრატია არჩევნების დამთავრებამდე იყო.

ალი: არ გინდათ და, ხმასაც არ ამოვიდებ. ხალხად ჩაგავდეთ და გიკითხავთ.

ლუთფიე: წაიკითხე, შვილო, წაიკითხე, ამათ რა ყურს უგდებ!

ალი (გაშლის ტუალეტის ქაღალდის გრაგნილს და კითხულობს ზედ დაჯდაბნილ პროექტს): 1. სინექლიში მშვიდობიანი რეჟიმი მყარდება. ვინც დაარღვევს, მეშვიდე თაობამდე ჩავყებით და დედას ვუტირებთ. სახლს დავუწერეთ, უძრავ-მოძრავ ქონებას ყადაღას დავადებთ და გაუყიდოთ. მერე არა თქვათ, არ ვიცოდითო.

ხმები: სწორია, ძალიანაც კარგი!

პირველი ბოგანო: აკი ძალმომრეობა აღარ იქნებაო?

ქორო: მხოლოდ ამ ზომით იქნება.

ალი: მევახშე თემელს ფინანსები ჩავაბარე, არზების მწერალი დერვიში იურისკონსულტად დავნიშნე.

ხმები: მოგვილოცავს! (თემელსა და დერვიშს ულოცავენ).

ალი: ყველა ყავახანაში პირველი მანო! მე, ანუ დახმარების ფონდს! ვინც არ გადაიხდის, ზღარბის ქურქს ჩავაცმევ.

1. (უარგ.) ბანქოში მოგებული ფულიდან გაღებული წილი.

იცოდეთ, თამაშის ჩაშლა არ იყოს!

ლოთი რასიპი: აკი მანოს გავაუქმებოთ?

თემელმა ერთი ბოთლი არაყი მოიტანა და ლოთ რასიპს დაუდგა.

ქორო: ამ შემთხვევაში დარჩება.

ალი: ჩემს ყავახანაში შეიქმნა ხელზე მოსამსახურების, დღიური მუშების, ტაქსის მებატრონეთა არტელი. დღეიდან აღარვინ წავა ქალაქში და არ მოჰყვება სამუშაოს ძებნას. ქალები და გოგოები, ვისაც მრეცხავად, ხელზე მოსამსახურედ ან ძიძად დადგომა უნდათ, ახლავე ჩაეწერონ ჰაფიზებსთან.

მეორე ბოგანო: დახეთ, ნათესავს მიჰკერძა.

ქორო: ამ შემთხვევაში შეიძლება.

ალი: ვინც აქ ჩაეწერება, იმისი ხელფასი მე, ანუ დახმარების ფონდს. სამაგიეროდ, ყველა სადაცო საქმე ძია დერვიშის მარიფათებით მოგვარდება და მაყუთს არავინ გადაიხდის. ეს კარგ შემოსავალს მოგვცემს. თუ ღმერთმა გადმოგვჩედა და მოსამსახურე გოგოებმა იქ, სადაც იმუშავებენ, მუცლებიც გაიბერეს, გვარიან აღიმენტსაც გამოვკრავთ ხელს.

თემელი: ამ კაცს ყველაფერზე უფიქრია!

ალი: ქალაქის ყველა კუთხე-კუნჭულში ტაქსებზე ზედამხედველობას მე ვნიშნავ. თუ ვინმე უფროსობას მომინდომებს, ჭიპზე გავხეთქავ. ამ საქმეში დღეში სამასი ფარა კეთდება. ხუმრობაა? ნათქვამია: "ვინც ხარკს გადაიხდის, დუღუქსაც ის დაუკრავსო".

პირველი ბოგანო: ხარკი მოკვდა, გაუმარჯოს ხარკს!

ქორო: მხოლოდ ამდენი, არც მეტი, არც – ნაკლები!

თემელი: ადრე სამი კაცი იღებდა, ახლა ერთის ხელში მოიყარა თავი.

ნური: ადრე არეულ-დარეული იყო გადასახადები, ახლა მოწესრიგდა. (უესტით ანიშნებს ამ ხალხს ჭკუა არა აქვსო).

ალი: ახალმოსული დღიური მუშების დამის გასათევი ადგილის შოვნა, მათი ჭამა-სმის ხარჯი – ყველაფერი ჩემი საქმეა.

ვიდრე სამუშაოს იშოვნიან. როგორც კი სამუშაო გაუჩნდებათ, პირველი ჯამაგირი მე, ანუ დახმარების ფონდს. ეს ყველასათვის სავალდებულოა, გამონაკლისი არ არსებობს.

ჰაფიზე: ჰაი, ჰაი, რომ არ არსებობს.

ნიაზი: ვითომ რათაო? ვერ მოგაროვთ!

თემელი: სულაც პირიქით, რასაკვირველია!

ნური: დიდი სიამოვნებით!

უკრავს მუსიკა, შემოდის იპია ონარანი

იპია: იპია ონარანი გახლავართ.

თემელი: რომელი? დიდ კაშხალს რომ აშენებს?

იპია: დიახ, ისა ვარ. ორასი შავი მუშა მჭირდება. ჩაღა ყავახ-ანებში ვიარო და ვაგროვო. გავიგე, რაღაც ორგანიზაცია შეგიქმნიათ. ვთქვი, ეგებ მუშებიც ჰყავდეთ, — მეთქი.

ჰაფიზე: სწორედაც რომ ეგრეა!

თემელი: დიდი სიამოვნებით!

ალი: ნიაზი, ეს ბატონი ჩემს ოფისში შეიყვანე. მეც ახლავე მოვალ.

ნიაზის იპია ყავახანაში შეჭყავს

დერვიში: მეგობრებო, ნახეთ ალის რა კარგი ფეხი ჰქონია? ბისმილას¹ თქმაც ვერ მოვასწარით და უკვე ორასმა შშიერმა გაიხარა.

ქორო: ეგრეა, ეგრე! ბედნიერი იყოს!

ალი: ესეც ერთიანობის სიკეთე! "სადაც ერთობაა, იქ გართობაც არის". წვრილ ხელოსნებს, რომლებიც თავისუფალ ვაჭრობას ეწევიან, თაბახით კარდაკარ მოსიარულე მეწვრილმანებს — მოკლედ, კერძო სექტორს — ვერავინ შეეხება, კაპიკს ვერავინ შეაწერს...

ქორო: ყოჩაღ! გაუმარჯოს!

ალი: ჩემ გარდა!

პირველი ბოგანო: ეს როგორ შეიძლება?!

ქორო: ამ შემთხვევაში შეიძლება.

1. "სახელითა აღაპისა". შემოკლებული: "სახელითა აღაპისა, მწყალობელისა და მოწყალისა". ამ ლოცვით იწყებენ მუსლიმები ყველა საქმეს.

ალი: ამის საზომი ჩვენი ნამუსია. ვისაც რამდენის მარიტანი აქვს, იმდენს გადაიხდის.

დერვიში (უსწორებს): თავისი საქმიანობის სფეროს მიხედვით გადაიხდის.

ალი: მოკლედ, ქონების მიხედვით გადაიხდის.

ხმა: ვა! ეს რანაირი პროგრამაა?!

ალი: ახლა მორჩით, ამ პროგრამის შესრულებაში მომეხმარებით! გადავიდეთ კენჭისყრაზე! ვინც ჩემს პროგრამას იღებს... (ყველა ხელს სწევს გარდა რამდენიმე ქაცისა უკანა რიგში).

ალი: ეტყობა, კარგად ვერ გაიგეთ (რევოლუციის ამოიღებს და ჰაერში გაისვრის. ყველანი ხელს წევენ). წინააღმდეგი ვინ არის? (ხელს აღარავინ წევს), ერთხმად არის მიღებული. დიდი მაღლობა!

ფარდა იხურება. ნურის ლოთი რასიპი ფარდის წინ გამოჰყავს. რასიპი ხალხს რომ დაინახავს, დაიმორცხვებს.

ნური: ძმებო, ეს ამხანაგი გიმღერებთ.

რასიპი გაქცევაზეა. ნური მას ავანსცენაზე გამოიყვანს. რასიპი ნურის ყურში რაღაცას ეუბნება. ბარბაცებს. მერე სიძლერას იწყებს.

რასიპი ვარ, ლოთიბაზარა, უცნობები, მინცმინიონები მამამ თავის გზით მატარა. გადა ნებროთ ცერეს პოლიტიკის არ მაქვს ჩარა. ეს მაცხოვებს, სხვა კი არა. ამ ცა ბეჭედი ყველამ რაღაც შეიყვარა:

ბავშვმა – თავის საწოვარა, დიდმა – პოსტი, ბლომად ფარა.

შშიერ მგლისთვის ძვლებიც კმარა. ვინც ამით ვერ გაიხარა,

არაყი სვას წარამარა!..

წავალ, გავიხურავ კარებს,

ჩამოვუვლი კაფებარებს,

შინ მივალ და ცოლის მუშტებს

ამ ჩემ სიფათს ავაფარებ.

ინფორმაციული მეცნიერებები

განერაცია სურათი

გაუჩინდებათ,

პროექტია: აღის მძიმე დღე ადგას. ერთის მხრივ
სიყვარული, მეორეს მხრივ მოვალეობა.

დეკორაცია: ღამეა. კედლის ნაგრევი. შემოდიან სცენის
მუშები და ორ ხეს დგამენ – ვაშლისას და მსხლისას. ზილჰა
კედელზე ზის, ვაშლს ჭამს. იქვე აღი დგას, ზილჰასთან მისვლას
ვერ ბედავს. ჩაახველებს. ზილჰა ვითომ ვერ ხდავს. აღი ბოლოთის
ცემას მოჰყება.

ზილჲა (ვითომ აქ არაფერი): რა მოხდა? რა მშერი მაღლივით
დაძრწი?

ისმის კამერის ბლავილი.

აღი: მიღი დამეკარგა და ცოტას გავივლი-მეთქი.

ზილჲა: მიდი, იხტიალე!

ისმის კატის ქნავილი.

აღი (გაბრაზებული ავანსცენაზე გამოდის და მაყურებელს
მიმართავს): გულ-მუცელი მეწვის. ზილჲას სიმართლე
უნდა ვუთხრა, ლამაზი სიტყვებია საჭირო, მე კი ენა
ჩამივარდა (კულისებისაკენ გასძახებს): ბიჭო, სად არის
ჭრიჭინების, ბულბულის ხმა? ერთი ხოშიანი გალობა
გამაგონე, თორებ წაგავლებ ფეხებში ხელს და... (ისმის
ბულბულის გალობა). (ორკესტრის): შენც დამწვრისა
დაუკარ, თუ მმა ხარ! (მუსიკა). (გამნათებელს): ძმაო,
ლურჯი სინათლე მოიტა! მოვარიანი ღამე მჭირდება! (სცენა
ლურჯად ნათდება) აი, ასე...

ზილჲა (ქნუტს აიყვანს და ეფერება): მოდი, ფისო, მოდი, ჩემი
პატარავ, მოდი...

აღი: რაც ციხიდან გამოვედი, თვალზე მიღი არ მომკარებია.

ზილჲა: გიხამა. უნახავმა რა ნახაო – არ გაგიგია?!

აღი: ზილჲა, ეგრე ნუ მელაპარაკები!

ხელში ჯაყვას ათამაშებს. ხან ფრჩხილებს იჭრის, ხან
ხეზე არჭობს. ზილჲა ვაშლის თქვლებას მორჩა, ნაჭამი გადააგდო,
გადასწვდა და კიდევ მოწყვიტა ვაშლი.

ალი: ზიღვა, გოგო, გახსოვს ჩვენი ვაშლი და მსხალი? პატარობისას სულ აქ დავდიოდით. ვაშლის ხე შენი იყო, მსხლისა – ჩემი.

ზიღვა (პრანჭვით, პათეტიკურად): მათ შორის ეკალი ამოვიდა.

ალი: თუ ამოვიდა, ამოთხარე!

ზიღვა (ვაშლის ჭამით): მე დავრგე, რო? მიდი და ამოთხარე.

ალი: გოგო, რაღაც უნდა გითხრა.

ზიღვა: მოკლედ მოჭერი, ნუ გააჭიანურე, (დაცინვით) ბატონო მამასახლისო.

ალი: არ მოგწონს?

ზიღვა: ამბობენ, რაც მამასახლისად აირჩიეს, ძალიან გაყოყოჩაო.

სინექლის ყოჩის ზომ გეძახიან, სხვა რაღა გინდა, სახელოვანო ქეშანელო ალი?

ალი: ზიღვა, ერთ საიდუმლოს გეტყვი!

ზიღვა: არა მჭირდება.

ალი: ქვეფანაზე არავინ იცის. მარტო ჩვენ გვეცოდინება: მე, შენა და მაყურებელს. გასაგებია?

ზიღვა: ჰო.

ალი: ზიღვა!

ზიღვა: რა გნებავს? მოური .მცდელობრივების ითამ

ალი: ბიძაშენი მე არ მომიკლავს.

ზიღვა (ციინის): ეგ უნდა გეოქვა? ადმონ-მარტინის

ალი: ღმერთმანი, სიმართლეს ვამბობ.

ზიღვა: მართლის მთქმელი არ იფიცება. ციხე და პოლიცია ვერ

მოატყუე და გინდა, მე მომატყუო? შენი ჭკუით...

ალი: გოგო, დამიჯერე, მე არ მომიკლავს. წყაროზე რომ ჩავედი,

გეჯაში ეგდო, პირზე ქაფი მოსდევომოდა. ვიფიქრე, ავიყვან,

აფთიაქში მივიყვან-მეთქი. ხელზე სისხლი ვიგრძენი. ვხედავ,

ზურგში დანა ჩაურტყამო. ამ დროს პოლიციაც გაიჩითა.

სიკვდილის წინ ჩემთვის რაღაცის თქმა უნდოდა. დაიწყო

კიდეც: "ალი...", მაგრამ ვეღარ დაამთავრა. პოლიციაში

საქმე შემიკერეს. იმის ნათქვამი – "ალიო" ისე გაასაღეს,

თითქო, "ალიმ მოკლაო". სასამართლოშიც ნამდვილა

მკვლელებმა ხელი მე შემახოცეს: "იმიტომ მოკლა, რომ ზიღვას არ აძლევდაო". ტყუილი მოწმეც გამოტყვრა, დაიფიცა, დავინახე, ზურგში როგორ ჩაარტყა დანაო.

ზიღვა: ხელად დაგიჯერე!

ალი: სასამართლოშიც, ციხეშიც ჩემსაზე ვიდექი, უდანაშაულო ვარ-მეთქი, გავიძახოდი. პატიმრობაზე უფრო შენი დაკარგვა მაშინებდა.

ზიღვა: მადლობა მომიხსენებია.

ალი: როცა გავიგე, შენც მკვლელი გეგონე, ისე მეწყინა, ისე მეწყინა, მთელი სამი თვე ყოველ დამე ვტიროდი.

ზიღვა: მორჩი?

ალი: არა, ახლა ვიწყებ. ციხეში სულ დამცინოდნენ. მეტსახელიც შემარქვეს – "მტირალა ალი".

ზიღვა: აკი მოკლედ უნდა მოგეჭრა?

ალი: დამაცა, სიტყვას პირში ნუ მჩრი.... ერთხელ საკანში ნარდს ვთამაშობდით. იმ კაცმა კამათელი დასვა. "დასვი!" "არ დამისვამს!" – "დასვი" "არ დამისვამს..." "დედას ბიჭის" სახელი არა მქონდა?! ჰოდა, იმანაც აიღო და ნარდი თავზე დამიშვა, გავითიშე. ლაზარეთში წამიყვანეს, ორი საათი მასულიერებლნენ. ბოლოს ცხვირიდან შავი სისხლი წამომივიდა და თვალიც გავახილე! იმ შავი სისხლით მქონიყო აზრ-გონება გადაკეტილი. მაშინვე თვალებზე ფარდა ამეხადა. გონებაც გამინათდა. იქვე მაკრატელი დავინახე, ვტაცე ხელი და საკანში შევვარდი – სად არის ის ნაბიჭვარი! – მეთქი ვყვიროდი. ოთხმა კაცმა ძლივს გამაკავა.

ზიღვა: გამოდის, გაგიფრენია. მერე? მერე?

ალი: გავცოფდი. ყველას ვაგინე. საცემრად ვიწიე. აბა, იფიქრე: მოსჯილი მაქვს, შენც დაკარგული მყავხარ, ტლაპო იპსანიც მე მომიკლავს, რაღა დამრჩნია?! თურმე ვყვიროდი, თქვენს ლეშს მიწაზე გავფენ-მეთქი! ციხის უფროსი გამოვიდა. – ბოლოს და ბოლოს ხომ აღიარეო, – მითხრა. – შენი დედაც! უარზე თუ ვიდექი, რა მოვიგე – მეთქი. გარტყმა

დამიპირა. — როგორ თუ ჩემზე ხელი ასწიე — მეთქი და თავში სკამი ჩავცხე. აი, ეს არის, რომ ამბობენ, ციხის უფროსი გალახაო. მეორე დღეს ეზოში გამოვედი და რას ვხედავ?! პატიმრები გზას მითმობენ, ზოგი ზურგსა მფხანს. ჩემი გამლახავიც მოიყვანეს. ხელები დამიკოცნა, პატიება მთხოვა. ზედამხედველიც მოვიდა, მითხრა, სადაც შენა ხარ, მე იქ ზედამხეველი როგორ ვიყოო? აიღო და ამკიდა ზედამხედველობა. მოკლედ, ერთბაშად სახელი ვიშოვნე.

ზილჭა: ღმერთმა მოგახმაროს!

ალი: ციხეში ვიღაც უურნალისტები მოვიდნენ, მკითხეს, ტლაპო იპსანი როგორ მოკალიო? მეც ვუთხარი: ასე და ასე იყო, სამი დღის ვადა მივეცი, ღამით ჩამისაფრდა, უნებურად წამოვაგე ბებუთზე მეთქი...

ზილჭა: მოკლედ, როგორც იყო, ისე გითქვამს, რაღა!

ალი: გოგო, ნუ გამაგიუ! სიმართლე იმიტომ არა ვთქვი, რომ ამ ქვეყანაში პატიოსან კაცს დასცინიან. ზორბა მკვლელი უნდა იყო, რომ პატივი გცენ. ჩემი ამბავიც ასე დაიბადა ტყუილიდან. მორჩა და გათავდა...

ზილჭა: ტყუილი ის არის, რაც ახლა მიამბე.

ალი: ყურანზე დავითვიცებ.

ზილჭა: თუ ეგრეა, რატომ არ გამოხვალ და საქვეყნოდ არ იტყვი სიმართლეს?

ალი: გვიანაა. ისარი გასროლილია. ვაჟკაცმა ერთხელ გადაფურთხებული როგორ ავლოგო?

ზილჭა (მაყურებელს): დახეთ, რას ამბობს?! ვაჟკაცი სხვისა ჩადენილი მკვლელობით იტრაპახებს?

ალი (გულუბრყვილოდ): ერთხელ მოხდა, გოგო, ვაჟკაცობის გამო მოხდა. რაც კი თავს გადაგვხდენია, ყველაფერი ვაჟკაცობის გამო. ვაჟკაცობა არის სწორედ ათასგვარი ბოროტების წყარო.

ჩხუბიც, ცეცხლიც, დავაცა და ბრძოლაც

თუ ჩაღდება, მხოლოდ იმის გამო...
 ვინც გადადგამს პირველ ნაბიჯს,
 იმან აღარ უნდა დათმოს. სიტყვა ელჩი კი არ არის,
 უკანვე რომ გაიძახო.

ზილჰა: ნეტავ, სამი გროშის ჭკუა თუ გაქვს? ვთქვათ, მართლა
 არ მოგიკლავს და ტყუილად ჩავარდი. როგორ გამოგვე,
 როცა ქვეყანა ბიძაჩემის მკვლელად ვიცნობს? ქვის გული
 მიდევს? სირცხვილ-ნამუსი არა მაქვს? ხალხი რას იტყვის?

ალი: ხალხის ლაპარაკს რა ყურს უგდებ? როგორ იძებელი

ზილჲა: შენ რად უგდებ?

ალი: მე სხვა ვარ. გაიგე და დაიმახსოვრე! გამომყები თუ არა?
ზილჲა: მოედანზე გამოხვალ და იყვირებ, ტლაპო იჭიანი მე არ
 მომიკლავს! იყვირებ?

ალი: გოგო, ოცი ათასი ბოგანოს ბედი მაბარია. ბავშვი ხომ არა
 ხარ? (გაბრაზებულია. ჯაყვას ხელში ატრიალებს)
 შეუძლებელია!

ზილჲა: სახელი გაგიტყდება?
ალი: მაშ რა?

ზილჲა: აი, ბაღლმა მიაფსას შენს სახელს! (იცინის და ვაშლს
 თქველეფს) ვიცოდი, მაგას იტყოდი. შენი გამოცდა მინდოდა.
 სხვა რა გზა გაქვს, უნდა იუარო. მკვლელი ხარ და
 ახლა გული გისკდება, სისხლის აღებისა გეშინია. ათას
 რასმე ჩმახავ. ვაჟკაცი უნდა იყო, ვაჟკაცი! რასაც ჩაიდენ,
 აღარ უნდა გადათქვა!

ალი: გაჩუმდი, ყური მიგდე!

ზილჲა: არც გავჩუმდები, არც ყურს დაგიგდებ! ეჰ, ალი, ალი,
 შენს არყოფნაში ბევრმა წყალმა ჩაიარა! ის გოგო აღარა
 ვარ, ოთხი წლის წინათ რომ ვიყავი. შერეფ აბლას
 ფეხსალაგში ადამიანების ცნობა ვისწავლე. შენი ჭკუით
 გინდა, მაჭამო?
 გამოჩნდება თემელი. ალისა და ზილჲას საუბარს

გაოცებული უსმენს. ალი თვალს შეასწრებს და ხელად რიხიანად ალაპარაკდება.

ალი (ორკესტრს): გყოფათ, მორჩა ბაზარი! (გამნათებულს): გაანათე, რაღა! (ზილპას): დაიმახსოვრე: სამი დღის ვადა მომიცია! მერე ჩემი ბრალი არ იყოს. ჭკუა იქონიე! (განედავს, თემელს ესმის თუ არა). კარგად იცი, რაც მოხდება.

ზილპა ენას გამოუყოფს და გადის. თემელს ეს არ დაუნახავს. **ალი (დარწმუნდა, ზილპა წავიდაო, და ჯიბიდან ფული ამოიღო):** ეს მცირე საჩუქარი ჩემგან გქონდეს. (ვითომ ახლადა შენიშნა თემელი) ხომ იცი, ამ გოგოს ბიძა ზრდიდა. იმისი სული ჯოჯოხეთში გავისტუმრე, მაგრამ ამ საწყალმა რა დააშავა?

ზილპა არ წასულა. კედელს ამოფარებული უსმენს.

თემელი: მართალი ხარ, ცოდვაა!

ალი: გაჭირვებაში ჩავარდნილა! ვიფიქრე, ხელს გავუმართავ, ორიოდე გროშს მივცემ-მეთქი. რაც უნდა იყოს, ამის უფლება მაქვს.

თემელი (შეებით ამოისუნთქა): სულ ეგ არის? მე სხვა რამე მეგონა!

ალი: სხვა რა უნდა ყოფილიყო?! მე ის კაცი ვარ, ქალებს ავეტორლიალო? (დანას ისკრის და მიწაში ჩაარჭობს).

თემელი: რა სათქმელია! პირიქით. მშვიდობით, ჩემო ლომო!

ალი: მშვიდობით!

თემელი გადის. **ზილპა** საფარიდან გამოდის.

ზილპა (სიბრაზით თვალებიდან ნაპერწკლები სცვივა): ეგრე, არა? (დოინჯს შემოიყრის).

ალი: აქ იყავი?

ზილპა: მაშ. რა გეგონა? არ მოგეწონა? რატომ დაემსგავსე ვირის საპალნიდან გადმოვარდნილ საზამთროს?

ალი: გაიგე, გენაცვალე, შენს სახელს გავუფრთხილდი!

ზილპა: ჩემს სახელს გაუფრთხილდა! უნამუსო! ქვეყანას უნდა მოსდო, ზილპას ფულს ვაძლევდიო! ვისა სჭირდება შენი მოწყალება? თავში იხალე!

ფულის გამოსტაცებს, დახევს და მიაყრის.
ალი (ფულის ნახევებს აკროვებს, იქნებ დაწებება შეიძლებოდეს):
 ცუდად გაგიგა ჩემი ნათქვამი.
ზილჰა: იქნებ ეგ ფული სულაც დახმარების ფონდიდან აიღე?
ალი (დაუფიქრებლად): არა, საიდუმლო ფონდიდან.
ზილჲა: მაშ, ჩემს სახელს გაუფრთხილდი, არა? აი, ბოლოკი
 დავაწურე შენს ჭკუას! სწორედ ახლა გააფუჭე ყველაფერი.
 (მაყურებელს): წელან ცოტას გაწყდა, არ მოვლი? ჩემს
 ჭკუასაც რა ვუთხარი! ისე გამოდის ტყუილი შენი
 დასამიწებელი პირიდან, როგორც ცეცხლმოკიდებული
 სკიდან ფუტკარი. ღმერთმა დაგწყველოს და დაგხუთოს!
 სინექლის კლდეები დაინგრეს და ქვეშ მოგიყოლოს! (მივა
 და მიაფურთხებს): ფუი!

ალი: ძალიან კი გარეკე, აი!

ზილჲა: მაშ ჩემს სახელს უფრთხილდები? ჩემზე იყოს, მკითხავი
 ჰასიბეს ქვემაფსია ბიჭო! აი, აქ ვწერ (კედელთან მივა):
 სამუდამოდ დაივიწყე ზილჲა! პირველივე შემხვედის
 საყვარელი გავხდები და შენ კი არ გამოგყვები! შუბლზე
 დაიწერე!

ალი: მაგას ვერ იზამ!

ზილჲა: თუ არ ვიზამ, დაინახავ! მე დამთხვეულ ზილჲას მექახიან.

ასეთი გული გამოხატა სისხლის აღმასი ავაშინი.
 რამდენიმე მითონებ მაღისტრის და მარიამ მარიამ
 ცოცხლის მიზანი მარიამ მარიამ და მარიამ (მარიამის მჯგორე) და მარიამ
 ალი: გაწუმდი, ფური მიყდე!

ზიღური წა და მარიამ მარიამ მარიამ მარიამ მარიამ
 ცოცხლის მიზანი მარიამ მარიამ მარიამ მარიამ მარიამ
 გარ, თხის უკანი მარიამ მარიამ მარიამ მარიამ მარიამ
 ფოთლიმომოლებული მარიამ მარიამ მარიამ მარიამ მარიამ
 ათმც მარიამ მარიამ მარიამ მარიამ მარიამ მარიამ მარიამ
 იმც გადადგრენ მარიამ მარიამ მარიამ მარიამ მარიამ
 გადადგრენ მარიამ მარიამ მარიამ მარიამ მარიამ მარიამ

მემკვსე სურათი

პროექცია: დახეთ ბედის მუხტლობას! ცხრა მთას იქიდან
მოსული უფლისწული და ზილჰა შერეფ აბლას საპირფარეშოში
ხვდებიან ერთმანეთს.

დეკორაცია: საპირფარეშოები.

სცენაზე შემობის ფილიზი: მძღოლი დასაჭერად მოსდევს.
მძღოლი: ვაი, სირცხვილო! ლამაზი გოგონა ასე უნდა იქცეოდეს?
ფილიზი: თავი დამანებე!

მძღოლი: ჯერ შენი გამოსვლის დრო არ არის!

ფილიზი (პროექციაზე მიუთითებს): აკი გითხრეს, ეს რომ
დაიწერება, გამოდითო? თანაც საპირფარეშოში მინდა.

ოლგა (შემოდის): ფილიზ, არ გითხარი, მოდი-მეთქი?

ზილჲა: მოეშვი, მადამ, ეგებ ეფსია ბავშვს?

ფილიზი: აქ ვიზამ! (ძირს გავორდება, ჭირვეულობს).

მძღოლი: წიხლებს იკვრევინება, აი, უეხი მომარტყა. ძალიან
ნერვიულია, მოეშვით, მადამ, ნუ გააღიზიანებთ!

ოლგა: Vous allez me peyer za filou¹.

მძღოლი: მიდი, ფილიზ, ჩქარა, სანამ მამაშენი არ გაჯავრებულა.
დიდი გინდა თუ პატარა?

შერეფი (მაყურებელს): გენაცვათ, ზრდილობაც ამას ჰქვია!

ფილიზი: დიდიც მინდა და პატარაც.

შედის ქალების საპირფარეშოში.

პროფესორი (გამოსულა და ხელებს იბანს): Bonjour madam
Olga², რა მშვენიერი შეხვედრაა! რა ქარმა გადმოგაგდოთ?

ოლგა: ბულენთ ბეი, მე და ფილიზი ექსკურსიაზე გახლდით. La
petite a vu ce batiment elle a voulu absolument son pipi³.

პროფესორი: კარგი აზრია. (ზილჲას); ჩემო გოგონა. აქ რა

1. მე თქვენ გაზღვევინებთ, ეშმაკო (ფრ.).

2. გამარჯობა, მადამ ოლგა.

3. პატარამ ეს შენობა დაინახა და დაიუინა, ფისიო (ფრ.).

მინდოდა, რატომ მოვედი? დამავიწყდა!

ზილჰა: თქვენ სულ ეგრე გემართებათ.

პროფესორი: მართალია, მაგრამ თქვენ რა იცით?
ფილიზი (გამოდის): Me voila.¹

ოლგა: Einfín!²

ფილიზი (პროფესორს დაინახავს და რევერანსს გაუკეთებს):
უი, ღილი ამწყვეტია.

ზილჲა (ძირს დავარდნილ ღილს იღებს): მოდი, დაგიკერო, ჩემი
პატარა! (ნემსსა და ძაფს იღებს, ღილს აკერებს).

შემოდის ბულენთი. კუთხეში ჩერდება, ზილჲას თვალს არ აცილებს.
ფილიზი: შეიძლება, გაკოცოთ?

ოლგა: Mais voyons, filou. Je vous ai defendu d'embrasser les
étrangères?³

ფილიზი: გეუბნები, ვაკოცებ-მეთქი. სულაც არა ვარ პატარა
თოჯინა!

მძღოლი: ნუ გაანერვიულებთ, მადამ. აი, წიხლებს იკვრევინება.

ფილიზი (ზილჲას ანიშნებს, დაიხარეო. ზილჲა იხრება.. ფილიზი
ეხვევა და ჰკოცნის): ძალიან შემიყვარდით.

ზილჲა: მეც შემიყვარდი, ჩემი ტკბილო გოგო.

ბულენთი შუა სცენაზე გამოდის. გაჩერდება და მათ აკვირდება.

მძღოლი: აი, უფროსი ბატონიც მობრძანდა.

ყველანი ბულენთს მისჩერებიან.

ფილიზი: მამა, მამიკო, ნახეთ, რა კარგი ქალბატონი უნდა
წარმოგიდგინოთ! ისე კარგად მომექცა, რომ...

ბულენთი ისევ დგას და თვალს არ აშორებ მათ.

ოლგა: Bylent Bey, mais qu'est ce que vous ave?⁴

პროფესორი: ამის მდგომარეობა არ მომწონს.

მძღოლი (ბულენთს მოუახლოვდება და ხელს მოჰკიდებს): ბატონი!

1. აი, მეც (ფრ.).

2. როგორც იქნა! (ფრ.)

3. ეშმაკო, აკი აგიკრძალეთ უცხოების ჭოცნა? (ფრ.)

4. ბატონო ბულენთ, რა დაგემართათ? (ფრ.)

ბულენთი ძირს გაიშხლართება.

ოლგა: O, mon Dieu¹.

ფილიზი: მამიკო, რა დაგემართა?

ოლგა: ვაი, სირცხვილი! "რა დაგემართა" უნდა უთხრა თუ – "რა დაგემართათ"?

ფილიზი (ახწორებს): მამა, მამიკო, რა დაგემართათ?

ოლგა: Mentreant çay'est² (ბულენთს შებლზე ოდეკოლონს მოსცხებს).

შერეფი: ნაღდად რაღაც სენი სჭირს.

იპია (შემოვარდება): შვილო, ჩემო ბიჭო, რა დაგემართა?

ოლგა: ნუ გეშინიათ, გული წაუვიდა.

პროფესორი (ხან უგონოდ გათხლაშულ ბულენთს დასხერებია, ხან ზილჰას უყურებს): საინტერესოა, ძალიან საინტერესო! ახლავე შინ წავიყვანოთ. ვიდრე დამვიწყებია, რაც აღმოვაჩინე. ფსიქოანალიზს ჩავუტარებ. პირობითი რეფლექსი, პირობითი რეფლექსი...

იპია: რას უდგახარო! მანქანაში გადაიყვანეთ!

მძღოლი და ნური ბულენთს ასწევენ და გაჰყავთ.

ფილიზი: მამა, მამიკო, გეხვეწები, არ მოკვდე! (ოლგა მწყრალად შეხედავს, ფილიზი მაშინვე გაასწორებს) გეხვეწებით, არ მოკვდეთ!

ოლგა: Bravo.

ფილიზი (ზილჰას): თქვენც წამოდით, რა, ჩვენთან წამობრძანდით!

პროფესორი: დიახ, უაჰველად... თქვენც დაგვჭირდებით. პირობითი რეფლექსი... პავლოვის ძალლი...

ზილჰას ხელკავს გამოსდებს და გაიყვანს

ოლგა (ფილიზი ძალით გაჰყავს): წამოდი, სირცხვილია!

გადიან

ზილჰას: არაბი ვიყო, თუ რამე გამეგებოდეს!

ვიღაც მაყურებელი: მეც ვერა გავიგე რა.

შერეფი: სული ნუ მიგდით! მაგას მეორე მოქმედების დასაწყისში გაიგებთ.

1. ღმერთო ჩემო (ფრ.).

2. ახლა ყველაფერი რიგზე (ფრ.).

აეპვიდე სურათი

პროექტია: სინექლიში ოქროს ხანაა. აღი უწესრიგობას სპობს.

დეკორაცია: აღის ყავახანა. კედელზე აღის სურათი კიდია. სურათი ციხეშია გადაღებული. მის გვერდით რუკაა. ზედ ქალაქის მაგისტრალებია აღნიშნული. ყავახანაში თოხი მაგიდა დგას. აღი, დერვიში, თემელი ყავახანის წინ ბანქოს თამაშობენ. აღის ქათქათა პერანგი აცვია. სცენის მარცხენა კუთხეში მოხეტიალუ ფოტოგრაფი მოახლე გოგოს მოწმობისათვის სურათს უდებს. გოგოს უკან პაფიზე და კილაც ქალი უდგანან.

ნური: აღი ბეიმ ერთ თვეში მთელი სინექლი ცვილივით დაარბილა, მუჭქში მოიქცია. ჯერ ერთი: მთავრობას ქოხმახების დანგრევაზე ხელი ააღებინა. როგორია? არჩევნები ახლოვდება. აბა. მოვიდნენ და ბუზი ავეიურინონ! ორიათასი ბოგანოს ხმას რომელი პარტია შეეღევა? ელექტროცენტრალიც აამუშავა. ჩალიჩობს, აქაურობა რაიონულ ცენტრად აქციოს. როგორია? გესმით ხმაური? დახმარების ფონდიდან უსახლკაროებს ერთი წლის ვადით სესხს აძლევენ და ქოხებს უშენებენ. სისხლის აღებით რომ იმუქრებოდნენ, სამივენი ქალაქის საქმიან უბანში ტაქსებს ამუშავებენ. როგორია? ვინც ქაღალდში მოიგებს, აღის პროცენტებს უხდის. ვიღაც-ვიღაცებისაგან "სიჩუმის ფულ-საც" კრეფს, მაგრამ ყველაფერს ნამუსიანად აკეთებს. რას იზამ? თუ ასე არ მოიქცა, ბიუჯეტში გარღვევას როგორ დაფარავს? ზოგი იმასაც ამბობს, პარტიებს ფულს სცინცლავსო. მართალია, სცინცლავს. მთავრობაც კი ვერაფერს გამხდარა, თუ გარედან დახმარება არ მიიღო და ჩვენ როგორდა უნდა ვიარსებოთ? მოკლედ, თვალი არ ეცეს და, ნაღდად სამთავრობო კაცია.

ტელეფონი რეკავს. დერვიში ტელეფონთან მიდის, ნური მის მაგივრად ჯდება ქაღალდის სათამაშოდ.

დერვიში: აღო! ქეშანელი აღი ბეის ყავახანაა. არა, ბატონო,

აფთი ბეისა კი არა, აღი ბეის ყავახანაა, აღის, აბ-და-ლი...
ლო-ბი-ო... იხ-ვი... რა გამოვიდა? აღი. დიახ, ბატონო!
სწორედ იმას ეძებთ? (აღი ანიშნებს, აქ არა ვარო). აღი
- 68 ბეი ამჟამად ძალზე მნიშვნელოვან სხდომაზე ბრძანდება.

ცოტა ხნის შემდეგ ვერ დარეკავთ? ერთი წუთით, არ
დაკიდოთ, ახლავე საყოფაცხოვრებო მომსახურების
განყოფილებასთან დაგაკავშირებთ. (ყურმილს ხელს
აფარებს) ჰაფიზე ხანუმ! ჰაფიზე ხანუმ!

ჰაფიზე: რა მოხდა?

დერვიში: მოდი ერთი, მგონი ხელზე მოსამსახურე უნდათ.

ჰაფიზე (მოდის, თან ხელებს წინსაფარზე იმშრალებს): გისმენთ,
ხო... ხო. ვახ, ძალიან მნელი საქმეა. დღეს ბირჟაზე
ხუთას ლირად ტილიან გომბიოსაც ვერ იშოვთ. რა?
ხო... ოქვენ დღიური მუშები გდომიათ. ეგ სხვა (დერვიშს)
შეგშლია, კაცო.

დერვიში (ყურმილს ართმევს): ალო! ბოდიში, ერთი წუთით, არ
დაკიდოთ! ახლავე დაგაკავშირებთ იმ სამსახურთან,
რომელიც დღიურ მუშებს ანაწილებს. (გასძახებს) ნიაზი!
ნური: ნიაზი, ტელეფონთან გებახიან!

დერვიში (ყურმილში): ეს კაცი ხომ სულ ლოცვაშია, თავს არა
სწევს.

ნიაზი: მოვედი. (ყურმილში) გისმენთ, ბატონო! ვერა, ვერ იშოვთ.
ახლა გერმანიის ბირჟისათვის ვმუშაობთ. იპია ონარანს
ორასი კაცი მივეცით. ამჟამად ხელთ ცხრა-ათი კაცის
მეტი არა გვყავს. თუ გამოჩნდებიან, შეგატყობინებთ. აი,
კალამს ვაძლევ და მისამართი ჩააწერინეთ!

თემელი: განა მოგასვენებენ! (თავს ანებებს ბანქოს თამაშს,
ყურმილს იღებს და მისამართს იწერს).

ამასობაში მოსამსახურე გოგოს სურათები მზად არის.
დერვიში იღებს მათ და ქალს აძლევს. გოგო ქალს აღის მავიდაზე
მიუთითებს. ქალი აღის მავიდასთან მივა.

ქალი: ბატონი სერმეთ ფაშას და ძალიან კმაყოფილია თქვენი¹
გაგზავნილი მოსამსახურისა. იმან მომასწავლა. ღმერთმა

ქნას, ჩემთვისაც კარგი შეგერჩიოთ!

ალი: დარღი ნუ გაქვთ, დეიდა. ჩემი გოგოები სააღდგომო პვერ-
 ცხებივით არიან დარჩეულები. (გოგოს ხელს ძოუსკამს)
 გვერდით მაგიდასთან მიბრძანდით, რეგისტრაციაში გა-
 ტარდით და ნომერი აიღეთ.

დერვიში, თემელი, ნიაზი მაგიდას მიუსხდებიან. პიდაიეთი
 ჩაის ჩამოარიგებს.

ნიაზი (გაწაფული ხელით ჩამოართმევს ქაღალდს, გადაშლის
 დიდ დავთარს, რაღაცას ჩაინიშნავს, ქაღალდს მაგრად
 დაარტყამს ბეჭედს და ქაღალდს დაუბრუნებს): ინებეთ, გვერ-
 დით მაგიდასთან მიბრძანდით, ხელშეკრულება გააფორმეთ!
ქალი: რამდენი ამბავი სჭირვებია (თავის ძოსამსახურესთან ერთად
 გვერდით მაგიდისაკენ გადაინაცვლებს, დერვიშს ქაღალდებს
 გაუწვდის).

დერვიში (სათვალის ზემოდან დასჩერებია ქაღალდებს): ფორ-
 მულარებია? კარგი. ცნობა ექვს ცალად, ესეც არის. (იღებს
 ქაღალდებს, საქაღალდები დებს, ქაღალდს რაღაც ქაღალდს
 მიაწვდის) თუ შეიძლება, პირობას ხელი მოაწერეთ.

ქალი: მომეცით (კითხულობს): "ჩვენ მიერ შეთანხმებულ ფასთან
 დაკავშირებით ვიძლევი პატიოსან სიტყვას, რომ არ შევცვლი,
 ვინც პირობაზე გადავა, ღმერთმა ათასი უბედურება მოუ-
 ვლინოს". ეს რანაირი საბუთია? წყევლა-კრულვა რაღაა?

დერვიში: ქალბატონო, აქ ხელი მოაწერეთ. (ქალი ხელს აწერს.
 დერვიში მაშინვე ბეჭედს დაარტყამს და ქაღალდს უკან
 უბრუნებს) იმ მაგიდასთან მიბრძანდით.

ქალი: აღარ გათავდა?

ნიაზი: გადასახადი რეგისტრაციისათვის, დახმარების ფონდის
 ფული, საპაიო, შუამავლის გასამრჯელო...

ქალი: მეწვრილმანე რაზიეს აკი მივეცი ბეი?

ნიაზი: ის შუამავლის ფული იყო. ახლა მომეცით ორმოც-
 დათვრამეტი ლირა და ორნახევარს დაგიბრუნებთ.

ქალი: აჰა, აიღე!

ნიაზი (ფულს იღებს და ქაღალდზე მაგრად არტყამს ბეჭედს):

კუთხი თქმინი ნიშანი

გვერდით მაგიდასთან მიბრძანდით და ქვითარი მიიღეთ.

თემელი (მის მაგიდასთან მისულ ქალსა და გოგოს ყველა საბუთს ჩამოართმევს): ნოტარიუსის მიერ დამოწმებული ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან. კარგია, ნებართვა კარგია! ოჭ, არა, ეს არ წავა. სამედიცინო დასკვნა ორ ეგზემპლარად უნდა იყოს.

ქალი: ეს უკვე მეტისმეტია!

თემელი: წესია, ქალბატონო, პასუხსაგები საქმეა.

პიდაიეთი (ქალს ყურში ჩასჩურჩულებს): დეიდა, მანქანა ცოტათი გაზეთე (თან თითებს ერთმანეთზე გაუსვამს, ანიშნებს, ფული მიეციო).

ქალი (ჩანთას ხსნის): ღმერთმა დაგწყვევლოთ!

დერვიში: აკი წყველა არ იყოსო?

ქალი ჩანთიდან ფულს იღებს და მაგიდაზე დებს.

პიდაიეთი: ეგრე არა, საბუთებს შორის ჩადეთ, დეიდა. ყველაფერს თავისი წესი აქვს.

ქალი ფულს ქაღალდებს შორის ჩადებს.

თემელი: აი, ასე. (ფულს ღებს) ცნობა საცხოვრებელი აღიღილდან, ნებართვა, ჯანმრთელობის შესახებ ცნობის პირველი და მეორე პირი. (ფულს ჯიბეში ჩაიდებს, ნებართვის ქაღალდს ბეჭედს დაუსვამს და ქალს დაუბრუნებს) ინებეთ, მშვიდობაში.

ქალს გოგო მიჰყავს. პიდაიეთი თემელს წილსა სოხუმს.

თემელი აძლევს. პიდაიეთი თამაშ-თამაშით გადის.

აღი (თამაშს თავს ანებებს): თამაში ასე უნდა!

მუსიკის თანხლებით შემოდის პოლიტიკოსი. თემელი შეეგებება.

პოლიტიკოსი: ბატონი აღის ნახვა მინდა.

თემელი: მე, თქვენი მონა-მორჩილი, აღის თვითისი ხელმძღვანელი გახლავართ. ცოტა მოითმინეთ (ყავახანაში შედის).

პოლიტიკოსი: მე, ქვეყლიზადემ, თვალი ავახილე და

განველე პოლიტიკის უღრანი ტკირი.

რაც თავი მახსოვს, ვარ

"ერთიანობისა და პროგრესის"

პარტიის წევრი.

ბედს დამიხედე — ომი ბალკანეთის, ომი მსოფლიო...

დამარცხებისა და სირცხვილის სიმწარე ბევრი.

1918 წელი. ოკუპაცია, მონდროსი, სერვი.

უკანასკნელი ფადიშაჲი ვაჲიდედინი.

იმისი სიძე ფრანგი დესპანის სანდო კაცია.

თქვენ მონა-მორჩილს ცოლ-შვილის ბედმა

მათთან შეძრომა გამაბედვინა.

1919 წელი. დილა მაისის.

შორს, პორიზონტზე ცხელი ქარია.

არზრუმის კონგრესი, პაქტი ეროვნული და საქარია.

შეტევა, შეტევა! მიზანი — ხმელთაშუა ზღვა!

არჩევნები წინასწარი, არჩევნები საბოლოო

და გარანტია — თქვენი მონა-მორჩილი

იზმირის რვაგზის დეპუტატია.

რკინიგზებით დასერილია სამშობლო ჩემი.

ფაბრიკა-ქარხნებს ნუ იტყვი ახლა!

და ამაში ჩემი პრიადი წვლილიც გახლავთ!

1945. მოხსენებითი ბარათი მეჯლის:

ოპოცია!

მომეცით ხელი! მე გახლავართ პარტია ახალი!

ძველს, მითხარი, რა თავში იხლი?

ალბათ, იყითხავთ: რატომაო?

თავი ვერ გაართვეს, ჩემო ბატონო!

ერთ დილას რადიოს გადმოუცია:

"შეიარაღებული ძალები, რევოლუცია!"

დახანება არ შეიძლება!

უნდა შეასხა ქებათა-ქება.

კონსტიტუცია? — იყოს ნება თქვენი.

გაუმარჯოს კონსტიტუციას!

დამფუძნებელი კრება?

იყოს თქვენი ნება!

გაუმარჯოს დამუშავებელ კრებას!

გუშინ ერთი გვწამდა,

დღეს ჩვენს დროშაზე სულ სხვა ხატია.

თქვენი მონა-მორჩილი

მაინც დეპუტატია.

ეს უთქვამს დარვინს:

"ადამიანის წინაპარი მაიმუნია!"

არ დაიჯერო, მონაგონია.

ადამიანი ჯიშია კატის.

საიდან სადაო? არ არის სადავო.

ვის გინახავთ და სადა,

ზურგზე დაცემული კატა?!

თემელი: მობრძანდით!

პოლიტიკოსი მუსიკის თანხლებით დადის და დერვიშს, თემელს, ნიაზის, ჰაფიზეს, ჰიდაიეთს ხელს ართმევს.

ალი: ბატონო, მორჩი ხელის ჩამორთმევა! მოდი, გულახდილად ვილაპარაკოთ.

პოლიტიკოსი: ჰაი, ჰაი, ვილაპარაკოთ!

ალი: დაბრძანდით, გთხოვთ!

პოლიტიკოსი: არავითარ შემთხვევაში! ჯერ თქვენ დაბრძანდით!

ალი: დაბრძანდით, გთხოვთ!

პოლიტიკოსი: უმორჩილესად გთხოვთ!..

ალი (უყვირის): დაჯე, ადამიანი!

პოლიტიკოსი: დიახ, დიახ... (ჯდება).

ალი: საყოველთაო არჩევნები კარს მოგვადგა.

პოლიტიკოსი: უი, მართლა? არც კი გამხსენებია.

ალი: შენ ახლა ჩვენი ხმები გჭირდება.

პოლიტიკოსი: რას ბრძანებთ, გეთაყვა, ვინმემ ახსენა ხმები? აი, თურმე რა გიფიქრიათ! მე კი თქვენი ამბის საკითხავად გამოვიარე.

ალი: ოთხ წელიწადში ერთხელ რომ კითხულობ ჩვენს ამბავს, როგორ გავიგოთ?

პოლიტიკოსი: ძალიან ვწუხვარ. მე სამშობლოსათვის...

ალი: გასაგებია, გასაგები... ხმები გინდა.

პოლიტიკოსი: დიახაც მინდა. მერე რა მოხდა?

ალი: ჩვენი უბანი ხმას მოგცემთ, მაგრამ სამაგიეროსაც გამოელის.

პოლიტიკოსი: ქოხმახების დანგრევის დადგენილება ხომ უკან წავაღებინეთ?

ალი: აარა, ეგრე არ გამოვა! წინ არჩევნებია და იმიტომ წაიღეს.

ჩვენ უფრო ნაღდი გარანტია გვჭირდება.

პოლიტიკოსი: რა გარანტია? რაც შეგვიძლია...

ალი: ამ ხვლიკის ხვრელში გზა ჩვენით გავიყვანეთ, ჭერიც ჩვენით გადავიზურეთ. თქვენთვის არაფერი გვითხოვთ. ახლა კომფორტი გვინდა, ბაბა.

პოლიტიკოსი: რა კომფორტი?

ალი: სინათლე, წყალი, გაზი.

პოლიტიკოსი: მთავრობაში თუ დავრჩით, გაგიკეთებთ.

ალი: ეე... მეორე პარტიაც მაგას ამბობს – მთავრობაში თუ მოვედით, გაგიკეთებთ.

პოლიტიკოსი: იმათ რა ყურს უგდებ, ჩვენ დაგვიჯერე.

ალი: მე რომ დაგიჯერო, ჩვენები დაგიჯერებენ?

თემელი გადის.

პოლიტიკოსი: რატომ არ დამიჯერებენ?

ალი: იტყვიან, ოთხი წელია, სათავეში არიან და არაფერი გაგვიკეთეს, რაღა ახლა გაგვიკეთებენ. იმასაც იტყვიან, ახლა სხვები ვნახოთ, იქნებ, უკეთესი ფეხი აქვთ.

პოლიტიკოსი: დავლუპულვართ და ეგ არის! გვიშველე, ალი ბატონო! შენს სიტყვას ფასი აქვს, მხოლოდ შენ გიჯერებენ.

ალი: აკი ვცდილობ კიდეც, მაგრამ აშკარადაც არ შეიძლება. ნახე, იმ პარტიამ გუშინწინ ფქვილი დაარიგა. (სიგარეტი დაფერფელა, ნურიმ საფერფლე მაწოდა).

პოლიტიკოსი: ჩვენც ხომ დავარიგეთ ნავთი?

ალი: დაარიგეთ და ძალიანაც დააშავეთ. თქვენი მოწინააღმდეგე პარტია ღატაკია. ან ფქვილს დაარიგებს, ან – ჭირს. თქვენ კი მმართველი პარტია ხართ, მეტად უნდა

გაისარჯოთ.

თემელი (შემოდის): მეორე პარტიის რწმუნებული მოსულა, აბი! პოლიტიკოსი: ვაი, უნამუსოები! (ალის) ფეხებს დაგიკოცნი, ბატონო, ოთხი დღის ვადა მომეცი. მანამდე არავის არაფერს შექპირდე. (ფათაფუთით გამოწერს ჩეკს): ახლა ეს ჩეკი აიღე. დანარჩენი მერე იყოს.

ალი: ჯერ ორივე მხარის პირობები უნდა გავიგო და ისე ვიმოქმედო.

პოლიტიკოსი გადის.

ალი: სად არის მეორე პარტიის კაცი?

ნური: არავინაც არ არის. აუქციონი მოვაწყეთ.

დერვიში, თემელი, ალი პოლიტიკოსის მიცემულ ჩეკს ათვალიერებენ, ანგარიშობენ.

ალი: თვრამეტი ათასი და კიდევ ოცდაცხრა ათასი რამდენი იქნება?

დერვიში: თორმეტი ათასი და კიდევ ოცი ათასი...

ჰაფიზე (შემოდის): ფულს ითვლით? მეც დავითვლი. (მიწაზე მოირთხამს და თვლას იწყებს): ოთხმოცი, ოთხმოცი, ასოთხმოცი, ორმოციც... ათიც სულელი მემედისაგან – ესეც შენი ასოთხმოცდაორმოცი და ათი.

თემელი: ყველას თავისი აქვს ანგარიში:

ყველა დოცენტი ეძებს კათედრას,

ყველა უფროსი პრემიას ელის.

ქორო: ყველას თავისი აქვს ანგარიში (სამჯერ).

შერეფი: რამდენია თერთმეტი და ოცდაორი?

ერთი ნული, ათი ნული

და კიდევ ნულს მივუმატოთ ერთი ნული.

შენახული რამდენი მაქვს?

ქორო: არაფერი, შერეფ აბლა, არაფერი.

შერეფი: ზოგი ანგარიშია – მადას გაგიხსნის, ზოგი – ძილს დაგიკარგავს.

ქორო: ყველას თავისი აქვს ანგარიში (სამჯერ)!

დერვიში: მზარეულმა თუ აგწაპნათ ცოტა ბრინჯი

პოლიტიკი, და ვაჭარი გადასახადს გაექცა.
 სწორი უკავშირი თუ პატრონი თავის ლამაზ მდივანს ჰკოცნის, უცნეო
 პატრონი ურთი მითხარ, ქვეყანა ვის დაექცა? ქორო: ყველას თავისი აქვს ანგარიში (სამჯერ)! შერეფი: ჯამი გამოიყვანე, გამოაკელი,
 გინდა, გაყავი, გინდა გაამრავლე. მანქანით შეამოწმე, თითებზე დაითვალე...
 ნული და ნული...

რამდენი მაქვს შენახული? ქორო: არაფერი შერეფ აბლა, არაფერი...
 შერეფი: ქვეყნის განვითარება, გარედან დახმარება, შემწეობის ფონდი, უცხოური სესხი,
 საპარო ბაზები, მათი შტაბ-ბინები, ცალკე კერძო სექტორი და მისი კაპიტალი.
 სახელმწიფოს ბიუჯეტი, მეგობრები, მტრები.
 აღმა: ეს ამდენი დიპლომატი, ქვეყნის მთავრობები...
 ყველას ფანქარი უჭირავს, ყველა ანგარიშობს, ყველა ითვლის, მაგრამ ყველა სათავისოდ ფიქრობს.
 ქორო: ყველას თავისი აქვს ანგარიში (სამჯერ). ნერის
 თემები გადის: თუ იტენიტოლისტობა იძნება ცენტ
 პოლიტიკით: რატონინის დამატება, მიზანი მარცხე
 აღმა: იტენიტობა, იმავარევის მარცხე უმუშობ უფლებაური
 გაგებების, რაღა მიზან ესახებოდა უფლებამოსილობა, ასდა სტატუსის მიზანები, ძირი მიზანი არა იყო : იმოქ
 პოლიტიკით: დამატებულება უტიცნდობის მიმოხილვა პოლიტიკ
 ბატონის შენ სიტყვას უამი აქან მოვალეობის დორის
 აღმა: აკი ცედილი დოლარი, ისტერ, თოლენისი ქავებ გვთავა და
 ნახე, იმ პარტიამ გუმინწილ დაქირი მიმოხილვის მიზანები
 დაუყრიცა, ნერისტოლის უმარტინის იმცილი : იმოქ
 ტელიკო ერთს სიმიმიკი დაუმარტინის იმცილი იგომ : იმცილი
 აღმა: დაარიგოთ და დაითხაც დასმავთ. ამამინისტრობა მოვალე
 პარტია! (ტელიკო). იმისა და ძირი იმისა მარცხე : იმოქ
 თქმის ფენის პარტია უძინაშაო და მოვალეობის მანიშვილი

მეორე მომავალი

შესავალი მუსიკა. ფარდა დაშვებულია. მოქმედება ფარდის წინ მიმდინარეობს.

ზილპა (ფარდას გადაწევს, თავს გამოყოფს): ვიდრე ანტრაქტზე იყავით გასულები და სიგარეტს ეწეოდით, აյ რა ამბები დატრიალდა! რა ამბები! ორთვენახევარია იქია ონარანის სახლში ვმსახურობ. აქაურობა ზღაპრულ სასახლეს ჰგავს. (ფარდის უკან გაიხედავს) აი, დეკორაციის დაყენებას დაამთავრებენ და თქვენი თვალით ნახავთ.

დერგიში (მარჯვნიდან შემოდის სცენაზე, ფარდის წინ გაივლის ზილპას ხელს ჰკრავს, შიგნით შეაგდებს და მაყურებელს მიმართავს): დიდად პატივცემულო, ღირსეულო საზოგადოებავ! იმედი მაქვს, გახსოვთ, რაც წელან გიამბეთ. ცოტაც და, დეკორაციის აგება დასრულდება. მოდით, მოკლედ გავიხსნოთ, რაც მოხდა.

მარჯვნიდან და მარცხნიდან შემოდიან მსახიობები. თითო წინადაღებას იტყვიან და გადიან.

შერეფი: ნული და ნული... რამდენი მაქვს შენახული?

ქორო: არაფერი, შერეფ აბლა, არაფერი.

ნური: როცა შენ წინ ურჯულოა, შენც ურწმუნო განდები!

ალი: ამ ქვეყანაზე ერთხელ მოვსეულვარ. დედის რძე არმად მექცეს, თუ ისე წავიდე. ექვსიოდე პარაზიტის სული არ გავისტუმრო ჯოჯოხეთში.

ზილპა: მე დამთხვეულ ზილპას მეძახიან. პირველი შემჩვედრის საყვარელი გავხდები და შენ კი არ გამოგყვები. ჩაიბეჭდე მაგ გოგრაში!

პროფესორი: პირობითი რეფლექსი, პირობითი რეფლექსი... პავლოვის ძალლი... წამოდი, ჩემო გოგო, სწორედ შენ მჭირდები.

დერგიში: საკმარისია. აქედან გავაგრძელოთ.

ზილპა: ჩვენთან - უძრავს, სამართლის წარმომადგენერალის ასე ილურა: ა, სწორებული იყენებს და გადასახლებას და გადასახლებას.

და გაუკრძალეთ ს თრათი

პროექცია: ამას დამთხვეულ ზიღლპას ეძახიან. უმჭველად შერს იძებს. ცივილიზაციის ოცდათი გაკვეთილი.

ზიღლპა: რას ვამბობდი? ჰო, ჩემ საყვარელ ბატონზე გუებნებოდით. ინციდენტი ამ სახლში ხელზე მოსამსახურედ მომიყვანეს. ხან ბავშვს ვასეირნებ. ხან – შამამას. შამამა პატარა ფინიაა. სულ ეს ძველი ჩემი საქმე. რა ყოფილა, ხალხო, ეს ცივილიზაცია?! ძალი ადრე ფეხებს თვიდან თვემდე არ ვიბანდი. თუ ვიბანდი, წინდებს არც კი ვიხდიდი. ფეხი და წინდა ერთად გაირეცხება-მეტქი. ახლა ყოველ ცისმარე დღეს აბაზანაში ვწევარ. თურმე ყოველდღე დაბანით როგორ რბილდება კანი?! შერეულ აბლას ფეხსალაგში ისე ვიყავი შეჩვეული ამიაკის სუსს, აქ სუფთა ჰაერმა კიდევაც დამცადა. (მაგიდასთან მიღის. სურათს იღებს. მაყურებელს უჩვენებს) ფილიზის მამაა. ბულენთ ბეი. საწყალი, სნეულია. ცოლი გაპქცევია. სანთელივით ჩამქრალა კაცი. იპია ბეიმ აა არ იღონა, რა ფული შეაჭამა თურმე ექიმებს – არაფერი ეშველა. ამბობენ, მელანქოლიააო. ჩემს მტერს! ხანდახან ცხვარივით დადგება და მომაშტერდება (პბაძავს). გული მეთუთქება. გახსოვთ. პირველ მოქმედებაში რომ სკლეროზიანი პროფესორი იყო? მოშარდვაც რომ ავიწყდებოდა! გიუების ექიმი ყოფილა! ბულენთ ბეის მკურნალობს და წამდაუწუბ აქ არის. ჩემი ჩაცმა-დახურვის საქმეშიც ერვა: თმები ასე დაივარცხნეო, თვალები ასე დაიხატეო. გიუია, ოხერი! იპია ბეი დარბაისელი კაცია. რა ჩემი საქმეა, საიდანა აქვს ამდენი ფული. შევლივით კუყვარვარ. ჩვენი ოჯახის მფარველი ანგელოზი ხარო, – მეუბნება. ბენიერება მომიტანია! ზოგჯერ მიჩქმეტს, მაგრამ უმაგისობაც არ იქნება! მადამ ოლგას უთხრა, ადგომ-დაჯდომა, სიტყვა-პასუხი ასწავლე. ვინ იცის, იქნებ ბედი გამოუჩნდეს და გავათხოვთ, მადლიაო. ქვეყანაზე კეთილი ადამიანები არ გამოლეულან. (კარზე კაუჭნებენ). ალბათ, მაღამია. შენა ხარ, მაღამ? მობრძანდი!

ოლგა: გუშინ რომ გაკვეთილი მოგეცი, ისწავლე?

ზიღვა: (უკრიდან რვეულს ამოიღებს): ვისწავლე, მადამ.

ოღგა: წაიკითხე.

ზიღვა: შენ წაიკითხე, შენ კარგად კითხულობ!

ოღგა: ცივილიზაცია არც ქარხნებია,

არც ატომგულის აფეთქება.

ცივილიზაცია ეტიკეტის ცოდნა და
მისი მოხმარებაა.

თუ გინდა, ცხვირი გამოიჩიჩქნე,

ოღონდ კოჭჭიად და მოხდენილად.

ზურგის მოვხანაც დაიმშვენე

კარგი სტილითა და მანერებით.

მოხდენილად გამოდებული კვანტი

სულაც არ არის კვანტი!

შნოიანად ჩადენილი მრუშობა

სულაც არ არის მრუშობა!

ყველა ადამიანი ერთი ძაფით არის ნაქსოვი.

სტილია ოდნავ განსხვავებული.

კარგი მანერებით, თავაზიანად

კაცი მოკალი. გეპატიება...

ცივილიზაცია არც ქარხნებია,

არც ატომგულის აფეთქება.

ცივილიზაცია ეტიკეტის ცოდნა და

მისი მოხმარებაა!

ჩვენთან ვისკის სვამენ, შვილო. White Lady, Black Horse თუ
ესენი არ არის – "მარტინის", "კორდონ ბლოს", "ბორდოს".

ზიღვა: ჩვენში არაყს ხუხავენ, მადამ! ზოგი "იმამის წყალს"
ეძახის, ზოგი – "ანზაროთს". თუ არაყი არ ეწებათ, სპირტზედაც
არ ამბობენ უარს.

ოღგა: თქვენში იპოდრომზე დოლი იმართება?

ზიღვა: არა, მადამ, ჩვენთან ტილების დოლი იმართება იქ, ზეინალის
სარდაფში.

ოღგა: ჩვენთან ბრიჯეს, ქასანთას, ბეზიქს თამაშობენ.

ზიღვა: ჩვენთან – ყომარს, სამოცდაექვსს.

ოღგა: აი, სწორედ ეს არის განსხვავებული სტილი. ახლა დღევანდელ

გაქვეთილზე გადავიდეთ. თქვენი ქალები როგორ სხედან? აბა, დაჯექი!

ზილჰა: მოირთხამს, ფეხის თითებზე ხელს წაიკლებს და აქეთ-იქით ქანაობს.

ოლგა: შენ კი არ ზიხარ, აქლემივითა ხარ დაჩოქილი. გრაცის ნატამალი არ გაგაჩინა!

ზილჲა: ნუ იღანძლები! ვითომ რაო? თქვენში სხვანაირად სხედან?

ოლგა: წესი არ არის, ქალმა დაჯდომისას ფეხი ცოტათი გამოაჩინს.

ზილჲა: კარგი, ერთი!

ოლგა: არც ისე ძალიან უნდა გამოაჩინო! თუ სულ არ გამოგიჩნდა, იტყვიან, გომიძაო. ძალიან აიწევ კაბას და – სტრიპტიზიაო. ასე, საშუალოდ, კალთა გადაგეწევა (აიწევს კალთას. მუხლებს გამოიჩენს). მოხდენილად ჩამოიწევ. აგეწევა, ჩამოიწევ. ისე, რომ ყურადღება მიიჰყორ.

ზილჲა: ამეწევა – ჩამოვიწევ. ამეწევა – ჩამოვიწევ.

ზილჲა: თავისითვის ვარჯიშობს, უხარია.

ოლგა: თქვენში ტელეფონით როგორ ლაპარაკობენ?

ზილჲა: როგორ და – ავიღებთ ყურმილს: ალო! შენა ხარ? ვინ გინდა?

ოლგა: სირცე ვიღია, სირცე ვიღი! როგორ შეიძლება?! (მივა, ყურმილს აიღებს. ნაზად უჭირავს, სამი თითით, ნეკა თითი აწეული აქვს, ჯდება, ფეხს ფეხზე გადაიდებს) ალოოო! დიახ, ბატონო, იპია ონარანის ვილა გახლავთ! (ზილჲას) გაიგე? ხმადაბლა უნდა იღაპარაკო, ინტიმური ხმით, როგორც იტყვიან – "საწოლი ოთახის ხმით". ისე უნდა იღაპარაკო, თითქოს, ვისაც ელაპარაკები, აქვე, ცხვირწინა გყავს.

ზილჲა: ღმერთო! მადამ, ვთქვაო, ეგრე ვილაპარაკე, მერე რა? ეგრე რომ ზიხარ, ტელეფონში დაგინახავენ?

ოლგა: თუ ასე არ დაჯექი, იმ ხმაზე ვერ იღაპარაკებ!

ზილჲა: შენ გაქრი! ღმერთმა გაკვნესოს! (ისე დაარტყამს ზურგზე ხელს, რომ ოლგა დაბარბაცდება).

ოლგა: კარგად აღზრდილი ქალი ხელებს არ იქნებს. შენ არასოდეს გიფლირტავია? ანუ – არ გყვარებია?

ზილჲა: მერე შენ რა? (დაიმორცხვებს, დათვივით დაიღებს შუბლზე

ხელს, მიბრუნდება, ოლგას ზურგს შეაქცევს).

ოლგა: (მიუახლოვდება): ვირჟინი ხარ?

ზილჭა: რაო?

ოლგა: "რაო" რა სიტყვა?! უნდა თქვა: "რა ბრძანეთ?" ქალი ხარ თუ გოგო-მეთქი. გეგითხები.

ზილჭა: რა შენი საქმეა? რაცა ვარ, ისე ვარ. ქალიშვილი ვარ. მერე რა ვინდა?

ოლგა: უგრეც რომ იყოს, საზოგადოებაში არ გაამხილო, შვილო, სირცხვილია! ადამი ვინ გამოაგდებინა სამოთხილან?

ზილჭა: აბა, ადამი?

ოლგა: ევამ. უფრო სწორად – ჰავვამ. ადამისათვის სურვილი რომ შეესრულებინა, რა პირობა დაუდო?

ზილჭა: მე რა ვიცი!

ოლგა: უთხრა, თუ სამოთხეს გირჩევნივარ, ვამლი მომიწყვიტეო. იმ დღიდან ასეთი წესი დამკვიდრდა: ყველა ქალი იმ საქმის წინ კაცს პირობას უდებს.

ზილჭა: ესე იგი, ფულსა სთხოვს?

ოლგა: იცოდე, ჩემო გოგონა, ზოგი ქალია, კაცს ზეწარივით ეფინება. თავისი ფასი არ იცის. ზოგი ოქროზე იყოდება, თანაც აუქციონს აწყობს. ვინც მეტს გადაიხდის, იმას დარჩება.

ტელეფონი რეკავს.

ოლგა: აიღე, ვნახოთ, რა ისწავლე!

ზილჭა (ყურძილს ოლგასავით იჭერს, მეორე ხელით დოინჯს შეძოიყრის, ნამდინარევი ხმით): ალოო, ვინ ბრძანდებით?

ალის ხმა: შენი სულთამხუთავი!

ზილჭა (ოლგას): მოდი და ამ მხეცს ნაზად ელაპარაკე!

ალის ხმა: ეი, ზილჭა! ხომ იცი, ყველგანა მყვანან ამბის მომტანები?! თურმე მაგ სახლში ზედმეტად გეთომარებიან! იცოდე, ფრთხილად იყავი!

ზილჭა (უყვირის): რა გაღრიალებს, ბიჭო, ტელეფონს გახტოქავ! საწოლი ოთახის ხმით იღაპარაკე, შე დათვო, დათვის შვილო.

ალის ხმა: რაო? საწოლი ოთახიო? დღისით, მზისით საწოლ ოთახში რა დაგრჩნია?!

ზილჭა: რა შენი საქმეა? (მედიდურად) ვისვენებ.

ალის ხმა: მარტო ხარ?

ზილჭა: მოდების უურნალს ვათვალიერებ.

ალის ხმა: ის ბულენთ ბეი რა ჩიტია? იმისი ჩრდილი შენსას რომ
დაეცეს, ქეშანელი ალი არ ვიყო, თუ საგარეო საქმეთა
სამინისტროს წინ არ დავნაყო!

ზილჭა (კმაყოფილი ოლგას): გაიგე? ეჭვიანობს. (ყურძილში)
იტრაბახე, იტრაბახე, ბუქი დააყენე!

ალის ხმა: ვიტრაბახებ თუ რას ვიზამ, მაგასაც ნახავ!

ზილჭა: გეფოვა! ახლა წადი! კარგად იყავი! (ყურძილს დადგეს.
ოლგას) ყურადღებას ნუ მიაქცევ, მადამ. (არვასთან მივა)
ეს რანაირი საზია?

ოლგა: მაგას არვა ჰქვია. ძალიან ნატიფი ინსტრუმენტია.

ზილჭა: ვინ უკრავს?

ოლგა: ნავარე ხანუმი უკრავდა. ბულენთ ბეის მეუღლე.

ზილჭა: ლამაზი იყო?

ოლგა: ძალიან.

ზილჭა: სურათი რატომ არ არის?

ოლგა: არ ვიცი. არ არის კია. ბევრ შეკითხვას იძლევი. Kuriozite!
არ ვარგა.

შემოდის პროფესორი. ხელში ჰაკეტი უჭირავს.

პროფესორი: Bonjour madam. გამარჯვობა, ჩემო გოგონა! დამავიწყდა,
რისთვის მოვედი?

ოლგა ჰაკეტზე მიუთითებს.

პროფესორი: დიახ, დიახ. საოცარია, როგორ მიხვდით?

ჰაკეტს გახსნის, ვრძელ მუნდშტუკსა და შავ ხელთათმანებს
აძლილებს. მიმართავს ზილჭას.

პროფესორი: ჩემო გოგონა, აბა, ესენი ნახე!

ზილჭა (გახარებული): მე? (ხელთათმანებს იცვამს) მადლობელი
ვარ (პროფესორი მუნდშტუკში სიგარეტს დებს და უკიდებს)
მე რომ არ ვეწვი? ფუჭ, ღმერთმა დასწყევლოს!

პროფესორი (არვა მოაქვს): მოდი, ამასთან დაჯერები და თვალები
მიბნიდე!

ზილჭა (ხელზე დაარტყამს): წადი, საქმე ნახე! (მუნდშტუკს მოისვრის,
ხელთათმანებს იხდის) მავ ჭაღარისა მაინც შეგრცხვეს!

1. ცნობისმოყვარეობა (ფრ.).

ოლგა: ცუდად გაიგე. Malantandy¹.

ზილჰა: გეონია, ვერა ვხვდები, რა უნდა? იმ დღესაც აბრეშუმის ხალათი მომიტანა. ეი, ყეყერი, შენი ნაცხობი გოგობი არ გვინო! უნიშნობოდ და უქორწილოდ თითისაც არ დაგაკარებინებ!

პროფესორი: ჩემი გოგონი, მაგას სულაც არ ვაპირებ.

ზილჲა: მაშინ თითები გაიღოვა!

პროფესორი (მუნდშტუკს იღებს, ზილჲას აძლევს, ხელთათმანებსაც აცმვს): შენი გალამაზება მინდა, სხესასაც რომ მოეწონო.

ზილჲა: ეს კაცი გიუბის ექიმი კი არა, მაჭანკალი ყოფილა.

პროფესორი: სწორედ ეგრეა. წელან რა ლამაზად გქონდა თმა შებღოზე ჩამოყრილი (თმას უსწორებს). უფრო თბილად უნდა გამოიხდო.

ზილჲა: სურათს ვიღებ რო?

ოლგა ზილჲას ხელს ლამაზად დააჭერინებს, ნეკა თითს აწევინებს.

პროფესორი: დაას, შეგვიძლია, გაუცნობიერებელი, პარობითი რეფლექსი ვუწო-დოთ. პავლოვის ძაღლი... (კარისაკენ გასძახებს): შეგიძლიათ მობრძანდეთ!

ბულენთი (შემოდის. აღელვებულია. გაკვირვებული მისჩერებია ზილჲას): შენ აქა ხარ? (ვონებას კარგავს, ეცემა).

ზილჲა: ოპლაა! ისევ ზღართანი მოადინა! მაღამ, ამას ბნედა სჭირს?

პროფესორი: Nouz avons réussi.²

ოლგა: Mes gratulations docteur.³

ზილჲა: კაცს გული წაუვიდა, ესენი ერთმანეთს ულოცავენ. მაღამ, მოღი, მოვასულიეროთ!

პროფესორი: ხელი არ ახლოთ, ხელი არ ახლოთ! გაბრძანდით!

ბულენთის გვერდით ჩაიჩიქებს, ამათ ანიშნებს, წადითო. ოლგა ზილჲას ხელს მოჰკიდებს და გაჰყავს. ზილჲა უკან-უკან იხედება, აინტერესებს, რა ხდება. პროფესორი დაიხრება და ბულენთს შთამავონებელი ხმით ელაპარაკება.

პროფესორი: იგივე თმა, იგივე ტუჩები, იგივე თვალები. ეს ის არის. ბულენთ! არ ღირს ნევარეზე დარღი, მაგის შემცვლელიც ადვილად მოიძებნება!

1. ცუდად გამიგეთ (ფრ.).

2. ჩვენ შევძლით (ფრ.).

3. გილოცავთ, ექიმო (ფრ.).

მეცნიერებული სურათი

პროექტია: ტროას ომი ერთი ჭკუამხიარული ქაღის გამო ატეხილა. ელენე რემბერტია.

ვნახოთ: ერთმანეთს უპირისპირდებიან ქოხმახების ბელადი ქეშანელი ალი და მშენებლობის მეცნე იპია ონარანი.

დეკორაცია: წინა პლანზე ფანჯრის ოთხი ჩარჩო მოჩანს. ზიღვას შამამასათვის თასძა ჩაუბამს და მოჰყავს. ხელში ლამაზი ჩანთა უჭირავს. მუსიკის თანხლებით მანჭვა-გრეხით გადაჭრის სცენას. მარცხენა ჩარჩოში ლუთფიი ხანუმი გამოჩნდება.

ლუთფიი: ჰაფიზე ხანუმ! ჰაფიზე ხანუმ! გამოიხედე!

ჰაფიზე (გამოჩნდება მარჯვენა მეორე ჩარჩოში): რა მოხდა, გენაცვალე?

ლუთფიი: ახალი ამბავი გაიგე?

ჰაფიზე: რა ამბავი?

ლუთფიი: ზიღვა ამოსულა უბანში.

ჰაფიზე: შენი თვალითა ნახე?

ლუთფიი: მაშ, მაშ! რა მოსვლია, ნუ იკითხავ! თეძოების ქნევით დაბრძანდება.

ჰაფიზე: ქალაქში რას ვაკეთებო?

ლუთფიი: მასკოთი ვარო, — ამბობს. ნეტავ, მასკოთი რაღაა?

ჰაფიზე: რა უნდა იყოს? ქახპების მარაქაში გარეულა და ეგ არის.

ლუთფიი: ეგრეც ვიცოდი!

ჰაფიზე: ძუქნასაც ეგ უნდოდა.

ზიღვა ისევ ისე გაივლის სცენაზე.

ჰაფიზე: რაზიე ხანუმ! რაზიე ხანუმ!

რაზიე (მარჯვენა პრიველ ჩარჩოში გამოჩნდება): რა მოხდა, გენაცვალე?

ჰაფიზე: ახალი ამბავი გაიგე?

რაზიე: რა ამბავი?

ჰაფიზე: ზიღვა ამოსულა ქაღაქიდან!

რაზიე: შენი თვალით ნახე?

პაფიზე: ერთი განახა, რა მოსვლია. ნუ იკითხავ! ძუძუებს ჯამბაზივით ათამაშებს, კურტუმს დოლაბივით ატრიალებს!

რაზიე: ქალაქში რას ვაკეთებო?

პაფიზე: კოკეტკა ვარო.

რაზიე: მაგას რა ლაპარაკი უნდა? ნამდვილად იმის საყვარელია!

პაფიზე: ეგრეც უნდა მომშდარიყო.

ზილჰა კვლავ გადაჭრის სცენას.

რაზიე: რესმიე! გოგო, რესმიე!

რესმიე (გამოჩნდება მარცხენა მეორე ჩარჩოში): რა მოხდა, რეზიე ხანუმ?

რეზიე: ახალი ამბავი გაიგე?

რესმიე: რა ამბავი?

რაზიე: ზილჲა ამოსულა უბანში!

რესმიე: შენი თვალითა ნახე?

რაზიე: რა მოსვლია, ნუ იკითხავ! დაბახანის კახპაა. ერთი განახა, როგორ დააქნევს კურტუმს. აქაოდა, ნახეთ, რა ქონების პატრონი ვარო.

რესმიე: ქალაქში რას ვაკეთებო?

რაზიე: ბულენთ ბეის საყვარელი გამხდარა.

რესმიე: აბა, რა იქნებოდა! ეგ უბედური, ეგა!

რეზიე: მაგის ბოლოც ეგ იყო!

რესმიე: სალონის კახპა გამხდარა!

ლუთუიე, პაფიზე, რაზიე, რესმიე – ოთხივენი ჩანან ფანჯრის ჩარჩოებში.

ერთხმად: ნათქვამია – "კვიცი გვარზე ხტისო". დედამისიც მაგნაირი იყო. უარესიც მოუვა, ღმერთმანი, უარესი!

ჩარჩოები იკარგება. ქუჩა. ზილჲას შამამა მოჰყავს. ხელში ლამაზი ჩანთა უჭირავს.

ნიაზი: ღმერთო, დამიფარე!

თემელი: ქალი არ არის? მაგისმა წინაპარმა ადამი შეაცდინა!

დერვიში: ეტყობა, მძიმე ხელობა უკისრია. სახეზე შეხედეთ. ყველიერის მასხარასა ჰგავს.

ნური: ფარებიო... ბორბლებიო... ახალი მოდელის შევროლეო...

თემელი (ალის ძაღლი დაინახა): კარაბაშ! მოდი, მოდი! კაცო,
მიძიულ კუდი ვინ მოაჭრა?

ნური: ალი აბიმ არ მოაჭრევინა სამი თვის წინათ?!

თემელი: რას ერჩოდა?

ნური: ზილპას დანახვაზე კუდს აქიცინებდა, უხაროდა საწყალს.

თემელი: კაცო, ძაღლია, მაგან გაბუტვა რა იცის?!

დერვიში: ნახე, ნახე, ზილპამ რომ ძაღლი გაატარა, იმას მისდევს.

ზილპა თავისი ძაღლით შუა სცენაზე ჩერდება. უკრავს
ძუხივა.

ზილპა (შამამას ხელში აიყვანს. კარაბაშს უძღვერის):

გადი, გადი, დორბლიანო კარაბაშ!

სად შენა, სად შამამა!

აღარ გახსოვს? – ლოთი ხარ.

ამ პატრა ფინიის

ფრჩხილადაც კი არ დირხარ.

ვერა ხედავ? მოუსხამს

ძვირფასი ბეწვის ქურქი.

საგანგებოდ დავარცხნილს

უდის ვარდის სურნელი.

ბრიუსელში უყიდიათ...

ვიღაც ჰერცოგისაგან.

არაბული ცხენივით

ჯიშ-ჯილაგის საბუთები

კედელ უძინეს უცილულ

კედელზე უკიდიათ...

ნებიერია შამამა.

" – თხავებიამ : ფანძითორე

აწუხებს ცუდი მადა.

დღილით არაფერს მიირთმევს

რძიანი ბისკვიტის გარდა.

უზმოზე ფორთოხალსა ჭამს კაცისა და თაღებზ : იძინებ

სადილად — ცვრინ სუკებს. წმინდა მი იუს : იუცნებ

ვიტამინს ემაღება

და ცდილობს არ გასუქდეს...

გამოჩნდება ალი. ნურის ანიშნებს, აქ მოდიო. ...იძინებდე : იძინებ

ალი (ნურის): ეს მუსლიმთა უბანია. უთხარი, აახვიოს, მშვიდობიანად გაგვეცალოს.

ნური (ზილჰასთან მიირბენს): ჩემო დაო, ალი აბის ნერვები ცოტათი მოშლილი აქვს, ამბობს, სხვაგან ასეირნოს თავისი ძაღლიო.

ზილჰა: აქაურობა მაგისი მამული კი არ არის, სახელმწიფო ქუჩაა. ჩემს ძაღლს კიდევაც ვასეირნებ. კიდევაც ვაქნევინებ. ვერავინ დამიშლის. მიდი და ერთხელ კიდევ გადაეცი ჩემი სალამი.

ალი (ნურის, რომელიც ნირწამხდარი მიუახლოვდება): რაო?

ნური: ცოტა ხანში წავალ, დამშვიდდესო, — ამბობს.

ალი: ახლავე მოშორდეს აქაურობას! ბავშვებს ნუ რყვნის!

ნური (ზილჲასთან მიირბენს): დაო, მაგის მორთულობა უკვე ვნახეთ, ძალიან უხდება, მაგრამ ნოტიო ამინდია, არ გაცივდესო.

ზილჲა: რას მიქვია, "გაცივდესო". ლამის არის სიცხემ დამარტყას. თუ მომიარა, სულაც გავშიშვლდები და ისე ვიკლი.

ალი (ნურის): რაო, რა თქვა?

ნური: ისედაც მივდივარო. ნუ ნერვიულობ, აბი.

ალი: ეგრე არ გამოვა. (მივა ზილჲასთან) ერთი, აქეთ მოიხედე!

ზილჲა (მარჯვენა ხელის ნეკა თითო აწეული აქვს): რა ბრძანეთ?

ალი (გაბრაზებული): გაიარე-მეთქი, გთხარი, არ გესმის?

ზილჲა: ეს რა სიტყვა-პასუხია? რა უფლებით მელაპარაკებით შენობით? ჯერ ერთი, მე არ შემიძლია თქვენთან ლაპარაკი, მეორეც...

ალი: შენ, ეი, ჩემთან ასეთი ტყლარჭვა-გრეხა არ გაგივა! ახლავე ყბებს აგახევ!

ზილჲა (ხელის მოძრაობით ალის პირიდან გამოფრქვეული ნერწყვის შეფეხბს მოიშორებს): თქვენი ნერწყვი მომხვდა. სულ არ იცით, როგორ ელაპარაკოთ ქალს. თუ შეიძლება, ქუდი მოიხადეთ!

ალი (ჯიბრზე ქუდს ყურებაძღე ჩამოიფხატავს): რა გემის ალამივით აჭრელებულ-ხარ?!?

ზიღვა (კარაბაშს): გადი, ძაღლო!

ალი: მე მითხარი?

მიუბრუნდება დერვიშს, თემელს, ნიაზის, ნურის, ჰიდაიეთს მისჩერებია. ისინი, ვითომ არაფერი გაუგიათ, განზე იქვედებიან.

ზიღვა: არა, ძაღლს ვუთხარი. თქვენ რატომ მიიღეთ თქვენს თავზე? როგორ გეკადრებათ! აღზრდა ნებას არ მომცემს, ადამიანს ძაღლი ვუწოდო.

ალი (არ იცის, რა უპასუხოს): ამის სიფათს დამიხედეთ! ეს რაები ჩაგიჯაჯავს? სასახლის მასხარა ხარ?

ზიღვა (ტანის რხევით მივა ნურისთან): ნური ბეი, თქვენი მეგობარი შეუძლოდ ბრძანდება. რატომ ექიმთან არ მიგყავთ?

შეშინებული ნური ამხანაგებს ამოეფარება. ალი: შენ, ეი, მორჩი მაგ მაიმუნობას, თორემ ლავაშივით გაგაბრტყელებ!

ზიღვა: ნუ წუხდებით. ლავაშს არ გეახლებით. ჯერ აფარათივი არ მიმიღია.

ალი (ნურის, ჩუმად): აფარათივი რაღაა, კაცო?

ნური: ერთნაირი ფრანგული ყველია, აბი.

დერვიში: სირცხვილია, კაცო, აფარათივი ყველია?

ნური: მაშ რა არის?

დერვიში: ერთი ჯიშის თევზია, მაღალ საზოგადოებაში საუზმეზე მიირთმევენ.

ალი (ზიღვას): შენ, ეი, აფარათივი რა არის?

ზიღვა: რაც არის, ის არის. არ მინდა ლაპარაკი!

ალი: რა ვიცი, ძალიან კი გაიგრძელე ენა! დამაცა, გასაგებ ენაზე

დაგელაპარაკები! (სილას გააწნავს).

ზიღვა: თავიდან მომწყდი, დათვო!

ოთხივენი ერთხმად: ეგრე მოუხდება!

ალი: დედაენაზე ილაპარაკე!

ზიღვა (ლოფაზე ხელს ისვამს): წუმპეში ნაგდები პანტა ხარ!

ალი: წუმპეში ნაგდები მამაშენია, მე გოიმო!

ზიღვა: გოიმი დედაშენია, ბოზის შვილო!

ალი: ქუჩის კახპავ!

ზილჭა: ტილის ლეშო! ნაგვის ყუთო!

ალი: ნაბიჭვარო! ფეხსალაგის თაგვო!

ზილჭა: წყლიდან ამოსული ბაყაყივით ნუ მომჩერებიხარ, ვერ
შემაშინებ!

ალი: რა?

ზილჭა: "რა" კი არა — "ბატონო". მკითხავი ნასიბეს ქვეშაფსია
ბიჭო!

ალი: რა მალე დაგვიწყებია, კარდაკარ რომ დადიოდი ზეთის
სათხოვნელად.

ზილჭა: შენც დაგვიწყებია, ნაგვის ყუთში ნესვის ქერქს რომ
დაეძებდი (მაყურებელს მოუბრუნდება და ანიშნებს, ხომ
კარგად ვუთხარო).

ალი: წყალმა წაგილოს, შე უსირცხვილო, გროშის საღირალი
ნამუსი აღარ შეგრჩენა!

ზილჭა: შენ ჩავარდი, პარვში რომ აუზია. რა კარგი ხაშლამა
გამოვა! დათვო, დათვის შვილ!

ალი: გაგვლიჯავ და უმად შეგჭამ!

ზილჭა: ერთი, ამას დამიხედეთ! კიბორჩხალასავით განგან რომ
დადის.

ალი: იმ ჭიაყელა ბულენთ ბეის საყვარლად უზიხარ, კახპავ,
მეწვრილმანე რესმიერ თქვა...

ზილჭა: მე უქორწილოდ ხელს არავის დავაკარებინებ!

ალი: ელოდე, ვიდრე ცოლად შეგირთავდეს! სწორედ შერეფ
აბლას ფეხსალაგიდან ქალს წაიყვანს და ცოლად დაისვამს!
ეგ იმასა ჰგავს, ნაგვის მანქანით ვიზიტებზე იაროს!

ნური, თემელი, პიდაიეთი მოუბრუნდებიან მაყურებელს და
ანიშნებენ, ხომ კარგად უთხრაო.

ოთხივენი ერთხმად: ვნახოთ, რა მოხდება!

ზილჭა: გაჩუმდები თუ არა. ტუტუცო! (ალის მუშტებს დაუშენს).

ნური: ეგ რა ქენი, ზილჭა აბლა!

ზილჭა: შერეფ აბლა ამბობს: უსირცხვილოს რომ თავის ადგ-
ილს მიუჩენ, ისეთი მაღლია, თითქო ობლისათვის ტანთ

ჩაგეცმიოსო.

ალი: იმას თვალებში თეძაფს შევასხამ. შენ ასო-ასო აგჭუწავ
და თავსაც მოვიკლავ.

ზილჰა: ამჭუწე, თავიც მოიკალი, მაგრამ იმას ხელს ნუ ახლებ.
ერთი სნეული ბიჭია. ჩემი მიზეზით არაფერი ევნოს!
გამოჩნდებიან ბულენთი და მმღოლი.

ბულენთი: რა მოხდა, ჩემო ლამაზო, ვინ გაწყენინათ?

ზილჲა: არაფერია, ცოტა წავლაპარაკდით.

ბულენთი: წავიდეთ! გაწყენინეს, არა?

ზილჲა: ჯენტლმენი ისეთს არაფერს ჩაიდენს, მეწყინოს. ვინც
ჯენტლმენი არ არის, იმისი სიტყვა რა საწყენია. "ვირის
წიხლი რა საწყენია", ხომ გაგიგონიათ! (ხელკავით მიღიან.
ზილჲა მაყურებელს მოხედავს, ანიშნებს, ხომ კარგად
ვთქვიო).

ალი დაბნეულია. არ იცის, რა ქნას. რევოლვერზე წაივლებს
ხელს. ნური, დერვიში, ნიაზი, თემელი, პიდაიეთი წინ წამოვლენ
მის დასამშვიდებლად.

ალი: აქედან დამეკარგეთ!

ნური, ნიაზი, თემელი, პიდაიეთი, დერვიში გარბიან. მარტო
დარჩენილი ალი თავს ვეღარ იკავებს, მაგიდაზე დაემხობა და
ტირის.

ალი: ჰაი დედასა! ისევ მოუკალავ ქვაბში მომხარშა. (ცხვირსა
და ცრემლებს პერანგის სახელოთი იხოცავს. იმპოზანტურ
პოზაში დგება და იძანის): თემელ, დერვიშ, ნური, ნიაზი, აქ
მოდით!

ყველანი მორბიან. პიდაიეთიც მათთან არის. სმენაზე დგებიან.

ყველანი ერთხმად: გვიბრძანე, აბი!

ალი: თემელ!

თემელი: მიბრძანე, ჩემო ლომო!

ალი: ამ კაცს რის იმედი აქვს?

თემელი: რისა?

ალი: თავისი მკლავისა?

ყველანი. ერთხმად: რა სათქმელია!

ალი: გამოდის, თავისი ჯიბისა!

ყველანი: ეგრეა, მაშ! ეგ ხელის ჭუჭყი ყველა უბედურების
სათავეა.

ალი: დერვიშ!

დერვიში: მიბრძანე!

ალი: იმ წყეულ იპია ბეის იჯარის ვადა როდის უთავდება?

დერვიში: ალბათ, სექტემბრის ბოლოს.

ალი: გამიგე საბოლოო ვადა.

ნური: რა უნდა ქნა, აბი?

ალი: ერთი თვე რომ დარჩება, ჩემ მიცემულ მუშებს უკან
წამოვიყვან, საბოტაჟს მოვუწყობ.

დერვიში: კონტრაქტს ვეღარ შეასრულებს. ვადას გადააცილებს.
ყოველ გადაცილებულ დღეზე რვაათას ლირა ჯარიმას
გახეხავს და ჭკუას ისწავლის.

ნური (დერვიშის): მეორედ აღარ აიღებს სახელმწიფო იჯარას.
არა, რო?

დერვიში: ხო, ეგრეა, გაკოტრდება.

ნური: ეგ კარგია, მაგრამ უმუშევრად დარჩენილი მუშები რითი
ვარჩინოთ?

ალი: ბიუჯეტის საქმე როგორ არის?

დერვიში: გათავდა. "სიჩუმის ფულიც" გათავდა და ყომარბაზე-
ბისაგან აკრეფილი მანოც.

თემელი: საზაფხულო კინოს შემოსავალი რა იქნა?

დერვიში: არ ეყოფა, შვილო!

ალი: ახალი გადასახადები უნდა შევაწეროთ. ერთხელ კიდევ
ჩამოვუაროთ ყავახანებს! ბოლოსდაბოლოს, ნამუსის საქმეა!

ქეშანელი ალი არ ვიყო, თუ ეს სიდამპლე ცხვირიდან არ
ამოვადინე!

მრომაცვალის მცცელი მოულენიც ანამცემი ცატერების ამჟღვი
მცოდნის ინორცინგისტაცია იცის მცდელობრივი ცენტრის ცენტრის

მცდელობრივი მცდელობრივი აუთორის მომარტინის მცდელობრივი მცდელობრივი

მოგიან დამც მოგ თუ მიერ მა მოთივო ჩატევას არცაც არცაც არცაც

მეათე სურათი

პროექცია: ალის ჯიბრზე ქალაქში ქორწილი და მხიარულებაა.

დეკორაცია: პატარა სახტუმრო ოთახი ონარანგის სახლში.

სუჟანდანი: ნალის ლურსმნისა და ურდულების მეფის დავუთ დალთაბანის ქერა მეუღლეს დურდანე დალთაბანს სირმით მოქარგული შავი კრეპ-სატინის კაბა და ზედ ისხვერი შალი ძალიან უხდება. ყველაზე ლამაზია. სამშენებლო მასალების მეფის ქაზიძ ქალთაბანის შავგვრემან მეუღლეს ქამილე ქალთაბანს თეთრი ძაფით ნაქარგი ვარდისფერი კრეპ-სატინის კაბა აცვია და ზღაპრიდან გადმოსულ ფერიას ჰგავს (ორი ძალზე მსუქანი ქალბატონი ერთ ჯგუფში საუბრობს. თავიანთ სახელებს რომ გაიგონებენ, გაიღიმებენ). ჩვენ აჩლა ონარანგითან ვიმყოფებით. აქ ქორწილია. ეს ქორწილი რატომდაც ძალიან გაასაიდუმლეს. მე თურქთის ელზა ძაქსველი სუჟანდან გულფერი გახლავართ!

შემოდიან იპია ონარანი და სადი შაქლაბანი.

იპია: თქვენი მეგობრული თანადგომა რომ არა, ახლა გაკოტრებული ვიქწებოდი.

სადი: როგორ გეკადრებათ!

იპია: იმ ყაჩალმა თავისი ორასი მუშა რომ წაიყვანა, მეგონა, ქვეყანა თავზე დამექცა-მეთქი. როგორ გინდა იმ უკაცრიელ ადგილას ახალი ბრიგადა შეკრიბო?

შაჰინდე შაქლაბანი: ასეთ დროს უნდა დავეხმაროთ ერთმანეთს, ბატონო. რაც მართალია, მართალია, ძალიან გამეხარდა. ბულენთი ბედნიერი რომ დავინახე.

იპია: მადლობა მომიხსენებია! რაც ნევარე იმ კაცს გაჰყვა, ბულენთმა ორჯერ დააპირა თავის მოკვლა. სულ ხელი ჩაიქნია ცხოვრებაზე. ღმერთმა უშველოს ჩვენს პროფესორს!

შაჰინდე შაქლაბანდი: ვიცი, საპარიკმახეროში მითხრეს. მართლა როგორ ჰგავს ნევარეს.

იპია: მაგრამ თვითონ არ იცის და არც უნდა გაიგოს! თავმოყვარეობა შეელახება.

სუპანდანი: ძალზე საინტერესოა! აქედან კარგი ბიზნესი გამოვა.

ცეკვა იწყება. მას ხსნიან ბულენთ ონარანი და პატარძალი. ცეკვავენ იჭია ონარანი და დურდანე დალთაბანი, დუშიზე დუსთაბანი და ქაზიმ ქალთაბანი, დავუთ დალთაბანი და შაპინდე შაქლაბანი.

ბაღში გამოჩნდებიან მოცეკვავე წყვილები. ყველანი ღია პიანისტი არიან. ხაზგასმული სერიოზულობით მღერიან და ცეკვავენ.

ჩვენ ნულიდან დავიწყეთ

შრომითა და ოფლით.

ისევ შრომით გაგვაქვს თავი.

არა ეშმაკობით.

ვაჭრობა ხომ ხელობაა

ნატიფი და სუფთა.

მას სჭირდება ნებისყოფა,

გამჭრიახი ჭკუა.

დიდი საქმის თავკაცობა

ადვილი ნუ გვონიათ!

აბა, ერთი ვაჭარს ჰქითხეთ,

თუ რა მძიმე ლოდია...

წიგნი, ჩინი და სახელი

წარმავალი არის.

ყველაფერი უკან რჩება,

როცა დრო წინ გარბის.

ბედნიერი მაშინ ხარ ერთ, იმშენ ინტერესი

როცა ქისა სავსეა...

(მდ) ვალემ მო მინება .1

(მდ) წომაფონებ მინა მიღ .2

ეთერთმატე სურათი

დონიდ იქნებინ პროექტის და იმღები აძლევებ მიმდევ მას ადგიში ეცნებ
წრინც პროექტია: ზოლპას სიზმარი ხანმოკლე გამოდგა. ნევარეს
შინ დაბრუნება. სასახლიდან შეცდომით იტაცებენ ქალს.

შემოდიან ნევარე და აჭსენი.

ნევარე: ჩემს სახლში რატომ მომაბრუნე? ეს რასა ჰგავს,
ძვირფასო მისტერ?

აჭსენი: ჩემო მშვენიერო, სამწუხაროდ, ამ საქმეს ვეღარ
გავაგრძელებთ. ნატურის ამბავია.

ნევარე: როცა მეხვეწებოდი, ჩემოდანი აიღე და გამომყევიო,
მაშინ არ გახსოვდა ნატურა?

აჭსენი: მაშინ ძალიან დიდი გრძნობით ვიყავი შეპყრობილი.
ახლაც ასე ვარ. მაგრამ სიტუაციონი შეიცვალა.

ნევარე: რა სიტუაციონი?

აჭსენი: ბავშვობაში ძალიან ცუდი მჭამელი ვიყავი, გაწამებული
მყავდა დედაჩემი, მაგრამ როგორც კი მეზობელთან
გადავიდოდი, მადა მეხსნებოდა. ნატურის ამბავია.

ნევარე: Je ne vois aucun rapport!¹

აჭსენი: Mais voyons cherie?!² ბულენთის ცოლი რომ იყავი,
ძალზე მადის აღმძვრელად მეჩვენებოდი. დღეში მხოლოდ
ორ საათს გხედავდი და იმ ორ საათს სულ შენზე
ვლოცულობდი. მაგრამ, როგორც კი ჩემოდანი აიღე და
სულ ჩემი გახდი, როცა ოცდაოთხი საათი სულ ცხვირწინ
მიტრიალებდი, ასე მეგონა, შინ სადილად ვიჯექი. ნატურის
ამბავია...

ნევარე: აჭსენ, ძალიან მწყინს. ამიტომ გავიქცი შინიდან? ამიტომ
დავწვი უკან დასაბრუნებელი ზიდები? პანსიონში დედა

1. კავშირს ვერ ვხედავ (ფრ.).

2. რას ამბობ, ძვირფასო?! (ფრ.)

ანულირების მიზანი არიანო.

აპსენი: მაპატიე, ჩემო მშვენიერო, ჩემთვის ისევ ისეთი ლამაზი
ხარ, ოღონდ სიტუაცია შეიკვალა.

ნევარე: ახლა რა მოხდება?

აპსენი: ძველი ვნება რომ დავიბრუნოთ, მხოლოდ პირობები
inversement¹ უნდა შეკვეალოთ.

ნევარე: გამოდის, რომ...

აპსენი: უნდა დაუბრუნდე შენს ბუდეს. კვლავ მეზობლის საჭმელი გახდები და მეც ხშირად ვირბენ მეზობელთან. ნატურის ამბავია.

ნევარე: სათქმელად ადვილია! შინიდან გაიქცე, ისეთი წერილი
დატოვო და მერე უკან დაბრუნდე.

აპსენი: Net'en fais pas², ჩემო ფისუნია! ბულენთი იოლად ვერ
შეელევა ლამაზ ქალს, რომელიც შინ დამორცხვებული,
სინაწელის ცრემლების ფრქვევით დაბრუნდება. უთხარი,
ბავშვს ვეღარ შევალიერ-თქმ.

ნევარე: მართლა, ბავშვი! ბავშვიკ ხომ მყავდა?! ეგ კარგი მოიგონე!

აპსენი: ლამაზ ქალს უფლება აქვს ახირებული იყოს. იტყვი:
ახირება იყო და გამიარა-თქო. ბულენთს შანსს მისცემ
ჯენტლმენის prouver³ გააკეთოს. მადლობის მეტი რა
ეფექტის. ის კი არადა, კაბის კალთა უნდა დაგიკოცნოს!

ნევარე: ცუდი აზრი არ არის. მაგასთან ასეთი ნომერი გავა!

გარედან ტაშის ხმა ისმის.

აჰესენი: რა ამბავია, გუნაკვალე?

ନେତ୍ରାଳ୍ୟ: କୌଣସିଗାଇଲ୍ଛେ ତା ମୋହାଲିନୀଙ୍କ?

- ### 1. პირობობა (თემა)

2. Եղանակ! (որ)

- ### 3. ମୁଦ୍ରାକଣ୍ଠ (ମରୀ)

აპსენი: ქარები დროა. ახლავე თქვენს საწოლ ოთახში შედი და დაწექი! ბულენთი რომ შემოვა და სინათლეს აანთებს, სიურპრიზი დაზღვდება.

ნევარე (არფასთან მივა და სიძებს შეეხება):

თუ სიყვარული გინდა, ქალი ბულენთი და ალექსანდრე ბერის მოთმენა გმართებს. ნორ აბეტე იუცხე :იმცემა ქალი ზღვასავით არის, აფერ სიყვარული კალდებს.

ჟავს აღელვებულ ტალღებს. ნორ მიზონად ცოდნები ხან ჭირვეულობს, ხან კი ცემლობრივ დობე :იმცემა, მიღება გულუბრყვილობით გაბნევს... ანუ ჩე იცია განასაკვირვებები

მოსიყვარულე ქმრები აღდენს

ბევრს ჰპატიობენ ცოლებს... აუგუსტის თავისებურო :ცოდნები

თუ სიყვარული გინდა, მაც ცონტრ აუ აცოტაზ

მოთმინებაც ხომ გმართებს... ჩაი გინ იე იე იე :იმცემა

ნუ გაუხსენებ ქალებს კლას ბანალ დელიცე სასიყვარულო ამბებს!

ნევარე: ჩემოდანს საწოლ ოთახში შევიტან და ახლავე დავბრუნდები.

გადის. აპსენიც მიკვება. ამ დროს შემოდას რეტიანი ჯაფერი. მუსიკა უკრავს.

ჯაფერი: სალამ ალეიქუშ! იპია ბეი თქვენ ბრძანდებით?

აპსენი: არა. გნებავთ რამე?

ჯაფერი: მე რეტიანი ჯაფერი ვარ.

აპსენი: ვერ გიცანით!

ჯაფერი: მე ისა ვარ, ვინც ტლაპო იპსანი ჯოჯოხეთში გაისტუმრა.

ქოხმახებისუბნელი მკვლელი.

აპსენი (შეშინებული): მოხარული ვარ!

ჯაფერი: მკვლელობის მერე სირიაში გავიქცი. ვიმალებოდი, რაღა, ამნისტია რომ გამოვიდა, დავბრუნდი, იპია ბეის გაუგია, ჩამოვიდაო, და დავუბარებივარ. ერთი ჰატარა სუფთა

და ია საქმეაო.

აპსენი: რა საქმე?

ჯაფერი: გაგონილი გექნებათ ის თემომოქცეული ქეშანელი ალი ჩემგან ჩადენილ მკვლელობაზე ჩამჯდარა. ახლა მთელი სინექლი ხელში აუყვანია. მოკლედ, საპირე უშოვია და სარჩულიც მოუნდომებია, რაღა! ახლა ქალაქსაც მოსწვდაო. იპია ბეის საქმეებშიც ცხვირსა ყოფსო.

აპსენი: ვერაფერი გავიგე. მერე, მერე?

ჯაფერი: მოკლედ, ათასად მოვუკლი, რაღა!

დაუსტვინე (შემოვარდება): ეს იპია ბეი არ არის. ყველა ოხერს კი არ უნდა ელაპარაკო. იპია ბეი ის არის, აი რომ მოდის.

აპსენი: გაგარდება. შემოდის იპია ბეი.

იპია: შენა ხარ გიჟი ჯაფერი?

ჯაფერი: მე გახლავარ, ფაშაჯან!

იპია: აქეთ წამო, ვილაპარაკოთ!

გადიან. შემოდის სუპანდანი, მაგიდასთან მიდის, სასმელს ისხამს და სვამს.

სუპანდანი: თვალებს ვერ ვუკერებ. ნევარე ქორწილშია.

ყურმილს იღებს და რეკავს. შემოდის ზიღპა. საქორწილო კაბა აცვია.

ზიღპა: უჰ! რა სიცხეა! გული შემიღონდა. აქ სადღაც სარკე უნდა იყოს.

კაბის კალთას აიწევს და სახეზე ინივებს.

სუპანდანი: სარკეს ეძებთ?

ზიღპა: ოფლად დავიღვარე.

სუპანდანი: ამ სახლში ერთი ფეხადგმული სარკეა. იმას რომ შეხვდებოდეთ, კარგი იქნება. (ყურმილში): ალო, შენა ხარ, ქამილ? ყური მიგდე... ახლავე ფოტორეპორტირი გამოგზავნე. ხვალინდელი ნომრის ჭორების სვეტში ყუმბარა

გასკდება. "ონარანების ქორწილში ძველი რძალი და

პატარძალი წაიკიდნენ". როგორი სათაურია. ჰა? ჩაო!

იპია, ჯაფერი და დაუსტვინე ოთახიდან გამოდიან.

იპია: მაშ შევთანხმდით? კარგად იყავით!

ჯაფერი: ისა... ავანსს არ მომცემთ?

იპია: რა ავანსს?

ჯაფერი: თადარიგი უნდა დავიჭიროთ თუ არა?

მოვმაგრდები, რა? (ანიშნებს, დავლუვო).

იპია (იცინის): ჰოო! (ფულს აძლევს). ჯერ ეს იკმარე!

ჯაფერი (ფულს წვერ-ულვაშზე გადაისვამს): ბარაქა მოგცეს!

ნობი ვნახოთ, როგორი ხელი გაქვს!

იპია: კარი აქეთ არის. მე გაგაცილებთ. (გადიან).

სუპანდანი (ერთ ჭიქა სასმელს კიდევ სვამს): საქმე ჩინებულად

მიდის. (კულისებისაკენ იხედება). ნევარე კიბეზე ჩამოდის.

აპა, პატარძალს შეეჩეხა.

ნევარეს ხმა: ვინა ხართ? აქ რა გინდათ?

ზილჟას ხმა: თვითონ ვინა ხართ? და მართლა რა გინდათ აქ?

სუპანდანი: მხოლოდ გარეგნობით კი არა ჰგვანან ერთმანეთს,

სიტყვა-პასუხიც ერთნაირი აქვთ.

ნევარეს ხმა: ეს ჩემი სახლია.

ზილჟას ხმა: ეს ჩემი სახლია.

ნევარეს ხმა: თუ შეიძლება, მოგვხედეთ! ეს ქალი ვინ არის?

ზილჟას ხმა: ერთი, მოგვხედეთ. ეს ქალი ვინ არის?

აპსენის ხმა: ეს ქალი ნევარეა, ბულენთის მეუღლე.

ზილჟას ხმა: ჰოო? (პაუზა) ყველაფერი გასაგებია...

გდია ის გამოჩერჩეტებული პროფესორი? უნამუსო იპია

ბეი სად არის?

აპსენის ხმა: სად არის?

ზილჟას ხმა: არ გავვები იმ უბედურს. მასხარად ამიგდეს,

განა? ფეხქვეშ გათელეს ჩემი ქალობა (ტირის). მიღიონიც

რომ მომცენ, აქ გამჩერებელი არა ვარ.

სცენაზე შემოვარდება, ტანსაცმელს შემოიხევს და ფანჯრისაკენ გარბის.

სუპანდანი: შეჩერდით, რას სჩადით!

ნევარეც შემოვარდება. გაკვირვებულია. ზილჰა ფანჯრიდან ხტება. სუპანდანი და ნევარე ერთმანეთს შესჩერებიან.

ნევარე: ის ქალი ვინ იყო, სადედოფლო კაბა რომ ეცვა?

სუპანდანი: ქოხმახების მზეთუნახავია. (მავიდიდან ერთ ჭიქა სასმელს იღებს და სვამს). თქვენის ნებართვით, რედაქციაში უნდა წავიდე. (გადის)

ნევარე ხელებში თავჩარგული ზის.

აპსენი (ეზოდან შემოდის): რა მოგივიდა? რა მოხდა?

ნევარე: ამ სახლში უცნაური ამბები ხდება!

კარზე აბრახუნებენ.

აპსენი (დამალვას დააპირებს, მაგრამ გადაიფიქრებს): ვინ არის?

ნური (აქმინებული შემოვარდება): მე ვარ, ნური. (კლასიკური ტრაგედიის მაცნესავით სულმოუთქმელად ლაპარაკობს): შენ, ეი, ყველა წესისა და რიგისაგან გადამდგარო, ვერაგო, გზასაცდენილო დედაკაცო, გაიქეცი რითაც გინდა – გემით, თვითმფრინავით, მანქანით – გაიქეცი! ზილჲა, გაიქეცი!

ნევარე: რა მოხდა? რატომ უნდა გავიქცე?

ნური: როცა მეწვრილმანე რაზიემ შენი ქორწილის ამბავი მოიტანა, ალისთან ვიყავი. ალი ჯაყვით ფრჩხილებს იქნიდა. ავყია რეზიემ ყბა მოაღო და დაყაჭა და დაყაჭა ამბები. ალის ფერი წაუვიდა, თვალები გაუელამდა. ჯერ ვითომ კიდევაც გაიცინა, მაგრამ რა გაცინება?! ტირილი უფრო ეთქმოდა. გადაიხარხარა, მაგრამ ქვითინისნაირი ხმა ამოუშვა. ხელი იარაღზე იტაცა. გვეგონა, თავს მოიკლავდა. დერვიში, ნიაზი, თემელი მისცვივდნენ: "შენი წყენა ჩვენი წყენააო, – უთხრეს – ჰასიბე მკითხავის სახელოვანო შვილო, პატივი დაგვდე,

ნება მოგვეცი და ჩვენ ამოვიყრით შენ ჯავრსაო". როგორია? ალიმ ხელით მოიშორა: "ქეშანელი ალი ნუ ვყოფილვარ, თუ იმათ ზიღპა მოსამსახურედ გავუხადოო!" – იყვირა. შერევ აბლამ ნახა, საქმეს ცუდი სუნი უდიოდა და შენთან მაფრინა: "წადი, ზიღპას უთხარი, გაიქცესო". ჰოდა, მეც გადავახტი შერევ აბლას მილს. აი, ფეხსალაგს რომ რეცხავს, იმას, მოკლეზე, ბილიკ-ბილიკ შერბეთ დერემდე ვირბინე, აქეთ გამოვფრინდი. ალის ხელში რევოლვერი უჭირავს და მოდის. დაო ზიღპა, გაიქცეი! გემით, ტაქსით, თვითმფრინავით, ნაგვის მანქანით, რითაც გინდა, ოდონდ გაიქცეი! (დაეცემა, როგორც მარათონის მაცნე).

ნევარე (აპსენს): რამე გაიგე?

აპსენი: ეს კაცი, ანტიგურ ტრაველიაში რომ მაცნეა, იმის ჩვენებური ვარიანტი უნდა იყოს! (უცებ ეჭვით) მართლა. ვინ არის ეს ალი?

ნური (თავს წამოსწევს): სინექლის ყოჩია. ცნობილი ქეშანელი ალი.

აპსენი: Tiens, tiens, tiens¹, არ ვიცოდი, თუ perversité²-ები გქონდა.

ნევარე: აპსენ, მე ამ კაცს პირველად ვხედავ!

ნური: სირცხვილი შენი! ოინებს შეეშვი და თავს უშველე! (ფეხის ხმა) გესმის? მოდის, დავიღუპეთ... (ვარბის).

ალი გრიგალივით შემოვარდება და გაჩერდება.

ალი: არ გაინძრეთ, გესვრით!

აპსენი (ხელებს მაღლა სწევს): გნებდებით!

ალი (იატაკზე დაფენილ ნოხს დასჩერებია): ნოხი აფსუსია, სისხლით ვერ დაგსვრი! წამო, ანგარიში სინექლიში გავასწოროთ.

1. მოიცა, მოიცა, მოიცა (ფრ.).

2. გადახრები (ფრ.).

აპსენი (ხელები დაუშვა): სინექლი სად არის?

ალი: შენ ხმა! სელის თესლო!

ალი ნევარეს ხელს დასტაცებს და ზურგზე მოიგდებს. ნევარე ფეხებს იქნევს.

აპსენი: მოიცათ, თუ გნებავთ, მოგეხმარებით!

ალი: ჩვენს საქმეში ნუ ერევი-მეთქი, კაცო!

აპსენი: კარგი, ბატონო (ისევ ასწია ხელები).

ალის ნევარე ზურგზე მოკიდებული მიჰყავს. ნევარეს, ეტყობა, ეს ყველაფერი საინტერესოდ ეჩვენება. პირზე ხელს მიიფარებს. იცინის. მაყურებელს:

ნევარე: ნეტავ სად მივყავარ?

აპსენი (ხელები ისევ აწეული აქვს. კულისებისაკენ მიდის. იხედება. დარწმუნდება ალი უკვე წასულიაო, და ყვირილს ატებს): არიქა! მიშველეთ!

იპია, ბულენთი, ოლგა, სტუმრები შემოცვივდებიან. აპსენი ხელებაწეულია.

იპია: რა მოხდა? რა ამბავია?

აპსენი: ვიღაც კაცმა ნევარე მოიტაცა. არიქა! დაეწიეთ! აქეთ! აქეთ!

! თეოდორ აჭარა : (ძალისწეს) იძინები
 ძალისწესი (არა არა არა) აქეთ : (ძალისწეს) ზენითობი იძინები
 ალი: ხოვითც იქნა. წერტილების სამართლის ცენტრები
 შეიძლია დასახურება (ძალისწეს) მარტინ მირიან თუ მიუღია (ძალისწეს) იყცილებ
 ალი: ცოტა გულისუნის ამზღვები უკავებები ჩანცემ აღ
 მიაღწია სამართლის ცენტრები (ძალისწეს) იყცილები იმპერია
 -ტურო მიწუმაშ წარეცხავითი ინიციუტ ჩანცემის აღმართების
 ვრცელების მიზანით ამავე დროის მიზანით მიმდინარეობდა. უ
 მარცხენა მეტა
 იყცილების დროის მიზანით მინიჭებული მიმდინარეობდა. უ

მათორმატე სურათი

პროექცია: ესეც მოახლოებული ბედნიერება.

დეკორაცია: ღამეა. აღის ყავახანის ეზო. ეზოში სახლების ჩრდილები წევს. სიჩუმეს ჭრიჭინები არღვევენ. ფანჯრებში სინათლე ბუჟავს. დაძაბული მუსიკის პაროდია. გამოჩენდებიან: წინ პოლიციელები, უკან იპია, ბულენთი, ოლგა, პროფესორი, დაუსტვინე, ჯაფერი, ფილიში. პოლიციელებს თავზე გაფოთლილი ტოტები ადევთ – ინილებიან, თითქო სანგრის ასაღებად იერიშზე გადადიან. "პოზიციას დაეუფლებიან", მერე მიწაზე გაწვებიან და ხოხვით მიდიან აღის ყავახანისაკენ. სინექლიერები: ჰიდაიეთი, თემელი, ჰაფიზე, ნიაზი ზურგზე ხელებდაწყობილები უკან მიჰყვებიან. "ესენი რას სჩადიანო" – უკვირთ. ამ დროს მსუქანი პოლიციელი თავისი "სანგრიდან" ბრძანებას იძლევა.

მსუქანი პოლიციელი: რიზა, შენ მარჯვნიდან მოუარე! ზია,
შენ ქვემოდან უყელე! ყურადღება!

უსტვენს. რიზა მარჯვნივ გადახტება, ზია – მარცხნივ. თავთავიანთ პოზიციებს იკავებენ და წვებიან. მათი სასტვენების ხმა ისე ენაცვლება ერთმანეთს, თითქო დუელი გაუძართავთო. ფილიზი (შემოდის): დედა, დედიკო!

შველანი ერთხმად (ფილიზი): სუ! (ფეხაკრეფით გამოდიან ავანსცენაზე და მაყურებელს): სუ!

შერეფი (გამოდის და თავისი ქოხის წინ დგება): რა ამბავია? რა ხდება? ამერიკულ ფილმს იღებენ?

მსუქანი პოლიციელი (წამოდგება. ხელკეტი უჭირავს): ეს რაღა თამაშია? წესები დაირღვა. ნევარე ხანუმი მოუტაციათ! ასეთი თავხედობა გავონილა?

შერეფი: ნუ წუხარ, მსუქანო! ზილჰა მოვიდა. შეცდომით მოტაცებულმა ქალბატონმაც წუხანდელი ღამე ჩემთან გაატარა.

შერეფ ხანუმის ქოხიდან ისმის სიძლერა "თუ სიყვარული

გინდა". უკავშირდებოდა მძღვანელი მარტივი მოვალეობა ისე.
ფილიზი: დედა! დედიკო!
ბულენთი: ნევარეს ხმა!
ოლგა: სწორედ ის არის!
შერეფი (იპიასა და ბულენთს): თთო არავის დაუკარებია! როგორც
 წამოვიყვანეთ, ისე გიბრუნებთ თქვენს ლამაზსა და ქორფას.
 მშვიდობაში მოგახმაროთ!

ბულენთი: მადლობა ღმერთს! რა არ ვიფიქრე!
აპსენი: ძლივს თავისუფლად ამოვისუნთქე!
ფილიზი: დედა! დედიკო! დედა მინდაა! (გაგორდება).
მძღოლი: აი, კიდევ გაგორდა! ძალიან ნერვიულია. ნუ გაუწყრებით,
 მადამ!

ნევარე ქოხიდან გამოდის. ფილიზი და იპია შევგებებიან.
ფილიზი კალთაზე ეხვევა.
ბულენთი: სიზმარია თუ ცხადი? (გულწასული დაუცემა).
იპია: ახლავე შინ წავიდეთ!
აპსენი: არ მეგონა, თუ ყველაფერი ასე იოლად დასრულდებოდა.
მსუქანი პოლიციელი: ზავი გაფორმდა, ომი დამთავრდა. წადით,
 დაიშალენით! გზას ნუ კეტავთ! თავშეყრა, დემონსტრაცია,
 მიტინგი აკრძალულია! ახლავე აქტს შეგიდგენთ! არ
 გეურებათ?!

ხალხი იშლება. ალის ყავახანა განათებულია.
ალი: როგორც იქნა, მარტონი დავრჩით!
ზილპა (იპრანჭება): ჰო, მარტონი ვართ!
ალი: ცოტა გულისხეთქვა როდი გადამატანინე!
ზილპა (ცხვირს შეისრუტავს): არც შენ დამაკელი. ციხეში
 მართლა ტიროდი ჩემი გულისთვის? (ალი თავს დაუქნევს)
 ეგრე მოგიხდება! ნათქვამია: "მოზვერმა პალო მოგლიჯა
 და ერთი თუ სხვასა ჰქონა, ათი თავს იკრაო". ჭკუის
 სასწავლად გამოგადგება. მეც რა დღეში ჩამაგდე, შე
 მხეცო, შენა!

ალი: შენც ჭკუას ისწავლი!

აღი გახდას იწყებს. იარაღსა და ქამარს რაფაზე დებს ფეხებს ზილპას გაუშვერს. ზილპა ჩაცუცქება და ფეხსაცმელს ხდის. დაუსტვინე ფანჯარასთან არის ჩასაფრებული. ხელს შემოჰყოფს და აღის იარაღს იპარავს.

ზილპა: მაინც როგორ გაიგე, რომ ის მოტაცებული ქალი მე არ ვიყავი? აღი: სუნით. ფრანგული ლოსიონის სუნი ასდიოდა. ეტყობა, საკუთარ სუნს არა სჯერდება.

ზილპა: მე?

აღი: შენ შენი სუნი გდის.

ზილპა: როგორი?

აღი: რა ვიცი, შენი სუნი გდის და ეგ არი! ჯორის ჩლიქის სუნი.

კარზე აკაკუნებენ. შემოდის ლუთფიე.

ლუთფიე: მოსალოცად მოვედი. ნეტა იცოდეთ, როგორ მიხარია თქვენი შეერთება!

აღი (მოღუშული): მადლობელი ვარ, ლუთფიე ბებო. დილით

ვილაპარაკოთ.

ლუთფიე: მაინც ვერ დავჯდები. კარგად იყავით! (გადის. გასვლისას ზილპას თითხ დაუქნებს): აი, შე ეშმაკოო – ანიშნებს.

აღი: ბარემ დააგე ლოგინი!

ზილპა: რა გეჩქარება? უნახავივით იქცევი! თანაც ჯერ დანიშნულებიც კი არა ვართ.

აღი: ნიშნობაც იქნება და ქორწილიც.

ზილპა: სული მოითქვი. რამე დავლიოთ!

აღი: ვოგო, იცი თუ არა, რომ, როცა გვერდითა მყავხარ, ისე ვარ, თითქო ყელში ეკალი გამჩეროდეს.

კარზე აკაკუნებენ. შემოდის ჰაფიზე.

ჰაფიზე: ღმერთმა დაგლოცოთ! როგორ უხდებით ერთმანეთს!

ღმერთი უშველის, ვინც ერთად შეგყარათ. მოსალოცად მოვედი.

აღი (გაჯავრებულია): მადლობელი ვარ, ჰაფიზე ბაჯი.

(ამოიოხრებს) ხვალ ვთქვათ.

ჰაფიზე: აქ გასაჩერებლად სადა მცალია. კარგად იყავით (გადის).

ალი: მადლობა ღმერთს! (ზილპას მოუხვევა. ზილპა დაიმორცხვებს) გოგო, მოდი, გვერდით მომიჯექი.

ზილპა (მივა, დაჯდება): აპა, მოვედი. მერე რა მოხდა?

ალი: თვალებში ჩამხედე.

ზილპა: ჩაგხედე. მერე რა?

ალი: ხელი მომკიდე.

ზილპა: აპა, მოგკიდე, მერე რა?

ალი: რას მიედ-მოედები? კინოში არა ყოფილხარ?!?

მსუქანი პოლიციელის ხმა: ყველანი სახლებში! ჩიტმაც თავისი ბუღე იცის!

კარზე აკაკუნებენ. შემოდის რაზიე. ვაჩერდება და შურით შეჰყურებს ზილპას.

რაზიე: ბავშვებო, მოსალოცად მოვედი. ტკბილად გამყოფოთ ღმერთმა. ცოტა როდი გადაიტანეთ. ნაშვილად... რასაკირველია... პირიქით, თქვენი სიმართლით.

ალი (გაჯავრებული): მადლობელი ვარ. დაო რაზიე. არ შეიძლება, ხვალ ვილაპარაკოთ?

რაზიე: აქეთ გავიარე და ვთქვი, შევივლი-მეთქი. წავედი. კარგად იყავით. (ამოიოხრებს და ვადის).

ალი (ლამპას აქრობს): ასეც არ შეიძლება! სინათლეზე მოდიან.

მეცნაურობის სურათი

პროექცია: წარმოდგენა დამწვრისა უნდა იყოს, თანაც
მაღალი მორალისა! ხალხს გაკვეთილად უნდა გამოადგე!
პოლიტიკურის აზრით, ამბავი აქ უნდა დამთავრდეს.

მსუქანი პოლიციელი (შემოდის, კულისების მისამართით):
ბარემ, აქ გათვდეს!

დერვიში: ჭირი იქა, ლხინი აქა... თუ გნებავთ, პატივი დაგვდეთ,
მობრძანდით და, ღვთის შეწევნით, მომავალ პარასკევს ეს
მოქმედება ქორწილით დავასრულოთ. ტყუილი და მართალი
მოვისმინოთ და ასე გავიყვანოთ დრო. თუ რამ შეგვეშალა,
ან რამე წამოგვცდა, უმორჩილესად გთხოვთ, გვაპატიოთ!
ფარდა ნელ-ნელა ეშვება. პოლიციელი დარბაზს გადაჭრის და
გადის.

ჯაფერი (დარბაზის უკანა კარიდან შემოდის, გაივლის
მაყურებლებში): დადექ, მმაო, ეს თამაში ასე ტკბილად არ
დასრულდება.

დერვიში: ვაა! რეტიანი ჯაფერი!

ଏତମତ୍ରକାହାକୁ ଶୁଣାତି

ბედნიერი დასასრულის ხელის შემშლელი ნარეკალი
რეტიანი ჯაფერი სცენაზე. ანუ გადმოცემა, რომელიც
ტყუილი იყო, სიმართლედ იქცა.

ჯაფერი: მაშ რა გეგონა? ყველამ იღაპარაკა, ახლა ნარ-
ეკლის რიგია. (მაყურებელს) აღისთან პატარა
ანგარიში მაქვს... (ხევბისაკენ მიდის).

შერეფი: დერვიშ ეფენდი. არ გაუშვა, არ დაანებო!

დერვიში (დაინახა, რომ ჯაფერმა იარაღისაკენ წაიღო
ხელი): შენ, ეი, გალეშილო, ვერა მსედავ?!

ჯაფერი: ჰავრალია, გალეშილია!
ჯაფერი: ჰავრალია, გალეშილია!

ალი გაიწევს. ზილჰა აკავებს.

ჯაფერი: შენ, ეი, ისპანახო! აქეთ მოიზედე! გავიგე, ამაღამ
სანთიობოში შესვლას აპირებსო. ბულენთ ბეიმ გემოზე
იხმარა. ახლა შენ გერგო?

დაუსტვინე სიბნელეში გამოჩნდება. ჯაფერთან მიიღდენს.

ალი: შენა გლანძლავს.

ზილჰა: მოეშვი, გენაცვალე!

ჯაფერი: შენ, ეი, ბოზო, კახპავ! მე რა მენაღვლება! ზიღპა,
დაო, ერთხელ მოდი. ყველას სწყალობ და. ჩემთვისა
ხარ წმინდანი? გამოდი, შე ჯორის ჯიშისავ! შენი
დედა... კუდში დავდევ, კაცად არა მოვლის. კიდევ
პირველი დამის ძილში ხარ, ძალის შვილო?

ზილჰა (მედიდურად, ზიზღით): აქედან დაიკარგე, შე
ბინძურო ლოთო. ვინ არის შენი ტოლი? **ჯაფერი:** შენი პირი ვჭამე! თქვენში კაცები იმაღლებიან და
ძალიან ჩხოდობენ? აუმო შენი თოუ! აქოთვა

მკვლელობაზე ვიჯექიო. ქვეყანა გაგიჩუმებია! მოდი ერთი, გამოდი და ყველამ გაიგოს, ვინ მოკლა ტლაპო იჰსანი!

მთელი უბანი შეიყარა.

ჯაფერი: დედა შევაგინე, არ გამოვიდა. დანიშნული გავულანძღე – არ გამოვიდა. ვენაცვალე ასეთ ვაჟების! ჰეი, ნამუსგარეცხილო! (ჰაერში ისვრის) გამოდი, თუ ვაჟები ხარ!

ბოთლის მოყუდებს. მიწაზე დაგდებულ მჩვარს აიღებს. არაეს დაასხამს. ცეცხლის მოუკიდებს და ერთ-ერთ ქოხს ესვრის. დაუსტვინეც ასევე იქცევა.

ჯაფერი: აი, ქოხმახებს გიწვავ. არც ახლა გამოხვალ? თუ ვაჟები ხარ. აიღე იარაღი!

ქოხს ცეცხლი მოედება.

ლუთფიე: მართლა გვწვავს! ალი, სადა ხარ?!
თემელი: ალი! ალი! ძმაო!

ჰაფიზე: ამ დაწყევლილ კაცს ენას ვერ ამოაცლი?

ალი: ზილჰა, გენაცვალე, ჩემი ხალხი მელოდება, უნდა გავიდე!

ზილჰა: მოეშვი ხალხს. არ გეშინია?

ალი: როგორ არ მეშინია, მაგრამ რას იზამ? საქმეში დესთანია გარეული. დესთანს არ ეღალატება.

ზილჰა: ევამ ადამს რა პირობა დაუდო? ან მე, ან სამოთხეო-უთხრა. მეც პირობას გიდებ – ან მე, ან დესთანი!

ალი: სამწუხაროდ, ეგ შეუძლებელია, ზილჰა. ჩემი ბედისწერა მიხმობს. (მედიდურად წამოდგება) "კაცი კვდება, დესთანი რჩება". მივდივარ.

ზილჰა: არ წახვიდე! ასეთ ცხრილები არის იმერი : ისტორია
ალი (კარწინ დადგება): ჩემი ისიცოცხლე

სინექლისათვის შემიწირავს. რას იზამ, ალბათ, ეს მეტერა!

ქორო: ლომი ალი, ყოჩი ალი, გმირი ალი!

ალი (შებრუნდება და ზიღვას): გაუმარჯოს სინექლის
მთას! მისი ბოლო სიტყვები ეს იყოო, თქვან. ისტორიაშიც
ასე შევიდეს!

— ცეცხლის ფონზე ალის სილუეტი ჯაფერისაკენ
მიემართება. ჯაფერის ყოველ გასროლაზე კანკალებს, მაგრამ
კვლავ წინ მიდის. ხალხი გაოცებულია, ჯაფერი — დაბნეული.
ორივე ხელში დამბარები უჭირავს და უმისამართოდ ისვრის.

ჯაფერი: პირუტყვო, ანდერძი დაწერე, ჯოჯოხეთში
ნოტარიუსს ვერა ნახავ!

ჰიდაიეთი: შე სულელო, მაგას რა ტყვია მიეკარება?
ცოტათი დაბნეულია, თორემ...

დერვიში: ეს უბედური სასიკვდილოდ არის ატეხილი.

თემელი: გიუო, ილოცე, თორემ ჯოჯოხეთში წახვალ!

ალი წინ მიდის. ამ დროს ერთი ტყვია ფეხში ხვდება.
ხელს წაივლებს.

ლუთფიე: დაიჭრა!

დაუსტვინე: აკი შერბეთიანიაო?

ნური: ის უშერბეთო ფეხია, სულელო!

დერვიში: აი, ისევ მისკენ მიდის...

ალი ჯაფერს მიუახლოვდება და ზედ დაეცემა.
იარაღიან ხელს გაუკავებს. იბრძვიან. ხალხი შემოესევათ.
ერთხელ კიდევ გაისმის სროლის ყრუ ხმა. ჯაფერი დაეცემა.
ალი წამოდგება და ტანსაცმელს გაიძერტყავს. ისმის
პოლიციელის სასტვენის ხმა. ამას სახანძრო მანქანების
სირენის ხმა მოჰყვება. მსუქანი პოლიციელი ალის
ხელბორკილს დაადებს.

შერეფი (ავანსცენაზე გამოდის): პატივცემულო

ბატონებო, ქალბატონებო, აქ გათავდა ჩვენი ამბავი.

თქვენ მოგმართავთ, მეგობრებო,

თავს დაგიკრავთ მდაბლად, მძიმედ,

სულ ეს არის ჩვენი დარდი,

რაც ნახეთ და მოისმინათ.

synopsis - 36 vols.

(ୟାରଙ୍ଗା)

სარჩევი

პალდუნ თანერი წინათქმა	5
ლია ჩლაიძე პალდუნ თანერი	7

აღმართ განხილვა რჩვლი ნოველები

აღმართ განხილვა
რჩვლი ნოველები

აწვიმდა შიშპანე	13
თორმეტს აკლია ერთი წუთი	33
სანჩოს გასეირნება	46
იზნიქელი ყარყატი	57
ორი მეზობელი	64
ბანქოს დასტაში	69
ოთხნი ერთ კატერზე	74
აუქციონი	78
Allegro Ma Non Troppo	95
სიამოვნებით	106
ჩვენი უბნის აფთიაქში	125
ქანდაკება	131
ფეხი	141
დურბინდი	163
Maide in USA	173
გაუმარჯოს დემოკრატიას	183
 პირსა	
ქეშანელი ალის დესთანი	191

შალენჯ იახვითი იმცდომ ძვრული
(არის) იმცდომ ძვრული ცხიალში ითვ

ՏԵՂՈՅՆԱ ԵԳԱԹԵԾԵՐՆԵՐԸ

ଶ୍ରୀମତୀ କୁମାରାଜୁ ଓ ତାଙ୍କ ପିତା

76

72/1102

